

ახალსაუნჯე

ტექსტების და
კომენტაჟების
ჟურნალი

№9 (63)

სექტემბერი, 2018 წელი

ფასი 2 ლარი

ნომრის ავტორები

როშა ჯეჯეძე

& აჭაძე შაქროსი

პოეზია

გეგა ახალაია
ნატო ინგოროსვა
ნიკა ლაშხია
თეონა კომახიძე

პროზა

ქრისტინა სურგულაძე
ლევან პაატაშვილი

ესეისტика

ქეთი ჯიშიაშვილი -
გორხეის და კასარეის შესახებ

ახალი თარგმანები

მარინა ცვეტაევა
იტალო კალვინო

არტი

დავით ჩიხლაძე -
უხანგი ხუმარაშვილის შესახებ



№9 (63) სექტემბერი, 2018 წელი

ახალი საუნჯე

ტექსტების და კონტექსტების ჟურნალი

პროექტის ავტორი: ვაჟა წონკოლაური

მთავარი რედაქტორი: შოთა იათაშვილი

რედაქტორი-სტილისტი: ლელა კოდალაშვილი

დიზაინი და დაკაბადონება: ნიკა ხვედელიძე

სარედაქციო კოლეგია: დავით ანდრიაძე, გია ეძგვერაძე, დათო ტურაშვილი, ეკა ქევანიშვილი, ზაზა შათირიშვილი, დავით ჩიხლაძე, გია ხადური

ნომერზე მუშაობდნენ: ელისო მეტრეველი, ლაშა ბულაძე, გიორგი ლობჯანიძე, ბექა ახალაია, ნატო ინგოროყვა, ნიკა ლაშხია, თეონა კომახიძე, ქეთი ჭიშიაშვილი, თემურ ჩხეტიანი, მათა ტურაბელიძე, დავით ჩიხლაძე, უშანგი ხუმარაშვილი

გამომცემლობა «საუნჯე»

მის.: ალ. ყაზბეგის 32/34

ტელ.: 2141214, 2395587, 2397188

Skype: saunje-saunje

ელ-ფოსტა: saungeo@gmail.com;

www.saungeo.ge

1. ნომრის ავტორები

ლაშა ბუღაძე

ელისო მეტრეველი — მაგის დაჭერის მომენტი



“პატარა ქვეყანა” ლაშა ბუღაძის ჟურნალით ბოლო წიგნი ა. მის შესახებ წერენ,

რომ “ნახევრად ავტობიოგრაფიული ტექსტია” და მასში მოთხრობილია “ავტორის და საქართველოს ბიოგრაფია ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისიდან უახლეს პერიოდამდე”. ვისაც წაკითხული აქვს ლაშა ბუღაძის სხვა ტექსტებიც, მაგალითად, “ბოლო ზარი”, “ოქროს ხანა”, “კარიკატურისტი”, “ლუცრეცია 515”, მოთხრობები თუ პიესები, შეიძლება თქვას, რომ მთელი ეს “ბიოგრაფიები” მის სხვა ნაწარმოებებშიც უხვადაა. ეს ჩვეულებრივი სახელ-გვარები, სკოლები და სამსახურები, სახლები და ოჯახები, ომები და ჩინოვნიკებიც – ყველაფერი ისეა, როგორც ჩვენი ცხოვრების ბოლო ათწლეულებში, თითქოს

დიდ ეკრანს უყურებ და ყველაფერი გესმის – ეს ენაც შენია, ქვეყანაც და დროც; ყველას და ყველაფერს ცნობ, ყველა პერსონაჟს. თითქოს კარგად იცი ეს საბჭოთა თუ კიდევ უფრო ძველი “მითები” და ამ რეალობის ფუტურისტულ-მოდერნისტული ვერსიებიც.

თუმცა, ამ ყველაფრის მიუხედავად, ძალიან მალე ხვდები, რომ მთელი ეს “ცნობა” და “სიიოლე” მხოლოდ ილუზიაა, ლაშა ბულაძის “მაგიის მომენტი”, რომელსაც აუცილებლად იჭერ და უკვე აღარაფერია ჩვეულებრივი და უბრალო – ხან ბოლო ხმაზე ხარხარებ, ხან კი გგონია, რომ დარდისგან გული გაგისკდება. ნელ-ნელა ქრება მთელი ეს “დოკუმენტურობა” და ჩნდება პროფესიონალი კარიკატურისტის, დრამატურგის, ბლოგერისა და მწერლის პარალელური სამყარო – სარკაზმით, ირონიით, სევდით, პოლიტიკით, რელიგიით, აბსურდული ყოფით თუ აბსურდული ქცევებით სავსე, დახვეწილი ლიტერატურული რეალობა. ეს “ცნობა” და “ცოდნა” კი მისთვის მხოლოდ ხერხია სიყალბისგან თავისუფალი ლიტერატურის შესაქმნელად:

– მე მხოლოდ იმის აღწერა შემიძლია, რასაც ვიცნობ. დამაჯერებლობა გადამწყვეტია. სიუჟეტის აგება არ კმარა – ასე ყველაფრის მოყოლა შესაძლებელია – მთავარია, შექმნა სინამდვილე, იმგვარი ორგანიზმი, სადაც ანტისხეულივით მოიშორებ სიყალბეს.

– შენს ტექსტებში არის პოლიტიკა, ომები, ამბები, – ყველაფერი, რაც არის ყველას ცხოვრებაში ბოლო ათწლეულები. როგორია საქართველოში დაბადებული მწერლის ამბავი – იყო ან იქნება პოლიტიკისგან გამიჯნული ცხოვრების შესაძლებლობა? რას ცვლის ეს უხვი პოლიტიკა?



– პრინციპში, სწორედ ეს თემებია ჩემს ბოლო რომანში და მეტ-ნაკლებად რომ გავრკვეულიყავი ამ საკითხებში, 500 გვერდის დაწერა მომიხდა, ამიტომ აქ მოკლედ გიპასუხებ: ზოგჯერ გვიჭირს ჩვენი პირადი და ქვეყნის ბიოგრაფიის გამიჯვნა ერთმანეთისგან, თითქოს ქვეყანა დისტანცირების და “ჩვენთვის ცხოვრების” უფლებას არ გვაძლევს, გვივარდება ბიოგრაფიებში და

ჩვენს ბედისწერას განსაზღვრავს. ეს კი დამლელია. არა მგონია, დასავლურ ქვეყნებში (ცივილიზებულ ქვეყნებს რომ ვუწოდებთ, და მართლაც ასეა, ცივილიზებულები არიან) ამხელა ადგილს და დროს იკავებდეს ადამიანის ცხოვრებაში ქვეყანა – მისი პოლიტიკა, პოლიტიკური წარსული, არასტაბილური რეალობა და ბუნდოვანი მომავალი. ჩვენ გადავსებული ვართ ჩვენი ქვეყნით და მისი პრობლემებით, და შეიძლება სწორედ ამიტომაც უნდა ბევრს წასვლა აქედან – წასვლა, რათა საკუთარი ბიოგრაფიები მოიპოვონ ან დაიბრუნონ. თუმცა ჩემთვის, როგორც მწერლისთვის, ეს ქვეყანა დაუღეველი იმპულსების წყაროა. დარწმუნებული ვარ, როგორც მწერალს, სხვაგან აუცილებლად მომწყინდებოდა. სხვა თუ არაფერი, არაადეკვატური, მაგრამ ცოცხალი რეაქციები მომენატრებოდა. ანუ რაც დამლელია ადამიანისთვის, ის შესაძლოა საჩუქრად იქცეს მწერლისთვის.

– შენს ტექსტებში არის პოლიტიკა, მაგრამ შენც ხარ პოლიტიკოსების “ტექსტებში” – ძნელია ეს? ეს პირადი თავდასხმა? და ხშირად “პირადი თავდასხმებით” საზრდოობს ხალხის რაღაც ნაწილიც. რა ვნებაა ეს?

– არ ვიცი, რა სახის ვნებაა, მაგრამ ის კი მიგრძვნი (ამგვარ თუ სხვაგვარ შემთხვევებში), რომ მწერლის სიტყვას აქვს ფასი და სიმძაფრე. მწერლისაც არა (ეს სიტყვა საშინლად პათეტიკურია, არა?), ადამიანის სიტყვას, რომელსაც აქვს პოზიცია და ამ პოზიციის ფორმულირება შეუძლია – გინდა ვერბალურად, გინდა წერილობით, რაც, გულწრფელად რომ ვთქვათ, პრობლემაა საქართველოში. ადამიანები აზრების და პოზიციის ფორმულირებას ვერ ახერხებენ და მერე აგრესიაც აქედან ჩნდება: ბრაზობ, როცა ვერ გამოხატავ რაღაცას ისე, როგორც გინდა.

– ეს თანადროულობა, დოკუმენტურობის ილუზია და მთელი ეს რეალობის “გადმოწერა”, ალბათ, ვილაცების-თვის ძალიან ართულებს ტექსტის მხოლოდ ტექსტად აღქმას, ავტორისგან ან პერსონაჟისგან გამიჯვნას, განსაკუთრებით, ალბათ, პოლიტიკოსებს აღიზიანებთ ეს “თავის ამოცნობა”. საშიში ხომ არ არიან ცოცხალი “პროტოტიპები”?

– ზოგი მეკითხება: ეს ისაა? ეს ესაა? არ მესმის, რატომ აინტერესებთ, ვინ დგას ამა თუ იმ პერსონაჟის უკან. ეტყვი, ვთქვათ – ჰო, ესაა, და რა, მერე? არც არაფერი. პირიქით, ეს ცნობა რაღაც იდუმალებას უკარგავს ტიპაჟს, მსუბუქ ენიგმატურობას. პოლიტიკოსები თავის თავს ვერ ცნობენ, რადგან სრული პასუხისმგებლობით შემოიძლია გითხრათ, რომ ისინი მხატვრულ ლიტერატურას არ კითხულობენ. ყოველ შემთხვევაში, მე არ შემხვედრია ასეთი პოლიტიკოსი. მეგონა, მიხეილ სააკაშვილს ჰქონდა რაღაცა

წაკითხული და როგორც გაირკვა, იმასაც კი პოეტი ვგონებოვარ. ამ დროს, ლექსი არასდროს დამიწერია.

– როდის და როგორ აირჩიე ტექსტები? იყო მხატვრობა და იყო მუსიკაც, უფრო მხატვრობა, და ამ ორი სფეროს შესახებ დიდი ცოდნაც თუ ინფორმაციაც. და ლიტერატურული არჩევანის გაკეთების შემდეგ სად მიდის ეს სიყვარული და ცოდნა, გეხმარება?

– ბავშვობიდან ვხატავდი და, შეიძლება ითქვას, პროფესიონალი კარიკატურისტი ვიყავი, რადგან რამდენიმე კონკურსშიც გავიმარჯვე და გამოფენებაც მქონია. ვხატავდი ყველგან და ყველათურადაც, ბებიამ და მამამ ჩემს და მამაჩემს ყველა კარი, კედელი, კარადა და მაგიდა... და მეც სულ ვხატავდი – ყველგან და ყოველთვის. ჩემი ბავშვობის ტიპური მოგონება: ვზივარ და ვხატავ, ჩემ გარშემო ცოტა ან ბევრი ადამიანი დგას და ყველა იმას უყურებს, როგორ ვიწყებ ხატვას ფეხსაცმლის ქუსლიდან და შემდეგ ტიპაჟი გამომყავს. ეს ადამიანები ჩემი მშობლების მეგობრები არიან, ან თანამშრომლები (იმავ ბებიას სამსახურში დავყავდი და ზოგი შესვენების შემდეგაც კი არ იპარებოდა ჩემ გამო – იყო ასეთი საბჭოური პრაქტიკა, შესვენების შემდეგ შინ გაპარვის), ან კლასელები, ან მასწავლებლები. მასწავლებლები არ მანვალებდნენ, რადგან ხედავდნენ, რომ კარგად ვხატავდი და ფიქრობდნენ, რომ სხვა არც არაფერი მჭირდებოდა. შესაბამისად, კარგ ნიშნებსაც ადვილად მიწერდნენ. მხატვრობა ჩემი ბავშვობის და ცხოვრების ნაწილია, ჩემი საკუთარი და, ცხადია, მამაჩემისაც, რომელიც მხატვარია და რომლის ტილოებში, ალბომებში, წიგნებში და ზეთის საღებავის სუნში გავიზარდე. ახლაც, როცა ერთ ადგილზე მიწევს ჯდომა და ვინმეს მოსმენა, და თუ იქვე ფურცელიც დევს, აუცილებლად დავხატავ ხოლმე კაცის ცხვირ-პირს,

ხელს, თავს... ქალებს ვერ ვხატავ. ერთხელ ჩემი შეყვარებულის დახატვა მინდოდა, რახან მენატრებოდა, მაგრამ იქიდანაც კარიკატურა გამოვიდა. ძალიან ვცდილობ, რომ ეს მოდელი ტექსტებზეც არ გავრცელდეს, თუმცა ძნელად გამომდის – გულწრფელად უნდა გითხრა, რომ ყველაფრის გაკარიკატურების ტენდენციას აქტიურად ვებრძვი ჩემში, ყოველ შემთხვევაში, ძალიან ვცდილობ ამ ინსტინქტის მორჯულებას. რაც შეეხება მუსიკას, ყოველთვის მიკვირს, როცა მესმის, რომ რომელიღაც მწერალს წერის დროს ფონად აქვს ჩართული მუსიკა. ჩემთვის ეს შეუძლებელია, მუსიკას ფონად ვერასდროს აღვიქვამ, ჩემს ცხოვრებაში მას დიდი ადგილი უკავია, იშვიათად მახსენდება დღე, როცა მუსიკისთვის არ მომესმინოს. ისევე, როგორც არ არსებობს დღე სიტყვების გარეშე – ვგულისხმობ ნაკითხულ სიტყვებს. კითხვა და მუსიკა ჩემი ყოველდღიურობაა, მაგრამ როცა ვწერ – მუსიკას არ ვუსმენ, ტექსტს თავისი რიტმი აქვს, სიტყვებს თავისი ჟღერადობა, მე კი დისონანსები არ მიყვარს. არც ცხოვრებაში და არც ხელოვნებაში. მუსიკაშიც კი ჩემი გემოვნება საკმაოდ კონსერვატიულია – ბახიდან მალერამდე. შემდგომ ეტაპებს ინტელექტუალურად ვაფასებ, მაგრამ ემოციურად – ვერ. სხვა ყველაფერზე ლაპარაკი ზედმეტია. გამონაკლისი ქართული მრავალხმიანობაა. და მეცხრამეტე საუკუნის იმერეთი, ზოგადად დახვეწილი ქართული სიმღერა...

– აირჩიე ტექსტები და აირჩიე პიესები, დრამატურგია. და ეს ისეთი არჩევანია, რომელმაც გაცილებით მეტი წარმატება მოიტანა, ვიდრე რომანებმა ან სხვა კრებულებმა – BBC-ის პრემიები, სამი “საბა” პიესებისთვის და ერთი რომანისთვის, და სხვა. რატომ იწყებ ხშირად პიესის წერას და არა მოთხრობის ან რომანის, რა არის

განსაკუთრებული ამბის თხრობის ამ ხერხში? როგორი შეგრძნებაა, გაცოცხლებულ პერსონაჟებს რომ უყურებ? მწერლების უმეტესობას ხომ ეს შანსი არა აქვს.



რათი
ამაღ
ლობ
ელთ
ან და
დათ
ო
ტურა
შვილ
თან
ერთა
დ
–
დრამ
ატურ
გია
საოც
არი

ჟანრია. პიესების კითხვა ყოველთვის მიყვარდა და, ალბათ, სწორედ კითხვამ განაპირობა პიესების წერის სურვილის გაჩენაც. მიყვარს დიალოგის ფორმა, მოკლე და სხარტი მინიშნებები, პიესის ტემპი, პაუზის სიღრმე, ინტრიგის შექმნა და შემდეგ კვანძის გახსნა, როგორც კლასიკურ დრამატურგიაშია. მიყვარს ტიპაჟები და მათი ენა. და, რაც მთავარია, იმის ყურება, თუ როგორ ცოცხლდება სივრცეში შენ მიერ შეთხზული, როგორ ცოცხლდებიან გმირები და სიტყვები, ყველგან შენ რომ ხარ და თან არსად... ალბათ, იგივე განცდა ეუფლებათ

კომპოზიტორებს, როცა თავიანთ მუსიკას უსმენენ. უცნაურია, მაგრამ ამბები ჟანრებად მომდის – ეს, ვიცი, საპიესე თემაა, ეს რომანია, ეს მოთხრობა. პიესის ამბავი უფრო მეტ პირობითობას გულისხმობს ჩემთვის, დამაჯერებლობის თუ დაუჯერებლობის მაღალ რეგისტრს, ინტონაციურ, სიუჟეტურ თუ სტილისტურ ექსტრემალურობას, რომანი კი უფრო ნატურალისტურია, დამინებული, დოკუმენტალიზებული. რომანი ვერ იტანს პირობითობას, უფრო სწორად, მე ვერ ვიტან პირობითობას რომანში. მოთხრობა სადღაც შუალედშია, თუმცა ამ ბოლო დროს ნაკლებად ვუბრუნდები ამ ჟანრს, რადგან ბევრად უფრო მეტს ვფიქრობ, სანამ რამეს დავწერ, ვიდრე ადრე ვშვრებოდი. ფიქრის შემდეგ კი ან რომანს ვწერ, ან პიესას. ფიქრი მსხვილ იდეად უნდა ტრანსფორმირდეს. ეტყობა, ასაკის ბრალია.

– რამდენად რთულია დღეს პიესის გზა ფურცლებიდან სცენამდე, მაყურებლამდე, და როგორი იყო ეს გზა შენთვის?

– ჩემს სულ მთლად პირველ პიესას ერქვა “ნაგავი” და იყო დრამატურგზე, რომელიც ბოლოს წვავდა თავის პიესებს. რაღაც ტრივიალური ამბავი იყო, თუმცა უკვე აბსურდის ელემენტებით, რადგან უკვე მაშინ ძალიან მიყვარდა ეჟენ იონესკო. მერე კი “ოთარი” დავწერე, სადაც ჩემი მეზობელი მყავდა პროტოტიპად. 90-იან წლებში, მოგეხსენება, ხშირად იპარავდნენ მანქანებს და ჩემი მეზობელი თავდაცვის მიზნით ღამლამობით საჭეს ხსნიდა საკუთარ მანქანას, ჰოდა ერთხელ მოხსნა ეს საჭე, მაგრამ მანქანა მაინც მოპარეს – უსაჭეოდ. თვითონ კი დარჩა ამ საჭეთი და კარგა ხანს ვერ ელეოდა, ან მე მეგონა, რომ ვერ ელეოდა. მოკლედ, მასზე იყო, უხმო პერსონაჟზე, საჭეთი ხელში, მის ცოლზე, დედაზე და შვილზე, რომელმაც ძროხა

მოიყვანა ცოლად... ანუ მშობლების კრიტიკული შეფასების ტერმინი აქცია რეალობად. ბოლოს, ოთარის ცოლი დედამთილს ყლაპავდა და ოთარს ეუბნებოდა, რომ ცხრა თვეში გააჩენდა, და ისე გაზრდიდა, როგორც უნდოდა... ერთმა კრიტიკოსმა ამ პიესას “ქართული აბსურდი” უწოდა, რადგან ქართული ოჯახების ფსიქოლოგიური კანიბალიზმი იყო აღწერილი. პიესა დათო საყვარელიძემ დადგა 1998 წელს და, პრინციპში, ამ დებიუტმა მაქცია დრამატურგად, მაშინ 20 წლის ვიყავი. ამის მერე სულ ვწერ და განცდა მაქვს, რომ დრამატურგიის მფარველ არსებას, ანუ ამ ჟანრის ღვთაებას, ისევე ვუყვარვარ, როგორც მე მიყვარს იგი. მე ვფიქრობ, რომ გვყავს კარგი დრამატურგები, უბრალოდ, ეჭვი მაქვს, რომ ზოგს დრამატურგიის, ანუ ახალი პიესის აღქმის, წაკითხვის უნარი არა აქვს, ვერც სივრცეში ხედავს და ჟანრულადაც ეუცხოება, ან კლასიკური დრამატურგიის მოდელებშია ჩაკარგული და უჭირს თანამედროვე თეატრალური ტექსტის აღქმა, რომელიც, შესაძლოა, სრულებით არ ჰგავდეს არცერთ ჩეხოვს და არცერთ კლდიაშვილს. რატომღაც მოლოდინი აქვთ ხოლმე, რომ პიესა აუცილებლად შედეგრი უნდა იყოს და ის კი ავიწყდებათ, რომ უპირველეს ყოვლისა, პიესა უნდა იყოს ცოცხალი და აქტუალური. აქტუალობა გადამწყვეტია. ესქილევ აქტუალური იყო 25 საუკუნის წინ. სწორედ აქტუალური, – გენიალობას არ ვგულისხმობ – ის იმაზე წერდა, რაც მის დროინდელ ათენელს აწუხებდა. პიესაში დროის თუ ეპოქის პულსი უფრო მკაფიოდ უნდა ისმოდეს, ვიდრე თუნდაც რომანში. თეატრი აქ და ახლაა, რაც არ უნდა ბევრი ვილაპარაკოთ. და პიესაც ამ მომენტის მაგიის დაჭერაა საბოლოოდ. ამის ამოცნობა უნდა შეგვეძლოს. და, ცხადია, წერაც უნდა შეეძლოს ავტორს. ხელოვნური და მკვდარი არ უნდა ჰქონდეს ენა.

– ბოლო წიგნი, “პატარა ქვეყანა” როგორც იწყება, ეს “უძღვები შვილი, ანათემა, განკვეთა... ახლა ხომ ასე ადვილად კლავენ ადამიანებს... შვილი ვერ გაგიზრდია ჯეროვნად... ცოდვა...” და როგორც გრძელდება, ცრემლამდე სიცილისა და ზოგჯერ ცრემლამდე სევდის მიუხედავად, არის ერთგვარი “დროის მანქანა”, რომელში შესვლაც შეიძლება ძალიან მტკივნეული იყოს. რატომ დაწერე ეს წიგნი?

– ამ რომანზე 15 წელი ვფიქრობდი. მინდოდა რაღაც ეტაპს გამოვთხოვებოდი და მგონი გამოვეთხოვე კიდევ. პირველი წინადადება განკვეთის ტექსტია, მართლაც ასე მეუბნებოდნენ, განკვეთის ტექსტი გვაქვსო, წინ ედოთ ფურცლები და ანათემასა და უძღვებ შვილს გაიძახოდნენ. თუმცა უშუალოდ ტექსტი არ წაუკითხავთ. შესაბამისად, როცა რომანის წერა დავიწყე, ამ ტექსტის ციტირება გადავწყვიტე, ხელთ არაფერი მქონდა, ჰოდა – საიდუმლოს გაგიმხელ – საპატრიარქოში ხომ არ დავრეკავდი, ტექსტი შემახსენეთ-მეთქი, მოვძებნე ლევ ტოლსტოის ეკლესიიდან განკვეთის ტექსტი და მცირედი ტრანსფორმაციის შემდეგ, ჩემად გავასაღე. პრინციპი ხომ იგივეა. თუმცა ჩემს შემთხვევაში პოპულიზმი და ბაქიბუქობა იყო, ცხადია. გავლენისთვის ბრძოლა.

– როგორ წერ – ძნელად, იოლად, ერთი ამოსუნთქვით, პაუზებით, განსაკუთრებული გარემო გჭირდება, რა გიშლის ხელს, სად გამოგდის ყველაზე კარგად მუშაობა?..

– საერთოდ, წყვეტა ცუდია. თუ იწყებ წერას, ალბათ, ბოლომდე უნდა გაჰყვე. დიდმა პაუზამ შესაძლოა მოტივაცია დაგიკარგოს. კონცენტრირება უნდა შეგეძლოს. კარის მოხურვა და მარტო დარჩენა, რაც არც ისე ადვილია – მით უმეტეს, საქართველოში. პრობლემაა დროც. ყველა

და ყველაფერი დროს გართმევს, არადა, ყველაზე მნიშვნელოვანი საქმე საწერ მაგიდასთან გელოდება – შენი სისრულისთვის, ფუნქციონალურობისათვის მნიშვნელოვანი საქმე, ის რეალობა, სადაც ნამდვილი ხარ, შენ ხარ. რა მიშლის ხელს? – ალბათ, რაც მკვებავს კიდევ გარკვეულწილად: ჩემი ქვეყანა. მისი ქაოტური ბიოგრაფია.

– რა არის საჭირო ლიტერატურული პროცესისთვის – გამოქვეყნება, განხილვა, მედია, კრიტიკა... კიდევ?

– საჭიროა იმის გააზრება, რომ ლიტერატურა მნიშვნელოვანია. წიგნი მნიშვნელოვანია. მწერალს და მკითხველს მნიშვნელოვნების განცდა უნდა ჰქონდეს, როგორც ეს ევროპაშია. ვთქვათ, გერმანიაში, სადაც ქართველ ავტორებს მკითხველებთან ურთიერთობის ახლებური პრაქტიკა აქვთ. ნებისმიერი წიგნის გამოსვლა იქ გარკვეულ რეაქციას წარმოქმნის. მცირეს, ან დიდს. იქ გრძნობ, რომ პროცესში ხარ, და საჭიროც ხარ, საქართველოში კი უმეტესად გრძნობ, რომ პრობლემა ხარ. მაგრამ არც ესაა ცუდი. ცუდი არაა, როცა ვნებებს იწვევ. მაშინაც კი, როცა არ გკითხულობენ, მაგრამ მწერლად გიცნობენ, ესეც ცოცხალი პროცესია. ნაკლებ პროფესიონალური, მაგრამ ცოცხალი.

აკა მორჩილაძესთან ერთად

– რას აკეთებს მწერალი? წერს, რა თქმა უნდა. კიდევ? ცვლის, ზემოქმედებს, ასწავლის, ამრავალფეროვნებს? თუ უბრალოდ ცხოვრობს, მუშაობს, ჰონორარს იღებს და სხვა?..

– ჩემთვის წერა საკუთარ თავში, წარსულში, არსებულში თუ არარსებულში ჩახედვის შესაძლებლობაა. თუკი სრული ვარ სადმე, – სწორედ სრული, მთლიანი, ჰარმონიული, –



აღბათ, აქ და ამ დროს – შეიძლება არა იმდენად ტექსტში, რამდენადაც ტექსტის შექმნ

ის პროცესში: დაკვირვების, აღწერის, ტექსტზე კონცენტრაციის დროს... როცა უეცრად სხვები ამეტყველებდებიან შენგან, და როცა ისევ და ისევ ყველგან შენ ხარ და არც ხარ – ღმერთივით (როგორც მართებულად მიგვანიშნა პლატონმა). ფიქრის პროცესი არ წყდება – სულ ფიქრობ იმაზე, რასაც ქმნი. მოდი, შორს არ წავალ პლატონისგან: წარმოიდგინე, ღმერთმა რომ შეწყვიტოს ფიქრი... ეს ხომ შეუძლებელია? პროცესი არ ჩერდება. ძილის დროსაც კი. ამას ყველა მწერალი დაგიდასტურებს, განსაკუთრებით ის, ვისაც სქელტანიან წიგნზე უმუშავია.

– შენს ტექსტებში არის მთელი ეს ყოფითობა და დღევანდელობა. ბევრი არ აკეთებს ასე, უმეტესობა ცდილობს დღევანდელობისგან შორს წაგიყვანოს –

წარსულსა თუ მომავალში, მეტ გამოგონილში.
ახლანდელზე წერაც არჩევანია?

– შენს პასუხად პრუსტის “დაკარგული დროის ძიება” გამოდგებოდა. ხომ გახსოვს, რომ ეს რომანები მხოლოდ მასალაა რომანისათვის?! დაიწერა ბოლო ტომი და მწერალი უკვე მზად არის, რომ რომანი შექმნას... მგონი, სწორედ აქაა გასაღები, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის: ყველაფერი მასალაა, გრანდიოზული სქემა, სავსე ემპირიულით თუ ზოგადით, წარსულში ჩარჩენილით თუ ამწუთას, აი სულ ახლა მომხდარით, და ეს გროვდება და კლასიფიკაციას ითხოვს... შენც ჯდება გარკვეულ ეტაპზე, ერთ მშვენიერ დღეს, და წერ, ამ ქაოსის მოწესრიგებას ცდილობ, რაც შენში და შენ გარეთ ხდება, და ზოგჯერ გამოგდის, ზოგჯერ არა.

– “რა გაანათლებს ამ ხალხს, რა გვეშველება?” კითხულობს “პატარა ქვეყანაში” მღვდელი. კარგი შეკითხვაა, რომელზე პასუხიც, ალბათ, მღვდელს სხვა ექნება და მწერალს სხვა.

– თუკი საქართველოს ისტორიას გადავხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ ჩვენი არსებობის მანძილზე – მინუს, ალბათ, ბაგრატ მესამიდან ლაშა-გიორგის ეპოქამდე – ახლა ყველაზე უფრო ნორმალურად ვართ, ანუ “ნაშველი” გვაქვს, თუმცა საფრთხეები მაინც აქტუალურია, ჩვენი შეფერხებების მიზეზიც სწორედ ეს საფრთხეებია, რთულია აგრესიული იმპერიების შუაგულში იყო და ოაზისად დარჩე. კიდევ ბევრს ვახერხებთ.

– ჩვენ ვართ ოკუპირებული ქვეყნის ხალხი, ჩვენ ვართ ოკუპირებული ქვეყანა – ათწლეულების და ასწლეულების განმავლობაში – რა შეგვმატა და რა დაგვაკარგვინა ამ “მარადმა ოკუპაციამ”?

– გაგვიჩინა მუდმივი დუნე შიში, რომ შესაძლოა, გავქრეთ. ყოფნა-არყოფნის პარადიგმაში ვარსებობთ, თუმცა ასე ვართ უკანასკნელი სამი ათასი წელია და თავსაც ამით ვიმშვიდებთ... სხვები გამქრალან, ჩვენ კი სულ ვართ. მაგრამ ეს ყოველდღიური ეგზისტენციაა, ყოველდღიური სტრესია – ან მიმალული და მიჩუმებული, ან ტრავმულად გაცოცხლებული... საზღვრის ყოველი “გადმოწევა” ქართლის სოფლებში მტკივნეულად აცოცხლებს ამ ტრავმას, და ეს არაა გადაჭარბება.

– არიან მწერლები, რომელთა აზრს წლების განმავლობაში ვერ მოისმენ – პოლიტიკაზე, უფლებებზე, განათლებაზე, კულტურაზე. შენ ასეთი მწერალი არ ხარ – ბლოგები, ინტერვიუები, სხვადასხვა გადაცემასა თუ დისკუსიაში მონაწილეობა, უამრავი ვიდეო და ტექსტი. ესეც არჩევანია? შენი “აქტივისტური” არჩევანი?

– ცხადია, აქ პარალელიზმს არ ვგულისხმობ და არც არავის ვედრები, მაგრამ “აქტივისტი” იყო ილია ჭავჭავაძე, როცა ყველაფერზე “თავის მოსაზრებებს გამოთქვამდა”? გინდა გაზეთებში, გინდა პუბლიცისტიკაში, გინდა ღია გამოსვლებში ბანკის სხდომებზე თუ ათას სხვა ადგილას... ვიმეორებ, აქ მოდელს ვგულისხმობ და არა, ბუნებრივია, შედარებას. ან “აქტივისტი” იყო ლევ ტოლსტოი, პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ რელიგიურ თემებზე რომ წერდა? ეს რამეს აკლებდა მის შემოქმედებას? ან რატომაა დასაძრახი აქტივიზმი, თუკი ეს საჭიროა? თანამედროვე რუსეთის მაგალითი გაიხსენე: ბევრი დუმს და ამბობს, რომ “პოლიტიკა მისი საქმე არაა”, რაც ნიშნავს, რომ ასეთს ეშინია რალაცის თქმა, მით უმეტეს, უსამართლობის მხილება, მაგრამ არიან მწერლები, და კარგი მწერლები, რომლებიც ბლოგებს წერენ, ამხელენ რეჟიმს და სამოქალაქო კუთხით საკმაოდ აქტიურები არიან. მე

ვფიქრობ, რომ პირიქით, ურეაქციობაა ახლა კონფორმიზმი, გაჩუმება და საკუთარ ნაჭუჭში შემალვა, როცა გარშემო ამდენი სისაძაგლე და უსამართლობა ხდება. და თუ დააკვირდები, ავტორიტარებს (და საერთოდ, პოლიტიკოსებს, განსაკუთრებით, ხელისუფლებაში მყოფებს) ძალიან უყვართ ისეთი ხელოვანები, მწერლები, რომლებიც ხმას არ იღებენ არაფერზე, ამბობენ “რომ ხელოვნება სხვაა და პოლიტიკა სხვა” და ვითომ თავმდაბლურ-ინფანტილურ პოზებში არიან გაშეშებული. ასეთებს ყველა ავტორიტარი “ეფერება” (ეს სიტყვაც რა ნიშანდობლივია, არა?), რადგან თუკი ის პრობლემურ საკითხებზე არ რეაგირებს, დისკომფორტს არ უქმნის ხელისუფლებას, წეროს თავისი წიგნები, ვის რას უშლის?! ბოლოს და ბოლოს, რამდენი წაიკითხავს?! ამომრჩეველზე ბევრად ნაკლები, არა? ასეთ დროს თომას მანის საყვედური მახსენდება ვილჰელმ ფურტვენგლერისადმი, რომელიც ნაცისტების მთავარი დირიჟორი იყო, მართლაც გენიოსი, და სულ ამას იმეორებდა – მუსიკა და პოლიტიკა სხვადასხვა რამეაო, და მანი კი მას ეუბნება – არა, ერთია, და შენნაირი “უხმო” კონფორმისტები ჰყავს ინსტრუმენტად გებელსსო. თუმცა ჩვენთან მაინც სხვანაირი ტრადიციაა, რადგან საბჭოთა დრომ რალაცნაირი კომპლექსი გაუჩინა წესიერ მწერლებს და, იცი, რატომ? იმიტომ, რომ აქტიური მწერალი ნიშნავდა მწერალ-იდეოლოგს, კომუნისტების მსახურ ტრიბუნ-პროპაგანდისტს, რაკი მაშინ ერთადერთი აქტივობა იყო დასაშვები და ეს იყო კომუნისტური აქტივობა. შესაბამისად, წესიერი და მართალი ადამიანისთვის სათაკილო და სამარცხვინო იყო აქტივისტად ქცევა, რადგან მაშინ სოციალურად აქტიური საბჭოთა მწერლის საზიზღარი სახელი აგეკრობოდა. დუმილი და განდეგილობა მაშინ მართლაც პროტესტს ნიშნავდა,

დაპირისპირებას კონიუქტურასთან, რაც, როგორც ჩანს, მერე ჩვევად იქცა. და, პარადოქსია, ის, რაც ანტისაბჭოური იყო თავისი არსით თუ პოზით, დღეს “საბჭოურად” ტრანსფორმირდა, რადგან დღეს სწორედ გაჩუმებაა უსამართლობასთან ალიანსში შესვლა და არა რამდენადაც და როგორც შესაძლებელია, აქტიურობა. თუნდაც ეს აქტიურობა ილუზია იყოს ან მარცხით სრულდებოდეს (როგორც წესი, მარცხით სრულდება), “მდუმარე” ყველასთვის მისაღებია, ყველას უყვარს, რადგან ის არცერთ დონეზე არ ქმნის პრობლემას, შესაბამისად, დღეს ურეაქციოება კონფორმიზმის და “კომფორტიზმის” გამოხატულებაა. დუმხარ, ესე იგი, გინდა, რომ არამზადებლსაც უყვარდე. ამ დროს, ყველასთვის მისაღები მაინც ვერ იქნები. აზრი არ აქვს.

ლაშა ბულაძე ახლა შვეიცარიულ ბაზელშია ლიტერატურული სტიპენდიით. ცოტა ხნის წინ “პატარა ქვეყანა” გერმანულად გამოვიდა და სხვადასხვა ქალაქში წიგნის ტურზეც უხდება სიარული; კიდევ წერს, მაგალითად, ასე: “საქართველო საუკუნეები ელოდა საზღვრის განლევას ევროპასთან და რამდენიც არ უნდა ვიშვიროთ თითი სხვებისკენ, ამ გამკრთალებული საზღვრის წაშლა, საბოლოოდ, მაინც ჩვენს სინდისზე და პასუხისმგებლობაზეა”. (“როგორ გადავყაროთ ნაგავი?” ლაშა ბულაძე, რადიო თავისუფლების “პარალელური რეალობა”);

და – ასეც: “დისტანციიდან აღქმული საქართველო პანდორას ყუთს ჰგავს, ოღონდ მითოლოგიური ყუთისგან განსხვავებით, საიდანაც პირქუში ამბები ამოდის, ქართული პანდორას ყუთიდან უმეტესად იდიოტურად კონტრასტული და სევდიანად ბრიყვული ცნობები იფრქვევა. გახსნი პანდორას ყუთს და პრეზიდენტობის

კანდიდატის ისტორიულად უადგილო რეპლიკა გეცემა თვალში “მძინარე ცხინვალის დაბომბვის” შესახებ... კიდეც გახსნი და მოვირეშმავო “მღვდლებს” ამოგიყრის, მარტო მაშინლა როცა ახსენდებათ საქართველო, როცა მათ გარეშე იწყებენ ვაჭრობას. კიდეც დააცდი და ახლა მთლად უთავმოყვარეო მთხლეების მთელ ჯგუფს ამოტყორცნის მთავრობა-პარლამენტიანად, ერთხმად რომ აქაქანდნენ უცებ მარიხუანას (თუ მარიხუანის, არც ვიცი, ზუსტად როგორ ითქმის) პლანტაციების მოშენების შესახებ – გეგონება, გუშინ თავად არ ყრიდნენ ციხეში მრავალჭირნახულ პლანის მწვევლებს?” (“პანდორას ყუთი, ანუ სისულელის საფასური საქართველოში”, ლაშა ბულაძე, რადიო თავისუფლების “პარალელური რეალობა”);

და კიდეც – ამზადებს ახალ რომანს გამოსაცემად. ჟურნალისტვისაც ამ რომანიდან ფრაგმენტი შემოგვთავაზა დასაბეჭდად.

ლაშა ბულაძის კარიკატურა-წინასწარმეტყველება. კაცი ვარდით შერბის პარლამენტში. 1989 წელი

feeling incomplete (ფრაგმენტი რომანიდან)

[1]

45 mn.

ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ჩვენ გარკვეული დისტანციიდან ვუყურებთ ამ სოციალურ (თუ ანთისოციალურ) პრობლემას. სინამდვილეში, ყველაფერი ძალიან მარტივადაა. ა) ეს ხალხი (ტაქსის მძღოლები, ავტობუსის მძღოლები, არამძღოლები თუ სხვ.) იმ ფასეულობებით არის აღზრდილი, რომელიც არავის არასდროს არ დაუყენებია ეჭვქვეშ. ანუ ის მოძალადე კი არაა, არამედ ჰგონია, რომ ეს ასეა და მორჩა, რადგან მან ასე იცის, ასე ასწავლა “კულტურამ”, რომელშიც ის აღიზარდა “ქალი გვერდით დაუჯდა – ესე იგი, ბ...ია”. ამ დროს, ვინმემ ასწავლა, აუხსნა, ჩააგონა, რომ ეს ასე არაა? ბ) ცოტა ყურს ჭრის სიტყვები “ტაქსისტი”, რადგან ნებისით თუ უნებლიეთ კონკრეტული საქმიანობის სტიგმატიზაციას ახდენს, ანუ დამაკნინებლად ისმის. რას ნიშნავს “მძღოლი”? ირონიას რომ თავი დავანებოთ – ყველა ტაქსის მძღოლს რომ სამ-სამი დიპლომი აქვს – რეალურად მართლაც უამრავ ადამიანს მოუხდა ამ საქმით დაკავება ეკონომიკური პრობლემების გამო და კულტურული დონით თუ ინტელექტით ბევრს გაუწევინ კონკურენციას. ჩემი რჩევა იქნებოდა, არ გვეხმარა სიტყვა “ტაქსისტი”, არამედ მამაკაცის\პასიური მოძალადე და ა. შ. მაგრამ, ცხადია, ეს არ ნიშნავს იმის უგულვებელყოფას, რომ ქალს, მინიმუმ, უხერხულობა არ ექმნება “წინ ჯდომის დროს”. ალბათ – ალბათ კი არა, დადასტურებით შეიძლება ითქვას, რომ 20-დან 18-ს უსიამოვნო განცდა რჩება, თუკი ის საჭესთან მჯდომი უცნობი მამაკაცის\პასიური მოძალადის გვერდით

აღმოჩნდება. მაგრამ შეკითხვა ასეთია: ის იმიტომ ძალადობს პასიურად, რომ ბუნებითაა მოძალადე თუ სოციალურ-ისტორიულ-ყოფით ნიშნებს ენდობა, სადაც ქალის მისგან ხელმარცხნივ (თუ ხელმარჯვნივ) დაჯდომა გარკვეული სიგნალის მატარებელია? გვერდით დამიჯდა – მაშასადამე, გარკვეულ აქტს პოზიციონირებს. ეს ნიშნები კი საქართველოში დიდი ხნის წინ ჩამოყალიბდა. შესაბამისად, აქ მოძალადეებთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ არასწორ “სიგნალებთან”, რომელთა შინაარსიც უნდა შეიცვალოს. ეს და ამგვარი დისკუსიები კი ნებისმიერ შემთხვევაში საჭიროა.

P.S. აქვე მივმართავ იმ პირებს, რომლებიც “თავისუფალი დამსწრეების” სტატუსით სარგებლობენ. ჩემი ლექცია “სტალინი – პიროვნების კულტი და უკულტურო ნაციონალიზმი პოსტსაბჭოთა საქართველოში” გაიმართება მომდევნო ხუთშაბათს. დეტალებს მოგვიანებით მოგახსენებთ.

74 like.

– ე. ი. სანამ პასიურ მოძალადეებს სიგნალების სწორად წაკითხვას არ ვასწავლით, მანამდე ქალებმა თავი შევიკავოთ წინ დაჯდომისგან?

– მე წინ იმიტომ არ ვჯდები, რომ სისულელეებზე ლაპარაკი მეზარება... და ტაქსისტები უმეტესად ენას ვერ აჩერებენ. ან პოლიტიკაზე ლაპარაკობენ, ან მანქანის ნაწილებზე... ან თავიანთ დიად წარსულზე...

– ქართულ ტაქსებში მამაკაცის სუნი დგას.

1: მე არ მითქვამს, რომ ქალებმა (ან კაცებმა) განათლების კურსები უნდა ჩაუტარონ ტაქსის მძღოლებს, მე ვთქვი, რომ ამ საკითხს კომპლექსურად უნდა შევხედოთ – სოციალური

და მენტალური გამოცდილების კუთხით. მე-2: მოძალადე მოძალადეა, თუკი ის ძალადობს, რეაქციაც შესაბამისი უნდა იყოს – განათლების საკითხი აქ მეორეხარისხოვანია. მე-3: ვისწავლოთ წაკითხულიდან შინაარსის გამოტანა. მე-4: ვიაროთ ფეხით, ეს ჩვენი ჯანმრთელობისთვის იქნება უკეთესი.

– ანუ გვერდით დავუჯდეთ თუ არ დავუჯდეთ, ვერ გავიგე?!?!

მგონი, ძალიან კარგად გაიგეთ ყველაფერი. თუ ვერა, იხ. ჩემი *ტექსტი*.

– სინამდვილეში, ძალიან მარტივადაა ყველაფერი... ტაქსისტი კაცების უმეტესობა მოძალადეა... მთელი დღე მანქანაში არიან, ტვინი ულაცობათ და სექსი უნდათ... ვიღაცა მიყვებოდა, რომ დიდხანს ჯდომისგან აქვთ მუდმივი ერექცია... ხნიერებს – არა. ყველაზე საშიში ასაკი ამ მხრივ – 45-იდან 55 წლამდეა. ქალებმა არ უნდა გარისკონ ამ ასაკის კაცების გვერდით ჯდომა მანქანაში. ძალიან ახალგაზრდები და ხნიერები საშიშები არ არიან.

– ტაქსის რომ გავაჩერებთ, სანამ ჩავჯდებით, მძღოლს ასაკი უნდა ვკითხოთ? “საით?” – “ჯერ მიპასუხეთ, რამდენი წლის ხართ?”

7 like.

ისევ მათ სტიგმატიზაციას ვახდენთ. თუმცა მესმის – ხუმრობა გვინდა და ვხუმრობთ. ზოგს ეს წარმატებით გამოუდის, ზოგს წარუმატებლად.

– ეწყინა. მგონი, გავაბრაზეთ.

ნამდვილად არა, უბრალოდ ძალიან ბევრი საქმე მაქვს და დროებით უნდა დაგემშვიდობოთ.

10.

nika-ს არ უყვარდა, როცა არ ეთანხმებოდნენ, მით უმეტეს, მისი აზრით, ელემენტარულ ჭეშმარიტებაზე, ამიტომ მართლაც გაღიზიანდა და გაბრაზდა კიდევ, რომ შესაძლოა სხვებს დაანახა თავისი გაღიზიანება. განსაკუთრებით emma უშლიდა ნერვებს – ეს აქტიური და მოკამათე *ფსევდონიმი*, რომელიც შემანუხებელი ფამილარულობით ეხმიანებოდა. ცხადია, თვითონ ვერ დაწერდა, მაგრამ nika სიამოვნებით წაიკითხავდა სხვის მიერ დაწერილ ტექსტს, სადაც მას პირფერულად (და ობიექტურად) შეაქებდნენ: “nika, **რატომ ილლი თავს უსაგნო კამათით? რატომ უყრი ღორებს მარგალიტს?**” მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ ასე არავინ გამოესარჩლებოდა, მათ შორის, ყველაზე ახლო მეგობრები და ოჯახის წევრებიც კი (ოჯახის წევრებზე საერთოდ არც ღირდა ლაპარაკი). ამ დროს, როგორ სჭირდებოდა, რომ დროდადრო ვინმეს დაეცვა (თუმცა თავი ისე ეჭირა, რომ სულაც არ სჭირდებოდა გამხნელება), მაგრამ რა მოხდებოდა, რომ ღიად და ერთმნიშვნელოვნად შეეყო ვინმეს და თუნდაც ასე დაეწერა: ხალხო, იმ ცოდნის მეთაური მაინც რომ გქონდეთ, რაც nika-ს აქვს, კიდევ გექნებოდათ უფლება, რომ მას შეპასუხებოდით, მაღლობა თქვით, რომ მისი პოსტების წაკითხვის საშუალება გაქვთ და ამ ადამიანის მეგობრობით სარგებლობთ, თორემ ერთ დღესაც მობეზრდება თქვენთვის ელემენტარული ცნებების განსაზღვრება და წავა. ისედაც მილიონი საქმე აქვს!.. ხალხო, ისწავლეთ, მოუსმინეთ, ნუ ეკამათებით...

nika-ს უნებლიეთ გაეღიმა კიდევ ამ ორიგინალურ შესაძლებლობაზე, თუმცა, როცა კიდევ ერთ მოკამათეს წააწყდა თავისი ტექსტის ქვეშ, თავში გამოუქვეყნებელ ტექსტად გაურბინა დიდი ხნის წინ ჩამოყალიბებულმა გადაწყვეტილებამ: “უნდა გამოვიდე აქედან”.

nika-ს გაახსენდა, რომ სახლში შემოსვლისთანავე მიუჭდა თავის კედელს და მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ ქუჩაში ყოფნის დროს ეფსმოდა, ჯერაც არ შესულა საპირფარეშოში. საერთოდ, ჩვევად ექცია ხელების ხშირი დაბანა, ახლა კი ესეც დავიწყებოდა, და რომ არა ხელებიდან ასული სუნი – სხვისი სუნი, სუნამოსი, საჭმლის, თუ ორივესი ერთად, – ალბათ, ეგონებოდა, რომ ხელები სახლში შემოსვლისთანავე დაიბანა. კიდევ დიდხანს გაუძლია ამ სუნით, ამ ტკბილი სიმყრალით, რომელიც სხვისგან აკრობოდა და თითქმის გულისრევით ახსენებდა იმ სხვას... ამ დროს, ორი საათის წინ სულაც არ ფიქრობდა ასე – არათუ გული ერეოდა, არამედ პირიქით, ძალიანაც უნდოდა მასთან შეხვედრა (თუ არა მხოლოდ შეხვედრა). დღევანდელი დღე, უფრო სწორად, საღამო ამ დამღლელი ამპლიტუდით ეცხოვრა – სიმპათიიდან გულისრევამდე (სწორედ გულისრევამდე, არც მეტი, არც ნაკლები), რაც უკვე მესამე თვეა ჩვევად ქცეოდა: საღამოს ხუთ საათზე – სიმპათია, შვიდი-რვაზე – გულისრევა, სიმპათია, გულისრევა, სიმპათია, გულისრევა... რეალურად ერწყევინებოდა ამ სუნზე და არა ფიგურალურად. ეს კი იმიტომ, რომ ხუთზე ჯერ კიდევ არ ჰქონდა მასთან სექსი, რვისთვის კი უკვე მოლეული ჰქონდა.

11.

nika ხელებს იბანდა, ნიჟარის ხვრელში ჩამავალ წყლის ნაკადს უყურებდა და nina-ს მიერ შვილისთვის მექანიკურად თქმული სიტყვის შესახებ ფიქრობდა (“მიყვარხარ”): ნეტა როდის იყო ეს ადამიანი ნამდვილი? ან ვისთან იყო ნამდვილი? შვილს ყურისმომჭრელი ტექნიკურობით, ფორმალური ემოციურობით ეუბნებოდა ამ სიტყვას, ისე, თითქოს რაღაც რუტინულს უდასტურებდა (სხვა რომ უფრო მოკლედ – ok-ok-ს იტყოდა), და თითქოს nika-ს გასაგონად,

რომ ამას დაენახა, არა, გაეგონა, როგორი ურთიერთობა ჰქონდა დედა-შვილს. “აქ ჩამოგსვამ, სორი”. ჰო, აი, თუნდაც ეს *სორი!* ხომ შეიძლებოდა “ბოდიში” ეთქვა ან “მაპატიე, რა”. არა – *სორი*, რომ ვითომ sorry-ს მთქმელი ქალია, ამ დროს, ალბათ, ორ წინადადებას ვერ გეტყოდა ინგლისურად შეცდომის გარეშე. *რას მალავდა?*

სექსის დროს? რაღაცნაირად კომიკურად რომ იბჯენდა თავზე ხელებს? თუ ორგაზმი ჰქონდა ნამდვილი? გამორიცხულია, რომ თავი შეეკავებინა სიმულაციისგან, ან შეიძლება ასე სიმულაციურად აღწევდა სიამოვნების პიკამდე. სად არ ტყუოდა?

იქნებ ჭამის დროს? როცა ამბობდა, რომ *აი, ძალიან შიოდა*. მაგრამ ამასაც რაღაც არადამაჯერებლად ამბობდა – თითქოს იმიტომ, რომ არ იცოდა, რა უნდა ეთქვა.

დღეს რა უთხრა? “მოგეწებე”. ესეც არცთუ გულწრფელად. თან “მოგეწებე” და არა მოგეწებე. პ ბ-ს ნაცვლად.

ან ოფიციალტს როგორ უღიმოდა? ისე, ვითომ ძალიან კულტურული ყოფილიყო.

და მისი *კედელი*? როცა წერდა, რომ ტელევიზორისთვის ორი თვეა არ უყურებია ან ვითომ რაღაც პოლიტიკური სიახლე რომ არ იცოდა ხოლმე... “მე არ ვუყურებ ტელევიზორს!” რა არადამაჯერებელია! სახლში დღე და ღამე ტელევიზორი ექნებოდა ჩართული და, ალბათ, ჭამდა თავის ტელეფონში ამოყრილ ინფორმაციას!.. ინფოფაგი!.. ან გულებს რომ უხატავდა უცნობებს და ნაცნობებს... თუ იქნებ სწორედ *იქ* იყო ნამდვილი? როცა ძალიან სერიოზული სახით, საქმიანად უსვამს ათობით like-ს თავის პირველ თუ მეორეხარისხოვან მეგობრებს?! ჰო, ამ დროს, როგორც წესი, წარბები შეჭმუხნული აქვს, ტუჩები ოდნავ

მოდრეცილი და თხემით ტერფამდე დაძაბულია – ალბათ, ძვლებიც კი უმკაფიოვდება კანქვეშ, რადგან ეს ძალიან მნიშვნელოვანი პროცედურაა – ეს ყურადღების სიმპათიებია, გულუხვად გაცემული like-ბი ტექსტების წაკითხვის გარეშე... სავალდებულო რიტუალი, ავანსად გაცემული მოწონება, რომელიც მასაც დაუბრუნდება სხვებისგან... აი, სადაა ნამდვილი, თუკი ეს სინამდვილეა.

გულისამრევია!

nika ბოლო ოთხი თვეა ამ კონტრასტული შეგრძნებებით ცხოვრობს, მაგრამ ისიც იცის, რომ ხელახლა აღმოცენებული სურვილი ოთხ-ხუთ დღეში სრულიად გამოუდევნის გაღიზიანების არამკაფიო მიზეზებს. გულისრევის შეგრძნება უკვე სამ თვეზე მეტია გრძელდება.

12.

nika ისე მიუბრუნდა თავის მაგიდას, რომ არც შეუხედავს სხვა ოთახებში. რაც მოვიდა, მისი საარსებო ტერიტორია დერეფანი, ეს პატარა საძინებელ-კაბინეტი და ტუალეტი იყო, უფრო ზუსტად, ორი სტიქია – წყლის (მოფსმა, ხელისბანა) და ილუზიის (ვირტუალური პლატფორმა). რაც სახლში ხდებოდა, ამას სხვა ოთახებიდან გამომავალი ხმებით ხვდებოდა – მამის ხველება, ფილმის (ან მულტფილმის) სიუჟეტის გამამძაფრებელი მუსიკა, ვილაცის ნაბიჯები, ზანტი გადაადგილება კედლის უკან...

nika-მ ხუთშაბათის ლექციის თეზისები ამოანათა ეკრანზე, საიდანაც საყვედურით ამოჰხედა ახალგაზრდა და უდაოდ სიმპათიურმა იოსებ სტალინმა (იმხანად კობად წოდებულმა), რომელიც თითქოს უსიტყვოდ უმტკიცებდა თავის მარადიულ აქტუალობას: თქვენნაირები ვერაფერს

დამაკლებენ, მე მაინც ვეყვარები პენსიონერების ხუთ პროცენტს.

nika-ს მეორე თუ მესამე თეზისად მიეწერა სტალინის ვაჟის სიტყვები (უმცროსი დის მიმართ თქმული): “იცოდი, რომ მამა ადრე ქართველი ყოფილა?” სავარაუდოდ, nika სწორედ ამ მრავალმნიშვნელოვანი ფრაზით დაიწყებდა თავის ლექციას. *რას ნიშნავს სტალინის ქართველობა?*

nika-მ სტალინის შვილის სიტყვებს მიაწერა თავისი შეკითხვა, თუმცა უკვე მესამე სიტყვის მესამე ასოზე (სტა...) საკუთარ გვერდზე შეხედვის უცაბედმა ვნებამ აიტანა და გახსნილი გვერდი სტალინიან-თეზისებიანად ჩააქრო. მის ბოლო ტექსტს კიდევ რამდენიმე მოწონება და ორი ცალი უინტერესო და უტიფრული რეპლიკა მიმატებოდა. უტიფრული კი იმიტომ, რომ ზოგ-ზოგიერთები ბედავდნენ და მისი ტექსტის ქვეშ იწყებდნენ ლაპარაკს განყენებულ თემებზე, რაც არა მხოლოდ nika-სთვის იყო გამაღიზიანებელი, არამედ აქ ქცევის კანონებისთვის იყო შეუფერებელი. ამიტომ არც დაფიქრებულა, ისე უცბად წაშალა “კანონის დამრღვევთა” სულელური გადაძახილ-გადმოძახილი, რაც შესაძლოა უკვე ამ ორისთვის ყოფილიყო შეურაცხმყოფელი, მაგრამ nika-ს ფეხებზე ეკიდა, რადგან ბავშვობიდან ვერ იტანდა თავხედებს. აქვე იმ მომღერლის დედის უშველებელ ტექსტს გადააწყდა, ვისაც პოლიტიკურად ანგაჟირებულ რუს დირიჟორთან ერთად ემღერა და არანორმალურად ისიამოვნა – თითქმის სამი წუთის განმავლობაში – მომღერლების თუ დედების მხარდამჭერების ურთიერთშეურაცხმყოფელი პოლემიკით. და, უცნაურია, მაგრამ ნაწყენი და აქტიური დედის პასუხის პასუხის წაკითხვის შემდეგ, მისი ბოლოდროინდელი სალექციო თეზისების მთავარ გმირზე – სტალინზე მოუნდა პატარა ტექსტის დაწერა, ოღონდ არც ახალგაზრდა

სტალინზე და არც ხნიერზე, არამედ სტალინზე, რომელსაც ქალად ხედავდა.

13.

10 mn.

ორი სიტყვა “დედების პოლემიკაზე” (აი, ახალი სამუშაო ტერმინი შემოვიტანე, დამიფასეთ...), რომელსაც ცოტა ხნის წინ გავეცანი. ვკითხულობ ცნობილი დივების დედების მიმოწერას (კინალამ დევეების დავწერე... ოჰ, ეს ფროიდისტული წამოცდენები!) და კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ ყველა ადამიანში ცოცხლობს ტირანი და ეს ტირანები, ბუნებრივია, საშინლად ვერ იტანენ, როცა კონკურენტი უჩნდებათ. პირველი დედა-ტირანი საყვედურობს მეორე დედა-ტირანის შვილს, მეორე დედა-ტირანი კი უკვე პირველს ესხმის თავს. სინამდვილეში, აქ არა მომღერლების სიმღერა\არსიმღერაა, არამედ შვილების წარმატებებში რეალიზებული და ნიჭიერი შვილების შემქმნელი “უნიჭო” დედების კონფლიქტი. ერთგვარი დედასტალინების და არა მამების. ორმა დედასტალინმა შვილებში ჩადო ყველაფერი, რადგან ორივეს პროფესია “დედობა” იყო და, სავარაუდოდ, სხვაგან არც “უმუშავიათ” არასდროს (ბევრს ვიცნობთ ასეთებს – შვილებში “რეალიზებულებს”), და ახლაც სწორედ დედასტალინები განუსაზღვრავენ შვილებს, თუ ვინ და რატომ უნდა ჩათვალონ მტრად. დედასტალინმა ზუსტად იცის, სადაა მტერი! მე კლასშიც კი მყავდა ვუნდერკინდი, რომელსაც ტირანი დედასტალინი ჰყავდა მშობლად, რომელიც მთელ მის დროს და შეხედულებებს აკონტროლებდა და, ბუნებრივია, იმათაც, ვისთანაც ამ საბრალო და ნიჭიერ ტყვეს ეძლეოდა მეგობრობის უფლება. საინტერესოა, რომელი დედასტალინი მოიგებს

ამ ბრძოლაში? არმიები, რასაც ვუყურებ, ორივეს საკმარისად ჰყავს მობილიზებული.

P.S. კიდევ ერთი სიმბოლური მინიშნება: მოგეხსენებათ, ისევე, როგორც თბილისში გვიდგას “ქართლის დედის” ქანდაკება, ასევე ერევანშიც “ჰყავთ” თავიანთი “დედა-სომხეთი” (თბილისური “ქართლის დედის” მსგავსი), ჰოდა, საინტერესო ისაა, რომ ეს “დედა-სომხეთი” ამჟამად დგას კვარცხლბეკზე, რომელზედაც ოდესღაც სტალინის ქანდაკება იდგა. 1956 წელს სტალინი მოაძრეს, ხოლო გამოთავისუფლებულ კვარცხლბეკზე “დედა-სომხეთი” შედგეს. ეს კი, მგონი, სულაც არაა შემთხვევითი: მამის კულტს დედის კულტი ენაცვლება კავკასიაში. დიქტატორი მამა დიქტატორმა დედამ შეცვალა. ეს ნახევრად ხუმრობით.

100 like.

- დედასტალინი... შედევირია!!!
- ცოტა მარტივად რომ წერო – არა?!
- მეორე მოუგებს.
- “დედა-სომხეთის” ისტორია არ ვიცოდი! იმასაც ფიალა და ხმალი უჭირავს?
- ხელები შორს ქართლის დედისგან...
- უი, რამხელა ანალიზია, ნეტა რა აუცილებელი იყო ამხელა ტექსტის დაწერა ორ ფსიქოპატზე?

ეს ბოლო რეპლიკა ისევ იმ emma-ს ეკუთვნოდა, nika-ს რომ უტიფრულად ეკამათებოდა, ჰოდა უცებ ყელში ამოუვიდა ეს მატრაკვეცა და ის ჩაიდინა, რასაც ძალიან იშვიათად შვრებოდა: მეგობრების ჩამონათვალიდან გააძევა.

ძვირფასო emma, სხვაგან და სხვასთან წერე ამ უტიფარი და თავდაჯერებული ტონით!

nika-მ კმაყოფილი ღიმილით გადახედა თავის ტექსტს, ორი გამორჩენილი ასო ჩაამატა და მადლიერების ნიშნად ერთ-ერთი კომპლიმენტის ავტორს დაუსვა მონონების ნიშანი.

– რას შვები, nika, გაგიჟდი შენ? – შემოესმა პრობლემის ხმა.

პრობლემა კართან იდგა და nika-ს გაკვირვებული სახით უყურებდა.

პრობლემას გრძელი ხალათი თუ ღამის პერანგი ეცვა (სიბნელეში არ ჩანდა), სწორი ქერა თმა მხრებამდე ჩამოშლოდა და წყენისგან თუ, შეიძლება, უკვე რისხვისგან, პატარა ღაბაბი უქანქარებდა.

– არა, – გაუღიმა nika-მ, – უბრალოდ, ვერ გავიგე, რა გინდა. არ შეიძლება, რომ ყველა ჩემ პოსტზე არ დანერო კომენტარი?

– და ამის გამო უნდა ამომშალო? ვერ ხარ შენ?!

– დიახ, ბატონო, იმიტომ, რომ განწყობას ქმნი ნეგატიურს... ერთი რომ ხედავს უარყოფით და თან აგდებულ - კომენტარს, სხვაც იგივე ტონალობაში აგრძელებს.

– უიმე, რა დანერე შენც ამისთანა...

– ამას რა მნიშვნელობა აქვს. არ შეიძლება, რომ არ წერო ჩემს კედელზე, არ მოიწონო და საერთოდ, ფეხებზე დაიკიდო, ვისზე და რაზე ვწერ?! უხერხულია უბრალოდ... მართლა...

– ვისთან არის უხერხული? ვინ იცის, რომ მე ვწერ?

– ყველამ!

– ვინ ყველამ?

– აი, ვინც მაგ დახურულ ჯგუფებში გყავს, ყველამ...

– აზრზე არაა არავინ... კონიკას ჰქონდა ეჭვი და ისიც ვერ მიხვდა...

– მე არ მაინტერესებს კონიკა... შემოდი შენი სახელით, არ წერო ფამილარული სისულელეები და აღარ ამოგშლი.

– დედა, შენ როგორი პრობლემები გქონია... უკაცრავად, რა...

– მე არ მაქვს პრობლემები, შენ გაქვს.

ამონარიდები

ლაშა ბულაძის წიგნი არც ავტობიოგრაფიაა და არც დოკუმენტური პროზა. ესაა რომანი, რომლის ბიოგრაფიულმა პასაჟებმაც არ უნდა გვიბიძგოს წიგნის ზედმეტად დოკუმენტური ნაკითხვისაკენ.

ეს მინიმალური აცდენა ფიქციურსა და ფაქტიურს შორის, აძლევს ავტორს საშუალებას, გადაწყვიტოს არცთუ იოლი ლიტერატურული ამოცანა: აღიარების წყურვილისა და ნარცისისტული თვითტკბობისაკენ მიდრეკილი პერსონაჟის პირადი გამოცდილების ნემსის ყუნწში გაატაროს პოსტსაბჭოთა საქართველოს ისტორიის აქლემების ქარავანი – ლიტერატურული ხერხებით წარმატებით გადმოსცეს პოსტსაბჭოთა საქართველოს საზოგადოების მდგომარეობა.

ლაშა ბულაძის რომანი გვიყვება ისტორიას და გვიჩვენებს ადამიანებს ისეთ გარემოში, სადაც ტრაგედია და ტრაგიკულობა გამორიცხებულია და იქცევა არა კომედიად, არამედ ამაღლებულისთვის წარუმატებელ და უხამს მიბაძვად

ლაშა ბულაძე აღწერს პოსტსაბჭოთა საქართველოს, რომელსაც, მართალია, მოჰყვება საბჭოთა მეხსიერება და საბჭოთა კავშირის ძალაუფლებრივი და სოციალური კაპიტალი, მაგრამ რომანში სწორედ ამ მემკვიდრეობის გადანაწილება იწყება.

“პატარა ქვეყანა” შეგვიძლია წავიკითხოთ, როგორც რომანი, რომელსაც გერმანულენოვანი ლიტერატურათმცოდნეობა ბილდუნგსრომანს ეძახის, ანუ

რომანს, რომელიც ადამიანის ჩამოყალიბებას, მისი ზრდის პროცესს გვიჩვენებს.

მთავრობის, საპატრიარქოსა და მედიის შეხმატკბილებული მანიპულაცია მას ხმას წაართმევს და პარადოქსულად ისე გამოვა, რომ მწერალი არის ადამიანი, რომელსაც საკუთარი ხმა არ აქვს – შესაბამისად, სრულიად საწინააღმდეგო პოლუსზეა, ვიდრე მწერლების უფროსი თაობა.

“პატარა ქვეყანა” გვარწმუნებს: ის, რომ მკითხველს უწევს, სერიოზული თემები სატირის სქელი ფენისაგან არქეოლოგიური ძალისხმევით გაათავისუფლოს, ლაშა ბულაძის პროზის თავისებურებად იქცა.

ბაალ ანდრონიკაშვილი, ჟურნალი “ინდიგო”

მიუხედავად იმისა, რომ ლაშა ბულაძე მისთვის ჩვეული იუმორით, უკიდურესი სარკაზმითა და თვითირონიით აღწერს თავის ერთ-ერთ, ალბათ, ყველაზე უფრო დრამატულ და მძიმე ავტობიოგრაფიულ ისტორიას, მკითხველი გრძნობს, რამდენად რთული გზის გავლა მოუხდა არა მხოლოდ მწერალს, მთელ მის ოჯახს და მეგობრებს, არამედ, მთელ ერს, მის პროგრესულად მოაზროვნე ნაწილს, რათა რეტროგრადიზმისა და ყალბი ფასეულობების წინააღმდეგ ებრძოლა. თუმცა, რომანის ღირსება მხოლოდ ერთი კონკრეტული მწერლის პირადი გამოცდილების დემონსტრირება კი არა, მთელი ჩვენი უახლესი ისტორიის სრული სიცხადით წარმოდგენაა – მწერალი ლამის მემატიანეა, რომელიც მოვლენათა ეპიცენტრიდან გველაპარაკება, რომელიც საკუთარი აქტივობის წყალობით იქცა ყველა მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტის მოწმედ და მონაწილედ. საინტერესოა, რომ ერთი თანამედროვე, მაგრამ სრულიად

არაორდინარული მოთხრობის ავტორობამ მის ბიოგრაფიაში აამოქმედა ისეთი საბედისწერო კოდები, რომელთაც ამ რომანამდე მიიყვანეს იგი – მონანიების დაძალებიდან ნებაყოფლობით და, ჭეშმარიტად ამაღლებულ “მონანიებამდე”.

აღბათ არ იქნება სადავო თუ ვიტყვით, ვერცერთი მაშინდელი სასულიერო აქტივისტი თუ პოლიტიკური ლიდერი ვერ წარმოიდგენდა, როგორი ტრანსფორმაცია შეიძლება განიცადოს რეალურმა მოვლენებმა მწერლის შინაგან სამყაროში, როგორ სახეებად თუ მეტაფორებად გარდაიქმნებიან ფაქტები და მოვლენები. ვერცერთი მაშინდელი სასულიერო იერარქი ვერ იფიქრებდა თუ იოცნებებდა, რომ გავიდოდა საკმაოდ დრო, დაახლოებით 15 წელი და ეს “მკრეხელი” და ანათემისტვის განწირული ახალგაზრდა მწერალი დაწერდა ვრცელ რომანს, სადაც მონანიების ყველაზე მშვენიერ ფორმას, მათთვის ვერდასიზმრებულ ვერსიას შექმნიდა. რომანი ისეთი ამაღლებული აკორდით მთავრდება, იმდენად წრფელი და ამაღელვებელია ამ “ცუდად აღზრდილი შვილის” გაცნობიერებული “უძლებობა”, რომ დრო, რომელიც ვრცელი რომანის გასაცნობად უნდა განიროს მკითხველმა, სიხარულით ივსება და ღაღადს იწყებს. დრო აღნიშნულია, მწერალი – ცოცხალი!

მაკო ჯანჯიბუხაშვილი, ჟურნალი “ახალი საუნჯე”

ლაშა ბულაძე ის ფენომენია დღევანდელ ქართულ ლიტერატურაში, რომელიც თვალმოუშორებლად აკვირდება საზოგადოებას, ხელისუფლებას და ურთიერთობებს მათ შორის, რაც ხშირად პერვერტულ სახესაც კი იღებს. თავის პიესებში, მოთხრობებში თუ ბლოგებში იგი ახერხებს მიმდინარე სოციალურ-

პოლიტიკური მოვლენებიდან ექსტრაქტის სახით გამოწეროს მთელი სიგიჟე, აბსურდი და შემზარაობა ყველაზე დამღუპველი ტენდენციებისა. მისთვის ბუნებრივად დამახასიათებელი ლალი იუმორი საჭიროების შემთხვევაში მწარე ხდება, ხშირად შავიც და მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ვიღებთ ასე საჭირო მაღალი ხარისხის იმ “სოციალურ საკვებს”, რის დეფიციტსაც ჩვენი საზოგადოება მუდამ განიცდის, მაგრამ ამას სამწუხაროდ ვერც გრძნობს, რადგან ძირითადად უხარისხო “სოციალური საკვებითაა” გამძღარი. ამას ხვდები, როცა უსმენ არა რაღაც შოუების მდარე იუმორს სოციალურ-პოლიტიკურ თემატიკაზე, არამედ ლაშა ბულაძის ტექსტებს ეხები და მისი მძაფრი პოლიტიკური სატირის ძალას გრძნობ.

შოთა იათაშვილი, რადიო თავისუფლება

ლაშა ბულაძის ბოლო რომანი ლიტერატურაზეა. თანამედროვე ქართულ და მსოფლიო ლიტერატურულ აბსურდებზე, ამბიციებზე, მწერლურ ვნებებზე, სიბრიყვეებსა და შეცდომებზე. რომანის ფაბულა მარტივია, 100 ევროპელ მწერალს ორგანიზატორები მატარებელში უყრიან თავს და ერთი თვის განმავლობაში ევროპაში ამოგზაურებენ. მწერლები ხან ლისაბონში ჩერდებიან, ხან მადრიდში, ხანაც პარიზსა თუ ფრანკფურტში. გზადაგზა კი იმართება სემინარები, კითხვები, დაჯილდოებები და ლამის ორგიებიც კი. ლაშა ბულაძემ რამდენიმე წლის წინ თავად მიიღო მონაწილეობა ასეთ სემინარში და ეს “ლიტერატურული ექსპრესი” მეოთხე რომანის მთავარ თემად აქცია. [...]

რომანი სასაცილოც არის და სევდიანიც, ბლომადაა სასიყვარულო სცენები, ხანდახან სენტიმენტალური და

წირპლებიანი, ხანაც მუშა-ფიზკულტურული, ხმაურიანი ორგაზმებითა და ტუალეტში მიმწყვდევეებით. თუ არ ვცდები, ეს ლაშა ბუღაძის მიერ პირველ პირში დაწერილი პირველი რომანია. მემგონი აქამდეც უნდა ეცადა ავტორს ასე წერა, ამგვარი მთხრობელები მხოლოდ აფართოებენ თანამედროვე ენის საზღვრებს. წიგნში ძალიან ბევრი ჟარგონია, ზოგჯერ ძალიან სასაცილო, ხშირია იდიოლექტები, კონკრეტული სოციალური ჯგუფისთვის ან ადამიანებისთვის დამახასიათებელი მეტყველება. ძალიან საინტერესოა მონაკვეთი, სადაც სატელეფონო მესიჯების ორთოგრაფიაზეა საუბარი.

რომანში სალაღობო-ესეისტური ჩანართებიც არის. მაგალითად, მთელი პასაჟი ეძღვნება ზღვას ქართულ ლიტერატურაში, წიგნში 2 გვერდიან ნარკვევსაც გადაეყრებით იმ სირთულეების შესახებ, რომელსაც ქართველი მწერალი აწყდება ეროტიული სცენის აღწერისას, ბევრია საუბარი ქართველ მკითხველზე, რომლების “ომებში გავწყდით”, ფეთიანი ქართველი მამაკაცებისთვის დამახასიათებელ ძირითად ფობიაზე – სიახლის შიშზე და ა.შ. ეს სიახლის შიში ყველაზე სავალალოდ სწორედ მწერლობაზე აისახება. [...]

არ ვიცი რამდენად მოიზიდავს ეს მკითხველს, მაგრამ რომანში კიდევ ერთი საინტერესო ხერხია გამოყენებული. მთხრობელის ძირითად, ჩარჩო-ამბავს ყოველ თავში ტიხრავს ლიტერატურული ექსპრესის რომელიმე მონაწილის მშობლიურ ენაზე დაწერილი პირადი წერილი, დღიური, ან ჩანახატი, რომელსაც იქვე ქართული თარგმანიც ახლავს. უფრო სწორად, ლაშა ბუღაძის მიერ დაწერილ ამ ტექსტებს გამომცემელმა ბაკურ სულაკაურმა და თავად ავტორმა მოუძებნეს ლიტვურ, ჩეხურ, ჩეჩნურ, რუსულ, ბერძნულ, ხორვატულ, ფრანგულ, გერმანულ,

აზერბაიჯანულ, სომხურ ენებზე მთარგმნელები. როგორც იტყვიან, მაგარი ნამუშევარია, შეიძლება ითქვას, ნაწვალებიც კი, რაც, მემგონი, აუცილებლად უნდა დავაფასოთ.

მაღხაზ ხარბედია, რადიო თავისუფლება

ლაშა ბულაძის რომანები სასაცილოდ უფრო იმ ადამიანებს ესახებათ, ვინც თავადაც იცის, რა არის შემოქმედება და გამოგონილი სინამდვილის კონსტრუირება შეუძლია. თუ “ოქროს ხანას” რეალობის ამსახველ ისეთ რომანად მივიჩნევთ, სადაც გამონაგონი მინიმალურია, მაშინ, უნდა ითქვას, რომ ის ძალიან მწარე რეალობას ასახავს. ლაშა ბულაძეს, რა თქმა უნდა, ბევრი უკლია საიმისოდ, რომ პრობაში შავი იუმორის სკოლას მიაკუთვნო, მაგრამ შავი იუმორის ელემენტები მასთან ნამდვილად არის. იგნორირება რეალობისა, რომელიც მისი ლიტერატურის ძირითადი მასალაა, ლაშა ბულაძეს არ შეუძლია და პასუხად ერთგვარი ხალისითაც აგებებს ლამის მიზანთროპიულ კომიზმს. და ეს არის გულწრფელი ადამიანური რეაქცია ყოფიერებაზე. “ოქროს ხანა” დახუნძლულია ტიპაჟებითა და პერსონაჟებით, რომელთაც აკლიათ ფსიქოლოგიური მრავალგანზომილება. ხასიათების ნაცვლად ლაშა ბულაძე ძერწავს კომედიურ ნიღბებს. ისინი, საკუთარი სულიერი განვითარების შედეგად, თან ქმნიან და თან ეტყვევინებიან სასტიკ და უაზრო რეალობას.

დავით პაიჭაძე, რადიო თავისუფლება

“პატარა ქვეყანა”-ს შესახებ

ამაზე ლაღი საკითხავი ძალიან ცოტა მეგულება უახლეს ქართულ ლიტერატურაში. თვითირონიის მომაკვდინებელი

დობით სავსე გადასარევი წიგნი დაწერა ლაშამ. სხვა თუ არაფერი, ხუთასივე გვერდის მანძილზე სიცილი გარანტირებული გაქვთ. ყველა დაფნა და ყველა გვირგვინი ამ კაცისაა წელს, მე თუ რამე გამეგება ჩვენი ბედკრული ლიტ.კონტექსტისა. გადასარევი ნამუშევარია.

დავით გაბუნია

წიგნი დაიწერა ძალიან ზუსტ დროს, მაშინ, როდესაც ავტორმა შეძლო ცივი გონებით შეეხედა იმ მოვლენებისთვის, რომლებიც მოხდა ორიათასიანების დასაწყისში, პრინციპში ისე, როგორც ეს გააკეთა სალმან რუშდიმ, როდესაც წლების შემდეგ დაწერა “ჯობეფ ანტონი”.

დათო გორგილაძე


წიგნი არის დინამიკური, საინტერესო და სასაცილო, თუმცა იმდენად მძიმე მოვლენებზე არის საუბარი, რომ რაღაც მომენტში სული გეხუთება კიდევ.

ბაია პატარაია

ამ წიგნის დახმარებით ადამიანები იაზრებენ იმ შიშებს, კომპლექსებს, რომლებიც პატარა და ჩამოუყალიბებელი ქვეყნის მოქალაქეს უჩნდება.

დათო საყვარელიძე

აკმაღ შამლუ



გიორგი ლობჯანიძე – აჰმად შამლუ

გამოჩენილი ირანელი პოეტი, პროზაიკოსი, ესეისტი, რომელიც არაერთხელ იყო წარდგენილი ნობელის პრემიაზე, დაიბადა 1925 წლის 12 დეკემბერს, თეირანში. მომავალი პოეტის მამა ჰეიდარ შამლუ და დედა ქოუქაბ ერაცი-შამლუ ირანში კავკასიიდან (აზერბაიჯანიდან) გადასახლდნენ. მათი ოჯახები აქედან 1917 წლის რუსეთის ოქტომბრის რევოლუციას გაექცნენ და თავი ირანს შეაფარეს.

მამამისი სამხედრო იყო, ირანის შაჰის, რეზა ფეჰლევის ოფიცერი და სამსახურებრივი მოვალეობების გამო ხშირად უხდებოდა ადგილის შეცვლა და ოჯახთან ერთად ცხოვრება ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში. ამიტომაც პოეტის ბავშვობამ რეშთში, სამირამში, ისპაანში, აბადესა და შირაზში გაიარა.

ამავე მიზეზით, მის დაბადების მოწმობაში დაბადების ადგილად ქალაქი რეშთია აღნიშნული.

უფროსკლასელობის ასაკმა კი ხაშში, ზაჰედანში, მაშჰადსა და ბირჯანდში მოუწია. ამავე პერიოდში აჰმად შამლუს საშუალება მიეცა ჩაენერა და დაეფიქსირებინა ადგილობრივი ირანული დიალექტების ისეთი ერთეულები, რომლებიც მანამდე არცერთ ლექსიკონში არ იყო აღნუსხული.

ირანში დანწყებული პოლიტიკური არეულობის გამო, აჰმად შამლუმ ვერ მოახერხა სკოლის დამთავრება, სწავლას თავი დაანება და ერთ-ერთ წიგნის მაღაზიაში დაიწყო მუშაობა.

1953 წლის 19 აგვისტოს ირანის სახელმწიფო გადატრიალებისა და პრემიერ-მინისტრ მოსადეყის მთავრობის დამხობის შემდეგ, ირანში პოლიტიკური სიტუაციის გამკაცრების შედეგად, პოლიციის აგენტებმა სტამბაშივე დაწვეს აჰმად შამლუს პოეტური კრებული, მისი სახლის ჩხრეკისას კი ამოიღეს რიგმონდ მორისის რომანის, “ოქრო ტალახში“ და მორ იოკაის მოთხრობის, “გულქვა კაცის შვილების“ აჰმად შამლუსეული თარგმანის ხელნაწერი, ასევე მისი ორიგინალური რამდენიმე მოთხრობა, რომელთაც შემდგომში ველარავინ მიაკვლია.

ამ ჩხრეკისას აჰმად შამლუმ მოახერხა პოლიციელებს ხელიდან დასხლტომოდა, მაგრამ სამ დღეში მაინც დააკავეს და მისი პატიმრობა ერთ წელიწადს გაგრძელდა. პატიმრობის ვადაც კი შამლუმ ნაყოფიერად გამოიყენა. ლექსების გარდა ამ პერიოდში წერს “შაჰ-ნამეს“ კომენტარებს და ასევე “სპარსული ენის გრამატიკის“ პირველ, სამუშაო ვარიანტს.

1947 წელს გამოიცა აჰმად შამლუს ლექსების პირველი წიგნი “მივიწყებული ჰანგები“, რომელიც ტრადიციული საზომებით შექმნილი მისი ლექსების ერთადერთი კრებულია.

ამ წიგნის წინასიტყვაობაში თავად შამლუ წერდა: “ფრაგმენტები, რომელთაც ამ კრებულში მოიყარეს თავი, სინამდვილეში ალბათ უნდა დამწვარიყო. ეს არის ჰანგები, რომელიც ადამიანს ძალიან მალე ავიწყდება. პირველი ნაბიჯებია ბავშვისა, რომელსაც სიარული სწადია და, ძალაუნებურად, კედელს ეჭიდება, ხელი უკანკალებს, სუსტია, დაბნეული და აცაბაცა მიდის.“

1957 წელს გამოქვეყნდა აჰმად შამლუს უმნიშვნელოვანესი წიგნი “სუფთა ჰაერი“, რომელმაც საბოლოოდ

დაადასტურა, რომ სპარსულ პოეზიას მისი სახით ახალი, სრულიად განსაკუთრებული პოეტი შეემატა. წიგნი გამოირჩევა ფორმათა მრავალფეროვნებით, თემატური სიახლითა და ახალი აზრობრივი აქცენტებით. ორი წლის შემდეგ, ესე იგი, 1959 წელს ამას მოჰყვა კიდევ ერთი კრებული “სარკის ბაღი“, რომელმაც გააერთიანა სპარსულ ხალხურ სასიმღერო მოტივებსა და საბომებზე შექმნილი ნიმუშები.

ირანელი კრიტიკოსი, აბდოლალი დასთყეიბი, რომელმაც შამლუს შემოქმედებას რამდენიმე ძალზე სერიოზული ნაშრომი მიუძღვნა, დარწმუნებულია, რომ შემდგომი პერიოდის სპარსული პოეზიის განვითარებაზე, ნიმა იუშიჯის შემდეგ, ყველაზე დიდი ზემოქმედება სწორედ აჰმად შამლუმ იქონია.

ახალი სპარსული პოეზიის შესახებ დღემდე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაშრომის, “ახალი სპარსული პოეზიის ისტორიული ანალიზის“ ავტორი შამს ლანგარუდი კი ამ წიგნში შამლუს შესახებ აღნიშნავს: “შამლუ მიხვდა, რომ სიტყვების ძველ მუსიკას შეეძლო თავისი სული მისი შინაარსისათვის შთაებერა და არა ყოველდღიური სამეტყველო ენის მუსიკას. ამის შედეგად შექმნა ლექსები, რომელთა ფორმაც და შინაარსიც ერთმანეთთან იყო შეთანხმებული და სწორედ ეს ამბავი გახდა მიზეზი მისი ლექსების მიმზიდველობისა. მაგრამ გადამწყვეტი მხოლოდ ეს საკითხიც არ ყოფილა. საქმე ისაა, რომ შამლუ მიეკუთვნება იმ მცირერიცხოვან პოეტებს, რომლებიც წერდნენ ყველა თაობისათვის. დაბადებიდანვე შეიძლება ბავშვს ჩურჩულთ ნაუკითხო შამლუს “წვიმა მოდის წკაპანკუპით“, ყმაწვილობისას, ადამიანი მისმა “სამიჯნურო ციკლმა“ გაიტაცოს, ახალგაზრდობისა და ხანდაზმულობისას რევოლუციური ლექსების ნაკადმა,

სიბერის ზღურბლთან კი მისმა მარადიულმა ლექსმა “ზღურბლთან“.

მიუხედავად იმისა, რომ აჰამად შამლუ პოლიტიკური ვითარების გამო იძულებული გახდა, სისტემატური და აკადემიური სწავლისათვის თავი მალევე გაენებებინა და ყოველდღიური ცხოვრების ორომტრიალში ჩაბმულიყო, ის მაინც თავისი დროის ერთ-ერთი იშვიათად განათლებული ადამიანი იყო. ჯერ ერთი, შამლუ იყო ნამდვილი პოლიგლოტი. იცოდა რამდენიმე უცხო ენა და დაუღალავად თარგმნიდა ამ ენებიდან მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს. ორიგინალურ ლექსებთან ერთად მისი თითოეული თარგმანი დასტამბვისთანავე იქცეოდა ხოლმე ლიტერატურული კრიტიკისა და მსჯელობის მთავარ საგნად; ზოგს უპირობოდ მოსწონდა, ზოგი აკრიტიკებდა, მაგრამ დღეს უდავოა, რომ აჰამად შამლუმ სპარსული ლიტერატურა არაერთი კონგენიალური თარგმანითაც გაამდიდრა. ამ ნიმუშევერებიდან შეიძლება დავასახელოთ ფედერიკო გარსია ლორკას “აღმოსავლური სიმღერები და სხვა ლექსები“, ლენგსტონ ჰიუზის “შავი, როგორც ჩემი მშობლიური აფრიკის სიღრმეები“, მარგოტ ბიქელის “სიჩუმე სავსეა უთქმელი სიტყვებით“, ჩინური პოეზიის ანთოლოგია “ჩინეთის დიდი კედლები და კარები“. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ანტუან დე სენტ ეგზიუპერის “პატარა უფლისწულის“ სპარსული თარგმანი და სხვა უმარავი ნიმუში.

თარგმანის გარდა შამლუ ეწეოდა სამეცნიერო და აკადემიურ მოღვაწეობასაც. მეუღლესთან, აიდა სარქისიანთან ერთად, რამდენიმე ტომად გამოსცა “ქუჩის წიგნი“, სადაც თავი მოიყარა სპარსული სამეტყველო ენის მთელმა საგანძურმა. სპეციალისტების შეფასებით, ეს

მრავალტომეული ირანული ხალხური ყოფისა და სპარსული ენის “მდაბიო“ პლასტის ნამდვილ ენციკლოპედიას წარმოადგენს.

აჰმად შამლუ იყო ირანის მწერალთა კავშირის ერთ-ერთი დამაარსებელი და ხელმძღვანელი. ის აქტიურად მოღვაწეობდა როგორც კინოსცენარისტი და სპარსული კონემატოგრაფის ერთ-ერთი მესვეური.

გარდაიცვალა 2000 წლის 24 ივლისს, დაკრძალულია ქარაჯში.

1998 წელს მე მქონდა ბედნიერი შესაძლებლობა, პირადად გამეცნო და მესაუბრა აჰმად შამლუსთან.

შეხვედრისას მას გადავეცი ოთარ ჩხეიძის “ბორიაყის“ ჩემ მიერ შესრულებული სპარსული თარგმანის ფრაგმენტები. დასამახსოვრებელი იყო შამლუს შეფასება, როდესაც ამ თარგმანს გაეცნო:

“მე უკვე ვხვდები, როგორ გადაურჩით საბჭოთა ურჩხულს. იმიტომ, რომ თქვენ გყოლიათ ოთარ ჩხეიძე“.

აჰმად შამლუს პოეზიის სრულად თარგმნა და გამომზეურება მომავლის გადაუდებელ საქმედ მესახება. ეს პუბლიკაცია კი ადრე ჩემ მიერ “თანამედროვე სპარსული პოეზიის ანთოლოგიაში“ გამოქვეყნებულ თარგმანებთან ერთად, ქართველ მკითხველს უფრო სრულ წარმოდგენას შეუქმნის ამ გენიალური პოეტის შემოქმედებით მასშტაბებზე.

სიკვდილით დასჯის ჟამს

კარის კლიტეში გასაღები გადატრიალდა...

ბაგეებზე მას ღიმილი აუცახცახდა...

თითქოს ჭერზე

მზის სხივების ანარეკლით

აცეკვდა წყალი...

კარის კლიტეში გასაღები გადატრიალდა...

გარეთ

რიჟრაჟთა საამო ფერი,

ვით დაკარგული ერთი ნოტი,

სეირნობა-სეირნობით

დაეძებდა თავის ადგილს

სალამურის

ნასვრეტებს შორის...

კარის კლიტეში გასაღები გადატრიალდა...

ბაგეებზე მას ღიმილი აუცახცახდა...

თითქოს ჭერზე

მზის სხივების ანარეკლით

აცეკვდა წყალი...

იავნანა

დარჩი ბავშვად, სიყვარულო ჩემო,
ეს ცხოვრება მაინც გაგზრდის მერე...
ცხვარი ხარ თუ არ იქნები ცხვარი,
მაინც მგელზე უფრო გაგამგელებს...
ბავშვად დარჩი, სიყვარულო ჩემო,
ეს ცხოვრება ფანქარია ფერადი,
საუცხოო მხატვარიც რომ იყო,
გადაგლებავს, გაგიხუნებს ფერებს,
ბავშვად დარჩი სიყვარულო ჩემო,
მაინც შეგცვლის, ვიცი, წუთისოფელი
უნყალოა... ქვად გაქცევს, ქვით აგივსებს
გულს, ბავშვური ია-ვარდით მოფენილს...

*** * * (ზღვამ გაიცინა შორს...)**

ზღვამ გაიცინა შორს:

კბილები მისი – ქაფი

და პირი მისი ზეცა.

– შენ რაღას ჰყიდი, ნაღვლიანო მკერდშიშველო
გოგო?!

– ზღვათა წყალსა ვყიდი, ბატონო!

– შავო ბიჭო, სისხლს რა გირევია?

– ზღვათა წყალი მირევია, ბატონო!

– ეს მწარე ცრემლები საიდან მოდიან, დედი?

– ზღვათა წყალსა ვტირი, ბატონო!

– ჩემი გულისა და ამ მწარე წყლის სათავე სად არის?

– ზღვის წყალი ძალზე მწარეა, ბატონო!

ზღვამ გაიცინა შორს.

მისი კბილებია ქაფი და

ზეცა მისი ბაგეები...

სიყვარული

შენი ყველაზე ლამაზი სათქმელი თქვი!
გამოააშკარავე შენი დუმილის იდუმალი ტანჯვა
და ნუ შეგეშინდება იმისა, თუ იტყვიან,
ყველაზე უსარგებლო სიმღერას მღერიანო! –
რადგან ჩვენი სიმღერა
ამაოების სიმღერა არ არის
და სიყვარული
არ არის ფუჭი სიტყვა.

გაუშვი, დაე, მზეც არ ამოვიდეს
ჩვენი ხვალისათვის,
თუკი ამას წამოგვაყვედრებენ,
რადგან
სიყვარული
თვითონვეა ხვალეც...
თვითვეა ყოველთვის...

ღამეული სიმღერა 2

მიყვარს,
ვინაიდან ვცნობ
ტრფობად და ერთადერთობად.
მთელი ქალაქი უცხოობაა და მტრობა,
მე კი, როცა მის ალერსიან ხელებს ვიჭერ ხელში,
ვხვდები მის ნაღვლიან სიმარტოვეს.
მისი კაეშანი
გულის მომკვლელი დაისია
სიყარიბესა და მარტოობაში,
ისევე, როგორც
მისი სიხარული
ყველა მზის ამოსვლაა,
საუზმეა,
ცხელი პური
და ფანჯარაა,
რომელიც დილაობით
სუფთა ჰაერის მხრისაკენ იღება...
და ნემსინვერების ხასხასია
აუზის ფეხსაბანში...
ნაკადულია,
პეპელაა, რომელსაც
პატარა ყვავილი,
სიხარული პირთამდე ალიცლიცებს,
მისი უმანკო უიმედობა კი
სევდით დატვირთულა...
დიდი ხანია, მის გარიჟრაჟს ლექსი არ უმღერია...
რამდენჯერაც უნდა ვთქვა,
ამალამ ლექსს დავწერ-მეთქი,
მისი მღიმარი ბაგეები მშვიდ ძილში ეშვებიან,

როგორც ქვა ტბაში
და
ბუდა ნირვანაში...
და ამ დროს პატარა გოგონას ჰგავს,
რომელსაც გულში საყვარელი თოჯინა ჩაუკრავს.
თუ ვეტყვი,
რომ ბედნიერება შეცდომაზე დაფუძნებული
შემთხვევითობაა,
თხემით ტერფამდე
კაეშანი იპყრობს,
როგორც ტბა ქვას
და ნირვანა ბუდას,
სიყვარულის საუფლოს ყვავილია,
არსად რომ შეცნობილა...
სიყვარულის,
რომელიც
ურთიერთგაგების გარდა
არ აშკარავდება
ჩემი ცხოვრების სახეზე,
სადაც ყოველი ღარი
სულის მფლეთველი ნაღველის ამბავს ჰყვება...
აიდა^[2]
ცხოვნების ღიმილია...
პირველად მას დიდხანს შევცქეროდი,
ისე დიდხანს, რომ,
მზერა რომ მოვაცილე,
ჩემ ირგვლივ ყველაფერი
მის ხატში ჩაიბეჭდა...
მაშინ მივხვდი:
აღარსაით მქონდა
გასაქცევი...

ღამეული სიმღერა 3

აფსუს ამწვანებული ხეობა და ბებერი კაკალი
და მდინარის ხალისიანი სიმღერა,
როცა სოფელი,
მომღერალი წყლის ორივე მხარეს,
ღამის ძილში შედიოდა.
და მამაკაცური ეჭვიანობა
და ქალური კდემა
ღამის საუბრებს
მშვიდ ჩურჩულად აქცევდა
და
ღამის ფრინველები
თავიანთი ჭიკჭიკის ანარეკლს
ეპასუხებოდნენ.
აფსუს ბადრი მთვარე,
აფსუს ნისლი,
რომელიც ჩვენს თვალსაწიერზე
ტყით მობურულ მაღალ მთის მწვერვალთ
ყოფნა-არყოფნას შუა
ეჭვის ფარდაში აუჩინარებდა.
აფსუს წვიმა,
რომელიც ეშმაკური ლაპარაკით
წვრილად და სწრაფად
ხეობას
ჩვენს სამზერს
ესკიზურად უხატავდა.
აფსუს
მარტო, მღვიძარებაში გათეული ღამეები,
როცა რიჟრაჟთა მოწვევამდე
ხეობის კალაპოტში საყურებლად ვსხდებოდით და

ბრინჯის ყანებს,
როგორც დავიწყებულ მოგონებას,
რომელიც თანდათანობით კრთება მეხსიერებაში
და თავის ფერს – ხან ბრაზითა და ხანაც დაყვავებით –
უნიათო ღამეს
ხელახლა გამოგლეჯს.
და აფსუს,
რიჟრაჟს,
რომელმაც ასეთი ნაღველით
დააგდო მწვანე ხეობა
და ქალაქში ჩამოვიდა,
რადგან ამხელა დაისამდე
მოგზაურობა
პურმარილის სუფრაზეც კი
ისეთივე სიძნელით უნდა წასწიო წინ,
როგორც სახელის სამფლობელოში.

*** * * (მთა პირველი ქვიდან იწყება...)**

მთა პირველი ქვიდან იწყება,
ადამიანი პირველი ტკივილიდან...
ჩემში მეამბოხე პატიმარი იყო,
რომელიც თავისი ჯაჭვის ჟღერიალს ვერ ეგუებოდა.
მე შენი პირველი მზერიდან ვიწყები...

*** * * (შენს ჩურჩულში...)**

შენს ჩურჩულში

ახლა ძილის სივრცისხელა ლოგინს დავიგებ,
რომლის ერთადერთი სიზმარიც შენ იქნები...

საყოველთაო სიყვარული - სუფთა ჰაერი

ცრემლი საიდუმლოა,
ღიმილი საიდუმლოა,
ტრფობა – საიდუმლო.
ცრემლი იმ ღამით
ჩემი სიყვარულის ღიმილი იყო...

ზღაპარი არა ვარ,
რომ მომყვე,
სიმღერა არა ვარ,
რომ მიღილინო,
ხმა არა ვარ,
რომ გამიგონო,
ან რამე ისეთი, რომ დამინახო,
ან რამე ისეთი,
რომ შემისწავლო.
მე საერთო ტკივილი ვარ! –
ამომიყვირე!
ხე ტყეს ელაპარაკება,
ბალახი მინდორს,
ვარსკვლავი თანავარსკვლავედს,
მე კი შენ...
შენი სახელი მითხარ,
ხელი მომეც,
შენი სათქმელი მითხარ,
გული მომეც...
მე შენს ფესვს მივაგენი,
შენი ბაგეებით
ყველა ბაგეს ვუთხარი სათქმელი...
და შენი ხელები

ნაცნობია
ჩემი ხელებისთვის...
ნათელ სიმარტოვეში
შენთან ერთად დავიტირე
ცოცხლები,
და ბნელ სასაფლაოზე
შენთან ერთად ვიმღერე
ულამაზესი სიმღერები,
რადგან
წლევანდელი მკვდრები
ყველაზე უფრო შეყვარებული ცოცხლები
გამოდგნენ...
მომეცი ხელი,
შენი ხელები ჩემთვის ნაცნობია.
გვიან ნაპოვნო,
მეც ისევე გელაპარაკები,
ვით
ღრუბელი ქარიშხალს,
ვით ბალახი მინდორს,
ვით წვიმა ზღვას,
ვით ჩიტის გაზაფხულს,
ისე, როგორც ხე ტყეს ელაპარაკება...
რადგან:
მე ვიპოვე შენი ფესვი.
რადგან
ჩემი ხმა ნაცნობია
შენი ხმისთვის...

კარი არ არის

კარი არ არის,
გზა არ არის,
ღამე არ არის,
მთვარე არ არის,
არც დღეა,
არც მზე...
ჩვენ
დროის გარეთ ვდგავართ
მწარე დაშნით
ჩვენს ბოღმაში
არავინ
არავის ელაპარაკება,
როცა სიჩუმე დგას და
ათას ენაზე მეტყველებს..
მზერას ჩვენს მკვდრებს მივაცივებთ
ღიმილის ესკიზით
და ჩვენს რიგს ველოდებით
ყოველგვარი
ღიმილის გარეშე...

საუკეთესო ლექსი შენტვის, ვინც აღარა ხარ

მხრებზე ხელი დამკარი,
რომ ჩემი მარტოობა შეგერყია.
რითი გაიხარე გული?
თოვლის კაცის მხრებიდან
თოვლის გადმოფერთხვით...

სიმღერა იმისა, ვინც ქუჩიდან შინ ბრუნდება

წარმოსახვაში კი არა,
ჩემს პირისპირ ვხედავ
ნაყოფიერ წლებს,
რომელთაც დავინწყებ...

ჩემი გონება,
რომელიც მჩქეფარე ტრფობაზეა ორსულად,
დედად გახდომის სიამეს
ხანგრძლივი მოლოდინის მთქნარებებში იმეორებს.
მშვიდი სახლი და
შენი სინრფელით აღსავსე წადილი,
რომ ყოველი ახალი სიმღერის პირველი
წამკითხველი იყო,
მამასავით, რომელიც თავისი პირველი შვილის
დაბადებას ელოდება,
რადგან ყოველი სიმღერა შვილია,
რომელიც შენი თბილი ხელების აღერსით ისახება.

მაგიდა და ლამპა,
თეთრი ფურცლები და წინასწარგამზადებული,
წვერნათლილი ფანქრები
და კოცნა
ყოველი ახალი სიმღერის საზღაური
და შენ, მწყურვალეების ნატიფო მიზიდულობავ,
გამხმარ მინდორსაც რომ ზღვად გადააქცევ,
სინამდვილე ხარ, სიცრუეზე უფრო მატყუარა,
შენი მშვენებით –
სიცრუეზე უფრო უბიწოთი –
ჩემს საფიქრალს
შემოქმედის ყველა ქმნილებით რომ აფეხმძიმებ

შენ გვერდით
მე
ბავშვივით
ჩემს ახალშეკერილ ტანსაცმელში
ჩემს ახალწელს ვპოულობ
იმ დაკარგულ წლებში,
რომლებიც მახინჯები არიან,
რადგან არ ახსოვთ
შენი ტანის ხაზები
მშვიდი სახლი
და შენი წადილით აღსავსე მოლოდინი,
რომ იყო ყველა სიმღერის პირველი მკითხველი
სახლი,
სადაც
ბედნიერება
ნდობის
საბლაურია,
სადაც ქრის ნაკადული და ნიავი,
რომლის სახურავიც კოცნა და ჩრდილია,
თავის ფანჯრებს ქუჩას არ უღებს
და სათვალესა და სიმდაბლევებს მისკენ
გზა არა აქვთ...
გაუშვი, ჩვენგან ცხოვრების ნიშანი
იყოს ის საერთო ნაგავი, ქუჩაში რომ ვისვრით,
რათა დაცულები ვიყოთ
იმ წიგნისჭამია ეშმაკებისაგან,
საკუთარი თავების მამაკაცური ბებიები რომ არიან!
მე და შენ
ჩემ და შენ გარეშე
უკაცრიელი ჩიხიც კი გვეყოფა.
რადგან ჩემი და მათი ამბავი არის
გამუდმებული ტკივილის სევდის წიგნი,

და რადგან ისინი ჩემივე სისხლით ვზარდე და
ვაარსებე,
ახლა რა უნდა ქნან,
თუკი
ჩემი სისხლის სმის იქით
გასაქცევი აღარსად არა აქვთ.

შენ და შენი გულწრფელობით აღსავსე მოლოდინი,
მე და ჩვენი სახლი
მაგიდა და ლამპა...
ჰო,
მოლოდინის ყველაზე უფრო სასიკვდილო წამში
სიცოცხლეს
საკუთარ სიზმრებში ვაგრძელებ...
ჩემსავე სიზმრებსა და
იმედებში....

განშორება

რა მოუთმენლად მსურხარ,
შენ, ვისი სიშორეც ცოცხლად დამარხვის უმწარესი
განცდაა,
რა მოუთმენლად გითხოვ!
თითქოს ახალგახედნილი რაშის ზურგზე ვიჯდე,
რომელიც ვერ ისვენებს
და მანძილი
უსარგებლო გამოცდილებაა.
შენი პერანგის სუნი
აქ და ახლა
დაშორიშორებული
მთები
ცივებია.
ხელები ქუჩაში
შენი ხელების შეჩვეული თანხლების
კალაპოტს ეძებენ
და გზაზე ფიქრი
სასონარკვეთას გამოტოვებს...
მხოლოდ შენი თითების ხვეწნა-ვედრების გარეშე
ყოფნა
და სამყარო ცარიელდება
ყოველგვარი სიჯანსაღისაგან...

სიმღერა ნათელი კაცისათვის, ვინც ჩრდილში შევიდა

კმაყოფილივით
დაყრდნობილიყო
ხმელი, მაღალი,
როგორც ძნელი რამ დანაბარები
რაღაც ენაზე.
თავთავისა და თავლის თვალებითა
და სინამდვილითა
და ქარით ამოქსოვილი
ყვრიმალებით,
კაცი
წყლის ბრუნვით,
კაცი სიტყვაძუნწი,
რომელიც იყო
საკუთარი თავის
მოკლე შინაარსი.
ხოჭოები შენს ცხედარს უნდობლად უყურებენ...
სანამ მეხის რისხვა დანაცრავდა,
ქარიშხლის ხარის უღლისათვის
აპეურები გამოეხსნა.

ძველი რწმენების გამოცდას
კბილი უძველეს სასწაულთა ბოქლომზე მოეცვითა.
ყველაზე უფრო ჩავარდნილ გზათა ხრამზე
ფეხსაცმელი გადაეფინა
მოულოდნელ გამვლელს, რომლის სიმღერასაც
სცნობდა
ყველა ხეობა და ხიდი...

გზები შენი ნაბიჯების გახსენებით მღვიძარნი რჩებიან,
დღეს რომ წინ მიუძლოდი,
თუმცა განთიადმა იმაზე უფრო გაგისწრო,
ვიდრე
მამლები
გარიჟრაჟის მოძახილს მოჰყვებოდნენ.

ჩიტი თავის ფრთებში გაიფურჩენა,
ქალი თავის ძუძუებში,
ბალი – თავის ხეებში...
ჩვენ შენს საყვედურში ვიფურჩენებით
შენს სიჩქარეში,
ჩვენ შენს წიგნში ვიფურჩენებით,
შენი ღიმილისაგან თავდაცვაში,
რომელიც უეჭველობა და დაჯერებაა.
ზღვას ერთი წვეთისა, როგორც შენ მცირე ჭისა,
ისევე შურს...

*** * * (დიდი ხანია, აქ აღარავის ჩამოუვლია...)**

დიდი ხანია, აქ აღარავის ჩამოუვლია,
ჩემს ღრიჭოს მისი სანთლის შუქი რომ დასცემოდა...
ჩემი ფიქრი რიჟრაჟის მძებნელ გზას დაადგება
მაგრამ სად არის გარიჟრაჟი
ამ სიხალვათეში,
არც ტოტი, რომ შეარხიოს ჩიტის ფრთხიალმა,
არც ქარი კვნესის სახურავზე თუ კარის მიღმა,
შორიდან ერთი ძაღლის ყმუილიც კი არ მოისმის,
ქარში ერთი მტვრის ნამცეციც კი არ ირხევა,
დუმილის ყული^[3] მკბენს თავისი ხაფი ღრიალით
და მე კი ველი,
რომ იყივლებს დილის მამალი...
გემი ღამის ზღვის მეჩეჩზე გამომრიყვია
და ხსნის პორტიდან
დილის იმედის შუქურა
არ კრთის...

გალიიდან

ჩემი მზერის საზღვარზე,
ყოველ მხარეს
კედლებია
მაღალი,
კედლები
მაღალი,
როგორც უიმედობა...
ნუთუ ყველა კედლის შიგნით ბედნიერებაა
და ბედნიერად ყოფნა
და შური? –
როს თვალსაწიერი
ასე დაქსელილია
და კედლები და მზერა
უიმედობის სიშორეებში
ერთმანეთს ხვდებიან?
და ზეცა
ბროლის
საპყრობილეა?

თქვი: „ქარი მკვდარია...“

თქვი:

“ქარი მკვდარია!

ერთი საიდუმლოს დამფარველი სახურავიც კი არ
მოუგლიჯავს

სისხლის წისქვილისთვის,

უმწეობის ციხის კარი არ შეუღუნავს,

მინაზე ერთი სასახლევც კი არ დაუმხია

ყირამალა.

მკვდარია ეს ქარი!“

თქვი:

მთის ქონგურებზე

თავისავე სისხლში ჩაძირული ტანით

გონმიხდილა ქარი...

შენ ბევრჯერ და ბევრჯერ

შენი სიცოცხლით

მკვდართ ნამუსი მოსწმინდე.

(ეს მე, როგორც სიცხე,

– სწორედაც როგორც სიცხე,

რომელიც სისხლს მიშრობს ძარღვებში, ისე

შევიგრძენი)

როცა უიმედო

და დაბნეული ამბობდი:

“მკვდარია ქარი,

მთის ქონგურებზე

თავის სისხლში გადათხლეშილი სხეულით,

გონმიხდილა ქარი.

მათ კი,

რომელთაც თავიანთი წილი ქარი

ციხის ბადრაგს გაუცვალეს
თასმისა და ნაღვლის წვენის სარკოფაგებში
შენს საპასუხოდ, თავიანთი დიდი ტკივილით
განაცხადეს:

“ქარი ცოცხალია!

და ვიდრე ქარი ცოცხალია,
უკანასკნელ ქარიშხალს
ხატავს,

ელვასავით მოაზროვნე ფიქრის სახელოსნოში
შეცდომის მთის ბინძურ სიზვიადეს
მინაზე დამხობას
ასწავლის...

(ამათი რწმენა

შედუღაბებულია

სისხლით, ქვის ნატეხითა და არწივით)

თქვეს:

“ქარი ცოცხალია:

ფხიზელი თავისი საქმისათვის
მღვიძარი თავისი საქმისათვის!“

შენ თქვი

“არა! მკვდარია

ქარი,

მთიდან სასიკვდილო, დიდი ჭრილობა მიიღო ქარმა!

შენ ბევრჯერ და ბევრჯერ

შენი სიცოცხლით

მკვდართ

ნამუსი მოსწმინდე.

ეს მე, როგორც სიცხე,

– სწორედაც როგორც სიცხე,

რომელიც სისხლს მიშრობს ძარღვებში, ისე

შევიგრძენი...

ესკიზი

ღამემ სისხლიანი ყელით იმღერა გვიანჟამი
ზღვა ცივად ჩამომჯდარა
ერთი ტოტი
ტყის სიშავეში
სინათლისკენ
ყვირის....

სპარსულიდან თარგმნა გიორგი ლობჯანიძემ

ჟურნალ „ადინეს“ ინტერვიუ აჰმად შამლუსთან

მეოცე საუკუნის ორმოცდაათიან-სამოციან წლებში ირანში ლიტერატურისა თუ ხელოვნების ბევრი ისეთი ნიმუში გამოჩნდა, რომელთაც მანამდე ჩვენში ანალოგი არ ჰქონიათ. თქვენ, როგორც ამ წლების ერთ-ერთ მოწინავე მწერალსა და მკვლევარს, შეგიძლიათ თუ არა იმ ეპოქის ლიტერატურისა და ხელოვნების შემოქმედებითი ვითარება ამ დროის თვალსაჩინო ნიმუშებს შეუდაროთ?

მე ცოტა შევცვლიდი თქვენს კითხვას, რომელსაც ასე ვუპასუხებდი: ჰიჯრის წელთაღრიცხვით მიმდინარე საუკუნის პირველი ათწლეულის ბოლო ხანებიდანვე (ანუ 1301 წლიდან 1310 წლის ჩათვლით)^[4] და არა მხოლოდ 40-იან 50-იან წლებში^[5] სპარსულ მწერლობასა და პოეზიაში შეიქმნა ისეთი ნიმუშები, რომელსაც მსოფლიოში მანამდე ანალოგი არ ჰქონია. ეს არც ქათინაურია და არც ფედერალიზმისათვის დამახასიათებელი საკუთარ თავზე გაზვიადებული წარმოდგენით, სიჯიუტითა და ზედაპირული ხოტბით ვაპირებ მსჯელობას (ფედერალიზმს იმიტომ ვამბობ, რომ სპარსული პოეზია და ლიტერატურა იმ სხვადასხვა ხალხთა ფედერაციული ერთობის მცდელობათა შედეგია, რომლებიც ამ გეოგრაფიულ არეალში სახლობენ და სულ მცირე, ამ ბოლო წლების განმავლობაში მაზანდარანელი ნიმა იუშიჯი, აზერბაიჯანელი საედი და კიდევ ვინ სადაური და ვინ სადაური მუხლჩაუხრელად იღვწოდა და მის სახეს გამოკვეთდა).

1351 წლის ფარვარდინის დასაწყისში^[6] რომში, ალბერტო მორავიამ, რომელსაც სადეყ ჰედაიათის “ბრმა ბუს“ გადაკითხვა წინა კვირებში უკვე მერამდენედ

დაესრულებინა, მითხრა: “რა საოცარი შემთხვევაა! უკვე მერამდენედ წავიკითხე და ისევ იმ პირველი წაკითხვის გაოგნება დამეუფლა! თუმცა, ვგრძნობ, რომ შეუძლებელია, თარგმანი ამ ნაწარმოების ყველა ნიუანსს სრულად გადმოსცემდეს. როგორ მინდა, რომ ეს რომანი სპარსულად წამაკითხა!”

ეს ნაწარმოები ჰიჯრის ამ საუკუნის მეორე ათწლეულში (1311დან 1320 წლებს შორის) დაიწერა. ხოლო ის სიტყვები, რომლებიც მე დავიმონმე, ძალიან გონიერი და პატივცემული, ბევრის წამკითხველი და ბევრი რამის დამწერი ადამიანის პირიდან ამოვიდა.

“ბრმა ბუს“ შექმნის თარიღი ემთხვევა იმ დროს, როდესაც ნიმა იუშიჯმაც თავისი განსაკუთრებული სტილისა და მანერის პირველი ლექსების წერა წამოიწყო, ანუ ეს ყველაფერი საუკუნის გარიჟრაჟის შედეგები იყო... და თუკი პესიმისტურად მაინც იმას დავიჩემებთ, რომ მეშვიდე ათწლეულშიც კი (ანუ 1361 დან 71-ის ჩათვლით) ჯერ კიდევ ამ რიჟრაჟის მადლიან დილას ველოდებით, ასეთი პრეტენზია არასწორი იქნება: მესამე ათწლეულში (1320-დან 30-ის ჩათვლით) ჩვენ გვაქვს ბოზორგ ალავის “გილანელი“, ხოლო მეხუთე ათწლეულში (1340-დან 1350-ის ჩათვლით) შეიქმნა ყოლამჰოსეინ საედის “ბაიალის ჭირისუფალნი“, რომელიც, ჩემი აზრით, გაბრიელ გარსია მარკესის წინამორბედია. ასევე გვაქვს “ძრწოლა და ცახცახი“, “ბურთი“ და სხვა დიდი თუ მცირე ნაწარმოებები, რომელთაც მოსდევს ჰუშანგ გოლშირის “მასუმ მეორე“ და “შაზდე ეჰთეჯაბი“ და ასევე გამოჩნდება “სოლუჩი გვაკლია“ და მაჰმუდ დოულათაბადის ვრცელი, დახვეწილი რომანი “ქალეიდარი“...

ეს ნაწარმოებები, ჩემი აზრით, ის მწვერვალებია, რომლებიც ნისლიდანაც მოჩანან.

რასაკვირველია, არის იმისი ალბათობაც, რომ ახლა უფრო მნიშვნელოვანი წიგნებიც გამოგვრჩა, მაგრამ ჩემი მიზანი, ამ შემთხვევაში, ზოგადი მომიხილვა იყო და არა ზუსტი კატალოგის შედგენა.

ამ ფედერაციული ლიტერატურის ერთადერთი პრობლემა, რომლის უგულებელყოფაც არ ეგების, ენის პრობლემაა. ასეთ ნაწარმოებებში სამუშაო იარაღი ანუ ენა, ძირითადად, ნასესხები საშუალებაა, რომლის გამომყენებელსაც მისი მოხმარება კარგად არ ემარჯვება ანდა ძალზე დაგვიანებით სწავლობს იმას, სწორად როგორ უნდა მოიხმაროს.

ზუსტად ისევე, როცა ადამიანი სამუშაო იარაღს მეგობრისგან ითხოვებს ხოლმე.

შედარებით ახალგაზრდებში, მაშინაც კი, როცა ისინი ამ ენის წიაღის შვილები არიან, სამუშაო იარაღი მაინც მათთვის უცხო, ნასესხები, ურჩი და მოუხერხებელი რამაა, და რაღა უნდა ქნან იმათ, რომლებიც წერისათვის მათ არამშობლიურ, სხვა ენას იყენებენ? ახალგაზრდა ირანელმა მწერალმა, ჩვეულებრივ, არც დღევანდელი სპარსული ენა იცის და მის სხვადასხვა შრესთანაც არანაირი შეხება არა აქვს. სულ მცირე, 60-იანი წლების შუახანებამდე საშუალო სკოლებსა და უნივერსიტეტებში სპარსული ან ცუდად, ან საერთოდ არ ისწავლებოდა. ამის შემდგომ პირადად მე უკვე აღარ ვიცი და დღევანელ ვითარებაზეც დიდი ინფორმაცია არა მაქვს.

მოკლედ, როცა ასეთი ახალგაზრდა თავის თავში შემოქმედებით, ლიტერატურულ ან პოეტურ უნარს

აღმოაჩენს, ძალაუნებურად, ენა უნდა გამოიყენოს, რომლის გაჭენების ძალ-ღონეც არ შესწევს. საბოლოოდ მისი საქმე ისეა, რომ ანალიზურ ზმნებში “ქარდანის“ ადგილას “ნემუდანს“ ან “სახთანს“ იყენებს, “შოდანის“ ნაცვლად “გარდიდანს“ და “ბუდანის“ ნაცვლად “ბაშიდანს“ ან “ჰასთანს“^[7]. სინამდვილეში კი ამ ხუთივე ზმნას ცლის თავისი ძირითადი შინაარსისაგან, ენას აკოჭლებს ანდა სალექსიკონო და გრამატიკული ელემენტების კავშირთა არევ-დარევით ცდილობს მწერლისა და მკითხველის ურთიერთგაგების წყალი აამღვრიოს, რათა მკითხველმა მწერალს ნიჭის ნაკლებობა არ შეატყოს.


ეს პრობლემა, ბუნებრივია, უფრო საგრძნობია იმ მწერლებთან, რომელთათვისაც სპარსული მეორე ენაა. მათ ნამუშევრებში ხანდახან აქცენტიც კი საგრძნობია. საედის ერთ ნოველაში ასეთ წინადადებას წავაწყდებით: “მათხოვარი მოვიდა სახლში, პური მივეცი“, სხვაგან კი უწერია: “მოდის, ყოფას გიტირებს“.

მეუღლესთან ერთად

საედის დაკნინება სრულებითაც არა მაქვს გუნებაში, მაგრამ მის ნაწარმოებებში თვალნათლივ ვხედავთ, რომ სწორედ ენის უკმარისობის გამო, დიალოგები ზოგჯერ ისე უვარდება, რომ მთელ თხზულებას საფრთხის ქვეშ აყენებს.

მაგალითისათვის, იმავე “შიშსა და ცახცახს“ გადახედეთ, სადაც დიალოგი არამხოლოდ შინაარსს არ ავითარებს, არამედ არსებითად, დისონანსიც შეაქვს მის მდინარებაში.

საედის ბრალი სულაც არ არის, რომ სანამ ენის სიღრმეებში ჩაყვინთავდა, მანამდე გაება თავისი



მჩქე
ფარე
შემო
ქმედ
ებით
ი
ნიჭის
ხვეუ
ლებშ
ი.
შაჰს
რომ
მისი
შემო
ქმედ
ებით
ი

აღმაფრენა ევინის ციხეში არ დაეშრიტა, წინ ჯერ კიდევ დიდი დრო ექნებოდა საიმისოდ, რომ თავისი ნაწერებისათვის კიდევ ერთხელ გადაეგლო თვალი ამ თვალსაზრისით.

მე კი მთელი ამდენი და თანაც ასეთი აბდაუბდა ლაპარაკით მხოლოდ იმისი თქმა მქონდა განზრახული, რომ ჩვენი უახლესი ლიტერატურის შედეგრთა დაბადება ორმოციან-ორმოცდაათიან წლებამდე ბევრად ადრე დაიწყო და თუ დღეს მაინცდამაინც არ ჩანს ამის კვალი, ვფიქრობ, ტენდენცია ჯერ კიდევ ცოცხალი და აქტიური უნდა იყოს.

რაც შეეხება ამ შეკითხვის ძირითად თემას, ამაზე პასუხის გაცემა მე არ შემიძლია, რადგან მხოლოდ რამდენიმე პოეტური პროექტი თუ მინახავს დღევანდელი

ლიტერატურული მოსავლიდან და საერთოდ არ მქონდა იმის საშუალება, რომ წამეკითხა ესა თუ ის პოეტური ნიმუში, რომელიც პერიოდულად აქა-იქ იბეჭდება.

თუმცა, თუკი სადმე რამე ბრწყინვალე ნაწარმოები გამოქვეყნდება, საკუთარი თავის გატანისა და აუდიტორიისათვის წარდგენის გზას დაკეტილ კარსა და დაგმანულ ფანჯარაშიც კი გამონახავს.

სამაგიეროდ, იმას კი მოვკარი ყური, რომ ჩვენი ხელოვნებისა და ლიტერატურის ნაწარმოებები, რომლებიც განვლილი ათწლეულის შუა ხანებამდე სიტუაციათა გააზრების, ადამიანის დამცირების დამონშებისა და ამ დამცირების აღმოფხვრის გზით მიდიოდა, დღეს ყოვლად უბოდნოდ, უმაგრამოდ და უთუმცაოდ ცხადდება “დასავლეთუმეობად“ და “ამერიკანულობად“.

ეჭვგარეშეა, რომ ასეთი დეფინიციის მიზანი სხვა არაფერია, თუ არა “არაცნობიერით მანიპულირება“, თორემ ამ დაუსაბუთებელი პრეტენზიების რომელიმე ადრესატს სადმე უნდა გამოეჭირა რომელიმე პროტაგონისტი და ეკითხა: კი, მაგრამ რომელ კარში თამაშობო? რა თქმა უნდა, საჭიროების შემთხვევაში რძეს შეიძლება დააკრათ იარლიყი: “ფრთხილად! ეს ნივთიერება სასიკვდილოა!“ და ყოველ დედას შეუძლია ბავშვის გადამეტებულ სიტკბოსმოყვარულობას წინააღმდეგობა იმითი გაუწიოს, რომ შოკოლადს “ხიხია“ დაუძახოს, მაგრამ სასაცილოა რომელიმე საზოგადოების მთელი აუდიტორიის ბავშვებად მიჩნევა.

თუ ჩემს სიტყვებში “ლიტერატურულ ფესვებთან მიბრუნების აუცილებლობის“ პროტაგონისტებს ვიგულისხმებთ, მაშინ გასული ათწლეულების

ლიტერატურულ ნიმუშთა “დასავლეთუმეობად“ და განსაკუთრებით, “ამერიკანულობად“ გასაღება კიდევ უფრო გასაკვირი გამოჩნდება. როცა, ვთქვათ, თუნდაც ამას ამბობენ: “ჩვენ უნდა ხელახლა ავალორძინოთ მოჭთაშამ ქაშანის პოეტური ტრადიციები!“ (და ასე უთქვამთ კიდევაც!). თორემ მე თვითონაც არაერთხელ, და მათ შორის “როგორც უსასრულო ქუჩის“ წინათქმაშიც, მიღიარებია ის ჭეშმარიტება, რომ ნამდვილი პოეზია თავდაპირველად სწორედ დასავლელი პოეტებისაგან შევისწავლე. ამას კი “დასავლეთუმეობა“, ჯანდაბა და დობანა არ ჰქვია!

იმ შემთხვევის გარდა, თუკი არ შევთანხმდებით, რომ ნავთობისა და მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის, ლიფტის, მანქანისა თუ თვითმფრინავის გამოყენებისაგან თავი შევიკავოთ, საბრძოლო იარაღებიდანაც მხოლოდ შუბსა და ხმალს დავჯერდეთ და მედიცინაშიც მხოლოდ უსწორო კარაბადინის რეცეპტებით მომზადებული მიქსტურებით დავკმაყოფილდეთ, აქედან რა გამოდის? ვიშ, აბდალაჰხან ჰაქიმის ტრადიციულ მედიცინავ და “წიგნო სააქიმოვ“?!

ეს საზოგადოების გაცალკეებაა მთელი კაცობრიობისაგან, რომელიც კულტურის ნაწარმსაც ისევე ცვლის ერთმანეთში, როგორც სამრეწველო პროდუქციასა თუ სამეცნიერო მიღწევებს და ერთმანეთის მხარდამხარ და ერთმანეთთან ნაბიჯშეწყობილი წინ მიიწევს.

მეორე მსოფლიო ომი და მისი საზარელი დარტყმები კაცობრიობის სხეულზე ბევრი ლიტერატურული ნაწარმოების ინსპირაციად იქცა და მსოფლიო ლიტერატურაში ბევრი გამოკვეთილი სახეც მოიყოლა. ბევრმა მწერალმა ომისაგან მიღებული პირადი გამოცდილების გათვალისწინებით, ვერ შეძლო მისი

გავლენისაგან თავი შორს დაეჭირა. თქვენ, ჩვიდმეტი წლისა კოალიციური ძალების ციხეში რომ ჩავარდით, პოეტის, მწერლის და საერთოდ, ხელოვანის დროით და სივრცულ პირობებს მნიშვნელოვნად მიიჩნევთ თუ არა იმისათვის, რომ ის ექვემდებარებოდეს ომის ზეგავლენას?

დიახ, მისი საზოგადოებრივი და სოციალური პირობები მნიშვნელოვნად მიმაჩნია, მაგრამ ვერ ვხვდები, ასე პირდაპირ მეორე მსოფლიო ომიდან რატომ დაიწყეთ, მაშინ, როცა პირველი მსოფლიო ომიც ამავე ქსოვილის მეორე წვერი იყო და თავისთავად, შემოქმედებითი ცხოვრების ბევრ განშტოებაში მრავალი ნაწარმოების თემადაც იქცა და უფრო მეტიც, არაპირდაპირ უამრავი კვალიც დატოვა. მაგალითად კი შეგვიძლია საფრანგეთში დადაიბმის პოეტური სკოლის შექმნა მოვიყვანოთ. ასევე ჩვენს მეზობლად, თურქეთში, პირველმა მსოფლიო ომმა ფოლკლორში ხალხური სიმღერების მთელი მთა დაახვავა. და ის, რაც დიდმა თურქმა მუსიკისმცოდნემ და სახალხო მომღერალმა რუჰი სუმ ამ სიმღერებიდან ჩაიწერა და თვითონვე შეასრულა, გამოდგება იმ კატასტროფის მასშტაბების გასააზრებლად, რაც უდანაშაულო თურქი ხალხის მასებს თავს დაატყდა. ეს ძალზე მრავლისმეტყველი ნიმუშებია.

ჩემს შემთხვევაში კი საკითხი სრულიად განსხვავდება. მე მოკავშირეთა პოლიტიკური პატიმარი ვიყავი და ეს განსხვავდება იმ ვითარებისაგან, რომელშიც რომელიმე სამხედრო ტყვე იმყოფება.

ჩვენი ქვეყანა მეორე მსოფლიო ომის მძიმე წლებში თუმცა ბრძოლის პირდაპირი ველი არ ყოფილა, მაგრამ ამ ომმა მას მაინც უამრავი დარტყმა მიაყენა.

ამ ვითარებაში კიდევ უფრო სავალალო იყო პირადად ჩემი მდგომარეობა, რადგან სრულიად გაუცხოებული გახლდით საკუთარ გარემოსთან და როგორც იტყვიან, “გასული“ ვიყავი.

წარმოიდგინეთ მაშინდელი ყმანვილები, რომელთა ცხოვრების პირველმა თხუთმეტმა წელიწადმა სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებში, რეზა ხანის ეპოქის პოლიტიკური ხუთვის, საგანმანათლებლო სისტემის მდუმარებისა და ინტელექტუალური დამუხრუჭების ვითარებაში ჩაიარა და უცებ უკიდურესი სიგიჟის პირობებში, ყოველგვარი აღქმისა და გააზრების გარეშე, 20-იანი წლების პოლიტიკურ-საზოგადოებრივ კრიზისებში, უპასუხოდ დატოვებული შეკითხვების შუაგულ ზღვაში ცეცხლოვანი გზებით, მაგრამ აბსოლუტური ნულის ზღვარზე მყოფი თვალთახედვით ამოჰყვეს თავი და მამაპაპური თოფებით, რომელთაც არც ტყვია გააჩნდათ და არც ჩახმახი, მათზე უფრო ბრიყვთა დაჯგუფების ხელში მამლაყინნათა ასპარეზობის ფალავნებად იქცნენ. გაჰყვიროდნენ ლოზუნგს “ჩვენი მტრის მტერი ჩვენი მეგობარიაო!” და გაუცნობიერებლად, თუმცა სრულიად გულწრფელად, ცდილობდნენ ფრონტის ბურგში კოალიციის ძალებისათვის პრობლემების შექმნით წყალი ჰიტლერისა და მისი ბანდის წისქვილზე დაესხათ.

მაშინდელი განამანია, იმ თვალსაზრისით, რომ შემდგომში ნაკლებად მოვტყუებულებიყავი ანდა ნებისმიერი ბოდვა განმათავისუფლებელ ლოზუნგებად აღარ ჩამეთვალა, ცხოვრებაში ჭკუის სასწავლებელ გაკვეთილად გამომადგა.

მაგრამ ეს, ალბათ, თქვენი შეკითხვის პასუხი სულაც არ არის.

იმის თაობაზე კი, რასაც მეკითხებით, მე გამოცდილება არ გამაჩნია, რომ გაგიზიაროთ, მაგრამ ნათელია, რომ ყველა მწერალი თუ პოეტი ომს თავისი კრიტერიუმებისა და გააზრებების ენაზე “თარგმნის“ და ამის გამო ხდება, რომ ზოგან მას ჰეროიკულად აფასებენ, ზოგან როგორც კატასტროფას, ზოგან კი მამაცობისა და ლაჩრობის განმასხვავებელ სასინჯ ქვად იყენებენ.

მაგალითისათვის დაგისახელებთ ჰემინგუეის ცნობილ რომანს “ვის უხმობს ზარი“, რომელიც სწორედ ამ საკითხების შუაგულში გადის.

როცა საზოგადოებაში მნიშვნელოვანი გარდაქმნები და ცვლილებები ხდება ან საცაა, უნდა მოხდეს, ამ საზოგადოების ყველა წევრის, და განსაკუთრებით, მათ წინაშე, ვისაც საზოგადოებაში სხვებზე უფრო მნიშვნელოვანი და მგრძობიარე ფუნქცია აკისრია, დგება პასუხისმგებლობა იმისა, რომ უფრო ფართოდ და ღრმად გაიაზრონ თავიანთი მოღვაწეობის შინაარსი.

მე კი მიჩნდება კითხვა: ასეთ ვითარებაში ლიტერატურაში ერთი გამოკვეთილი ხაზის შექმნის აუცილებლობა იგრძნობა თუ არა?

უფრო დავაკონკრეტებ, რას ვგულისხმობ. დღეს ჩვენ ლათინოამერიკული მწერლობის წინაშე ვართ. როცა მათ ვუყურებთ, ვხედავთ, რომ თითქოს ისინი ყველანი რაღაც ჯადოსნური სამყაროდან მოდიან, რომელიც ამავე დროს სრულიად რეალურია. ლაპარაკობენ განხვავებულ საკითხებზე, მაგრამ აქვთ საერთო ენობრივი ტონალობა, რომელსაც ევროპის ან სხვა ქვეყანათა შეჩვეული და უკვე ნაცნობი სტილისტიკის გემო არც გადაჰკრავს.

ჩვენს ქვეყანაში კი ჯერჯერობით ასეთი რამ არ მომხდარა. ჩვენი საქმიანობა, მაქსიმუმ, ევროპული და ამერიკული ლიტერატურის ნიმუშების მსგავსებაა, მაშინ, როცა როგორც მესამე სამყაროს სახელმწიფოებთან, აზიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებთან უფრო მეტი საერთო უნდა გვქონდეს.

რა მიზეზია იმისა, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნები, მიუხედავად ამერიკის შეერთებულ შტატებთან საერთო კულტურული და ისტორიული ძირებისა, სხვანაირ, განსხვავებულ ლიტერატურას ქმნიან, ჩვენ კი დღემდე იმას ვცდილობთ, ჰემინგუეისავით ვწეროთ და არა – მარკესივით...

მართლა რა არის ამისი მიზეზი? განსხვავებული ენა? განსხვავებული პოლიტიკური გეოგრაფია? სხვაგვარი ბუნებრივ-კლიმატური პირობები?

ლათინური ამერიკის ქვეყნები (ბრაზილიის გარდა, რომლის ენაც პორტუგალიურია) ყველანი ერთ ენაზე, ესპანურად წერენ (რეგიონში გავრცელებულ სხვა ენებს, მაგალითად, კეჩუას ან იმარას ამჯერად თავი დავანებოთ). მაშასადამე, სავსებით ბუნებრივია, რომ ამ სხვადასხვა ქვეყნების მწერლებმა ერთმანეთის ნაწერებზე საერთო ლიტერატურულ პროცესში მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ. რომელიმე ჩილელს ან კუბელს მარკესის ნაწარმოები ჩვენსავით არასდროს გააოცებს, რადგან მარკესი გაგრძელება ან ერთ-ერთი მწვერვალია იმ სიმაღლისა, რომელიც საუკუნეთა წინათ ჩამოყალიბდა და სათავე დაედო. ჩვენ კი, ისინი, ვინც მარკესის წინაშე მოულოდნელად აღმოვჩნდით, ბუნებრივია, გაოგნებულები ვართ, რადგან ჩვენს ურწმუნო თვალწინ თითქოს უცებ ამოგვიხტა საოცარი ყული^[8] წყვდიადის სიღრმეთაგან.

უეჭველია, ეს გაოგნება იქიდან მოდის, რომ ყული თავიდანვე ჩუმად და მოულოდნელად აღმოვაჩინეთ და მისი საცხოვრებელი გარემოსა თუ ზრდა-განვითარების შესახებ საერთოდ არაფერი ვიცით. მაგრამ სინამდვილე ის არის, რომ დინოზავრიც ჩანასახიდან ჩნდება და მისი უზარმაზარი პარამეტრები შესაბამის, ხელსაყრელ გარემოში ყალიბდება.

ჩვენ თანამედროვე ლათინოამერიკული ლიტერატურიდან ბევრი არაფერი გვინახავს და დიდი ინფორმაცია არც მისი წარსულის შესახებ გაგვაჩნია. ოქტავიო პასის ლექსები გვეუცხოება, რადგან რუბენ დარიოსა და ნიკოლა გუილენის პოეზია არ წაგვიკითხავს.

რა თქმა უნდა, სრულიად მოსალოდნელია, რომ ოქტავიო პასმა თავის წინამორბედებთან შედარებით უეცრად დიდი ნახტომი გააკეთა. ისევე, როგორც, მაგალითად, ნიმა იუშიჯმა ბაჰართან შედარებით, მაგრამ არც ის უნდა დაგვაზიწყდეს, რომ ყველა შემთხვევაში, ნახტომი მხოლოდ ევოლუციის გზაზე თუ განხორციელდება და არცერთი ნახტომი თავისთავად, ნულოვანი წერტილიდან არ მოხდება. თავიდან ნიავი ამოვარდება, ზღვაზე პატარა ტალღებს წამოშლის, ზღვასაც აამოძრავებს და უფრო მაღალ და მაღალ ტალღებსაც წამოქოჩრავს. ამ ტალღების დუღილია, რაც საბოლოოდ წყლის ჭავლთა ამოჩქეფებით სრულდება და სწორედ ამ დროს ამოიტყორცნება ხოლმე ჰაერში აისბერგები. ერთ ამოფრქვევას კი მეორე ამოფრქვევა მოსდევს.

ლიტერატურა, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ, ძალიან ღრმა კულტურიდან წამოვიდა, რომლის ფესვებიც ისტორიის სიშორეებში, მაიას, ტოლტაკისა და აზტაკის ხალხების ჩახლართულ და ულამაზეს მითებში იკარგება.

ბუნებრივიცაა, რომ ამ კულტურას ევროპისა თუ ამერიკის კულტურისაგან განსხვავებული გემო და ფერი ჰქონდეს და სრულიად სხვა, ვიდრე ირანის, ჩინეთისა თუ იაპონიის კულტურას. როგორ უნდა დავეთანხმოთ იმას, რომ აზიასა და ლათინურ ამერიკას, თანაც “მესამე სამყაროს“ ქვეყანათა რანგში, საერთო კულტურული და ლიტერატურული მახასიათებლები ჰქონდეს.

“მესამე სამყარო“ დროებითი პოლიტიკურ-ეკონომიკური ტერმინია. ინდოეთის, ეგვიპტისა და გვატემალას კულტურისა და ხელოვნების ერთ ტაფაში ჩაყრა და მისთვის “მესამე სამყაროს“ თავსახურის მორგება როგორ შეგვიძლია? თითოეული ეს კულტურა უგასაღებო, თავდახურული სკივრია, რომელიც არანაირი შელოცვით არ იღება. მათ შიგნით კი რა ალებ-მიცემობაც, შერევა და ურთიერთკვეთაც არ უნდა მოხდეს, გამორიცხულია, მათი წვენი და მარცვლები ერთმანეთში ლუფხივით აითქვიფოს.

მაგალითისათვის, ჩვენი რეგიონის ხალხური მუსიკა ავიღოთ, რომელიც ერთი მუჭა ცალკეული საკრავებით შემოიფარგლება. თითოეულზე რამდენიმე საათი შეიძლება დაუკრა და ამით დაამთავრო. მაჰური, რომელსაც თქვენ უკრავთ, ბოლო-ბოლო იგივე მაჰურია, რასაც ვუკრავ მე, ანდა ის, რასაც 1324 წელს ან განსვენებული შაჰნაზი თარზე უკრავდა. იგივეა, რასაც ცხონებული საბა ათი წლის შემდეგ ვიოლინოზე ასრულებდა, მთელი თავისი შესავლით, სიტყვებით, თემითა და კომპოზიციით. თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ბატონი ებადი უფრო საამოდ უკრავს და უფრო ლაღი საშემსრულებლო ტექნიკა გამოიმუშავა. ანდა იმას, რომ შაჯარიანი სხვებზე უფრო ტკბილად და ოსტატურად მღერის. მაგრამ მისი სიმღერა ტკბილი და საამური მხოლოდ ჩემთვის და თქვენთვისაა და მისი ეს წარმატებული კონცერტი პარაგვაიში ან იაპონიაში რომ

ჩაატაროს, არა მგონია, შინ ისე გამოუშვან, რომ თავპირი არ დააღუნონ. ამ მუსიკამ გამორიცხულია, ინდური ან ჩინური მუსიკის გავლენა განიცადოს. ანდა ევროპული მუსიკასავით რამე ისეთი მრავალმხრივი, მრავალსახოვანი ნაწარმოების წარმოშობა შეძლოს. ასევე შეუძლებელია, რომელიმე გერმანელმა მუსიკისმცოდნემ ჩვენი მუსიკა სრულყოფილად აღიქვას და განიცადოს.

წელან დაგმანული, უგასაღებო სკივრი-მეთქი, რომ გითხარით, სწორედ ამაზე მოგახსენებდით. ჩვენმა მუსიკამ მთელი თავისი სათქმელი თქვა და თავის რიგსა და რანგში გაქვავებულ ლოდად გადაიქცა. ამ ყოველივეს რომ თავი დავანებოთ, საერთოდაც ყველანაირი გარემო ყველანაირ ლიტერატურას არც მიიღებს. მიდი, აბა, “მარტოობის ასი წელიწადის“ მაკონდო ჩომახალეს პორტით ჩაანაცვლე, მშვენიერი რემედიოსი ბიბი ამეჯანით, პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია პოლკოვნიკ სოჭრაბ ხანით, ბოშა მელკიადესი შელოცვების მწერალი მაშდი ქას აყათი და დაინახავ, რა ხილფაფაც მოიხარშება.

იმ გარემოში “მარტოობის ასი წელი“ იქმნება, აქ, ჩვენთან, “ბაიალის ჭირისუფალნი“, რომელზედაც უკვე გითხარით, რომ ამ მხრივ და ამ ნაწარმოებით, ავტორი – ყოლამჰოსეინ საედი – მარკესის წინამორბედად გვევლინება.

თქვენ მკითხეთ ლიტერატურაში ერთი განსაზღვრული ხაზის ჩამოყალიბების აუცილებლობაზეც, მე კი არ გეკითხებით, რას გულისხმობთ ამ “ერთიან განსაზღვრულ ხაზში“ და მოგახსენებთ, რომ ლიტერატურას ცალკეული ლიტერატურული მოღვაწეები ქმნიან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არასოდეს არის შესაძლებელი ლიტერატურის ერთიანი ხაზის ჩამოყალიბება. ასეთი რამ უფრო რომელიმე პარტიის წესდების გამოცემას მოგვაგონებს და

ეს საქმე ხელიდან სტალინს, ჟდანოვსა და მათ მსგავსებს გამოსდით. საზოგადოებრივი აუცილებლობა კი არის რაღაც, რაც ჰგავს იმ ბავშვის დაბადების გარდუვალობას, რომლის დედაც უკვე მეცხრე თვეშია გადამდგარი. გარდაუვალია ყველაფერ იმის დაბადება, რაც აუცილებლობის წერტილამდე აღწევს და სხვების ჩარევა არ სჭირდება. სხვების ჩარევა მას არც დააჩქარებს და ვერც მის გაჩენას შეაკავებს.

კეთილი, ახლა კი იმ წინა პასუხის დამამთავრებელ ნაწილსაც მივუბრუნდეთ.

თქვენ ირიბად სტალინის პერიოდის ლიტერატურას შეეხეთ და ჟდანოვის როლზეც მიუთითეთ. ბრძანეთ, რომ ლიტერატურას ცალკეული ლიტერატურული მოღვაწეები ემნიან. ასევე აღნიშნეთ, რომ გარდაუვალია ყველაფერ იმის დაბადება, რაც აუცილებლობის წერტილამდე აღწევს და სხვების ჩარევა არ სჭირდება. სხვების ჩარევა მას არც დააჩქარებს და ვერც მის გამოჩენას შეაკავებს. ამ ფონზე მინდა გკითხოთ: როგორ უყურებთ “სხვების ჩარევას“, თუკი გადავხედავთ საბჭოთა ლიტერატურის ჯერ აღმავლობასა და მერე მის დაცემას სტალინის სიკვდილის შემდგომ რამდენიმე ათწლეულში? ასევე კარგად ვერ გაგიგეთ პირველი შეკითხვის პასუხად, როდესაც შაჰის რეჟიმის დროს ბატონი საედის ლიტერატურული ნიჭის დაშრეტაზე მიუთითეთ. ზუსტად რა ამბავს გულისხმობდით?

მე იმას ვამბობ, რომ რომელიმე ლიტერატურული ნაწარმოების შექმნა ერთია და მისი საზოგადოებისათვის წარდგენა – მეორე. სხვების ჩარევა ლიტერატურული ნაწარმოების შექმნას ვერ დააბრკოლებს. ბულგაკოვის “ოსტატი და მარგარიტა“, რომელიც პირველად 1965 წელს,

25 გვერდამოკლებული გამოიცა, გამოქვეყნებამდე ზუსტად 25 წლის წინათ იყო დაწერილი. ბატონი სტალინის ჩარევა მხოლოდ ნაწარმოების გამოქვეყნებაზე ვრცელდებოდა და არა მის შექმნაზე.

ან თქვენ გგონიათ, რომ რომელიმე საზოგადოების უნიგნობის პერიოდში წიგნს არავინ წერს?

ბატონი საედის შესახებ კი მინდა გითხრათ, რომ მან შაჰის ციხის კედლები პრაქტიკულად ცოცხალმკვდარმა დატოვა და ამ კაცს, მთელი თავისი მჩქეფარე ლიტერატურული ნიჭის მიუხედავად, ევინის ციხეში გადატანილი ფიზიკური და უფრო – სულიერი წამების შემდგომ, ფაქტობრივად, აღარც უცოცხლია. საკუთარ თავში ნელ-ნელა ჩაიღვენთა გარდაცვალებამდე. ჩვენ ლონდონში ერთად ვცხოვრობდით და მე და ჩემი მეუღლე ამ სევდიანი თანდათანობითი სიკვდილის თვითმხილველნი ვიყავით. რა თქმა უნდა ამას საედის შემოქმედებით საქმიანობაში სავაქის^[2] ჩარევას ვერ დავარქმევთ. საედის ლიტერატურული საქმიანობის გასაგრძელებლად თავისივე სულიერი მხნეობა სჭირდებოდა და მას სწორედ ეს მხნეობა წაართვეს. ხე ტანს იყრის, თქვენ კი მიდიხართ და მას ნაჯახს ურტყამთ. თქვენ ამ დროს მის ზრდის უნარში კი არ ჩაერიეთ, არამედ, უბრალოდ, მოკალით. ეს წინასწარგანზრახული მკვლელობა რომ არა, მის ზრდას ვერაფერი შეაჩერებდა, ახლა კი როცა მოისპო, რა თქმა უნდა, ვეღარც გაიზრდება. შაჰმაც საედი უბრალოდ გაანადგურა. მე ვიყავი მისი მცდელობების მოწმე. პრობლემები ესმოდა და ცდილობდა, რეაქციაც მიეცა, მაგრამ აღარ შეეძლო! ის მოჭრეს!

მიიჩნევთ თუ არა ჩვენს თანამედროვე მწერლობას მსოფლიოს სხვა ქვეყანათა ლიტერატურის თანაბარი

დონის ლიტერატურად? თუ პასუხი დადებითია, მაშინ, თუ შეიძლება, აგვიხსენით, გეოგრაფიული სიშორის ანუ ჩვენგან “მსოფლიო მასობრივი ინფორმაციის საშუალებების“ დიდი მანძილის გარდა, კიდევ რა გახდა იმისი მიზეზი, რომ ჩვენი მწერლობა და პოეზია, მაგალითად, იმავე ლათინური ამერიკის ლიტერატურისაგან განსხვავებით, მსოფლიოსთვის უცხო და შეუცნობელი დარჩენილიყო? ხომ არ გგონიათ, რომ ამის ძირითადი მიზეზი ენაა? გამოსავალი რაა? მაგალითად, შეიძლება თუ არა, პრობლემა იმით გადაიჭრას, რომ ჩვენი მწერლობის საუკეთესო ნიმუშები თქვენსავით კარგმა პოეტებმა და მთარგმნელებმა თარგმნონ? ანუ რაიმე გზით შეიძლება თუ არა სამყაროს გულს შევწვდეთ და ადგილი, ვთქვათ, ნერუდას, ალენ გინზბერგის, დენის ლევერტოვის და ენ სექსტონის გვერდით დავიმკვიდროთ?

ჩვენ შეგვიძლია, ჩვენი ლიტერატურა და პოეზია იმაზე უფრო მღელვარედ წარმოვაჩინოთ ასპარეზზე, ვიდრე ამის წარმოდგენა ხელგეწიფებათ. ამას გეუბნებათ კაცი, რომელსაც ახლო აღმოსავლეთისა თუ მსოფლიო პოეზიის მინიმუმ ორ ფესტივალზე ძალიან აქტიური მონაწილეობა მიუღია. თუკი ჩვენი ლიტერატურის ნიმუშები ჯერჯერობით მსოფლიო არენაზე არ შეთავაზებულა, ამის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ “საქონლის უვარგისობაში“ არ უნდა ვეძებოთ. შეიძლება ასე იმიტომაც ხდება, რომ ჩვენი ლიტერატურა მსოფლიოსათვის საკმარისი თავგამოდებით არ შეგვითავაზებია. რაც შეეხება იმას, რომ ჩვენი პოეზია სათანადოდ ცნობილი არ არის, ეს კიდევ სხვა ფაქტორების შედეგია. ჩვენი პოეზია არსებითად ისეთია, რომ ძირითადად, საკუთარ ენობრივ გარემოში მოქმედებს. ჩვენთან ძალიან ცოტა შეგვიძლია მოვძებნოთ ისეთი

კარგი ლექსი, რომლის სიკარგეც მხოლოდ ენობრივ დონეზე არა ჩანს. ასეთი ლექსები კი იშვიათად იკაფავენ გზას სხვა ენობრივ გარემოში და უცხო ენებზეც მხოლოდ ანგარიშებით გადადიან. სინამდვილეში, რადიოთი გადმოცემულ საფეხბურთო მატჩის რეპორტაჟს ანდა ფილმის შინაარსს ემსგავსებიან, რომელსაც ფილმის უნახავად გვიყვებიან.

ლექსი თავის პოტენციას და ფარულ შესაძლებლობებს ზოგჯერ გრამატიკაში პოეტის ჩარევის შედეგად გამოავლენს.

“ჩვენ ურატომოდ ვცოცხლობთ, მათ თავიანთი სიკვდილის “რატომ“ გაიაზრეს“.

აი, მაგალითად, თუკი ინგლისურმა ან გერმანულმა გრამატიკაში ასეთი ჩარევა არ დაუშვა და სხვა ენაზე ამ სტრიქონების ენობრივი ქსოვილი დაიკარგა, მაშინ ხელთ რა შედეგიღა შეგვრჩება? ალბათ ეს:

ჩვენ უმიზეზოდ ვცოცხლობთ, მათ კი იციან, რისთვის დაიხოცნენ.

ჩვენი პოეზიის სხვა ენებზე თარგმნის პრობლემათა შესახებ დანვრილებით ვილაპარაკე ჩემ მიერ თარგმნილი ჰაიკუების შესავალში და რაც ვთქვი, იმას აქ აღარ გავიმეორებ. რა თქმა უნდა, მთარგმნელებს, თუ თვითონაც პოეტები არიან, შეუძლიათ, პრობლემა გადაჭრან, ოღონდ მხოლოდ ნაწილობრივ და მხოლოდ ცალკეულ ნიმუშთა შემთხვევაში.

თუმცა, თუ სიმართლე გვინდა, საერთოდ, ამ საქმის სარგებელი რა შეიძლება იყოს? სხვების წინაშე თავგამოჩენა ხომ არ გვწადია? ვთქვათ, ჩვენმა

მეზობელმაც შეიტყო, რომ მაგიდაზე ლამაზი საყვავილე გვიდევს. მერე, რა?

ჩემი წარმოდგენით, ყველა პოეტსა თუ მწერალს სურს, რომ მისი აუდიტორია შემოფარგლული არ იყოს და ეს თავგამოჩენა ან თავგამოდება სულაც არ არის. თვითონაც ბრძანეთ, რომ ახლო აღმოსავლეთისა და მსოფლიოს ორ ფესტივალზე აქტიურად მონაწილეობდით და ეს საამაყოა. ნუთუ ფიქრობთ, რომ ამ ფესტივალებზე თქვენი მონაწილეობის ერთ-ერთი მიზანი საყვავილის ჩვენება იყო? და კიდევ: როგორ შეიძლება მეზობლის ყურადღებამ თქვენი ლამაზი საყვავილისადმი უკვალოდ, ყოველგვარი ზეგავლენის გარეშე ჩაიაროს. ჩვენ მთელი ისტორიის მანძილზე არაერთხელ აღმოვჩენილვართ სწორედ ასეთი გავლენების პირისპირ.

ასე მკაცრადაც ნუ მიუდგებით! ჩვენ ჩვენი პოეზიისა და ლიტერატურის დარდი გვაქვს. სინამდვილეში ჩვენი სახლის დარდი. რა თქმა უნდა, მეზობლის ლამაზი საყვავილის ნახვამ შეიძლება ჩვენც რაღაც გვასწავლოს და ჩვენი მაგიდაც გაალამაზოს. მაგრამ ის, ჩვენი მეზობელი, ჩვენი საყვავილის სილამაზეს დაინახავს თუ არა, მისი პრობლემა უნდა იყოს და არა ჩვენი. ორმხრივ ფესტივალებზეც მე ჩვენი საყვავილის სილამაზის ჩვენება არც მიცდია. საყვავილე შუაში დავიდე და დამსწრე საზოგადოებამ გვერდით ჩაუარა. იმ საზოგადოებაში იყვნენ ალ-ბაიათი, ადონისი და ერთი ცნობილი რუსი პოეტი. ადონისმა პრინსტონში და ორი წლის შემდეგ იმ რუსმა პოეტმა ტეხასში პირდაპირ განაცხადეს: შამლუს შემდეგ ჩვენ ლექსებს აღარ წავიკითხავთო და მხოლოდ საკუთარი თარგმანების წარმოდგენით შემოიფარგლნენ. არადა, სპარსულად მე მხოლოდ “ფარია“ წავიკითხე, რომლის შინაარსიც ჩემამდე აუდიტორიას დოქტორმა

რამდენიმე სიტყვით განუმარტა და განუცხადა: ამ ლექსის თარგმანს არ შემოგთავაზებთ და თქვენ თვითონ შეგიძლიათ მისი აზრი თვითონ ლექსის მუსიკაშივე მოიხელოთო.

მერე მე რა, თუკი ჩემი ლექსების თარგმანები მათ პოეზიაზე რაიმე ზეგავლენას მოახდენს? განა ჩვენ ამ მიზნისათვის ვშრომობთ?

თვითონ თქვენი ლექსების თარგმანთა შესახებ რას იტყობით?

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ჩემი ლექსები ფრაგმენტულად არის თარგმნილი ესპანურად, რუსულად, სომხურად, ფრანგულად, გერმანულად, ჰოლანდიურად, რუმინულად, თურქულად. იაპონურად ახლა იბეჭდება ციკლი “იბრაჰიმი ცეცხლში“. რამდენიმე წლის წინათ კი ზაგრებში სერბულად გამოიცა ჩემი რჩეული. წელს ორმოცდაათი ლექსის თარგმანი უნდა დაბეჭდილიყო ამერიკაში, მაგრამ რადგან მთარგმნელს, რომელმაც კრებულს ვრცელი შესავალი წაუმძღვარა, რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება შევახსენე, გამოცემა ცოტა გადავადდა. სხვათა შორის, ეს ლექსები შეტანილია სალტლიკი სითის უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამაში. წელს ჩემთან მოვიდა გერმანიის საელჩოს კულტურის ატაშე და ჩემი ლექსების რჩეულის გერმანულ ენაზე გამოცემის ნებართვა მთხოვა. ისინი აპირებენ, ირანელი მთარგმნელისა და გერმანელი პოეტის თანამშრომლობით, და რაც მთავარია, გერმანიის მთავრობის დაფინანსებით, ჩემი ლექსები ირანის საზღვრებს გარეთ გაიტანონ. გერმანიის მთავრობა კი გამოცემის ხარჯებსაც აფინანსებს და ასევე, წიგნის დაბეჭდვის შემდეგ, რომელსაც კერძო გამომცემლობა

ახორციელებს, მათი ქვეყნის მუნიციპალური ბიბლიოთეკებისათვის ტირაჟიდან 3000 ცალიც შეისყიდოს. წესით, კარგი საქმე უნდა გამოვიდეს.

საზოგადოებრივი ვალდებულებისა თუ ხელოვანის ვალის შესახებ ბევრი რამ უთქვამთ. თქვენი აზრით, ამ ორიდან რომელს ენიჭება უპრატესობა?

ეს ორივე რამ ერთი მედლის სხვადასხვა მხარეა. როდესაც ვამბობთ, “მოვალე ხელოვანიო“, ბუნებრივია, ვლაპარაკობთ იმ ადამიანზე, რომლის შემთხვევაშიც ჯერ ის უნდა იყოს დადასტურებული, რომ ხელოვანია. ძალიან ბევრს უცდია ან ახლაც ცდილობს, რომ ხელოვნებაში ადგილი საზოგადოებრივი ვალდებულებების აღსრულებით დაიმკვიდროს. მაგრამ რადგანაც ხელოვანის სათანადო ნიჭი არ გააჩნიათ, მათი ნაწარმოებები, საქმეში მათი კეთილი განზრახვების მიუხედავად, ვერ ბრწყინავენ. წარმოიდგინეთ რომელიმე დრამატურგი, რომელიც ცდილობს საზოგადოებრივი მისია თეატრის სამოსელში გამოაწყოს, მაგრამ რადგანაც მის ნაწარმოებს მიმზიდველობა აკლია და სუსტია, ასეთი ვინმეს ნაწარმოებებმა რა შედეგი უნდა მოიტანოს? საადის თქმის არ იყოს: “შენ თუ ყურანს ამ ყაიდაზე ჩააბუღებულე, მუსლიმობის ბაზარს მთლიანად გააქესატებ!”

სტუდენტებთან ერთად

რამდენადაც ვიცი, თქვენ დაახლოებით 62 წლისა უნდა ბრძანდებოდეთ. შეიძლება გკითხოთ, საზღვარგარეთ სულ რამდენი წელიწადი გაატარეთ? და აქვე მეორე შეკითხვაც: ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ბევრი ჩვენი მწერალი თუ პოეტი გადასახლდა უცხოეთში. თქვენ კი დარჩენა ამჯობინეთ... რატომ?




მთლიანობაში, საზღ

ვარგარეთ ალბათ 3 წელიწადი თუ გამიტარებია. მაგრამ ამ წლებს ჩემი სიცოცხლის ნაწილად არც მივჩნევ. იცით, სიმართლე რომ გითხრათ, უცხოეთში ცხოვრების ტვირთი ჩემს მოთმინებაზე უფრო მძიმე და აუტანელი აღმოჩნდა. მთელი ჩემი ფესვები აქ არის, რომელთაგანაც ჩემი განცალკევება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ნაჯახით ამომკვებენ. თუმცა, უთქმელადაც ცხადია, ფესვების გადაჭრის შემდეგ შტოსა თუ ნაყოფს რისი იმედიღა შეიძლება შერჩეს? ყვავილობა მხოლოდ ამ პატარა ბაღშია შესაძლებელი და ყოყნისი [\[10\]](#) ბარტყებს მხოლოდ ამ ბუდეში გამოჩეკავს. ჩემი სამშობლო აქ არის. სამყაროს ვუყურებ, მაგრამ მხოლოდ ამ გადასახედიდან. სხვები თავს დანარჩენებზე უკეთესად მიიჩნევენ იმის გამო, რომ სამშობლო დატოვეს. მე კი აქაური ვარ. ჩემი კანდელი აქ, ამ სახლში იწვის, ჩემი წყალი ამ კოკაში რაკრაკებს და პური ამ სუფრაზე მიდევს. აქ მე ჩემს ენაზე მესაღმებებიან და მეც იძულებული არა ვარ პასუხად: “ბონჟურ“ ანდა “გუდ მორნინგ“ დავუბრუნო!

სპარსულიდან თარგმნა გიორგი ლობჯანიძემ

ამონარიდები



ფორუყ ფაროხზადი, პოეტი:
“შამლუს ბოლოდროინდელ
ნამუშევრებზე ჩემი აზრი თუ
გაინტერესებთ, რაც, რა თქმა
უნდა, არც ისეთი
მნიშვნელოვანი მოსაზრებაა,
მაშინ უკეთესია თუ ვიტყვი, რომ
ეს არის შეჩერება! მაგრამ ვინ
რა იცის, ეგებ ხვალ იგი
უნინდელზე უფრო
ახალსუნთქვაგახსნილი
წამოდგეს და გზა გააგრძელოს.
მასთან დაკავშირებით
ყოველთვის არსებობს ეს
იმედი და თუ არც იარსებებს,

ამასაც აღარა აქვს უკვე მნიშვნელობა, რადგან მან თავისი
საქმე უკვე გააკეთა და საკმარისადაც გააკეთა!

აუცილებელი არ არის ადამიანი სიცოცხლის ბოლომდე
ლექსებს წერდეს. ამდენი კარგი ლექსის გამო, რაც
შამლუსაგან გვაქვს, საჭიროა მას სათანადო პატივს
მივაგებდეთ და მისი მადლიერნი ვიყოთ. მე აქ მის
ლექსებზე არც ვსაუბრობ. რა თქმა უნდა, ზოგ შემთხვევაში
არ ვიზიარებ მის პოეტურ გემოვნებას, მაგალითად,
საბოთთან დაკავშირებით... შამლუ ზოგჯერ აჭარბებს,
უსაზომობაშიც კი... მე ამ თვალსაზრისით მხოლოდ ორ
ადამიანს შევხვედრილვარ, რომელთა ლექსების
კითხვისას გამჩენია განცდა, რომ აქ საბოთი საერთოდ არ
იყო საჭირო. ერთი მათგანი აჰმად რეზა აჰმადია, ხოლო
მეორე – ბიჟან ჯალალი. შამლუ კი ზოგჯერ მთლიანად

ევროპელი ხდება. ასეა თუ ისე, მისი ადგილი ნიშნავს გვერდით და პოეზიის პირველ რიგშია. მე მიყვარს მისი პოეზია.“

მოჰამად ჰოყუყი, ლიტერატურის კრიტიკოსი:

ლიტერატურული სამყაროსაგან განცალკევება, პოეზიისა და პოეტების სიძულვილი, გარდასული ეპოქის მგოსანთა მიმართ გულგრილობა და ამის შედეგად, სპარსული ტრადიციული პოეზიის საბოლოო და ვერსიფიკაციულ საშუალებათა ვერფლობა გახდა მიზეზი იმისა, რომ შამლუმ შექმნა ბრწყინვალე ექსპერიმენტული ლექსები, რომელთაც თავი მოიყარეს მის კრებულში “სუფთა ჰაერი“. ძირითადად, სწორედ ამ მიზეზებმა განაპირობა ის, რომ შამლუმ სრულიად გაუკვალავ გზაზე შედგა ფეხი და თავისი პიროვნული გამოცდილებით, ხშირად შეიძლება, სრულიად ინტუიტიურად პოეზიის ახალი, სავსებით ორიგინალური ჰორიზონტები გადაშალა...“

ესმაილ ნური ალა, ლიტერატურის კრიტიკოსი: “შამლუ პირველია, ვინც შეძლო, საბოლოო უგულვებელყოფის პირობებში, თავისი ნაწერები პოეზიად შემოეთავაზებინა და ჩვენი ლიტერატურის ისტორია ამის მისაღებად დაეყაბულებინა. შამლუს გარეშე, ვერც ერთი ჩვენი თავისუფალი ლექსის პოეტი მოჰამად მოყადამიდან დაწყებული ჰუშანგ ირანიტი დამთავრებული, სოჰრაბ სეფეჰრიდან მოყოლებული ბიჟან ჯალალიმდე ვერ შეძლებდა საკუთარი შემოქმედება პოეზიად წარმოედგინა და აღიარება მოეპოვებინა.“

სიმინ ბეჰბაჰანი, პოეტი: “სიტყვების ბუნებრივი ჟღერადობის, მათი წკრიალისა თუ ჟრიალის გამოყენება, ჟღერადობითა თუ ხმოვანებით ურთიერთის მსგავსი სიტყვებისა და ფრაზების ადგილ-ადგილ მოკრება და

მომარჯვება შამლუს ლექსებში მხატვრულ ფანტასმაგორიად ყალიბდება. მაგრამ მხოლოდ სიტყვათა უღერადობა არ არის, რაც შამლუს პოეზიას ინდივიდუალურობის ტვიფარით აღბეჭდავს. იგი ახალი პოეტური ხატების, სივრცეებისა და თემების ძლიერი მონადირეცაა.“

მოჰამად რეზა შაფიყი ქადქანი, პოეტი, ლიტერატურის კრიტიკოსი: “შამლუ თანამედროვე სპარსულ პოეზიაში თავისი მაღალი ადგილის გამოც და ძველი ტრადიციებისა და კლიშეების მსხვრევაში გამოჩენილი სიმამაცის წყალობითაც, ასევე ყველაზე უფრო მეტად პოეტური მოღვაწეობის ხანგრძლივობის და საკუთარი პოეტური თუ პოლიტიკური გემოვნების სხვადასხვა გავლენას დაქვემდებარების თვალსაზრისით, საუკეთესო ნიმუშია იმათგან, ვისი ხელოვნებაც ყველაზე უფრო მკაფიოდ ირეკლავს იმას, თუ რა გავლენა მოახდინა ჩვენში ევროპულმა პოეზიამ.

თუ დღევანდელ სპარსულ პოეზიას შეუძლია, რომ თანამედროვე მსოფლიოში გავრცელებული პოეზიის გვერდით საკუთარი არსებობისა არ მოერიდოს, ეს სწორედ შამლუს თაობისა და პირადად შამლუს მიერ ევროპული პოეზიიდან მიღებული შემოქმედებითი გავლენების დამსახურებაა.

თვითონ შამლუ ამ საკითხს ორი განსხვავებული კუთხით აფასებდა. ერთი მხრივ, აღიარებდა, რომ ის ცვლილებანი, რასაც მისი პოეზია მისი არცთუ ხანმოკლე შემოქმედებითი ცხოვრების განმავლობაში განიცდიდა, სწორედ ამ გავლენებისა და ცოდნის შედეგი იყო. მეორე მხრივ კი, მის პოეზიაში, სადაც უნდა დაგედოთ ხელი და გეთქვათ, რომ

აქ მაიაკოვსკი გახსენდებოდათ, აქ ელუარი, არაგონი ან ლორკა, ძალზე აღელდებოდა ხოლმე და უარყოფდა.

სპარსული და ევროპული პოეზიის შეხვედრამ ჩვენთვის, ირანელებისათვის, ის შედეგი მოიტანა, რომ პოეზიის სივრცე შეიცვალა. ამიტომ ფუჭია იმაზე ლაპარაკი, რომ ესა თუ ის შედარება ან მეტაფორა ანდა ჰამლეტისა თუ პიგმალიონის პარადიგმის მოშველიება ლიტერატურული კლასიციზმის გამოვლინებაა. რა მნიშვნელობა აქვს, თუკი ნადერფური “კერპის მკვეთელის“ შინაარსს “პიგმალიონს“ დაესესხა ანდა თუკი შამლუმ ლექსში “ბოლო სიტყვა“ მაიაკოვსკის პოეზიის გავლენა განიცადა?!”

2. პოეზია

ბექა ახალაია

ყვითელი კარი

გიჟის თვალები უდაბნოა,
საიდანაც
არა ცხელი,
მწველი ნიავი,
არამედ არქტიკული სუსხი უბერავს...

ის იყო ჩემი მეზობელი
და ცხოვრობდა ქვედა სართულზე.
ყველა იცნობდა,
როგორც გამრჯეს,
ჩუმსა და კეთილს,
უთენია რომ სამსახურში მიიჩქაროდა,
და საღამოს ბრუნდებოდა პარკებით ხელში.

და ასე,
წლები გრძელდებოდა მისი სიჩუმე,
გრძელდებოდა
მისი გულთბილი გაღიმება მისალმებისას
მანამდე, სანამ ერთ გაზაფხულს,
უცხოეთიდან
არ ჩამოვიდნენ მისი ქმარი და ვაჟიშვილები.

ის პირველად მაშინ გაგიჟდა
(თუმცა სახეზე არ დატყობია),
როცა, ერთხელ, სამსახურიდან ადრე დაბრუნდა
და დაინახა:
მისმა ბიჭებმა
სისხლში აჭრილი კოდეინი
ჯერ მამას რომ გაუკეთეს,
მერე კი – თვითონ.

ის მეორედ მაშინ გაგიჟდა
(ოდნავ შეეტყო),
თვეების შემდეგ, მისი ქმარი
ზედობირებით რომ გაითიშა,
მისმა ბიჭებმა,
გაშავებულს,
ვენაში წყალი გაუკეთეს მარილიანი,
მერე კი მხრებში შეუდგნენ და დიდ ოთახში
წინ და უკან დაატარებდნენ,
თუმცა ამაოდ...

ის ქმრის სიკვდილმა კი არ გატეხა,
არამედ იმან,
რომ ასეთ დროს მისმა შვილებმა
მოქცევის წესი კარგად იცოდნენ.

მამის დამარხვის შემდეგ ბიჭებს,
როგორც ჩანს,
ფული შემოელიათ,
იოლი გზა იპოვეს და
დასასვენებლად გაკრეფილი მეზობლების
სახლებს მიადგნენ.
იპარებოდნენ აივნებიდან და
ეზიდებოდნენ ლეპტოპებს და ტელევიზორებს.

საბოლოოდ კი წაასწრეს და
ის ბუნაგიც აღმოაჩინეს,
სადაც ნაქურდალს ინახავდნენ,
მაგრამ საწყალი დედის ხათრით
არ უჩივლეს პოლიციაში,
ის მესამედ და საბოლოოდ მაშინ გაგიჟდა.
იგი სიკეთემ გააგიჟა,
ასეც კი ხდება,

რადგან ამას არ ელოდა
და არც უნდოდა.

ერთხელაც სახლში ავდიოდი
ნელა, დაღლილი.
საფეხურებზე დაეყარათ
გაუფცქვნიელი მზესუმზირები,
რომლებიც ფეხქვეშ ხრაშუნობდნენ.
კიბის ბაქნიდან
კარის ხმაური შემომესმა,
ახლაც არ ვიცი,
რატომ ვიფიქრე,
რომ ის იყო: ყვითელი კარი.

და არც შევმცდარვარ:
ჩამოვიდნენ ის ქალი და
მის იდაყვში ხელგაყრილი უფროსი ბიჭი,
რომელიც უხმოდ მომესალმა,
მან კი უბრალოდ შემომხედა,
და ჩამიარეს.

ეს კი აღმოჩნდა საკმარისი
მის თვალებში დასაკარგავად,
და დღემდე ჩემს თავს ვეძებ,
მაგრამ ვერ ვპოულობ,
რადგან, როგორც ჩანს,
მასში სუყველა დაიკარგა, ვისაც შეხედა.
განა ასე ადვილია
იმ სუსხიანი უდაბნოს
ჭრელ ბინადრებში
საკუთარი თავი იპოვო.

მომდევნო წელს,
ამაღლების დღესასწაულზე,

მან ფანჯარა გამოაღო,
შეშლილი მზერა ამაღლებულ ღმერთს ააყოლა
და ძირს დაეშვა...

მას შემდეგ კი ის ადგილი
ათასმა წვიმამ გადარეცხა,
ათასმა თოვლმა გაათეთრა,
ათასმა ქარმა გაირეკა
მოდარაჯე შეშლილი სული.
მაგრამ მე მაინც,
როცა მივდივარ,
შორიდან ვუვლი,
რომ ფეხი იქ არ დავაბიჯო,
სადაც დაეცა.

გუშინ, ეზოში, ჩემს გოგონას ვასეირნებდი.
იქვე, გზის პირას,
მან ველური ყვავილები დაკრიფა
და იმ ადგილზე მიმოაბნია...
როცა ქალმა,
ექვსი წლის წინ, თავი მოიკლა,
ჩემი შვილი დაბადებულიც კი არ იყო...

ვკითხე,
თუ რატომ გააკეთა.
მან მიპასუხა:
– ასფალტის გზაზე ყვავილები ხომ ვერ ამოდის,
და იქნებ უნდათ?!

მტრედების იონა

მთელი ბავშვობა ვოცნებობდი,
რომ გაფრენილიყვნენ
ჭიშკრის ბოძებზე შემომსხდარი თუჯის მტრედები,
ერთ ყალიბში ჩამოსხმულნი
და ერთ მხარეს მაცქერალნი,
აჩენჩილი საღებავი
ბუმბულივით რომ სცვიოდათ.

წარმოვიდგენდი,
როგორ მოიშორებდნენ შეზრდილ ფრთებს სხეულებიდან,
ერთმანეთზე რაკუნით შემოჰკრავდნენ
და გაფრინდებოვნენ...

ერთ დილით კი,
გაბაფხულის ერთ სურნელოვან დილით,
როცა ნიავი ტყემლის ყვავილებს ანებებდა
ფანჯრის სველ მინებზე,
ან იქნებ ბაფხულის მზიან დილით,
როცა სათევზაოდ მივიჩქაროდი,
ან იქნებ სულაც შემოდგომის სევდიან დილით,
როცა მერცხლის მიტოვებული ბუდე უნდა ჩამომენგრია,
ამ იქნებ სულაც ზამთრის ყინვიან დილით,
როცა თრთვილზე
ორთვლიანი ურიკა უნდა გამეგორებინა,
დერეფანში გამოვედი და ვნახე,
რომ ისინი მართლა გაფრენილიყვნენ.

მომდევნო ღამით
ჩემი მეზობლის ჭიშკრიდანაც გაჰქრნენ თუჯის მტრედები,
შემდეგ ღამით – მეორე მეზობლის ჭიშკრიდანაც,
შემდეგ ღამით – მესამე მეზობლის,

და ასე,
სანამ მთელი სოფელი მტრედებისგან არ დაიცალა.

მათ კვალს ვერავინ მიაკვლია,
სანამ მუნჯმა იონამ
შეკრებილ სოფელს ლულულით არ ანიშნა,
რომ მტრედები მან მოიპარა.

სთხოვეს იონას,
რომ დაებრუნებინა მტრედები,
იონამ თავი გააქნია.
მოსთხოვეს იონას,
რომ დაებრუნებინა მტრედები,
იონამ თავი გააქნია.
დაემუქრნენ იონას,
მაგრამ მან ისევ თავი გააქნია.
ბოლოს სცემეს იონა,
მთელი სოფლის კაცობა ურტყამდა,
თავიდან – ფრთხილად და მოზომილად,
რადგან იცოდნენ,
რომ იონას მუშტი ხარს წააქცევდა,
მაგრამ იონას ხელი არავისთვის დაუბრუნებია,
სახეზე მკლავებაფარებული იწვა და
გულისმომკვლელად ღმუოდა,
მხოლოდ მე მივხვდი,
რომ ტკივილი კი არ აღმუვლებდა,
იონა სწუხდა მის სისხლიან
დორბლში დამხვრჩვალ ჭიანჭველებზე.

შემდეგ იონა ტყე-ტყე და
ბუჩქნარ-ბუჩქნარ დაიპარებოდა,
რადგან გზაზე ყველა შემხვედრი
ლანძღავდა, სწყევლიდა,

აგინებდა და აფურთხებდა.
მხოლოდ მე მიხაროდა მისი დანახვა,
მან ხომ მტრედები ააფრინა,
თუჯის მტრედები,
განწირულნი სამუდამო უძრაობისთვის.
ღამით, ძილის წინ,
წარმოვიდგენდი კიდეც,
ჭუჭყიან და ათასგან დაკერებულ შარვალ-ხალათზე
ნისკარტით ჩაფრენილი მტრედები
როგორ დააფრენდნენ იონას ცაში...

თანდათან კვლავ შემოეჩვია იონა სოფელს,
თანდათან კვლავ შეეჩვია სოფელი იონას,
კვლავ იმეტებდნენ მისთვის სამადლო თუ
სანაცვლო ლუკმას,
ოღონდ ამჯერად ღიმილნარევ დაკითხვას უწყობდნენ:
“– ჭამე, იონა, ოღონდ თქვი, სად წაიღე მტრედები?!”
“– ჩასკდი, იონა, ოღონდ ამოალაგე, სად გაყიდე
მტრედები?!”
“– ხეთქე, იონა, ოღონდ ამოღერღე, სად გადაყარე
მტრედები?!”

მე კი სულ მიკვირდა,
რატომ არავის მოსდიოდა აზრად,
რომ იონამ მტრედები უბრალოდ გაუშვა.
აკი, ასეთი დაკითხვების დროს,
მარჯვენა ხელში
ლობიოში ამოვლებული მჭადის ნატეხი,
ხოლო მარცხენა ხელში
საჩვენებელ თითზე დახვეული
მწვანე ხახვი უშეშდებოდა იონას
და ცას მიშტერებოდა
გაბრწყინებული თვალებით...

დრო გადიოდა,
ვიზრდებოდი მე
და ბერდებოდა იონა,
თმა და მუდამ გაღელილი პერანგიდან
ამოჩრილი ბალანი
მთლიანად გაუჭაღარავდა,
მაგრამ ჯანი ძველებურად მოსდევდა:
ერთ სადილად დაგიბარავდა საყანე მიწას
და დაგიპობდა რამდენიმე კუბურ მეტრ შეშას.

ყველასთვის ისევ:

“მახინჯი იონა”,

“ტურტლიანი იონა”,

“ფეხშიშველა იონა”,

“ლაყე იონა”,

“ნაბუშარი ონა” იყო...

ყველას მიავიწყდა თუჯის მტრედეები,
მაგრამ ჩემთვის ის მუდამ “მტრედეების
იონად” დარჩა.

ხოლო ერთხელ,

მის თმასავით თეთრი ზამთრის სუსხიან
დილით,

იონა ვიღაცამ ნახა:

დედის საფლავზე

ემბრიონის პოზაში გაყინულიყო.

როცა დედამისის საფლავის გვერდით

მისთვის სამარეს ვთხრიდით,

თუჯის მტრედეები ვიპოვნეთ.

ვიღას სცხელოდა მათთვის,

ვის რათ უნდოდა,

ზოგს ამ ხნის მანძილზე

ახალი მტრედეები შემოესკუპებინა
ჭიშკრის ბოძებზე,
ზოგს კი დამაგრება ეზარებოდა,
ამიტომ არც ამოგვიღია,
კუბო თუჯის მტრედეებს დავამარხეთ.

იონას,
“ჩემს იონათანს”,
როგორც დედა ეძახდა თურმე,
ადრე თუ მტრედეები ცაში დააფრენდნენ,
ახლა მის კუბოს იჭერდნენ სუსტი მხრებით,
რომ უძირო უფსკრულში არ დანთქმულიყო.

სუპერმარკეტის დაცვის ბიჭის სიმღერა

დრო აქ არ არი, სხვაგანაა, დროის მიღმა ვარ,
არც დასაწყისი გააჩნია, არც დასასრული,
თითქოს ჯემია, უვარგისი, ვადაგასული,
რო ჩამოვარდა ამ დილით და რო დაიღვარა,
და რო მოწმინდა მობუზღუნე დამლაგებელმა,
და ისე გაქრა, თითქოს ქვეყნად არც კი ყოფილა,
და სულ ცოტა ხნით იარსება, როგორც პეპელამ,
2. წაიღო ნაგვის კრემისფერმა ავტომობილმა.

ამასობაში ჩემს რაციას ტუჩზე მივიდე:

ცენტრი, ოთხი ვარ, ობიექტზე არი სიმშვიდე!
დიახ, დრო მოკვდა, გაარიდეს აქაურობას,
დასაბამიდან ლავასავით ჩემკენ დაძრული,
ამ კედლებით და ვიტრინებით შემოსაზღვრული
მე ვდგავარ, როგორც უკბილო და ძველი ხუმრობა.
მხოლოდ სივრცეში დავტივტივებ და უძილობით
ამომწვარ თვალებს გავაყოლებ ქალის უკანალს,
და მომანოდა კოვზით, როგორც ნივრის სიროფი,

4. მისმა მხლებელმა მამაკაცმა უხმო მუქარა.

რაციით ხელში, თავდახრილი, მივდი-მოვდივარ:

ჩემს ობიექტზე სიმშვიდეა, ცენტრი, ოთხი ვარ!
ვჯდები ხანდახან და ვკითხულობ ყვითელ ჟურნალებს,
ვეცნობი ვინ ვის დაშორდა და ვინ მოიყვანა,
ეს ჭორიკანა როგორ ლანძღავს იმ ჭორიკანას,
ვეცნობი ფულით ავადმყოფებს და მათ მკურნალებს.

არადა მათი ნახევარი ფული რო მომცა

და რო ჩავაგდო ცხოვრებაში ყველა დუპლეტი,
და რო არ ვიყო ისე მშრალზე, ახლა როგორც ვარ,

6. ბეცასთან ალბათ უფრო ხშირად ვისაუბრებდი.

საათში ერთხელ ჩემს რაციას პირზე მივიდე:

ცენტრი, ოთხი ვარ, ობიექტზე არი სიმშვიდე!
ის (ღმერთი – ბ. ა.) არც უკრავს და არც მაკვრევინებს,
დაუკრას მაინც, მის დაკრულზე მეც რო ვიცეკვო,
მე ჩემს მოსაწევს მაინც მოვწევ იმ პლანს, იმ წეკოს,
უბრალოდ ვბრაზობ, რო უმართლებთ ვილაც დებილებს.
მე მათ ვაგზავნი ჯანდაბაში, თანაც ახლავე:

ჯანდაბას ყველა ფაშისტი და ყველა ზეპური,
ახლა და ამ წამს მე ის უფრო მაღარდ-მახარებს,
8. ჩვენ მოლარეზე ძლიერ რო ვარ შეყვარებული.
სექციებს შორის, მოწყენილი, მივდი-მოვდივარ:
ჩემს ობიექტზე სიმშვიდეა, ცენტრი, ოთხი ვარ!
თვალეებს ველარ ვწყვეტ, როცა ზის და მავან
კლიენტებს

ემსახურება, ვუცქერ და რა დასამალია,
თვითონაც ხვდება ამ ყველაფერს (მაინც ქალია),
მაგრამ ნუგეშად სიტყვასაც კი არ გაიმეტებს.
ამ სიყვარულზე ალბათ ლექსიც დაინერება
ვინმე პოეტი რომ მნახავდეს ასე ფრთებგაშლილს...

მაგრამ რა ვუთხრა ამ ხანმოკლე ბედნიერებას,
10. რომ ის (მოლარე – ბ. ა.) არის დილის სმენაში
(უკვე დრო არი, ჩემს რაციას ტუჩზე მივიდებ:
ცენტრი, ოთხი ვარ, ობიექტზე არი სიმშვიდე!),
სამზე მიდის და მთელ მარკეტში წვება წყვილიადი,
და დროსთან ერთად გამქრალია სივრცის ნაკვთები,
და იცინიან ნაბობვარი კონსულტანტები.

მე ველოდები, როდის მოვა ეს განთიადიც,
რომ დილით ისევ, სანამ სმენა დამიმთავრდება,
ერთი საათით ვუყურო და მერე წავიდე,
როცა დრო ისევ ცოცხლდება და ათი გახდება,
12. მოდის შემცვლელი, მე ფეხს ვითრევ, ვითვლი
ნაბიჯებს.

ხოლო მანამდე, თავდახრილი, მივდი-მოვდივარ:

ჩემს ობიექტზე სიმშვიდეა, ცენტრი, ოთხი ვარ!
დიახ, ამ ქვეყნად რა გამოლევს ფაშისტ დებილებს,
ისინი აქაც შემოდინან ყოველდღიურად,
ჩემი მოლარე მათ მიცემულ მსხვილ კუპიურას
გამომიწვდის და მეტყვის: “დაცვა, დააშლევინე!”
და მე მივქრივარ, თითქოს მიმაქვს მნიშვნელოვანი
შეტყობინება, დავეცემი, ვდგები და ვცდილობ
(ვერ შემაჩერებს გზა ვიწრო და ვერცა კლდოვანი),
14. რო დედამინა კატასტროფას გადავარჩინო,
და განათებულ კაბინეტში ფიცხლად შევდივარ
 (“კავშირზე გამო, მშვიდობაა?! ოთხი, ცენტრი ვარ!”).
ის (დირექტორი – ბ. ა.) სეიფს გამოაღებს და
დაშლის, ვერ ვხვდები რატო ვძულვარ ასე ძალიან,
თითქოს რაც ხდება ქვეყნად ცუდი, ჩემი ბრალია,
არადა ჩუმად და მორჩილად ვდგავარ კარებთან.
აღბათ მას მერე ველარ მიტანს, შუალამისას
რო წამომადგა, შვილთან ერთად, სკამზე მთვლემარეს,
ათასში ერთხელ მესაღმება, გარდა ამისა
16. ისე მიყურებს, თითქოს იყოს ძველი მევალე.
ღამდება, მე კი მოწყენილი, მივდი-მოვდივარ:
კი, მშვიდობაა ობიექტზე, ცენტრი, ოთხი ვარ!
საათი მითვლის ნაბიჯებს და საათს მევუთვლი
წამებს, დახლებმა, სექციებმა ისე დამლაღეს,
რო არც ვდარაჯობ, მარკეტის წინ, ავტომანქანებს,
არადა თითო მანქანაში ლარი მეკუთვნის.
ვსვამ “ჰეინეკენს”, რიჟრაჟია, ცოტა შევთვერი,
ღირსი ხართ, მაგრამ ადამიანს მაინც ვერ ვესვრი,
ხოდა, მივდივარ სამუდამოდ, რადგან მე თქვენი
18. ორასი ლარის მათხოვარი დედებს შევეცი!

ნატო ინგოროყვა

სადგურებს შორის

არის ამბავი,
რომელიც დიდი ხანია თან დაგაქვს.
გრძნობ, სულ მცირე რამ სჭირდება,
რომ დაინეროს.

არის მოგონება,
რომელიც უკვე აღარაფერი უშლის ხელს,
რომ სხვებსაც მოუყვე.

არის ადამიანი,
რომელმაც შენი გაცინება შეძლო,
ფიქრში შემოგეხიდა და არ გინდა, სხვებს გააცნო.

არის მარად გამოსაყენებელი წინადადებები
რომლებსაც მაშინ ვამბობთ,
როცა გულგრილობას ვმალავთ.

არის ცხოვრება,
სიცოცხლის შემდეგ რომ გეფიქრება –

რას დაიმახსოვრებენ შენგან,
როგორ გაგიხსენებენ,
როცა ოჯახიც დაადასტურებს, რომ ცნობა
შენი გარდაცვალების შესახებ – ნამდვილია.

რუკა. საათები.

ეს ლექსი,
უფრო მკვეთრი კონტურებით
შემოსაზღვრულ ამბავზე უნდა დამეწერა –
თუნდაც – სამშობლოზე.

ეს ლექსი,
თავდაყირა ამბავზე უნდა დამეწერა.
როცა პირველად აღმოვაჩინე,
რომ სიტყვები წაღმა-უკულმა
ერთნაირად იკითხება.

ეს ლექსი,
ფეხის წამოკვრაზე უნდა დამეწერა,
შეცდომების მელოდიით და რიტმით.
დაემსგავსებოდა გადახაზულ სიტყვას,
გადაგდებულ ფაილს,
დაჭმუჭნულ ფურცელს.
მაგრამ
სიფხიბლე ძილში გავცვალე,
მხოლოდ საათის ხმა მახსოვს,
რომელიც არ დაიღალა წრებზე სიარულით.

სარეცხის და ბედისწერის

ჩემს ქალაქში სარეცხს
დღესაც თოკებზე ფენენ და
ქალაქის ბინადრებს
გვაქვს დღეები და ამინდები,
როცა სახლის კარს
ნებით ვაღებთ და გამოგვაქვს კაბები და პერანგები,
რომ მზემ თავისი წილი ამბავი ამოაშროს,
ზოგიც – გაახუნოს.

ჩემს ქალაქში
არის უიღბლო ამინდებიც სარეცხისათვის,
როცა უცაბედი ქარი
ტანსაცმლის სახელოებს ამოავსებს,
ჯერ ერთ სამაგრს გამოაცლის, მერე – მეორეს
და სხვის ებოში გადააფენს.

ჩემი ქალაქის ბინადრებს
გვაქვს სარეცხიც,
რომელსაც არასდროს გამოვფენთ გარეთ
თუ შემთხვევით
ქარიან ამინდში ღიად დარჩენილი ფანჯრიდან
მუცელგამობერილმა ფარდამ
არ გამოიტანა მათი ამბავი და
არ გაგვცა.

სიტყვებზე და შეუძლებელ ამბავზე

ერთხელ სიტყვებზე უნდა დავწერო,
ბაგეებიდან რომ დამცვივდა,
უხერხულობისგან თავდასახსნელად
სხვა სიტყვების ძებნა მაიძულა და
მაინც შერცხვენილი დამტოვა.

ისეთ სიტყვაზე უნდა დავწერო,
როგორიცაა „არაფრის“ –
მადლობის პასუხად რომ ვამბობ,
ვალს ვიხდი და ვალში ვრჩები.

პირგამეხებაზე უნდა დავწერო,
ყელში გაჩხერილი სიტყვების გემოზე,
ტუჩებს შორის რომ ვერ გამოიცრა,
ზედ შემეყინა.

შეუძლებელ ამბავზე უნდა დავწერო,
როცა ვყვები გამოგონილ შვილზე,
ხმა გაორდება, ზოგჯერ შუაზეც გამეპობა.

და მახსენდება:

როგორ აკანკალა ხეს,
როგორ შეიფერთხა წვიმის წვეთები,
ფოთლები მზისკენ გადახარა და
ქარს ნება მისცა, კვალი გაევლო.

სამშობლო ალუბლის მურაბით

კატია ვოლტერსს

ასეც ხდება, მეგობარო –
შეიძლება, სამშობლო გაგიუცხოვდეს,
გითხრას, რომ შენი ნაბიჯებისთვის
მეტისმეტად უსწორმასწოროა და
რუკაზე თვალით სხვა ქვეყანა გაძებნინოს.

ასეც ხდება, მეგობარო –
შეიძლება, მეორე სამშობლომაც მიგატოვოს,
მაგრამ არ გატეხოს ფიცი –
„ვიდრე სიკვდილი არ დაგვაშორებს“

(განა მინა მართლა კეთილია?
– იცის, ოდესმე ისევ ჩაგვიბრუნებს,
ამიტომაც გვაპურებს).

შეიძლება, სამშობლო
ალუბლის მურაბის ქილაშიც ჩაატიო
და მარცვალ-მარცვალ გამოიზოგო.

ისიც შეიძლება,
ჩვენი სამშობლოდან
დაბადების დღე ასე მოგილოცო –

Schwarzwald-ი გამოგიცხო,
ალუბლის მურაბით მოგირთო,
რომელსაც, თავად ვნახე,
ხარშვისას როგორ უდუღდა გული.

ომის საუბმე

მე ვნახე კაცი,
რომელმაც ნახა ომი.

ნახა და თქვა:

სიკვდილს გამოვასწარი და
ოჯახი შევატოვე.

ისინი საუბმობდნენ.

საუბმობდნენ და
დღის საქმეს ინანილებდნენ.

სწორედ ამ დროს
ჩამოინგრა ცა,
ჩაიტანა სახლი და
ჭურვმა მწირი საუბმე
მათი სისხლით და ხორციით გაამდიდრა.

დავრჩი პირგამშრალი.

სიტყვები, რომლებსაც ვამბობ –
მე არ ვარ.

სიტყვები გაოცებული მისმენენ.

ნუ მოხვალ ჩემთან,
ნუ მკითხავ მათზე,
არ მინდა იცოდე –
როგორ გადავყლაპე
და მოვინელე.
არ მინდა იცოდე,
მიწა რომ ვკორტნე,

დავმარხე და
მარტოობას დავტირი.

ნუ შემახსენებ! –

თქვა ყველაზე გრძელი,
თითქმის უსასრულო წინადადება –

სიჩუმე.

ნიკა ლაშხია

განკითხვის დღე

როცა მკვდრები აღდგებიან,
როცა ხორცს მოისხამენ და თვალებში სინათლე
ჩაუდგებათ,
როცა ერთმანეთის დაბეზლებას დაიწყებენ,
როცა გაუკვირდებათ ერთმანეთი...
დადგება ღმერთი რომელიმე მთის რომელიღაც ლოდზე
და დაიწყებს ამოცნობას,
თუ ვინ არის მართალი და ვინ – დამნაშავე.
ღმერთი იქნება მონყალე და ყრუ.
ისინი ისაუბრებენ თვალებით,
ცოდვილებს ცრემლებით ამოიცივებენ,
ცრემლებით, რომელსაც შიში მოისხამს.
აღზევდებიან მართლები სამოთხესა შინა,
განამდებიან ცოდვილები ჯოჯოხეთის ცეცხლში,
რადგან ვერ ისწავლეს მორჩილება.
ვინ იცის, იქნებ მათი ბედიც სადღაც გადაწყვეტილი იყო
წინასწარმეტყველთა მიერ,
როგორც ქრისტეს ბედი,
როგორც იუდას ბედი,
როგორც ბარაბას ბედი,
როგორც პილატეს ბედი.
საინტერესოა, სად იქნება ღვთისმშობელი განკითხვის
დღეს,
როცა მკვდრები აღდგებიან,
ხორცს მოისხამენ და თვალებში სინათლე ჩაუდგებათ.

როკ-ენ-როლი

ღმერთო, გააცოცხლე ელვის პრესლი,
მისი გადარეული მანერებით
და საოცარი ვოკალით, დიდხანს აცოცხლე!
შეუყენე რომელიმე ტაძრის სამრეკლოს,
რომ როკ-ენ-როლი დაუკრას.
თორემ მრევლს მობეზრდა დოგმები!

ღმერთი იცინის

თითქოს თვალებში მზე ამემღვრა, ამოვპირქვავდი.
მიწას ვენიე, გამგელებულს და დაგეშილს ადამიანის
სხეულზე.

– ღმერთი კი ამ დროს იცინოდა.

წამმა, რომელმაც მომაბრუნა, მისი ხმა იყო, მისი ხმის ექო,
მთებგამოვლილი, ზღვებგამოვლილი.

მე, ევასავით ფეხშიშველმა, ვიგრძენი, რომ ამოვისუნთქე.

– ღმერთი კი ამ დროს იცინოდა.

დრო იყო გაქცევის, ან თავბრუსხვევის, მე სიყვარული
მემართებოდა!

აი, ზუსტად მაშინ, როცა თვალებში მზე ამემღვრა,
ამოვპირქვავდი,

მიწას ვენიე გამგელებულს,

მაგრამ ყველაფერი სხვაგვარად უნდა ყოფილიყო,
ცას უნდა ვწეოდი სიხარულით!

– ღმერთი ამ დროს იცინოდა.

ცა მიყურებდა, როგორც მდინარეს.

რომელმაც ჭებირები დაიგუბა, დაიგუბა და ადიდება
დაიწყო,

მაგრამ ვერ შეძლო კლდეების ხეთქვა, ხეების ჩამორეცხვა,
სადღაც ცრემლივით ეპარებოდა ძალა, რომელმაც
ულალატა.

– ღმერთი კი ამ დროს იცინოდა.

იქნებ ქარი ამოვარდეს, მომარიდოს ამ უსიერი ტყის
ექოებს,

ასეთი არ არის სიყვარული,

სიყვარულს არაფერი ესმის,

გარდა იმისა, რასაც ამბობს, რასაც მღერის, რასაც

გატყუებს!

– ღმერთი კი ამ დროს იცინოდა.
მე შევაბიჯე ფეხშიშველმა ზღვასავით ველზე,
ცვრიან ბალახზე არ ანთებულა მამული,
არც კურთხეული მიწის მადლს შევუპყრივარ.
უბრალოდ ვგრძნობდი, რომ მივდიოდი
ლელვის ფოთლების მოსაძებნად.

– ღმერთი კი ამ დროს იცინოდა.
იქნებ ეს არის სიყვარული,
აი ეს, როცა ბჭობ და ღმერთი იცინის.
შუაგულ ღამეში ლექსს ვწერდი.

– ღმერთი კი ამ დროს იცინოდა.

სამარშრუტო ტაქსის მძღოლს

რა კარგი იქნება,

ერთ მშვენიერ დღეს გაიღვიძო და პოეტი გახდე.
წერო იმ ადამიანებზე, ვინც უკანასკნელ ხურდას
გაძლევდნენ.

ვინც ფეხზე იდგნენ უჰაერობაში და ითმენდნენ,
რათა მალე მისულიყვნენ სახლში.

წერო იმ ხალხზე,

რომლებიც ფულს არ იხდიდნენ და არც მადლობას
იხდიდნენ ჩასვლისას.

წერო მძღოლებზე,

ვისაც გზას ეცილებოდი, ან გასწრებდნენ, ან უკან
იტოვებდი

და სიგნალით გიკლებდნენ.

წერო სტუდენტებზე, რომელთა თვალებში იმედი იდგა,
იმედი იმისა, რომ ოდესმე თავიანთი მანქანით ივლიდნენ,
უკეთეს გზებზე, უკეთეს საქართველოში.

წერო იმ ილღიანებზე, რომლებსაც სუნით ცნობდი.

წერო სუნზე, რომელშიც გაზავდი და ვერაფრით იშორებ.

წერო პოტენციურ მგზავრებზე,

რომლებიც ხელს გიქნევდნენ, თითქოს გცნობდნენ და
უხაროდათ შენი ნახვა.

მათთვის ყოველთვის 125 ნომერი იყავი.

წერო პატრულის თანამშრომლებზე,

რომლებიც მარადიულად გაჯარიმებდნენ,

შენც მარადიულად იხდიდი ჯარიმებს, როგორც პატიოსანი
მოქალაქე.

წერო ხერხემალზე, რომელიც გტკივა.

წერო ხელფასზე, რომელიც გეცოტავება,
მაგრამ ხმას არ იღებ,
რადგან მთავრობამ ქამარი მოიჭირა, შენ ღვედი.
წერო ბენზინგასამართ სადგურზე, სადაც ყოველთვის
გაკლებდნენ ბენზინს.

წერო გიორგი სააკაძეზე,
რომელსაც, ვერც მოთვლი, იმდენჯერ შემოარტყი წრე.
წერო წმინდა გიორგის ქანდაკებაზე,
რომლის ქვეშაც აუტანელი ხმაურია.
წერო ქართლის დედაზე, რადგან მასზე ყველა წერს და
მღერის.

როცა ამ ომში ჩაებმები, მიხვდები, რომ კიდევ ბევრი რამ
გაქვს საწერი,
მთავარია, ერთ მშვენიერ დღეს პოეტი გახდე.

ფეისბუქ ამბები ჰაიკუებში

* * *

ქავერზე ფოტო შეცვალა,
მაგრამ პროფილზე იგივეა,
როგორც მაშინ, როცა პირველად მივწერე.

* * *

ავდექი და თავი პარიზში დავითაგე,
ლაიქებმაც არ დააყოვნა.
– ჩემთან სოფელში ინტერნეტი შემოიყვანეს.

* * *

წლებია ვაკვირდები,
დღეში ასი ფოტოს დადება შეუძლია,
მარტოობა კი ყველგან ეტყობა.

* * *

ზოგჯერ ისე შიშვლდებიან,
ადეკვატურია რეაქცია.
თავს ვიკავებ და ლაიქს ვჯერდები.

* * *

სტატუსებში უფრო თამამია,
ვიდრე ცხოვრებაში.

* * *

ღმერთო, დალოცე ფეიქები.

* * *

დასინჯის მადლით შეპყრობილმა
ფოტო დამილაიქა,

ვერაფერს იტყვი.

* * *

ყველა ერთნაირები ვხდებით
როცა მიწისძვრაა.
...თქვენც იგრძენით?

* * *

სანამ შევხვდებოდით,
იმდენ კოცნას მიგზავნიდა, რამდენსაც მე.
როცა შევხვდით, სიშორე მომინდა.

* * *

ვდებ სტატუსს,
მაშასადამე ვარსებობ.

* * *

თოვლი დადო და
ფოტო დადო.

* * *

ნიკოლოზობის დღესასწაულზე
თავს წმინდანად ვგრძნობ.

* * *

როცა ნუდების გამოგზავნა ვთხოვე,
ადგა და ძმა გამომიგზავნა.

* * *

მეგობრობის თხოვნა გავუგზავნე,
დღემდე ფიქრობს.

* * *

არ არის სტატუსი –
არ არის პრობლემა.

* * *

სევდაა,
როცა ორი დღის გაუხნელ ფეისბუქზე შეხვალ
და არაფერი გხვდება.

* * *

ღამის ოთხ საათზე
მხოლოდ შოთა იათაშვილი ენთო.
ავდექი და ლექსები გავუგზავნე,
ისიც ადგა და “ახალ საუნჯეში” დაბეჭდა.

* * *

ახალ წელს ყველას ნაძვის ხე ზეპირად ვიცი,
ისიც ვიცი, რომ სხვებმაც იციან.

* * *

არიან ისეთებიც:
მისწერ – როგორ ხარ?
მოგწერს – კარგად.
მეტი არაფერი.

* * *

როცა ფოტოებს მილაიქებენ,
ვგრძნობ, რომ ვახსოვართ.

* * *

ჩემი ქალაქის მერი
ისეთი პოპულარობით სარგებლობს,
რომ თავის სტატუსებს თვითონ ალაიქებს.

* * *

იყო პერიოდი,
ენ-ბი-აი და ზაზა ფაჩულია მესიზმრებოდა.

* * *

უფრო სიხარულობს ჩემი სიხარული
შენ რომ აზიარებ, ის რომ აზიარებს.

* * *

ცხოვრებაში არაჩვეულებრივი მეგობრები ვართ,
ფეისბუქზე დაბლოკილი ვყავარ.

თეონა კომახიძე

*** * * (ისინი ამბობენ სიტყვებს...)**

ისინი ამბობენ სიტყვებს
რომლებსაც ამოჰყავთ ემოცია საკუთარი თავიდან
ისინი მშვენიერები არიან
სარკიდან იწოვენ საკუთარ თავებს და ჭამენ
ახლა ეს სახლი დასჯილი სიჩუმეა
როგორც ბღვისგან გარიყული თევზი
უცნობ სანაპიროზე
სადაც ანგელოზები ტეხენ ნიჟარებს
და მოძვრებიან სიცოცხლის ძაფისკენ
მათი ხელები შაქარყინულივით თეთრია და ცივი
და რცხვენიათ იმის გამო რაც არ ჩაუდენიათ
და ბოდის იხდიან
რადგან არიან პატარა
შიშველი თევზი-ადამიანები
აკვარიუმში.

*** * * (ქარი მაშხეფებს სიბნელეს და მის თაიგულს...)**

ქარი მაშხეფებს სიბნელეს და მის თაიგულს
ხელისგულზე გავიშენებთ
ავტომობილმარცვლებო თქვენც სადაცაა
აღმოცენდებით
თქვენ ჯიბის დანის ერთი დაკვრით
ზამთარს ჩამოჭრით საშანდლიდან
მას უბოროტეს ფიქრებს ვასხურებთ
მარგალიტს ვთესავ საკუთარ თმაში
ნაყოფად იღებს
დაშაქრულ კრიალოსანს ჩემი სიტყვების
თოვლმარცვლებო
თქვენ წამოეგეთ სიბნელის ნაწნავს
მარტოები ხართ და
მიგიძღვებით ჩემი სიზმრისკენ
სადაც ვერ შეძლებთ ძალადობის ბურთებით თამაშს

*** * * (განათდი...)**

განათდი

წამონეჟი თმახალიჩებზე

სადაც უსკდებათ ბგერებს აპკები

მათ ადიუტანტებს სელაპის კანის კაბა აცვიათ

და ფრიალებენ ამ კაბების კარიბჭეები

შენ დგახარ პარკისებრ ნისლში

შენ ჯერ კიდევ მიცოცავ ოქროს ყინულზე

და შეკრული გაქვს სახის ნაკვთები არამკერდით

არაკერტებით

*** * * (საათობით ვუყურებდით...)**

საათობით ვუყურებდით
ბავშვის ჩანასახს მთვარეში
ცისარტყელების საგამოფენო დარბაზის მსგავსად
იქამდე სანამ ვულკანივით ამოხეთქა მისმა სიტყვამ
და მერე ალაპარაკდა ქვედა ტანით
მარწყვის ტუჩით
აკანკალდა
თვალები დახუჭა და მის გარშემო ნისლი მოიკრიბა
რომელსაც მადიანად ჭამდა
როგორც პლასტმასის უხერხემლო შენადნობებს

*** * * (ჩვენ მას მივენდეთ...)**

ჩვენ მას მივენდეთ
ვინც სინათლე დახნა
ვინც ყვავილნარი გაკაფა
და თევზები დარგო
შემოგვიარე დროის წისქვილში
სუფრას გირთავ მეტეორებით
ღვინისგან ბავშვი გამოვხადე
ის წითელია და აბრეშუმის
ეს დღეა მისი თავშესაფარი
ის ხვალ გასკდება
და განახლდება კვამლის ფესვებში

*** * * (ეზოებში ანთია მათი თვალები...)**

ეზოებში ანთია მათი თვალები
თევზები კვდებიან და ვერცხლს გამოყოფენ
მინდა შევაკეთო მათი სიცოცხლის
ვენტილაცია
ქარში ვართ
შენი აყვავებული ორგანოები
გვიერთდებიან
გაარაფრდი და განვაგრძობთ გზას

*** * * (თხევად იდეებთან სათავეს იღებს მშვიერი ბავშვი...)**

თხევად იდეებთან სათავეს იღებს მშვიერი ბავშვი
სისხლი ჩაბრუნდება მასში
ხელმეორე, გაანჩხლებული ეფექტით
თავიდან დაიბადება ლაკმუსის იისფერ ხსნარში
და ნაჯახების თოვაში
გააგრძელებს სვლას უკუსვლისკენ

*** * * (მე მოვკალი მეგობარი...)**

მე მოვკალი მეგობარი
რომელთან ერთადაც რწმენის მდელოზე აღმოვცენდი
ის ამბობდა სიტყვებს
მეთანის მცირე ამოფრქვევებს
ბავშვის პირით
და სიზმრებს ფრთოსან თევზებს უყოფდა.
მე ვგრძნობდი
და მე მიყვარდა.
შენ არ გახსოვარ.
ის ვარ შუქნიშნად რომ იქცა და
კიდევ ის, თეთრ ფილმზე რომ გიყვებოდა
გამადიდებელი შუშის სათვალით.
ჩვენ ვიპოვეთ ხსნის გზა,
ჩეხეთში, პატარა სოფელ დომაჟლიცეში,
სადაც შენთან ერთად გადავაგდე ნარკოტიკი და
გრაფიტი,
ვიზუალ არტი და ლენდ არტი,
სადაც დავივიწყე.

*** * * (მისი ღიმილი გადაიქცა ოქროს კარიბჭედ...)**

მისი ღიმილი გადაიქცა ოქროს კარიბჭედ
ის უკვე მზადაა
ღმერთის გაშლილ ხელებზე დასახტომად
უკვე გამოძვრა ხმაურის გრძელი გვირაბიდან
მისი სახიდან სიზმრები მორბიან
შესაძლოა მას ებრალება
ყველაფერი რაც ეგონა და რაც არ არის
შესაძლოა ის გავიდა ქუჩაში ანთებული ნათურით
ხელში
რომელშიც ელაგა ნაირფერი ვარსკვლავების
მთელი აღლუმი
ან ჰქონდა მიზანი
რომელმაც ხანგრძლივი ჰიბერნაციის შემდეგ
ყინულში ფესვი გაიდგა
და სწორედ ამან შექმნა მისი პიროვნება

*** * * (ფარდებით დასახლებულ სამყაროში...)**

ფარდებით დასახლებულ სამყაროში
უჯრედების მაცივარი
განადგურების მადა
სისხლის ცოცვა ან თუნდაც ბნელი წიაღი
ციცაბო ქარის
შეიყვარე ის
ვინც გაიშვერს ხელს შენს მოსაკრეფად
გზას გაიკვალავს
დააზიანე
ეს ქუჩა ეს უღიმღამო მოძრაობის
მთელი ალღუმი

*** * * (ჩემს სიზმარში ისინი ვარდებად იქცნენ...)**

ჩემს სიზმარში ისინი ვარდებად იქცნენ
ისინი გახმნენ, ისინი გაქრნენ
მე კი ვუსმენდი შედედებული სინათლის ჩურჩულს.
რძეს ვსვამდი,
რომელიც მოულოდნელად დილად იქცა,
სადაც შენი თვალები გაიწვია როგორც მდინარე
სადაც მე თავიდან აღმოვაჩინე,
მოგონებები, ჩემი თათბირის განუყრელი მონაწილენი.
ყველამ იცოდეს,
თქვენ ფსონი დადეთ არასწორ ცხენზე.

*** * * (შენობა ვიყავი საკუთარ სიზმარში და ვტრიალებდი...)**

შენობა ვიყავი საკუთარ სიზმარში და ვტრიალებდი
სხეულის ნაწილებს ვიფლეთდი
მე ვნახე გამოშიგნული თევზი-სერაფიმები
გონებიდან წარსულის რეაბრაზიის მრავალჯერადი
მცდელობით
ობობაიეროგლიფები, რადიონათლისებათა სიკაშკაშე
ბაყაყისხორხიანი მოქალაქეები,
დაბრეცილი ფანჯრებიდან გამოპარული შუქების
თავისუფლება,
რომლის მომცრო ნაგლეჯებზე ბავშვები დარბიან
კალუბურ წყლულთა წარმოუდგენელი კლდეები,
სიცარიელე
აბსოლუტური სიცარიელე
ჩაკეტილი და დაბეთილი ორგანოები
მე ვნახე სამუდამოდ ჩაკეტილი სახეები ბრბოში
მათ მიღმა ჩვენ ვისხედით სამუდამო სიზმარბარში
რომლის ზღვაშიც მინარეთისებრ ფეხებს ავასავსავებთ
სადაც ჩვენმა მანათობელმა სუნთქვამ
გზა შეუკრა მოყინული სიტყვების ტუტეს
ჩვენ ვიყავით ჰიპნოსხეულები

3. პროზა

ნოდარ დუმბაძის ფონდში, ლიტერატურულ ლექცია-სემინარებზე კურსის მსმენელები სხვადასხვა ჟანრისა და მიმართულების ტექსტებზე მუშაობდნენ. პროექტის ფორმატის ფარგლებში “ახალი საუნჯის“ ამ ნომერში გთავაზობთ ორი დებიუტანტი ავტორის, ქრისტინა სურგულაძისა და ლევან პაატაშვილის მოთხრობებს.

ქრისტინა სურგულაძე

აღსარება

შუალამე იდგა, მონასტერში ჩოჩქოლი და ერთი ამბავი რომ ატყდა. როგორც წესი, იქ მცხოვრებნი ადრე იღვიძებენ, მაგრამ რაღაც უცნაური რომ ხდებოდა, მაშინ მივხვდი, როცა უკვე მომძლავრებულმა ხმაურმა მაიძულა, თვალები სანახევროდ გამეხილა და საათისთვის დამეხედა.

განთიადამდე კიდევ შორი იყო. ნაუცბათევად მოვიცვი ტანსაცმელი, უწინდო ტერფები ფეხსაცმელებში ჩავჩარე და იმ შენობისაკენ გავიქეცი, რომელშიც უკვე ყველა საკანში შუქი აენთოთ.

ჭიშკართან დაბმული ძალღი მთელი ხმით ყეფდა.

მისი მომვლელი ხშირ შემთხვევაში მე ვიყავი, მაგრამ უმეტესად მაინც მერჩოდა, დაინახავდა თუ არა, რომ შენობაში შესვლას ვაპირებდი, გაგიჟებული ტრიალებდა წინ და უკან, რომ როგორმე ჯერ ჯაჭვი და შემდეგ მე გავეგლიჯე.

სიახლე არ იყო, თუმცა მის დანახვაზე კვლავ შევცბი. სვლა მაინც განვაგრძე, გაკვალული ბილიკიდან მუხლამდე თოვლში გადავუხვიე, რომ ოდნავ ავრიდებოდი. ამან გააგულისა, ჩემკენ გამოექანა და ის იყო, უნდა მცემოდა, რომ ჯაჭვმა გააკავა. მოულოდნელად, უკანა ფეხებზე შემდგარმა, დაფჩენილი ყბები ჩემ ზურგს უკან მთელი ძალით დააღენა ერთმანეთს. შიშისაგან ტანგახევეებული უნებურად წინ გადავბარბაცდი და ოთხზე დავვარდი, წამიერად გონებაზე მოსული კი სწრაფად გავფოფხდი და კარებისაკენ გავიქეცი.

ყელში გულმოტენილი შევვარდი შენობაში და პირველი, რაც თვალში მომხვდა, სამლოცველოსთან მუხლებზე

დამხობილი და ატირებული მორჩილები იყვნენ. ჩემი გამოვლილი გასაჭირი სულ გადამავიწყდა და გოცებულმა დავიძახე, რა ხდება, გამაგებინეთ-მეთქი, საკუთარი ხმა ექოსავით ჩამესმა, ლოცვა არავის შეუწყვეტია, ზედაც არავის შემოუხედავს ჩემთვის.

კიბისაკენ გავიქეცი, რომ მაღლა ავსულიყავი, მაგრამ გზაში წინამძღვარი შემომეფეთა. სიბერისაგან უშნოდ ამოჩრილი ყვრიმალეები შიშისაგან სულ გაფითრებოდა. კედელს გავეკარი, რომ გამეტარებინა. თავდახრილმა უცაბედად თვალი მოვკარი, რომ მტევანი, რომლითაც ჯოხი დაებღუჭა, უკანკალებდა, თუმცა მღელვარებასაც ცოდვებივით მოხერხებულად მალავდა. მისმა გამოჩენამ ერთიანად დაადუმა ყველა, მან კი ამ სიჩუმეში მრისხანედ დაიგრგვინა და ყველას მოუწოდა, რომ არავის არაფერზე საუბარი არ გაებედა. მისი ხმა რომ შეწყდა, ყველაფერმა ცივ მდუმარებაში ჩაყვინთა მანამ, სანამ ზედაპირზე გაუნძრევლად მჯდომი ერთი ადამიანის შეკითხვა არ ამოტივტივდა. მან ცარიელი ხმით იკითხა:

– სადამდე დამალავთ? – მერე კიდევ უფრო მოიხარა და ხმადაბლა დაამატა, – გათენდება და ყველაფერი გამჟღავნდება...

არც ლოცულობდა, არც ტიროდა, უბრალოდ, თავჩაქინდრული, მუხლებმოკეცილი იჯდა და იატაკს ჩაშტერებოდა. წინამძღვარმა გაავებული თვალებით შეხედა და ღვარძლიანად გამოსცრა:

– მგონია, რომ შენ ჩვენზე ბევრად მეტი უნდა იცოდე ამ ყველაფერზე, ნიკოლოზ!

პასუხი აღარავის გაუცია. ირგვლივ დუმილი იდგა.

ნიკოლოზს ვიცნობდი. უკვე დაახლოებით ერთი წელი იქნებოდა, რაც აქ იყო. ყოველთვის ყველაზე მეტს შრომობდა, მაგრამ ყველაზე ნაკლებს საუბრობდა. წინამძღვარს დიდად არასდროს უყვარდა. არც დანარჩენებს. ზოგი ამბობდა, წირვას თითქმის არასდროს ესწრება და იმიტომ. წინა ზამთარს ამოვიდა და ხვეწნის ტონს სრულიად მოკლებული, ცარიელი ხმით ითხოვა, რამდენიმე დღე შემეფარეთო. ძალიან ცუდი ამინდი იყო იმ დღეს, აბა, უარს ვინ ეტყობა?!. მის მერე მუდამ ვხედავდი. იჭდა ახლა ძირს ბრალდებულებით და სახეზე თავისივე სამოსის ფერი დასდებოდა.

– ლაზარე! – დავუძახე ბერს, რომელმაც გვერდით ჩამიქროლა, – ლაზარე, ბიჭო! – გავექანე მისკენ, – რა ხდება, გამაგებინე?!

ლაზარე ნაძალადევად შემოტრიალდა. გასავათებული სახე ჰქონდა.

– მორჩილი რომ იყო, პატარა ლუკა, 23 წლის, ხო გახსოვს? – დამიბრუნა შეკითხვა.

– რა მოუვიდა? – დაბაფრულს ხმა სულ წამერთვა.

– თავი მოიკლა, ოღონდ ჯერ არ ვიცით, რატომ.

თავზარდაცემულმა ქუდი ნელ-ნელა ჩამოვიცურე კეფიდან და ხელებში ჩავიჭმუჭნე. აღარ ვიცოდი, რა მექნა, ინსტინქტურად ნიკოლოზისაკენ გავიხედე და უფრო მეტად გავშრი. ლაზარემ ცინიკურად ჩაიცინა, თავი გააქნია და სწრაფი ნაბიჯით გაეცალა იქაურობას.

აი, ასე, ძალიან დაძაბულად გათენდა სიმშვიდეს ჩვეულ მონასტერში. დილის ზარები არავინ არ დარეკა. ის საკანი, რომელიშიც ლუკა ახლა უკვე მკვდარი ესვენა, გამოკეტეს.

წინამძღვარმა რამდენიმე თავისთან დაახლოებული ბერი შეკრიბა და სათათბიროდ წაიყვანა. მე კი უკანა კარიდან გარეთ გამოვედი, რომ საერთო დაძაბულობის გამო დამძიმებული ჰაერისგან გავთავისუფლებულიყავი.

მონასტერი სულ ოთხი შენობის – პატარა ტაძრისა და ორი საცხოვრებლისაგან შედგებოდა, რომელთაგან ერთ-ერთში მეც ვცხოვრობდი, მეორეში კი ბერების უმეტესობა. მესამე შენობა წინამძღვრის სამფლობელოს წარმოადგენდა. ყველაფერს ერთად კი ჩრდილოეთის მხარეს გალავანივით ერთყა რკინის მოაჯირი, რადგან ძალიან მაღალ ადგილას აშენებული მონასტრის ვაკე მიწა მოულოდნელად ხდებოდა უფსკრულის კიდე.

სწორედ ამ რკინის მოაჯირთან მოვკარი თვალი ნიკოლოზს. შევჩერდი. მისი გარეთ გასვლა არ შემინიშნავს. ნიკოლოზს ნებისმიერ წამს შეეძლო მონასტერი დაეტოვებინა. მისი უცნაური ხასიათის გამო დღემდე ყველას, მათ შორის მეც, გვიკვირდა, თუ რატომ არ აკეთებდა ამას. წლევანდელი ზაფხული რომ მიიღია, რამდენჯერმე უკვე ახსენა წასვლა. ეს ამბავი ყველამ სხვადასხვანაირად მიიღო, თუმცა პირადად მას, რა თქმა უნდა, არავინ არაფერს ეუბნებოდა. რაკილა ძალიან ბევრს შრომობდა, უმეტესობა ხვდებოდა, რომ მისი წასვლა არც ისე კარგი ამბავი იქნებოდა. თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებიც რატომღაც უფროთხოდნენ და მასთან ურთიერთობასაც ერიდებოდნენ. ასეთებს, ბუნებრივია, მისი წასვლის იდეა ხიბლავდათ. რამდენჯერ ჩავფიქრებულვარ, ნეტავ მე რომელ მხარეს ვარ-მეთქი, თუმცა პასუხი ერთხელაც ვერ მივიღე. შეუძლებლად მიმაჩნდა, ნიკოლოზისნაირ ადამიანზე რადიკალურად ერთი აზრის ყოფილიყავი. როცა მისგან სიმკაცრეს და უხეშობას მოელოდი, თითქოს სწორედ მაშინ აღმოაჩენდი, რომ სინამდვილეში, კეთილი გულისა იყო, თუმცა, ამით

წახალისებულს, მასთან სულ ოდნავ უფრო დაახლოება რომ გეცადა, მაშინვე უზარმაზარ ბეტონის კედელს მიასკდებოდი.

ლუკა კი ამ მხრივ ძალიან განსხვავდებოდა ნიკოლოზისგან. იგი ძალიან ჩუმი და მორცხვი იყო. მიუხედავად ამისა, მხოლოდ ის ერთი ლამის ნიკოლოზის აჩრდილად იქცა. ძალიან მალე დაახლოვდნენ და ისე ჩანდა, რომ სწორედ ამ სიახლოვის გამო აღარ წავიდა ნიკოლოზი მონასტრიდან. ძირითადი განსხვავება მათ შორის მხოლოდ რამდენიმე წელი და საეკლესიო რიტუალებისადმი დამოკიდებულება იყო. ლუკა ბევრს ლოცულობდა. ნიკოლოზს ლოცვა თავისებურად ესმოდა და აღსარებას არასდროს ამბობდა. ეს კი ყველას მხრიდან აგრესიის მიზეზი ხდებოდა.

ვხვდებოდი, რომ ლუკას სიკვდილი ყველაზე მეტად მას გაუჭირდებოდა და ამავდროულად წინამძღვარი, ალბათ, სულაც არ ცდებოდა, რომ უთხრა, ჩვენზე მეტი გეცოდინებაო. ამიტომ ცალ ფეხში თანაგრძნობა ჩამაფრინდა, ცალში – ცნობისმოყვარეობა და ნელ-ნელა, გაუბედავად მივუახლოვდი.

– დიდი ხანია, რაც აქ ცხოვრობ, მათე? – მკითხა ისე, რომ ჩემთვის ზედაც არ შემოუხედავს.

შევკრთი. ხანდახან მეგონა, რომ ზურგზეც კი თვალები ჰქონდა.

– დაახლოებით ორჯერ მეტ...

– ან წვიმს, ან თოვს... – გამაწყვეტინა მშვიდი ტონით, – თუ არ წვიმს, ნისლია. ნისლი ყველაფერს კეტავს, აქრობს, კლავს. დაბლა სივრცეა, ხომ ხედავ?

მე ვდუმდი

– წარმოიდგინე, სულ ნისლში რომ არ იყოთ გახვეული, როგორი ლამაზი ხედი გექნებოდათ ამ ადგილიდან. მაგრამ თითქოს ეგეც ისეა, როგორც მათ სურთ. თითქოს ეს ერთადერთი დარჩენილი სიამოვნებაც უნდა დათმოთ. სიამოვნება ხომ ცოდვად ითვლება. არასდროს გიფიქრია, სამართლიანია თუ არა ის ყველაფერი, რაც წესით და რიგით მოგვეთხოვება?

– ცოტა არ იყოს, დავიბენი... – ვუპასუხე ლულულით. თავიდან ვერაფრით მივხვდი, ჩვენი საუბარი საით მიჰყავდა.

– ადრე სადღაც ვკითხულობდი, ადამიანი თავის თავში რაც შეიძლება მეტად უნდა ჩაიკეტოს, თუ სურს, რომ საკუთარი შინაგანი სამყარო კარგად შეიცნოსო, როგორ გგონია, – ოდნავ შესამჩნევად ჩაიცინა ნიკოლოზმა, – ნისლი ჩაკეტილობის, როგორც უმოძრაობის სიმბოლო უფროა, თუ ჩაკეტილობის, როგორც საკუთარი თავის ძიების?

ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა, მერე მორცხვი ღიმილით ვუპასუხე:

– მე უბრალოდ ხანდახან მგონია, რომ ნისლი ცისა და დედამიწის შეხვედრა და ცისა და ქვეყნის ამბების ერთმანეთში გაცვლაა.

– ხედავ? – გაიღიმა მან, – ერთადერთს, რასაც მუდამ ვაღმერთებდი, ეს იყო – ადამიანების ინდივიდუალურობა. ყველაზე სულელი ადამიანიც კი, მათე, თავისებურად აღიქვამს მოვლენებსა თუ სხვა ადამიანებს. ყველაზე სულელი ადამიანიც კი სულელი სულაც არ არის, თუ სამყაროს და ცხოვრების მდინარების მისებრ აღქმას სწორად მივუგდებთ ყურს. მაგრამ ხანდახან არ გეჩვენება,

რომ ისინი სწორედ ამ ინდივიდუალიზმის ჩაკვლას ცდილობენ ადამიანში? არ გეჩვენება, რომ მათი სურვილია ჩვენ, ყველანი, ერთნაირები ვიყოთ, ერთს ვფიქრობდეთ, ერთს ვამბობდეთ, ერთს ვაკეთებდეთ. ეს ბოროტებად არ გეჩვენება?

– ღმერთი ბოროტი არ არის! – ვუპასუხე ცოტა არ იყოს ნაწყენმა.

– ღმერთი არა, მათე, ღმერთი არა. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ინდივიდუალებს არ შეგვემნიდა. მაგრამ, წარმოიდგინე, რომ ღმერთი მხოლოდ თოვლივით თეთრი ფერის შემოქმედია და თავადაც თეთრია. აქ კი ხელში მხოლოდ ჭუჭყისფერი თოვლილა შერჩენიათ. ეს რალაცების მიმალვას ახერხებს, მაგრამ არა ყველასათვის და არა ბოლომდე. სამყაროში სხვა უამრავი ფერიცაა და, შესაბამისად, ღმერთი ყველაფრის მხოლოდ ერთი ნაწილია და არა მთელი.

ავნერვიულდი. გონებაში მის სიტყვებს ვიმეორებდი და რაიმე ისეთის პოვნას ვცდილობდი, რაც მისივე ნათქვამს შეენინააღმდეგებოდა.

– მაგრამ, – დავიწყე ბოლოს, – თუ შენ ამბობ, რომ ღმერთი სამყაროს მხოლოდ ერთი ნაწილია და არა მთელი, მაშინ რატომ გჯერა, რომ მაინცდამაინც მისი შექმნილები ვართ და არა სხვა რომელიმე ნაწილის?

– ის თავისუფალია, მათე. ჩვენგანაც და საკუთარი თავისგანაც. ამ თავისუფლებას ჩვენც გადმოგვცემს. ჩვენ ვჩნდებით მისგან და დაბადების დღიდან მოყოლებული ყოველ დღეს ჩვენით უნდა შევეცადოთ პირველადი მოცემულობიდან ჩვენი პიროვნების აგებას. იგი ამაში აღარ მონაწილეობს, რადგან მან მოგვცა მთავარი –

საწყისი. და ჩვენ უფლება არ გვაქვს, ღმერთის ქმნილებას – საწყის ადამიანს, პატივი არ ვცეთ მხოლოდ იმიტომ, რომ იგი საზოგადოებრივად განსხვავებულია, გესმის? ყველა ჩვენგანი დაბადებიდან ზუსტად ისეთია, როგორც უნდა იყოს.

– და მერე ჩვენზე სხვა ნაწილები და ფერები მოქმედებენ?

– ალბათ, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ყველა მათგანი ცუდია და ყველას უნდა ვერიდოთ. უმეტესობა საკუთარი თავის შეცნობისათვის ძიებაში გვეხმარება. ღმერთი თავადვეა მაძიებელი და ეს თვისება მისგან დაგვყვა. ვინც საკუთარ თავს არ იცნობს, ან მხოლოდ ჰგონია, რომ იცნობს, ჩაბნელებულ ოთახში მჯდარ თვალეზივად კაცს ჰგავს, რომელსაც სჯერა, რომ თვალეზის ფართოდ გახელით სიბნელეში საგნებს კარგად არჩევს. მაგრამ ეს უბრალოდ სიბნელესთან შეგუებაა და მეტი არაფერი. საკმარისია, ასეთ ადამიანს სინათლე მართლა აუნთო, რომ სახე არარსებული ტკივილისაგან დაემანჭება და თვალეზიში მომენტალურად ჩამოუბნელდება. რა იქნება ეს მათე?

– მოულოდნელად ანთებული სინათლისგან გამოწვეული შიში?

– დიახ, მათე. – მიპასუხა და მთელი დიალოგის მანძილზე პირველად შემომხედა სახეში. – იცი, რა სიბმარი სტანჯავდა ლუკას ბოლო დროს? ლამის ტირილით მიყვებოდა, რომ მთელი ღამე გარს ურბენდა და არცერთი მხრიდან ტაძარს კარი არ ჰქონდა, რომ შიგ შესულიყო. ეს აგიჟებდა. ეგონა, რომ რაკი მის ჩამობნელებულ ოთახში სინათლე აინთო და მან ბოლოს და ბოლოს თავის ნამდვილ ანარეკლს სარკეში თვალი გაუსწორა, ღმერთი დაკარგა.

– როგორ დაადგა ლუკა თავისი თავის შესაცნობ გზას? –
ყური მოვკარი და ცნობისმოყვარედ წამოვიძახე.

– ისინი ამას ბევრ რამეს ეძახიან, თუმცა სიყვარულის
ყოველი გამოვლინება სხვა არაფერია, თუ არა ღმერთთან
მიახლოება.

– სიყვარული! – ჩაფიქრებული ვიდექი. ახლავ ვიგრძენი,
როგორ მომეყინა თოვლით ამოვსებულ ჩექმებში ჩაჩრილი
შიშველი ფეხები.

– შენ იმ ძაღლის ძალიან გეშინია, ხომ ასეა? – მკითხა ისე,
თითქოს იგრძნო, როგორ შევეცადე გაყინული ტერფების
ამოძრავებას.

შევცბი.

– ძაღლი, რომელსაც აჭმევ და უვლი, არავითარ
შემთხვევაში არ გამოიწვევს შენკენ, თუ მიღმა რამე ცუდი არ
ახსოვს და ვერ გაპატიობს. არაფერი გახსენდება, არა? –
ჩაიცინა.

არ ვუპასუხე. ყველა ნერვი გამეყინა.

– შიში ცუდია, მათე. ძალიან ცუდი. ყველგან თან გდევს და
ყველაფერში ხელს გიშლის. მისგან უნდა გათავისუფლდე
და დაიმახსოვრე, ვერცერთი ამ ან სხვა ტაძარში მყოფი
ადამიანი, რომელსაც ჰგონია, რომ ჭეშმარიტებისთვისაა
მისული, სინამდვილეში ჭეშმარიტს ვერასდროს მიაღწევს,
რადგან გულის სიღრმეში მათ მხოლოდ ერთი რამ აქვთ –
შიში სიკვდილის შემდგომი ცხოვრებისა და არა
სიყვარული. სიყვარული რომ ჰქონდეთ, ღმერთს
თავისუფლებაში მოძებნიდნენ და არა მონობაში. რადგან
ჩასახვის დღიდან ღმერთი ცალ-ცალკე ყველა ჩვენგანაშია
და არა იქ, აქ. ან სხვაგან.

– მაშინ შენ რატომ დარჩი აქ ამდენ ხანს?! – ლამის ვიყვირე. მოტრიალდა და გაიცინა, როცა შენიშნა, რომ ნელ-ნელა უკან ვიხევდი.

– ჩემთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არასდროს ჰქონია, სად ვიქნებოდი, რადგან სადაც არ უნდა ვიყო, ღმერთი აქ არის – მკერდზე დაიდო ხელი, – ესეც ძიება იყო, მათე. ბოლოს კი ჩემი არწასვლის ერთადერთი მიზეზი ლუკა გახდა, თუმცა ახლა იგი აღარ არსებობს, იგი თქვენმა ღმერთმა და თქვენ შეიწირეთ. მე მას ველარ ვუშველე.

ამჯერად მართლა შევტრიალდი და გავიქეცი.

– და ყოველთვის გახსოვდეს, მათე! – მომაყვირა მთელი ხმით, – არასდროს დაიჯერო, როცა იტყვიან, რომ მე ღმერთის არ მწამს. მწამს, თუმცა ჩემი ღმერთი თქვენსაზე უკეთესია. ვინამო ის ღმერთი, რომელმაც ლუკა იმის გამო მოკლა, რომ ლუკა იყო? ვინამო თქვენი ანაფორის შიგნით დაკრეფილი უცოდველად თეთრი ხელებისა და მშვიდი სახეების, რომლებიც თავის დათრგუნვისაკენ მომინოდებენ?! არასოდეს!

ყურებში მხოლოდ ჩემი სუნთქვა და თოვლის ხრაშუნი მესმოდა, გარკვევით ველარ გავიგონე ნიკოლოზი ბოლოს რას მიყვიროდა. მაგრამ სულ ერთი იყო. გავრბოდი. მე იგი მძულდა და ვერაფრით მივმხვდარიყავი, მასში ის მძულდა, რაც ჩემშიც იყო თუ ის, რომ მისგან წამოსულმა უზარმაზარმა ტალღამ ამდენი წლის ნაშენები წამებში დამინგრია.

მონასტერში თვითმკვლელობა, რა თქმა უნდა, უჩვეულო ამბავია, თუმცა არც მე და, ალბათ, არც დანარჩენი იქ მაცხოვრებლები არ ველოდით, რომ ამას ამხელა ამბავი მოჰყვებოდა. გარკვეულწილად ეს ლუკას მშობლების

დამსახურებაც იყო, რომლებიც გაგიჟებულები ითხოვდნენ პასუხს კითხვაზე, თუ რატომ მოიკლა მათმა შვილმა თავი. მათაც ლამის მთელი ცხოვრება ტაძარში ჰქონდათ გატარებული და ამბობდნენ, რომ მონასტერში ყოფნა ლუკას სურვილიც იყო, თუკი ეს აღარ ენდომებოდა, ამის გამო არავინ დასჯიდა. ყველა შენუხდა, გამოსავალს ვერავინ ვერაფერში პოულობდა, რადგან სინამდვილეში წარმოდგენა არ ჰქონდათ, რა მოხდა იმ რამდენიმე თვეში ბიჭის ცნობიერებაში ისეთი, რამაც თავის მოკვლა გადააწყვეტინა. ერთადერთს, რასაც ვარაუდობდნენ ის იყო, რომ ვინმემ ან რამემ მასზე ცუდი გავლენა იქონია. ამიტომ პოლიციამ ყველას დაკითხვა გადაწყვიტა და ერთხმად ეჭვმიტანილად ლუკას ყველაზე ახლობელი ადამიანი – ნიკოლოზი დასახელდა.

შეკითხვებს თითქმის ყველას ერთნაირს გვისვამდნენ, თუ როგორ იქცეოდა ბოლო დროს ლუკა, რამე უცნაური ხომ არ შეგვინიშნავს, ვისთან ატარებდა ყველაზე დიდ დროს, რა ხდებოდა იმ ღამეს, სანამ თავს მოიკლავდა და ა.შ. მონასტრის წინამძღვარს ძალიან უნდოდა, რომ ამ საქმეს მშვიდობიანად და ჩუმად ჩაევლო, სულაც არ დაეძებდა მიზეზებს, მთავარი მისთვის ის იყო, რომ მთელი მისი ცხოვრების ნამოღვაწარი თითოთ საჩვენებელი არ გამხდარიყო, მაგრამ ეს ამბავი უფრო მეტად მაშინ გამწვავდა, როცა მან უარი თქვა ლუკას სხვა ბერებთან ერთად მონასტრის ტერიტორიაზე დაკრძალვაზე და როცა ნიკოლოზის მიმართ ეჭვმიტანილობის ამბავმა, გამომდინარე ჩვენი და პოლიციის ვარაუდებიდან, ლუკას მშობლებისა და სხვა ახლობლების ყურამდე მიაღწია.

გაირკვა ისიც, რომ ნიკოლოზი მონასტერში ბერად აღკვეცის გარეშე ცხოვრობდა, ამას დაემატა, რომელიღაც ჩვენგანის შემთხვევით ან გამიზნულად ნათქვამი “მგონი,

მას ღმერთის სულაც არ სწამდა” და გადამწყვეტიც გახდა, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობდა პასუხი კითხვაზე, თუ რატომ იყო მაშინ იგი მონასტერში. ყველაფერმა ერთად ნიკოლოზის განმეორებითი დაკითხვები და ბოლოს სულაც დაპატიმრება განაპირობა. მიუხედავად მრავალი დაუდასტურებელი ფაქტისა და ნიკოლოზის დუმილისა, საბოლოოდ მას ლუკას თვითმკვლელობამდე მიყვანა დაბრალდა.

იმ დღეს, როცა ბოლო სასამართლო დასრულდა და მეგონა, ჩვენ, ყველას მონასტერში დაბრუნება და, ორით ნაკლებს, ჩვეული ცხოვრების მშვიდად გაგრძელება შეგვეძლო, ყველაფერი სხვანაირად შემოტრიალდა. გარეთ უფრო მალე გამოვედი, ვიდრე სხვები. საშინლად წვიმდა, თუმცა ათეულობით ადამიანს მაინც მოეყარა თავი, მათ შორის ლუკას მამაც ვიცანი, ვივარაუდე, რომ ყველანი მისი ნათესავები იყვნენ, რომლებსაც ხმაურისა და განევ-გამონევის გამო პროცესზე დასწრების უფლება არ მისცეს. ქანდაკებებს ჰგავდნენ.

შესასვლელთან მხოლოდ ორი პოლიციელი იდგა. ორსაც ნიკოლოზი უნდა გამოეყვანა შენობიდან, საპატიმროში გადასაყვანად. მინდოდა მისთვის კიდევ ერთხელ და ალბათ უკანასკნელად შემევლო თვალი. ზუსტად არ ვიცოდი, თუ რატომ. ალბათ მაინტერესებდა კვლავ ისეთი გულგრილი სახე თუ ექნებოდა, როგორც განაჩენის გამოტანისას. თუმცა ამის დანახვა ვერ შევძელი, კარები გაიღო თუ არა, მომენტალურად აზმუვლებული და აზრიალებული ადამიანებისაკენ შევტრიალდი, რომლებმაც გინებითა და ყვირილით ლამის ჩემზეც გადაიარეს და შენობიდან გამოსულებს მიცვივდნენ. პოლიცია მოულოდნელობისგან დაფრთხა და

ბორკილებდადებული პატიმარი ბრბოს მიუგდო. სანამ შენობიდან სხვებიც გამოცვივდნენ, რომ ხალხი გაეკავებინათ და პატიმარისთვის ეშველათ, მხოლოდ ერთხელ შევაავლე თვალი ნიკოლოზს. სისხლით მოსვრილი პირი ფართოდ გაეღო და მთელი ხმით ღრიალებდა. სახეზე დადებულ შემზარავ გამომეტყველებაში კი ის შიში აღბეჭვდოდა, რომელიც გადამწყვეტ მომენტში ყველაზე უშიშარ ადამიანებსაც კი ძვლებამდე უჯდებათ ხოლმე. სიკვდილისა და სიცოხლის მიჯნაზე მყოფი ადამიანის შიში, რომელიც მთელი ძალით ებლაუჭება თავის გადარჩენის სულ მცირე შანსსაც კი და, რომელიც თითქოს აქამდე არასდროს ყოფილა ასეთი მარტო და დაუცველი, თუნდაც მისი ცხოვრების ყველაზე უფრო რთულ მომენტებში. “შიში ცუდია, მათე. შიშისგან უნდა გათავისუფლდე!” გამახსენდა მისი სიტყვები და მივხვდი, რომ ისიც დამარცხდა.

როცა ნიკოლოზი მთლიანად ჩაიკარგა ბრბოში, შევტრიალდი და გავიქეცი.

კვლავ გავიქეცი.

– შენ რას ინანიებ ბოლოს და ბოლოს, მათე? გაქცევას? – მთქნარებამორეული ხმით მითხრა მღვდელმა. ავხედე. ცარიელი თვალებით დამჩერებოდა.

– არა, მამაო. მე ძალღი მოვკალი. მონასტერში ამობრუნებისთანავე მოვკალი. ჰო, აი, ასე. ახლა ისიც მკვდარია.

ლევან პაატაშვილი

დისერტაციის ნიღაბი

მშრალი კანონის მომხრე, ფილოსოფიური ფაკულტეტის სტუდენტი კარლო ლომაია, ბოლო რამდენიმე ხნის განმავლობაში რაღაც ეიფორიულ მდგომარეობას განიცდიდა, რომელიც წითელი ღვინით თრობას წააგავდა, რის გამოც მას საკუთარ თავთან მისდა დამოუკიდებლად დისკუსიები დაეწყო... იმ დილით კი, როცა ფოსტალიონმა პრესა ადგილზე მიიტანა, კარლო აბაზანაში პირს იბანდა... გაზეთი “სამართლიანი სამყარო” თითქოს ახალს არაფერს ამბობდა, მაგრამ კარლო მაინც ორჭოფულად რაღაც ამბის გაგების მოლოდინში იყო და როცა კითხვა-კითხვით ნეკროლოგის გვერდს მიუახლოვდა, თვალში მოხვდა თავისი კათედრის გამგის, მეცნიერ-პროფესორის, ე.ს.-ს გარდაცვალების ცნობა, პრესა იუწყებოდა, რომ “ხანდაზმულ ასაკში გარდაიცვალა, მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ფილოსოფიის ფაკულტეტის დეკანი, პრაქტიკული მატერიალისტური ფილოსოფიის კათედრის გამგე და მატერიალისტური პედაგოგიკის სულისჩამდგმელი, დოქტორი და პროფესორი ბ-ნი ე.ს. ... ამ ფაქტთან დაკავშირებით, მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართა საგანგებო სხდომა... სხდომამ აღნიშნა ბატონი პროფესორის დამსახურება, აგრეთვე ისაუბრა მისი მატერიალურ მეცნიერული კვლევების საფუძვლებზე, მიღწევებზე და მისი მეცნიერული აღმოჩენების ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობაზე, აგრეთვე ხაზი გაუსვა ქვეყნისათვის განუღმის დამსახურებულ ღვანლს პრაქტიკული მატერიალისტური ფილოსოფიის დანერგვასა და განვითარებაში, რამაც თავის მხრივ დიდი როლი ითამაშა მატერიალიზმის იმ გავლენების მოპოვებაში, რა გავლენებსაც განიცდიან მატერიალიზმის მხრიდან სხვა

მეცნიერული მიმდინარეობები და საერთოდ, ცხოვრება...მეცნიერთა აკადემიის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, საკუთარი ბიუჯეტიდან გამოყოს დაკრძალისათვის საჭირო თანხა, რათა სათანადო პატივი მიაგოს გარდაცვლილ მეცნიერს და ამ მძიმე წუთებში თანადგომა გაუწიოს მისი ოჯახის წევრებს... აღნიშნული თანადგომის სისრულეში მოყვანა ითავა აკადემიის ფილოსოფიის კათედრამ, რომელსაც ათეული წლების მანძილზე ღირსეულად ედგა სათავეში თავად ან განსვენებული პროფესორი... სხდომის წარმართვა დაევალა კათედრის გამგის მოადგილეს, ბატონ კალენიკე ბალავაძეს... სხდომას ესწრებოდნენ მეცნიერებათა აკადემიაში არსებული სხვა კათედრის მეცნიერ-მუშაკები და სტუმრად მიწვეული პროფესორ-მასწავლებლები... დაკრძალვა გაიმართება საზოგადო მოღვაწეთა და მეცნიერთა პანთეონში...”

პროფესორის დაკრძალვის დღეს, უკვე საღამოს კარლო ნელა მიაბიჯებდა ქალაქის სანაპირო ქუჩაზე და როგორც განსხვავებული ჟანრის ნაწარმოებებში ცოცხლობენ განსხვავებული სიუჟეტები და სხვადასხვა სახის პერსონაჟები, ზუსტად ასევე მის თავშიც ურთიერთგამომრიცხავი აზრები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ... თავიდან ქუჩები მას უჩვეულოდ მშვიდი ეჩვენებოდა, ის ათვალიერებდა გზაჯვარედინებს, ჩიხებს, გადასასვლელებს და უკვირდა ირგვლივ გამეფებული სინყნარე. მაგრამ თითქოს ამ ირგვლივ გამეფებულმა სიმშვიდემ იგი შინაგანად ააფორიაქა და ააღელვა... ცოტახანში კი ამ გარეგანი და შინაგანი სამყაროს ურთიერთდაპირისპირებამ რადიკალურად საპირისპირო სახე მიიღო, ისინი ერთმანეთს შეერწყნენ და ნელ-ნელა ეს ცვლილება თითქოს უსასრულობისაკენ წავიდა... მაშინ,

როცა მან ქუჩის მეორე მხარეს ბუკინისტების დახლი შენიშნა და გადასვლა დააპირა, უკვე თვალში საცემი გახდა ქუჩის აჩქარებული ტემპი და მისი სწრაფი დინამიკა, მანქანების გუგუნი და საყვირების ხმა, შუქნიშნები და მათი შუქის ფერთა მონაცვლეობა, გადასასვლელებზე ადამიანების მოძრაობა და მათი საუბრის ხმა, თუმცა მისი შინაგანი აფორიაქება ახლა უკვე შინაგანმა სიმშვიდემ შეცვალა და როცა წიგნების დასათვალიერებლად ბუკინისტების დახლთან შეჩერდა, ქუჩა კი უკვე ჩვეულებრივზე მეტად ახმაურდა, კარლო შინაგანად ველარც აფორიაქებას გრძნობდა და სიმშვიდეც სადღაც მიმალულიყო... არც ამ ცვლილებაზე ფიქრით შეუწუხებია მას თავი, ანალიზის უნარიც კი მისი გონებიდან და გულიდან თითქოს უკვე გარეთ იყო გასული და შორიდან აკვირდებოდა თავად მას და გარე მოვლენებს... დახლზე დალაგებულმა, ნაცნობი და უცნობი ავტორების წიგნებმა კი ამ ლაბირინთს უფრო დიდი ინტერესი შესძინეს და კარლოს იმნუთას თითქოს ვიღაცამ ყურში ჩასჩურჩულა: “ფილოსოფიური რესპუბლიკის მოქალაქევ”. კარლომ ირგვლივ მიმოიხედა, მაგრამ ბუკინისტების მეტი ვერავინ დაინახა და რა წარმომავლობის ხმა ჩაესმა იმ მომენტში, იგი ამაზე ფიქრს არ გაკიდებია...

– “ნიღაბი” რა ღირს?... – წიგნს ავტორის სახელი არ ეწერა, მაგრამ ავტორის ვინაობის გარკვევა ბუკინისტთან ითაკილა...

– ათი ლარი... – ბუკინისტმა მშრალი, კონკრეტული პასუხი გასცა, თითქოს ბუკინისტიც მიუხვდა თაკილის მიზეზს... სტუდენტმა ჯიბეები მოიჩხრიკა და რკინის ერთლარიანის გარდა, რომელსაც ერთ მხარეს გერბი და მასზე ამოტვიფრული ფრაზა “ძალა ერთობაშია” ჰქონდა, ხოლო მეორე მხარეს ციფრი ერთიანი ეხატა და რომელიც

მედალიონს უფრო წააგავდა, ვიდრე ფულს, არაფერი არ აღმოაჩნდა... მან ერთლარიანი ჯიბეში ჩააბრუნა, შემდეგ ოქროს “ორბიტას” დახედა... “რვა საათია” შემდეგ კი მარცხნივ პალმების ხეივანს გაუყვა და ზღვის სანაპიროზე სკამზე მოთავსდა, საზურგეს მიეყრდნო... თვალები დახუჭა... სმენას მხოლოდ წყლის სუნთქვა სწვდებოდა...

უცებ ეს სიმშვიდე ვიღაცის მკვეთრი ნაბიჯების ხმამ დაარღვია...

– შეიძლება, თქვენ გვერდით ჩვენც დავსხდეთ?... რაღაც უცნაური, მაგრამ ზრდილობიანი ტონით იკითხა მამაკაცის ხმამ... რომელსაც უკან ქალი მოჰყვებოდა, შესამჩნევი დეკოლტეით...

– დაბრძანდით, ბატონო... საკუთარი სკამი სახლში დავტოვე... სანაპიროს სკამი კი ყველასია... უპასუხა კარლომ და გაღიზიანება და სიმშვიდე თანაბარ დონეზე იგრძნო. იცოდა, რომ ორივე მდგომარეობას თავისი მიზეზი გააჩნდა... თუმცა სანაპიროზე უცნობის გამოჩენამ კარლოს ბუნდოვნად რომელიღაცა მივიწყებული ლიტერატურული ჟანრი გაახსენა, რომელიც ისეთივე მოულოდნელი იყო, როგორც პროფესორის უეცარი გარდაცვალება... თუმცა მან ვერაფრით გაიხსენა, რომელი ჟანრის ლიტერატურა აეკვიატა იმ წამს თავში და ყურადღების გადასატანად თითზე ჯაჭვი დაატრიალა...

– არ ვიცი... იქნებ პაემანზე ბრძანდებით და ხელს გიშლით... თითქოს მოუბოდიშა უცნობმა...

– გეთანხმებით... სანაპიროს სკამი ყველასია, მაგრამ სანამ თქვენამდე მოვიდოდით, არავინ დაგვრთო ნება სკამზე დასხდომისა... უცნობი ცოტახნით შეყოვნდა, თვალები ეშმაკურად მოჭუტა და ირგვლივ ქურდულად მიმოიხედა...

როგორც ჩანს, ზომაზე მეტად ზრდილობიანი ბრძანდებით, ხოლო რაც შეეხება გულს, მის სიღრმეებზე საუბარი, ვფიქრობ, ცოტათი რთული საკითხია...

კარლომაც შეათვალა, სანაპირო, გარშემო ყველა სკამი თავისუფალი იყო, მხოლოდ სადღაც შორს წერტილებივით მოჩანდა კანტიკუნტი დამსვენებელი... შემდეგ უცნობს დააკვირდა ღამის განათების შუქზე... “...ჰმ, ცრუობს! ყველა სკამი თავისუფალია!”... ამ დროს მათ წინ ორმა მამაკაცმა ჩაიარა, ერთი მათგანი აღელვებული საუბრობდა რაღაცაზე, მეორე კი მშვიდად უსმენდა...

– არა, ხელს არ მიშლით... პირიქით, დამაინტერესა და ფიქრის მიზეზი მომეცა... ყველა სკამი თავისუფალია... გული კი აქ არაფერშუაშია...

კარლოს ტვინმა ავტომატურად ამოყარა ის ავტორები, რომელთაც მსგავსი სიტუაციები ჰქონდათ აღწერილი... და სამი ავტორის – გოეთეს, ბულგაკოვის და კაფკას გარდა ვერავინ გაიხსენა... ხოლო რაც შეეხება კაფკას, იგი მის “პროცესს” ხეირიანად არ იცნობდა, ერთხელ გადაკითხვის შემდეგ თაროზე გადადო, რადგანაც მეტად უსამართლოდ მიიჩნია კაფკას ჰალუცინაცია, მაგრამ მოულოდნელად საიდანღაც ძაღლმა დაიყუფა – გავ, გავ... კარლო ჩაფიქრდა და გაახსენდა, რომ გოეთესაც ჰყავდა თავისი ძაღლი, ხოლო ვოლანდის შავ ხელჯოხზე პუდელის თავი იყო გამოსახული... და ისევ გაიფიქრა “არა, ეს უცნობი არც ერთს ჰგავს, არც მეორეს და არც მესამეს, თუმცა წელანდელი სმენითი ჰალუცინაციაც გაახსენდა... “– ფილოსოფიური რესპუბლიკის მოქალაქე?!”...

– რა ბრძანეთ?!... მოულოდნელად იკითხა უცნობმა...

– არაფერი!... ჩემთვის რაღაც გავიფიქრე...

– რა გაიფიქრეთ, თუ საიდუმლო არ არის?! ... იკითხა -
უცნობმა, შარვლის ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, ერთი
ხმაურიანად ამოახველა...

– რომ ყველა სკამი თავისუფალია, თქვენ კი მაინცდამაინც
ეს სკამი აირჩიეთ... ზრდილობიანად, მაგრამ უხალისოდ
უპასუხა კარლომ...

– ეგ ხომ უკვე თქვით... თქვა უცნობმა, ბინძურ ცხვირსახოცს
დახედა, საგულდაგულოდ დაკეცა და სხარტი მოძრაობით
ისევ ჯიბეში ჩააცურა...

– რა სისხლიანი ნახველი გაქვს, ფაბიუს ... გაბუტული ხმით
უსაყვედურა ქალმა უცნობს...

– რა გემართება ჟანეტ?! ადამიანის მაინც მოგერიდოს... რა,
პირველად ნახე ჩემი სისხლიანი ნახველი?!... ნამგზავრი და
გაციებული ვარ!... თქვა უცნობმა საგანგებო ცინიკურობით,
ხაზგასმულად ანჩხლი კაცის ტონით და კარლოს
გადახედა... – არც შენ გაქვს სუფთა... უცნობმა აღარ
დაასრულა სათქმელი და ისევ კარლოს მიმართა...

– ყურადღებას ნუ მიაქცევთ, ბატონო... არ იცით ქალების
ამბავი?!

...კარლოს ძალაუნებურად ქალების მრავალფეროვანი
ხასიათი გაახსენდა ... და დაინტერესდა, რომელ ქალზე
აკეთებდა ფელიქსი მინიშნებას... გრეთჰენზე,
მარგარიტაზე, თუ ბებერი ვექილის ახალგაზრდა მოახლე
ლენიზე?!...

– ვერ ვიტყვი, რომ უბრალო მოგზაურები ვართ, მაგრამ
მაინც მოგზაურებად ვითვლებით... შორი გზიდან
მოვდივართ. შორი, დამღლელი გზიდან... ახლა ნეტავი
რომელი საათია?!... თფუიი... უცნობმა მთვრალივით ხელი

ჩაიქნია... დასაფლავებას მაინც ვერ მივუსწარი... ვერავინ იფიქრებდა, ახალგაზრდავ, რომ მე ამ ქალაქში ისევ დავბრუნდებოდი, საგანგებოდ, პროფესორის დასაფლავების დღეს... ჩემ გარდა ეს არავინ იცოდა... თქვენ ალბათ მაშინ დაბადებულიც არ იყავით... ნეტავ სცოდნოდა ადამიანს საკუთარ თავზე ცოტა რამე მაინც, მაგრამ ღმერთმა ეს არ ისურვა... ამბობენ, კეთილის და ბოროტის გარჩევაში ხელს შეუშლიდა და უინტერესო გახდებოდა ცხოვრებაო... მართლა, რომელი საათია?..

კარლოს პროფესორის დასაფლავების ხსენებაზე რაღაც ენიშნა, მაგრამ როცა მარცხენა მაჯაზე ოქროს “ორბიტა” არ აღმოაჩნდა, უკვე სერიოზულად დაფიქრდა უცნობის იდუმალებაზე და მის ბნელ თუ უხილავ ძალებთან კავშირზე... მან ჯერ საზაფხულო კოსტუმის ჯიბეები შეამოწმა... საფულე ფულის გარეშე და პირადობა ადგილზე იყო... სამწუხაროდ, საათი სადღაც დაიკარგა...

– რას მელაპარაკებით?!... ისეთი ტრაგიკული ხმით უპასუხა უცნობმა, რომ კარლომ ცოტა ხნით ისევ დაიჯერა მისი თანაგრძნობა და მის გრძნეულებაში ისევ ეჭვი შეეპარა... და სწრაფად უპასუხა...

– ვერ ვიხსენებ, სად?!...

მაგრამ როცა უცნობმა თვალები ისე დააბრიალა, რომ სანაპიროზე, მათთან ახლომდებარე და შორსმდებარე სკამები ალისფრად აკაშკაშდნენ, კარლომ სიმწრისაგან კბილებში ჩუმად გამოსცრა: “– ოსტატურად ამნაპნე?! ...ვერაფერს იტყვი!.. “შემდეგ გონებაში უმტკივნეულოდ და შიშის გარეშე, მაგრამ რაღაც ბზარები აშკარად იგრძნო, უცნობმა კი საათის დაკარგვის სავარაუდო ვარიანტების გამოთვლა დაიწყო ცაცია ხელის თითებზე...

“– იქნებ საყვარელ ქალთან დაგრჩათ? თქვა მან და ნეკა თითი მოხარა... “თქვენ, მგონი, ოქროს საათს ატარებთ, არა?!” თქვა და უკვე არათითი მოხარა... “ორბიტის მარკის უნდა იყოს, თუ არ ვცდები?” ...ისევ იკითხა და შუა თითი მოხარა... “დაცემის საწინააღმდეგოდ დაჯავშნულია, ხომ?!... “ამჯერად საჩვენებელი თითის მოხრის ჯერი დადგა... გულთან ახლოს ნუ მიიტანთ, სადმე იპოვით...” თქვა და თითები ჯერ გაშალა, შემდეგ ისევ მოკუმშა... “მაშინ კარლომ იგრძნო, როგორ დაიწყო მისმა გონებამ სხვადასხვა მიმართულებით ფიქრი ერთდროულად... მაგრამ როცა უცნობმა იკითხა...” – ან იქნებ დილით, აბაზანაში შესვლის წინ მოიხსენით, როდესაც ფოსტა მოიტანეს და პროფესორის გარდაცვალების ამბავი შეიტყვეთ?!... მან უკვე ცერა თითი ვერტიკალურად დანარჩენებთან ერთად გაშალა, თითქოს ვინმეს ხელს ართმევსო, ამ დროს ვიღაც ხანში შესულმა კაცმა, დაახლოებით ასი წლისამ, ელვის სისწრაფით მათ წინ ჩაირბინა... კაცს ერთ ხელში ცილინდრი ეჭირა, მეორეში ძველი ყაიდის დიპლომატი, უკან სპილენძის წითლად გავარვარებული კარგა მოზრდილი ზომის მაჯა მისდევდა, რომელსაც ძაღლის თავის ფორმა ჰქონდა მიღებული და კაცს ეძახდა: შეჩერდი, ერთი წამით შეჩერდი... არაფერი ისეთი არ ჩაგიდენია, რომ გეშინოდეს ...უბრალოდ, სარკეში მინდა ჩაგახედო ...ამის შემდეგ კი კარლო უკვე საბოლოოდ დარწმუნდა რომ უცნობს არამართო სხვისი აზრების წაკითხვა შეეძლო ისე, როგორც ორჯერ ორი ოთხია, არამედ, უფრო მეტიც, ვიდრე მხოლოდ ფიქრების კითხვაა და იგრძნო ამ ფიქრების მიმართულებების კვალდაკვალ როგორ გაიხლიჩა იგი სამ პიროვნებად, რომლის გახლეჩილ პირველ ნაწილს, უცნობის გრძელი ცხვირი და ჭუჭყიანი ცვირსახოცი ახსენებდა ვოლანდს, მეფისტოფელს და კაფკას “პროცესს” და კიდევ ბევრი სხვა

ავტორის პერსონაჟს თუ ნაწარმოებს და ამასთანავე, მათ შესაძლო იდუმალ კავშირებს... თუმცა ბოლოს დანტეს შემოქმედების – “ღვთაებრივი კომედიის” ძველებური წიგნის ყდას მოჰკრა თვალი...

მეორე ნაწილმა განათებული ქალაქისაკენ გაახედა, მაგრამ თვალებზე ლიბრი გადაეკრა და... თუმცა გონებაში მაინც წარმოიდგინა სახლიდან ბუკინისტებამდე და ბუკინისტებიდან სანაპიროს სკამამდე განვლილი გზა, შემდეგ წარმოიდგინა სანაპიროდან სახლამდე გასავლელი გზა და გზაზე ნაპოვნი საათი...

– მესამე ნაწილმა კი ისე, როგორც კარლოს პირველ გახლეჩვამდე, ჯერ გონებაში უმტკივნეულო ბზარები იგრძნო, შემდეგ ტვინმა ერთდროულად სხვადასხვა მიმართულებით დაიწყო ფიქრი და ბოლოს, როგორც პირველად მთლიანი კარლო, ისიც ფიქრების მიმართულებების კვალდაკვალ სამ ნაწილად გაიყო – მესამე პირველად, მეორე მეოთხედ და მესამე მეხუთედ, ეს უკანასკნელი მესამე მეხუთე კი ძალზე წააგავდა ბულგაკოვის პერსონაჟს, ივან ბეზდომნის... ბევრი რომ არ ვისაუბროთ ამ მოვლენაზე, პიროვნების მომხდარმა განაწილებამ რიცხობრივად უფრო დიდი მასშტაბი მიიღო და, შემდეგში როგორც გამოჩნდა, ამ განაწილებამ გეოლოკაციური ელემენტებიც შეიძინა. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ყველა ნაწილს ასპარეზისტვის საკუთარი გეოგრაფიული ადგილი და ისტორიული დრო ხვდა წილად, ამასთანავე, ისინი მაინც ერთად იმყოფებოდნენ და იყვნენ, თუმცა ნაწილებს შორის წამყვანი პოზიცია დროისა და ადგილმდებარეობის მიხედვით იყო განაწილებული...

უცნობი მოულოდნელად მიწაზე გაგორდა და სიცილი ატეხა, შემდეგ წამოდგა, ტანსაცმლიდან მტვერი ჩამოიფერთხა, მესამე პირველს რაღაც საბუთი გადასცა, რომელსაც ზემოთ დიდი ასოებით ეწერა – “ფილოსოფიური რესპუბლიკა”... მის ქვემოთ კი შედარებით მომცრო ზომის ასოებით “პირადობის მოწმობა” და ისევ სკამზე მოკალათდა, ფეხი ფეხზე გადაიდო, მარჯვენა ხელის საჩვენებელ და ცერა თითებს სახით დაეყრდნო და მეცნიერის გამომეტყველება მიიღო... მესამე მეხუთეს კი სლოკინი აუვარდა და ახლად აყვავებული გარგარის ყვავილების სუნი იგრძნო....

– მესმის!... რთული გადასახარშია პიროვნების ასეთ გადანაწილება, იმუნიტეტიც გამოიმუშავეთ უკვე დაჩქარებული ტემპით, რადგანაც მეც ვჩქარობ, მართალია, კიდევ შევხვდებით სხვა უკეთეს ვითარებაში, მაგრამ დღეს ოდნავ შეზღუდული ვარ, დრო დილამდე მაქვს... მაგრამ თქვენი უფლებები გათვალისწინებულია, მთელი სისრულით... ყველგან და ყველა დროს ერთად იქნებით და საჭიროების შემთხვევაში ერთმანეთს დახმარებასაც გაუწევთ... მეც, რა თქმა უნდა, თქვენ გვერდით ვიქნები...

“უცნობს ნურასოდეს გაუბამ საუბარს... ოსტატი და მარგარიტა... თავი პირველი...” გაიფიქრა კარლოს გახლეჩილმა პირველმა ნაწილმა, რადგანაც უცნობის გულწრფელ საუბარში ეჭვი შეიტანა და წამით ჰაერში გამოკიდებული გამჭვირვალე კოროვიევი, უკმაყოფილო გამყიდველი ქალი, საპარიკმახეროს სუნი და ტრამვაიში ბილეთიანი შავი კატა გაახსენდა... თუმცა იმ წამს ნამდვილად საკუთარი თვალით დაინახა ჩამოთვლილი პერსონაჟების სახეები ბილეთიანი კატის ჩათვლით, თუ უბრალოდ წარმოიდგინა ან გაახსენდა, ამდენი ველარ გაარკვია...

“– მაგრამ ის შეხვედრა მოსკოვში შედგა “პატრიარქის ტბორებთან”... თუმცა ორივე შემთხვევაში წყალი ფიგურირებს... რატომ მაიძულებს ეს საღამო, რომ ბოდვამ შემიპყროს?! ...რატომ?! “გაიფიქრა ისევ და მოვლენების განვითარებას დაელოდა, მაგრამ მას უცბად მესამე პირველზე გადაცემულმა საბუთმა გაახსენა, რომ იმ საღამოს მან ფილოსოფიური რესპუბლიკის მოქალაქეობა მიიღო და ორი საპირისპირო პოლუსის მოქალაქე გახდა ერთდროულად... ამ ფაქტმა კიდევ უფრო ჩააფიქრა და დაელოდა დანარჩენი ნაწილები რას მოიმოქმედებდნენ და როცა ასლოკინებულ მესამე მეხუთეს შეხედა, მიხვდა, რომ საქმე პოეტის ფსიქიატრიულ კურსს ეხებოდა და არა მასსოლიტის თავჯდომარე ბერლიოზს... და სიტუაციის გარკვევის მოლოდინში გაიტრუნა...”

– თქვენ არასწორ დასკვნებს აკეთებთ!..

სერიოზული ხმით დაიწყო უცნობმა... ”– არა... აქ არაფერ შუაშია არც ბულგაკოვი და ბერლიოზი, მით უმეტეს, ბილეთიანი კატა, არც გოეთეს პროფესორი ფაუსტი და არც კაფკას პროცესი”... დანტე?! ალეგიერი არ ვიცი?!... უცნობმა საუბარი ღიმილით დააპაუზა და განაგრძო... – შეიძლება თამამად ითქვას, რომ ყველა ამ მოვლენის მომსწრე თავად გახლდით, რადგანაც ყველა დროის და ყველა ქვეყნის ინტელექტუალურ შემოქმედებით პროცესებს თვალ-ყურს ვადევნებ... თუმცა მინდა აქვე აღვნიშნო, რომ იმ სამი ავტორიდან თვითოეულმა ნაკარნახევის ჩაწერისას გარკვეული შეცდომები დაუშვა, განსაკუთრებით კაფკას გამოვყოფდი ამ სამეულიდან... თუმცა ასეთი შეცდომები ყველა მწერალს მოსდის, რადგანაც გადაცემის სიხშირეს ხელისშემშლელი ფაქტორები მრავლად ახლავს და ეს ფაქტი გათვალისწინებულია რესპუბლიკაში... მაგრამ ესეც არ არის აქ მთავარი... მთავარი არის ის, რომ ყველა ქალაქს

და ყველა დროს საკუთარი პროცესი გააჩნია და ისიც მართალია, რომ თქვენ უდავოდ გავხართ პოეტ ბებდომნის...” და უცნობმა მესამე მეხუთეზე მიანიშნა... – და იქიდან გამომდინარე, რომ აწმყოს წარსული ქმნის, სწორედ წარსულში მომხდარმა ფაქტებმა და ხანდაზმული პროფესორის გარდაცვალებამ იძულებული გამხადა, დღეს თქვენ შეგხვედროდით... და მინდა, ერთდროულად სხვადასხვა დროში მოგზაურობა შემოგთავაზოთ... რა თქმა უნდა, თუ წინააღმდეგი არ იქნებით და თან, ჩემი პირობა ძალაში რჩება... ყველა დროსა თუ ქალაქში და ყველა რთულ თუ მარტივ სიტუაციაში ერთად იქნებით... და ვინმე ჭკუათმყოფელი ამას გახლეჩვას დაარქმევს?!...” თქვა ფაბიუსმა და ამჯერად პირველს შეხედა... “– პროფესორის გარდაცვალებას კი სავარაუდოდ, აკადემიაში მოჰყვება იმ ბრძოლის განახლება, რაც მატერიალისტებსა და იდეალისტებს შორის მიმდინარეობდა... ნუ დაგავინწყდებათ უკვე ფილოსოფიური რესპუბლიკის მოქალაქე ბრძანდებით... მცირე დისკუსია კი ვფიქრობ, აუცილებელია.... ამ ბრძოლის მიზეზი კი ძალაუფლებისა და გავლენის სფეროების მოპოვებაა... ხოლო ძალაუფლების ერთ-ერთ გარანტსა და პლაცდარმს კათედრის გამგის თანამდებობა წარმოადგენს... დაპირისპირება, როგორც ასეთი, დიდი ხნის წინათ დაიწყო... ჟანეტმა ხელჩანთიდან სათვალე ამოიღო და მესამე პირველს გადასცა, კალამი და ფურცლების დასტა მეორეს, ხოლო ალუმინის მათარა მესამე მეხუთეს...

დიდ, მარმარილოს სვეტებიან დარბაზში მესამე პირველმა სათვალეები მოირგო და ერთ-ერთი საცავის კარები შეაღო, სადაც არქივის მანუსკრიპტები და ქალაქდები ელაგა თუ უსწორმასწოროდ ეყარა თაროებზე, მაგიდაზე თუ მარმარილოს იატაკზე, ამას არსებითი მნიშვნელობა,

ვფიქრობ, არა აქვს... მეორე ნაწილი წერისათვის მოემზადა, მესამე მეხუთემ ჯიბიდან ალუმინის მათარა ამოიღო და მოინდომა, კიდევ ერთხელ შეევლო თვალი მფრინავი ქალებით გადაჭედული მთვარისათვის, მაგრამ დახურულმა სივრცემ ხელი შეუშალა და მხოლოდ დაღევით დაკმაყოფილდა, იმ იმედით, რომ იქნებ მათარაში ჯადოსნურმა სითხემ შენობა გამჭვირვალე გახადოსო... მესამე პირველმა კი ძველებური მაგიდის უჯრიდან საქალაქო ამოიღო და კითხვას შეუდგა...

ჩანაწერი ორმოცდამეათე

ასისტენტი მეხუთე

იმის გათვალისწინებით, რომ ოცდამეერთე საუკუნეა და ლიტერატურული პროცესი ჩიხშია შესული, რადგანაც ყველა ჟანრი, სიუჟეტი, ტიპაჟი ან სხვა ისეთი რამ, რაც ხელს უწყობს ადამიანის სულიერ და შემოქმედებით განვითარებას, წინა საუკუნეებში უკვე დახარჯულ იქნა და დასახარჯი ნაწილი კი ყველასაგან ფარულად ინახება სადღაც და რომელიღაც ინტელექტუალურ საბანკო კომპანიის ქსელში, ჩვენ – მეორე სამყაროს მწერალთა კავშირის წარმომადგენლებმა მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ლექტორს და ლექტორთან ერთად ყველა სხვა დანარჩენ ფილოსოფოსს მიეცეს უფლებამოსილება, ხელისშეუშლელად აწარმოოს ფილოსოფიური საქმიანობა მეცნიერებისა და ლიტერატურის განვითარების მიზნით ...ამ ბარათის უგულებელყოფის შემთხვევაში ხელისშემშლელთა წინააღმდეგ დასჯის მიზნით მიღებული იქნება მკაცრი ზომები, სანქციების სახით...” ამ წერილს დიდი გამოხმაურება მოჰყვა... რადგანაც ბარათს ხელს აწერდნენ გარდაცვლილი ცნობილი მწერლები და მეცნიერები... ჰომეროსი, ჰეროდოტე, გოეთე, პრუსტი,

ტოლსტოი, ბალზაკი, დოსტოევსკი, მერეჟკოვსკი,
ბუკლგაკოვი და სხვები...

ჩანაწერი მეთერთმეტე

...უცნობი მეცნიერი...

“დინა რესპუბლიკის მეცნიერების აკადემიაში, არქივის კვლევითი განყოფილების მეცნიერმუშაკია... იგი შეყვარებულია თავის პროფესიაზე, რაც მე ეჭვის საბაბს მაძლევს, თუმცა არქივში მუშაობა იმდენად საინტერესოა, რომ სამუშაოსადმი მისი ეს სიყვარული არ მიკვირს... დინას ხშირად მოაქვს ჩემთან არქივიდან საინტერესო მასალების ამონაბეჭდი... მასალები ძირითადად ნაკლებად ცნობილ და და ზოგიერთ შემთხვევაში საერთოდ უცნობ მეცნიერებს ეხებათ, რომლებსაც ამა თუ იმ პერიოდში მოუწიათ მოღვაწეობა... ერთ-ერთი ასეთი მეცნიერით დავინტერესდი, იგი მასალებში ლექტორის სახელით არის მოხსენიებული, თავად ლექტორის ნამუშევრები შემორჩენილი არ არის... დინა ლექტორის შესახებ ცნობებს შემთხვევით წააწყდა... ცნობები ვიღაც “ასისტენტების” მიერ იყო შედგენილი... ყოველ “ასისტენტს” საკუთარი ციფრული დასახელება ჰქონდა მინიჭებული, მაგალითად, “ასისტენტი პირველი”, ასისტენტი მეორე”, “ასისტენტი მესამე” და ასე შემდეგ... რომელთა მონათხრობი მთლიანად ლექტორის შესახებაა...”

– როგორი უცნაური სტილითაა შესრულებული!.. იკითხა სიტუაციით დაეჭვებულმა პირველმა...

– ...თანმიმდევრულად კითხულობ?.. კარგად დააკვირდი აზრთა მსვლელობას! ჩანერისას შეცდომა არ დავუშვა... გააფრთხილა მეორემ მესამე პირველი...

– შეცდომა დაუშვა?!... თორე შენც ახლა ამაზე პასუხი არ მოგთხოვოს ვინმემ... ჩაეცინა მესამე მეხუთეს, მათარა ისევ ტუჩებთან მიიტანა და ისევ მთვარისაკენ გაიხედა მფრინავი ქალების დასანახად, მაგრამ გაახსენდა, რომ დახურულ სივრცეში იმყოფებოდა... – ნეტავი ეს დინა ვინაა, ალბათ ძალიან ლამაზი უნდა ყოფილიყო, კაცს თავი ასე რომ შეაყვარა... ივარაუდა შებერხოშებულმა და მათარიდან ისევ სითხე მოწრუპა...

– ფურცლები დანომრილია?! ნომრებს დააკვირდი ბოლოში... ჩაერია მეორე მეოთხე...

– პასუხს არ მოგთხოვენ... მაგრამ დასაცინ ობიექტად არ ვიქცეთ!.. უპასუხა პირველმა მეორის ნაცვლად, მესამე მეხუთეს...

– ჰო, ასეა, უცნაური სტილითაა შედგენილი... ერთი ასისტენტის თხრობა შუაში წყდება და მეორეთი გრძელდება... პირველ ფურცელზე კი მესამე ასისტენტის მონათხრობი ნახევრად წერია და “ასისტენტი მეშვიდეს” თხრობით გრძელდება, რომელიც მომდევნო ფურცელს მთლიანად იკავებს, შემდეგ კი სულ სხვა ასისტენტით იცვლება თხრობა... ყველა შეწყვეტილი თხრობა სადღაც, სხვა ფურცელზე ისევ გრძელდება და საბოლოოდ, ალბათ სრულდება კიდევ... განმარტა მესამე პირველმა...

– აჯობებს, მასალები საკუთარი შეხედულებების მიხედვით ჩავიწერო... დაფიქრებულმა თქვა მეორემ... ეს მასალები რაღაც ამოუცნობ ხასიათს ატარებს...

– მაშინ ძველი ხელშეუხებლად დავტოვოთ... უპასუხა მესამე პირველმა.

– მაგრამ ჩაწერისას ჩვენი ჩარევაც აუცილებლად მიმაჩნია... თქვა ისევ მეორემ...

- რატომ?! ...საუბარში მეორე მეოთხე ჩაერია...
- ალბათ იმიტომ, რომ მისი მოსმენისას ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ლექტორი არარეალური პიროვნებაა... ისევ გამოთქვა აზრი მეორემ...
- მასალები მართლაცდა ამოუცნობ ხასიათს ატარებენ... დაადასტურა მესამე პირველმა
- ამის ამოსაცნობად კი დროა საჭირო... დაასკვნა მეორე მეოთხემ...
- დრო მხოლოდ განთიადამდე გაქვთ... საუბარში ფაბიოსი ჩაერთო. – კითხვა განაგრძეთ... დროს ნუ კარგავთ... მე იქიდან დავინწყე საუბარი, რომ აკადემიაში დაპირისპირება იდეალისტებსა და მატერიალისტებს შორის დიდი ხნის წინ დაიწყო, იმ დროისათვის ან გარდაცვლილი პროფესორი ჯერ კიდევ ახალგაზრდა მეცნიერი იყო...
- ფურცლები გადავინანილოთ, მე მარტო ამას ვერ მოვერევი, – თქვა უკმაყოფილოდ მესამე პირველმა და ფურცლების ნახევარი მეორე მეოთხეს გადასცა...

“ჩანაწერი... მეთერთმეტე”

...ასისტენტი პირველი...

“იდეალისტთა მტკიცებით იდეათა სამყარო მარადიული, უსასრულო იდეათა სამყაროა, რომელსაც არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული და რომ იდეათა სამყარო არის არსებული ჭეშმარიტება, რომლის თეორიების საფუძველზეც განვითარდა სამყაროსეული ინტელექტი და გონი, ხოლო მატერიალური სამყარო მისი წარმოქმნილი პროდუქტია... რადიკალი მატერიალისტები კი, რომლებიც რკინისებურად, ფუნდამენტური პრაქტიკული მატერიალიზმის თეორიებით იყვნენ აღჭურვილნი და

რეალობას მხოლოდ მატერიაში ხედავდნენ, ხოლო იდეალისტურ გონების აღმძვრელ თეორიებს და მეტაფიზიკურ კონცეფციებს არარეალურს და მავნებლურ ფილოსოფიად მიიჩნევდნენ, მოითხოვდნენ ამ უტოპიური მიმართულების საერთოდ ამოღებას აკადემიის კვლევითი სამუშაოებიდან და მისი სასწავლო კურსიდან და ამტკიცებდნენ, რომ არავითარი იდეათა სამყარო არ არსებობს და არავითარი მეტაფიზიკური განზომილება, არამედ არსებობდა, არსებობს და იარსებებს მხოლოდ და მხოლოდ მატერია და მატერიალური დროის ფაქტორი, მატერიამ განვითარება თავისთავად ჰპოვა დროში და ავიდა უმაღლეს საფეხურამდე და წარმოშვა სიცოცხლე, ამავე დროს, ისინი ვერ ეგუებოდნენ იდეალისტთა ფართო აუდიტორიას და მათდამი კეთილგანწყობას, რომელთა რიგებშიც ზომიერად მოაზროვნე მატერიალისტებიც შედიოდნენ...”

მეორე მეოთხემ ფურცლები ნუმერაციის მიხედვით დაალაგა და ახლა ის შეუდგა კითხვას...

ჩანაწერი მეორე/მეოთხე/მეათე...

ასისტენტი მეოთხე...

“მე და დინა ვრცელი წყლის ნაპირას ვიდექით, რომელიც ზღვა არ ყოფილა, მაგრამ დიდ, უკიდუგანო ტბას ჰგავდა... დინა წყალთან ახლოს მივიდა, მშვიდი ტალღები მას ფეხებს უსველებდა, მზის წითელი სხივები კი მის დახვეულ და სქეელ თმებს რუჯს უფრო და უფრო მატებდა... ჩემში ეჭვმა ტალღებისადმი და შურმა მზიასადმი ერთდროულად იფეთქა... დინა წყლისაკენ შეტრიალდა და მეუბნება, იქ რაღაც ტივტივებსო... წყლის სიღრმეში

შევცურე, მოტივტივე საგანს ხელი დავავლე და უკან
დინასაკენ გამოვცურე... დახვეული
გრაგნილი აღმოჩნდა, შუაში აბრეშუმის თეთრი ძაფით
შეკრული... გრაგნილზე კი შავი
ფანქრით დინას სახე იყო გამოსახული, ნახატის ქვემოთ
ციფრები ეწერა... დინას შევხედე,
რომელიც ნელ-ნელა მზის სხივებში უჩინარდებოდა,
მხოლოდ თევზებივით მოძრავი
თვალებიღა გახდა შესამჩნევი, რომლებიც მის სილუეტზე
დასრიალებდნენ და რომელთა
რაოდენობაც თანდათან მატულობდა... მივხვდი, ჩემი
ეჭვიანობა წყლისადმი და მზისადმი
შური ამო და ფუჭი გრძნობა აღმოჩნდა... მივხვდი, დინა
ხელშეუხებელი არსება იყო...”

ჩანაწერი მეთორმეტე...

ასისტენტი მეშვიდე...

ლექტორი პირველად ჩემი კინოფილმის პრემიერაზე
გავიცანი, როგორც წესი, ის ძალზე იშვიათად ჩნდებოდა
საზოგადოებაში და ხალხმრავალ ადგილებში... პრემიერის
დღე კი გამონაკლისს წარმოადგენდა... კინოსარეჟისორო
ფაკულტეტი ახალი დამთავრებული მქონდა, სადიპლომო
ნამუშევარი მოკლე ვადაში უნდა შემესრულებინა...
ფილმის გადასაღებად თანხა უკვე გამოყოფილი იყო და
თემებიც შემოთავაზებული, მათ შორის თავისუფალი
თემის არჩევაც შემეძლო... კარგა ხანს ვეძებდი შესაფერის
სცენარს... ვერონიკა ნინუა ჩემთან ერთად ათევდა ღამეებს
და ისიც დაღლილი იყო სცენარების ძებნით.. მე და
ვერონიკას ერთი საერთო მეგობარი გვყავდა, ასაკით
ჩვენზე უფროსი, მუსიკოსი თომა მანია, რომელსაც აღარ
აკმაყოფილებდა აქაური სტანდარტები და ქვეყნის

დატოვებას აპირებდა, გასამგზავრებელი ბილეთები უკვე ჯიბეში ედო, როცა დავუკავშირდით... თომამ ლექტორის სცენარი გადმომცა იმ საღამოს...

წარსულში მომხდარი მესამე

მეხუთის უცნაური ამბავი...

...წელიწადის დროები ყოველთვის ვერ ახდენენ ზეგავლენას შინაგან ტემპერატურაზე ... თუკი გარე სამყაროში თანმიმდევრულად მიედინება დრო, შინაგან სამყაროში წელიწადის ოთხივე დრო ერთდროულად თანაარსებობს და გარე სამყაროს კანონზომიერებას არად მიიჩნევს, რადგანაც ყველაფერი საკუთარი გააჩნია, კანონზომიერებაც და კიდევ ისეთები, რაზეც უნივერსალური გარე სამყარო ვერც იოცნებებს... ამაზე მსჯელობა უთუოდ შორს წაგვიყვანს, ამიტომ აჯობებს, კონკრეტულ სათქმელზე გადავიდეთ... და რადგანაც საუბარი იმით დაიწყო, რომ წელიწადის დროები ზეგავლენას ვერ ახდენენ შინაგან ტემპერატურაზე, აქედან გამომდინარე, ნათქვამს შეიძლება ისიც დავუმატოთ, რომ ზოგჯერ, როცა გარეთ ზაფხულია, შინაგანად შეიძლება ისე შეგცივდეს, რომ ქურთუკიც კი მოისხა, ხოლო ზამთარში მოსავალი აიღო იქ, სადაც ყველაფერი თოვლისაგან არის გადათეთრებული... ერთობლიობაში კი გარე და შიდა სამყარო ისეთ მრავალფეროვნებას ქმნიან, რომ ზოგჯერ შეიძლება აუტანლად მიიჩნიო იგი და უშედეგოდ გაქცევა სცადო, ზოგჯერ კი ისეთი მიმზიდველი აღმოჩნდეს, რომ წამის გაჩერებასაც ნატრობდე...

ჟურნალ-გაზეთი “X ჩასასვლელი და Y ამოსასვლელის” რედაქტორი, სანამ მესამე მეხუთეს მიიღებდა, საკუთარ კაბინეტში ბოლთას სცემდა და დროდადრო ფანჯარაში იყურებოდა... ბოლო გახედვაზე რედაქტორმა რაღაც

უცნაურ მფრინავ ობიექტს მოჰრკა თვალი და ორივე ხელით ჯერ თვალები მოისრისა, შემდეგ მთელი სახე და ისევ გაიხედა, მაგრამ ვერაფერი ვეღარ დაინახა და ყველაფერი ნაბახუსევ მდგომარეობას დააბრალა... ამ ფიქრებში იყო, როცა მის კაბინეტში მესამე მეხუთე შემოვიდა და სამსახურიდან წასვლის განცხადება მაგიდაზე დაუდო...

– რა მიზეზით?!... იკითხა რედაქტორმა, რომელსაც მისი წასვლა მართლაცდა არ უნდოდა...

პირველი და დანარჩენი ნაწილებიც იქვე იყვნენ, მაგრამ, რა თქმა უნდა, რედაქტორი ამას ვერ ამჩნევდა...

– მუშაობის საშუალებას არ მაძლევთ და იმიტომ...

– შეგიძლია, ეს ყველაფერი მშვიდად გადმოულაგო... მიაწოდა აზრი პირველმა მესამე მეხუთეს...

უთხარი, რომ მუშაობის პროცესში თქვენმა უხეშმა ჩარევებმა კულმინაციურ წერტილს მიაღწია... კარნახი გააგრძელა მეორე მეოთხემ...

– რედაქტირებისათვის გამოსაყენებელ მასალებს კარს მიღმა კეტავთ, რაღაც გაუგონარ ჩარჩოებს ადგენთ და ბიუროკრატიულ მეთოდებს მიმართავთ, ადამიანს მუშაობაში ხელი რომ შეუშალოთ... მე უკვე სხვა რედაქციასთან დავდე ხელშეკრულება.... ამჯერად მესამე პირველმა გააგრძელა კარნახი...

– კუთვნილ ხელფასს რაღაც გაურკვეველი მიზეზებით პროცენტებში მიქვითავთ... ეს უკვე აშკარად მესამე მეხუთის აზრი იყო და არა რომელიმე სხვა ნაწილის ნაკარნახევი...

მეორე ნაწილმა ცოტახნით წერას თავი ანება და კარნახში ჩაერთო...

– გთხოვთ, ბუღალტერიას აცნობოთ და ჩემი გამომუშავებული კუთვნილი თანხა გადმომცეთ... და მეორემ კვლავ განაგრძო წერა...

– და ეს ყველაფერი მშვიდად გაიმეორე... მშვიდად... უკარნახა პირველმა მესამე მეხუთეს წონასწორობის დასაცავად... – და გთხოვთ, ხელი მოაწეროთ განცხადებას, სადაც განმარტებულია, რომ ჩემი გადაწყვეტილების საფუძველზე ვტოვებ თქვენს რედაქციას, რომ სხვაგან არ შემექმნას პრობლემა... რედაქტორი სავარძლიდან წამოიწია რაღაცის სათქმელად, მაგრამ წელანდელი უცნაური მფრინავი ობიექტი უკვე თავის კაბინეტში შენიშნა და შეშფოთებისაგან ალბათ სათვალე ჩამოუვარდებოდა დიდი და კეხიანი ცხვირი რომ არ ჰქონოდა... იგი სავარძელში ჩაენარცხა და განცხადებას ხელი უსიტყვოდ მოაწერა...

ჩანაწერი მეცამეტე...

ასისტენტი პირველი...

აკადემიაში არსებული პოლიტიკური ამინდიდან გამომდინარე, ბაგირის გადაქაჩვა მატერიალისტების სასარგებლოდ წარიმართა... რასაც იდეალისტების პროტესტი მოჰყვა. ისინი აცხადებდნენ, რომ ჯერ არნახულ ზეწოლას განიცდიან მატერიალისტი კოლეგების მხრიდან, აკადემიის ხელმძღვანელთა მხარდაჭერით...

აკადემიის საბჭოს რაიმე გადაწყვეტილება უნდა მიეღო... საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე გადაწყდა, რომ: “ის მეცნიერები, რომლებიც მუშაობას ეწეოდნენ მეტაფიზიკური მიმართულებით, უნდა

დაკმაყოფილებულიყვნენ აქამდე არსებული იდეალისტური თეორიების კვლევა-ძიებით და ელიარებინათ მეტაფიზიკის არსებობა მცდარ დებულებად და ელიარებინათ მატერიალიზმის ჭეშმარიტება და შეეწყვიტათ ყოველგვარი მეცნიერული მუშაობა ამ მიმართულებით... წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩამოერთმეოდათ აკადემიის წევრობის სტატუსი, ყოველგვარი მეცნიერული ხარისხის გათვალისწინებით...” მეცნიერთა ნაწილი, რომლისათვის ეს რეფორმა მიუღებელი აღმოჩნდა, სხვა ქალაქებში და აკადემიებში გადანაწილდნენ, ზოგი დაითხოვეს, ზოგიც დაეთანხმა ამ რეფორმას და მუშაობა ფუნდამენტურ-მატერიალისტურ ამპლუაში გააგრძელა...

ამ გადაწყვეტილებას საბოლოო ჯამში ფილოსოფიის განვითარების დამუხრუჭება მოჰყვა, რადგანაც თავი იჩინა დიალექტიკის პრობლემამ, რამაც დაასამარა მატერიალისტური ფილოსოფიის კონცეფციაც, იქიდან გამომდინარე, რომ ფილოსოფიური ლოგიკის განვითარება დამოკიდებულია არამართო რაიმე კონკრეტული საგნის შიგნით მიმდინარე დიალექტიკაზე, არამედ ამ საგნის ფარგლებს გარეთ მყოფ რაიმე სხვა, თუნდაც მცდარი შეხედულებების საგნებთან დიალოგში შესვლაზეც...

მართალია, ამ მატერიალისტურმა მიგნებამ იდეალიზმის სასარგებლოდ პოზიციების სრული გათანაბრება არ მოიტანა, მაგრამ იდეალისტური იდეების გაჟღერება უკვე შესაძლებელი გახდა და საშუალება მისცა იდეალისტ მეცნიერებს, მატერიალიზმის ფრთებქვეშ და სახელით გაეგრძელებინათ კვლევა... თუმცა ასეთ ფილოსოფოსებს უამრავი წინაღობა ხვდებოდათ წინ...”

ჩანაწერი მესამე...

პარაგრაფი პირველი... მუხლი მეხუთე

ასისტენტი მესამე

ლექტორის მოსმენა მოგვიანებით დავინწყე... მას უკვე ლექციების კურსი დაწყებული ჰქონდა... იგი ისე უბრალოდ გადმოსცემდა ცოდნას, რომ ყველაზე სუსტი ჭკუის ადამიანიც კი რალაცას გაიგებდა მისგან... საერთოდ, იგი ლექციებზე უამრავ საკითხს ეხებოდა, იმ დღეს კი მისი ლექცია სიმბოლოების ირგვლივ ტრიალებდა... სწავლება სიმბოლოების შესახებ საინტერესო მეცნიერებაა... სიმბოლო, როგორც ასეთი, კონტექსტთან მიმართებაში განიხილება, სხვადასხვა კონტექსტში ერთი და იგივე სიმბოლოს განსხვავებული დატვირთვა აქვს, თუმცა ისინი ერთი ძირიდან ამოზრდილები არიან... მართალია, სიმბოლოების ღრმა განმარტება და ანალიზი რთული საკითხია, მაგრამ მოკლე, მარტივი დახასიათება ყოველთვის შესაძლებელია... მაგალითად, ზოგიერთ ლეგენდაში, პერსონაჟი მამაკაცი რაიმე სათაყვანებელი იდეის ან სწავლების სიმბოლოა... ერის, ხალხის, თემის... ზოგ შემთხვევაში სარწმუნოების სიმბოლოდ კი ქალია გამოყვანილი... ადამიანის სულის, ფსიქიკის სიმბოლო პეპელა ან ახალგაზრდა პეპლისფრთებიანი გოგონაა, ზოგჯერ ადამიანის სულს ფრინველადაც მოიაზრებენ, ზოგჯერ ზეალმავალ კვამლად... ღვინო მადლის, თავისუფლების დეკლარირებაა, მაგრამ ზოგ შემთხვევაში პირიქით, თავაშვებულობის, ზოგჯერ სასჯელის მაუნყებელიც კი... ლექტორი კი უფრო ციფრების სიმბოლოებით იყო დაინტერესებული...”

მესამე მეხუთე და ბელას რესტორანი

ძველი რედაქციიდან წამოსვლისა და ახალ რედაქციაში მუშაობის დაწყების შუალედში რამდენიმე ხანი

ფაქტობრივად უსაქმურად ვიყავი და ისე მოხდა, რომ სასმელს მივეძაღე... ერთ დღესაც, არ მახსოვს, როგორ ჩამეძინა... გაღვიძებულზე კი ისევ დაღევა მომინდა, მაგრამ სახლში სპირტის მაგვარი არაფერი არ აღმოჩნდა... საათისთვის არც შემიხედავს, უკვე ბნელოდა, ოჯახის წევრების გაღვიძებას მოვერიდე და ქუჩაში იმ იმედით გავედი, რომ ბელას რესტორანში რამეს დავლევდი...

იმ დღეს ბელასთან ისხდნენ ყველანი... ბელას რესტორანი კი ისეთი სუფრები ეწყობოდა, რომ თუ პეტერსთან ერთად შემოუჭდებოდი სუფრას, ბოლოს, შეიძლება, ნიკიფორეს გვერდით აღმოჩენილიყავი და სუფრაზე პეტრეს დახვედრიდან ნიკიფორეს მოსვლამდე მონაკვეთში ბევრი პავლე წავიდოდა და ბევრი ივანეც მოვიდოდა, იქამდე, სანამ დუქანი არ დაიკეტებოდა... შემდეგ კი პეტრე, პავლე, ნიკიფორე და სხვები, ყველანი იძულებულნი ხდებოდნენ, ერთად დატოვებინათ იქაურობა, თუ ზოგიერთ გამონაკლისს არ მივიღებთ მხედველობაში, თუმცა ბელას რესტორანი იქამდე იყო ღია, სანამ კლიენტი თვითონ არ გადაწყვეტდა წასვლას... ერთი სიტყვით, ცოტა არ იყოს, ძნელი დასახასიათებელია ბელას რესტორანი და მისი მუშაობის პრინციპი, ამ გადმოსახედიდან... იმ ნახევრად მიწურ, თითქმის ჩაბნელებულ, კარგა გვარიანად დიდი ფართობის მქონე სარდაფს, რომელსაც მარცხენა მხარეს თითქმის იგივე ზომის ბანქოს სათამაშო დარბაზი ჰქონდა მიდგმული, მხოლოდ რამდენიმე პატარა სარკმელი ჰქონდა დატანებული კედლების ზედა მხარეს და მუდამ ხახვის, ნივრისა და წინაკისაგან დამზადებული კერძების სუნი და ოხშივარი ასდიოდა, იმასაც ვერ იტყოდა კაცი, რომ უგემურ საჭმელებს ამზადებდნენ, იქაური იაფფასიანი კერძები, შეიძლება ითქვას, გემრიელადაც კი ეჩვენებოდა ბახუსის, წინაკის, ნივრისა და ბანქოს თამაშთან ერთად

ლაყბობის მოყვარულ კლიენტურას, რომელიც თუთუნის კვამლში გახვეული ყოველთვის ათასგვარი ჭორებითა და ამბის მოყოლით იყო დაკავებული... ბელას რესტორანი ორი უბნის საზღვარზე იდგა და არცერთს არ ეკუთვნოდა, სამაგიეროდ, ორივე უბანს ჰქონდა მასზე პრეტენზია, რის გამოც უბნებს შორის ურთიერთობა იძაბებოდა...

დაძაბულობამ იქამდე გასტანა, სანამ სახელმწიფომ გადასახადების საკითხი არ გაამკაცრა და ყველა ასეთი ობიექტის დაცვა თავის თავზე არ აიღო... თუმცა შეხლა-შემოხლები მაინც ხდებოდა, მაგრამ არა იმ ხარისხით, როგორც ადრე... იყო შემთხვევები, როცა მთელი დარბაზი ჩხუბში ჩაერთვებოდა ხოლმე, ქალების ჩათვლით...

სასადილოში მიმტანი ქალები კი მართლაც შესამჩნევები იყვნენ თავიანთი გარეგნობით, ბევრი მხოლოდ მათი ხათრით დადიოდა იქ და, ხშირ შემთხვევაში, სწორედ მათ გამო ხდებოდა ჩხუბები... მართალია, ისინი ოცი-ოცდახუთი წლის გოგონები არ იყვნენ, მაგრამ მათი ქალური ეშხი, მიმზიდველობა და ჯანმრთელი იერი ბევრის საფიქრალი გამხდარიყო... მათი უნიფორმა თეთრი კოფტით, შემოტმასნილი ქვედაბოლოთი რომელიც მუხლამდე ძლივს სწვდებოდათ და საშუალო სიმაღლის ქუსლიანი ფეხსაცმელებით შემოიფარგლებოდა, თავზე კი ყველას თეთრი, სპეციალური მიმტანის ქუდები ეხურა... ისინი მუშაობის პროცესში ისე დასრიალებდნენ ახლო-ახლო მდგომ მაგიდებს შორის, რომ ხშირად უხდებოდათ შემთხვევით გვერდის გაკვრა შეზარხოშებულ და დასპირტულ სტუმრებზე... ზოგჯერ კი მათ გვერდის გაკვრას მთვრალი კლიენტისაგან ან სიტყვიერი ვულგარული კომპლიმენტი ან წაბლლანძუნება მოყვებოდა ხოლმე, ხოლო ამ წაბლლანძუნებას მუშტი-კრივი ან ბოთლების მტვრევები... ჩემი მეგობრების წრე კი არცერთ უბანს არ ეკუთვნოდა...

სასადილოსთან მისულმა ინსტინქტურად ჯიბეზე შევივლე ხელი... შვიდი დოლარი აღმომაჩნდა და სანამ მეგობრებს მოვძებნიდი, მზარეულის დახლთან მივედი, უბმოზე ჯერ ასი, შემდეგ ისევ ასი გრამი არაყი დავლიე და ნაცნობების ძებნას შევუდექი თვალებით, სასმელი კი ნელ-ნელა სხეულს შემოენთო და ვიგრძენი, პიკის შუამდე ავარდნილ, შემოტრიალებულ სიმთვრალეს როგორ მოჰყავდა ტვინი მოძრაობაში, როგორ გაქრა უხერხულობა, სიშიშვლის გრძნობა როგორ შეიცვალა გაბედულებით და სიამოვნების ტალღებმა როგორ შეცვალა უდაბნოს ოაზისების მირაჟები... დარბაზის ერთ-ერთ კუთხეში ლეო ბუთხუბი, თევდორე დიგნაძე და მიშა ბულია რალაცაზე გაცხარებით კამათობდნენ... ლეომ გულის ჯიბიდან ფულის დასტა ამოიღო და სამ ნაწილად გაყო, ჯერ ბულიას მიაწოდა ფული, შემდეგ კი დიგნაძესთვის უნდოდა მიეცა, მაგრამ თევდორემ სავარაუდოდ ეს იუკადრისა და ფულზე ხელი აუკრა, ერთი ჭიქა წითელი ღვინო სულმოუთქმელად გადაჰკრა და მაგიდასთან დაჯდა... ის ამბავი ყველასათვის ცნობილი იყო, რომ ლეოს და დიგნაძეს – ორივეს ერთ ქალი – ბელა უყვარდა, ამას ბულიასაც აბრალებდნენ, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, რომ მიშას ბელას სიყვარულის შესახებ არასდროს უფიქრია, თუმცა იმასაც ამბობენ, რომ მიშას საყვარელი ძალიან ჰგავდა ბელას... რაც შეეხება ბელას გარეგნობას, ეს იყო ქალი, რომელსაც მხოლოდ გამოხედვით შეეძლო კაცის მონუსხვა, გაურკვეველი თვალების ფერი, პატარა ზომის, მაგრამ კეხიანი ცხვირი, ამობურცული ვნებიანი ტუჩები, შუბლზე დაყრილი უსწორმასწორო და სხვადასხვა ზომის მუქი წაბლისფერი კულულები, რომლებიც მის ოდნავ ელამ თვალებს ფარავდნენ, ეს ყველაფერი რატომღაც აჯადოებდა კაცს... ჩემი აზრით, ბელას სახელად კარმენი უფრო შეეფერებოდა... მე მასთან ხშირად ნისიად

შევდიოდი ხოლმე, არ ვიცი, სხვას როგორ, მაგრამ ჩემთვის ვალის გადახდა მკაცრად არასდროს არ მოუთხოვია, რამდენჯერმე უპატიებია კიდევ ვალი, ალბათ იმ პოეზიის ხარჯზე, რომელსაც მას ვუძღვნიდი მეგობრობის აღსანიშნავად... იმ ღამეს კი რესტორანში თითქმის ყველა გადამთვრალი იყო, ნაცნობებიდან დაწყებული, უცნობების ჩათვლით... განსაკუთრებით ერთი კაცი აქტიურობდა, რომელიც მოქეიფებთან მიდიოდა, ყველას საათს ეკითხებოდა და შემდეგ მთელი ხმით ყვიროდა “– ბოლოს და ბოლოს, გამაგებინეთ, რა ღირს ეს თქვენი ქალები, რა იცით, იქნებ ორმაგი თანხა გადაგიხადოთო...” შემდეგ ბელას დახლთან მივიდა, ბელას ხელი მოხვია და მისი სადღაც წაყვანა მოინდომა... თევდორემ ამ სცენას ვერ გაუძლო და იმ გადამთვრალ მამაკაცს ბოთლი თავზე გადაამტვრია... საბედნიეროდ, კაცს ნაბდის ქუდი ეხურა და არაფერი მოსვლია... გადარჩა... თევდორეს კი “თეთრი ცხელების” შემოტევა დაუდგინა ამხანაგურმა სასამართლომ და სამკურნალოდ კლინიკაში გადაიყვანეს...

ჩანაწერი მეჩვიდმეტე...

ასისტენტი მეცამეტე...

ძილისაგან გამოფხიზლებული და შეშინებული მატერიალისტური მიმდინარეობის ფილოსოფოსი პოლიკარპე გამცემლიძე საწოლიდან წამოიწია და ვენერას გადახედა. როდესაც დარწმუნდა, რომ ვენერა ღრმა ძილში იყო, გაიფიქრა, მოდი, გავაღვიძებო, მაგრამ წამის მეასედში აზრი შეიცვალა იმ ეჭვის საფუძველზე, რომ ალბათ ვენერამ თავისით გაიღვიძა და თავს იმძინარებსო. ამ უკანასკნელ გადაწყვეტილებაში მყარად დარწმუნებულმა, ცოლს ხელი გაჰკრა მხარზე... ვენერამ

ერთი წამოიკნავლა და ძილი თუ ძილის იმიტაცია გააგრძელა... პოლიკარპე ახლა საპირისპირო აზრმა შეაწუხა და ახლა იმაში დაუწყო თავის თავს დარწმუნება, რომ ვენერას ნამდვილად სძინავსო... ბოლოს პოლიკომ, როგორც მას მოფერებით ეძახდნენ, ცოლის ძილის თუ ძილის იმიტაციაზე ხელი ჩაიქნია და იმაზე დაიწყო ფიქრი, საკუთარი ძილისათვის რა მოეხერხებინა, რომელშიც მას ერთ-ერთი წიგნის პერსონაჟით, გარკვეული ხნის მანძილზე ერთი და იგივე სიზმარი ესიზმრებოდა... პერსონაჟის სიზმარი პოლიკოს სიზმარს კიდევ ჰგავდა და განსხვავებული შტრიხებიც გააჩნდა... მაგალითად, თუ იმ პერსონაჟს სიზმარში ხალხმრავლობა აწუხებდა და იცოდა, რას მოითხოვდნენ მისგან, პოლიკოს სიზმარი ერთ პატარა ოთახში მიმდინარეობდა და ტყუპისცალივით ერთმანეთის მსგავსი ხუთი პიროვნება რაღაც საბუთებზე პასუხს სთხოვდნენ მას... ეს სიზმრები კი იმის მერე დაეწყო მას, რაც ამბაკო ქაცივაძესაგან რაღაც ლიტერატურის სხვა ქალაქიდან ჩამოტანის შესახებ ინფორმაცია მოიპოვა... პოლიკოსათვის ეს სიზმრები და ყოველდღიური რუტინა იმდენად აუტანელი გახდა, რომ გადაწყვიტა, დევი ონაძის კლინიკისთვის მიემართა...

ჩანაწერი ოცდამეერთე...

ასისტენტი მეორე...

ამბაკო ქაცივაძეს, რომელიც აკადემიაში იდეალისტ ფილოსოფოსთა სიაში ირიცხებოდა ჩვევად ჰქონდა, მის გარშემო მიმდინარე პროცესების ანალიზისას ოქროს შუალედი ეპოვნა, მაგრამ ისიც კარგად იცოდა, რომ ამ შუალედის მოსაძებნად ჯერ ორი საპირისპირო პოლუსი – ცივი და ცხელი გონება უნდა გამოეცალკეებინა ერთმანეთისაგან... დაკვირვების შედეგად მიხვდა, რომ ამ

ორივე პოლუსს ერთი საერთო თვისება გააჩნდა, ორივე ერთმანეთში პირველობისათვის იბრძოდა... როცა საქმეში ემოცია ჩაერთვებოდა, შეიძლება, ცივი გონება უკანა პლანზე გადაწეულიყო და კონტროლის სადავები ემოციის ხელში გადასულიყო და პირიქით... თავიდან ყურადღება არ მიუქცევია ამ მოვლენისათვის, რადგანაც იმ ასაკში არ იყო, რომ განესხვავებინა ერთმანეთისაგან ცივი და ცხელი გონება და არც ის იცოდა, რომ მათ შორის არსებულ განსხვავებას ოქროს შუალედი ერქვა... მაგრამ ასაკთან ერთად, სანამ ოქროს შუალედზე რამეს გაიგებდა, ინტუიციურად მიხვდა, რომ უნდა ეპოვა რაღაც ისეთი მესამე მდგომარეობა, რომელიც მეტის გარკვევის საშუალებას მისცემდა მას... ამ შუალედის შესახებ პირველად მან ისტორიის პედაგოგისაგან გაიგო და ძალიან დაინტერესდა ამ მოვლენით... პედაგოგი კართაგენის მთავარსარდალ ჰანიბალზე ჰყვებოდა გაკვეთილს და ასეთი რამ თქვა: “ჰანიბალს რომაელთა მიმართ სიძულვილის შედეგად გამოწვეული სიბრაზით რომ არ ემოქმედა და ოდნავ ცივი გონებისათვის მოეხმო, შეიძლება, გამარჯვება მის მხარეზე ყოფილიყო, მაგრამ ოქროს შუალედის პოვნა ვერ მოხერხდა...” ამბაკოს ეს ფრაზა მთელი ცხოვრება ჩარჩა მესსიერებაში...

თუმცა ამბაკო ბოლო დროს სოფიას მისდამი გულგრილობის გამო ხასიათზე არ იყო და როცა შეიტყო ლექტორისა და სოფიას სიყვარულის შესახებ, მიხვდა, რომ ლოგიკურ ანალიზს ვეღარ შეიძლებდა, რადგანაც საქმეში უკვე ემოცია ჩაერთო და ემოციის ფონზე მასში გაღიზიანება მატულობდა და ნერვებთან პირისპირ მართო რჩებოდა, ხოლო ცივი გონებით აზროვნება მისგან შორს წავიდა და გაბოროტება დაეუფლა, ხოლო ოქროს შუალედის შესახებ საერთოდ ყველაფერი დაავიწყდა... ამ

გაბოროტების ფონზე კი იგი თავის მოწინააღმდეგეს, კერძოდ, პოლიკო გამცემლიძეს დაუკავშირდა და აკადემიაში აკრძალული ლიტერატურის შემოტანის შესახებ იდეალისტების გასაიდუმლოებული ინფორმაცია მიაწოდა...

ჩანაწერი მეორმოცე...

მეორე მეოთხის საინტერესო ამბავი მატარებელში

ფილოსოფიური უნივერსიტეტის გამოსაშვებ საღამოზე, ფილოსოფოსი ბაკალავრის ტანსაცმელში გამოწყობილ მეორე მეოთხეს დიპლომი გადასცეს და რექტორის კაბინეტში დაიბარეს...

– საქმე არც ისე რთულია, მთავარია, არ დაიბნე, ისე, როგორც ფილოსოფოსებს გვჩვევია... როცა გადაცმულ ჯაშუშებს შეხვდები მატარებელში... შენ აკრძალული არაფერი მიგაქვს... კანონსაწინააღმდეგო არაფერია... მაგიური ფორმულები კარგად იცი... სწორედ ამიტომ აგირჩია იდეალისტ ფილოსოფოსთა საბჭომ და მოგანდო ლიტერატურის გადატანა... მშვიდად უხსნიდა იდეალისტი უნივერსიტეტის რექტორი მეორე მეოთხეს საქმის ვითარებას... – მართალია, ხელის შეშლას შეეცდებიან, მაგრამ ეს გამოცდა უნდა ჩააბარო ისე, როგორც წინა გამოცდებს აბარებდი... რექტორმა ჯერ მოზრდილი დიპლომატი ხელიდან ხელში გადასცა და შემდეგ სამგზავრო ბილეთიც მიაწოდა... – ინფორმაციამ მართალია, გაჟონა... ვიღაცა ჩვენნიანის ნაყრანტალებია, მაგრამ არა უშავს...

მეორე მეოთხე ბაქანზე დიდხანს არ შეყოვნებულა... მატარებელი მალევე ჩამოდგა და ისიც ვაგონში ავიდა, თავისი ადგილი მოძებნა და ფანჯარაში გაიხედა... ცოტა ხანში

ვიღაც სასიამოვნო გარეგნობის ახალგაზრდა ქალი დაუჯდა წინ და მატარებელიც დაიძრა...

– ეს არის, ის ჯაშუშია, რექტორმა რომ გაგაფრთხილა... თქვა პირველმა და კუშტად მიაჩერდა ქალს...

– არის და იყოს... ლამაზი კია ეს შეჩვენებული, თქვა მესამე მეხუთემ და საულვაშებზე ხელი ჩამოისვა, მერე ფანჯარაში გაიხედა, ისევ ქალებით სავსე მთვარისთვის უნდოდა თვალი შეეველო, მაგრამ გაახსენდა, რომ დღის სამი საათი იყო...

– მაპატიეთ, ქალური ცნობისმოყვარეობა მაიძულებს, გკითხოთ... ეს ბაკალავრის სამოსია?... რა პროფესიის ბრძანდებით? იკითხა ლამაზმა ქალმა მომხიბლველი ღიმილით...

– თქვენ როგორ გგონიათ, რომელი პროფესიის ადამიანს ვგავარ?

– არ ვიცი, ძნელი სათქმელია...

– კარგით... მაშინ ერთ ისტორიას მოვყვები და თქვენ თვითონ მიხვდებით, რა პროფესიის ვარ... ალბათ მოვასწრებ, სანამ ქალაქში ჩავალთ...

– სიამოვნებით მოგისმენთ...

– ეს ყველასათვის ცნობილი ისტორიაა, მაგრამ განსხვავებულ ინტერპრეტაციებით ჰყვებიან ამ ამბავს... მე კი ჩემი მყარი ვერსია მაქვს... “მოკლედ, ბევრი რომ არ ვილაპარაკო... სიზმარში ვარ, გარემო შევათვალე რე და მივხვდი, ისეთ ქალაქში ამოვყავი თავი, რომელიც ჯერ არ მენახა არც მსმენოდა მის შესახებ არაფერი... ხალხი ქალაქის მოედნისაკენ მიემართებოდა... მეტად დავინტერესდი ამ ამბით და ერთ-ერთს ვკითხე... – რა

ხდება, იქნებ გამაგებინოთ... უცხო ქვეყნის მოქალაქე ვარ-
მეთქი...

– პლაგიატს და პერსონაჟების მომპარავს
ვასამართლებთო... მიპასუხა მეჩხერკბილებმა კაცმა...
გამიკვირდა, თან საქმის ვითარებაში კარგად ვერ
გავერკვიე და გადავწყვიტე, კიდევ ვინმესთვის მეკითხა,
ისეთისათვის, რომელიც უკეთესად ამიხსნიდა ამ
ყველაფერს... ბოლოს გაირკვა, რომ ეს ხალხი წიგნის ის
პერსონაჟები იყვნენ, რომელსაც ეს პატიმარი ხატავდა
თავის წიგნებში, ხოლო პერსონაჟები იმას ედავებოდნენ,
რომ ჩვენ უკვე ამა და ამ მწერალს ვეკუთვნიოთ...”

– რომელ მწერალზე ჰყვებით? რაღაც, ძალიან
დავინტერესდი... იკითხა ქალმა

– აქ სახელებს იმდენად არ ენიჭება მნიშვნელობა, როგორც
პერსონაჟების ხასიათებს, ხოლო ეს პერსონაჟები თავიანთ
თავს კაფკას პერსონაჟებად თვლიდნენ, მაგრამ ისინი
კაფკას პერსონაჟები არ იყვნენ, არამედ იმ სიზმარში
არსებული მწერლის... და თანაც ის ჩემი სიზმარი იყო და
არა კაფკასი... თან სიზმრის სცენარი კაფკას
“პროცესისაგან” განსხვავებულ ფერებში მიმდინარეობდა
და სხვა შინაარსს ატარებდა...

– კერძოდ, რომელ შინაარსზე მესაუბრებით?!

– კაფკას, იოსებ კ. ბრბოს არ გაუსამართლებია, არამედ
დღისით, მზისით პოლიციელების თვალწინ და საკუთარი
ფეხით პროტესტის გარეშე გაჰყვა ჯალათებს”, შემდეგ კი
მოკლეს დანით, როგორც ძაღლი... აქ კი იმ სიზმრის მთავარ
გმირს ბრბო ასამართლებდა...

მსგავსება მხოლოდ იმაშია, რომ კაფკაც და იმ სიზმრის
მწერალიც ორივე ქმნიდა თავიანთ პერსონაჟებს, ისეთ

პერსონაჟებს, რომლებსაც ავტორის მიმართ რაღაც პრეტენზიები გააჩნდათ...

– და რისთვის ასამართლებდნენ?.. თუმცა ეს ისტორია გაგონილი მაქვს, მაგრამ ის ამბავი ფერმწერის, მხატვრის შესახებაა, რომელიც რომელიღაცა ქალაქის მხატვარი იყო და მთელი ქალაქი მოხატა, ბოლოს კი თეთრი ცხელების დროს მოეჩვენა, რომ თავისი ნახატები აუჯანყდნენ... რატომ დამხატე ასეთი და რატომ ისეთი არაო... თქვა სევდიანი ღიმილით ქალმა...

– მხატვარი ჩემს სიბმარშიც ფიგურირებს და, სხვათა შორის, კაფკასთანაც... მხატვარი ტიტორელი...

– ტიტორელი?!

– დიახ, ეს თვითონ კაფკაა და კაფკას ორეული, რომელიც მოსამართლის პორტრეტებს ხატავს... კაფკამ საკუთარი პიროვნების განწვლილვა მოახდინა და ეს მოსამართლეები სხვა არავინ არიან, თუ არა ჩვეულებრივი ადამიანები, რომლებიც კაფკას ირგვლივ ტრიალებდნენ და როგორც ჩანს, მის აზროვნებაში დაიდეს ბინა, მან კი მოსამართლეებად შერაცხა წარმოდგენებში... საქმე ყოველდღიურ რუტინას ეხება...

– მაგრამ რატომ ფიქრობთ, რომ ტიტორელი კაფკას ან იოსეფ კ.-ს ორეულია...

– იმიტომ, რომ ჩემს სიბმარშიც იმ პატიმრის ორეული ვნახე ბრბოსთან ერთად...

– ჰო, მცირე გაურკვევლობა დატოვა ჩემში თქვენმა სიბმარმა, თუმცა ძალიან დამაინტერესა... მაგრამ ახლა ქალაქს ვუახლოვდებით და იქნებ მოკლედ მოჰყვეთ...

- კარგი, მოკლედ იყოს... პატიმარს ბორკილები ავხსენი და გავათავისუფლე ისე, რომ ვერავინ შემეჩინააღმდეგა...
- საბაჟო შემოწმება წინ გველოდება... შემიძლია, დახმარება შემოგთავაზოთ...
- გმადლობთ... მაგრამ მე აკრძალული არაფერი გადამაქვს... სიზმარმა თუ დაგაინტერესათ, შემიძლია, სხვა დროს სხვა სიზმარი მოგიყვეთ...
- სიამოვნებით... გაიღიმა ქალმა

ჩანაწერი ოცდამეერთე...

და კარლოს პირველი ნაწილის მოკლე ისტორია...

ექიმმა დევი ონაძემ საკუთარ კლინიკას რაღაც გაურკვეველი მიზეზების გამო გეოგრაფიული ადგილმდებარეობა შეუცვალა და უკეთესი სამკურნალო პირობები შექმნა ახალ შენობაში, ვიდრე ძველ კლინიკას გააჩნდა...

დევი მუშაობაში გაერთო და მუდამ რაღაც საქალაქდეს დაატარებდა, რომლის მოცულობა ხან მატულობდა და ხანაც იკლებდა დღეების მიხედვით... დროთა განმავლობაში პაციენტთა რაოდენობამ იმატა, რომელთა შორის იყვნენ კმაყოფილი, უკმაყოფილო და ისეთებიც, რომელთაც ვერ გაერკვიათ, უნდა მინდობოდნენ სამკურნალო დაწესებულებას თუ არა... საერთოდ, ონაძეების მემკვიდრეობითი საექიმო საქმიანობის ისტორიაში, პაციენტის იმქვეყნად გასტუმრების ფაქტები არ ფიგურირებდა, თუ არ ჩავთვლით იმგვარ გამონაკლისებს, რომლებსაც პირადად დევისთან არავითარი კავშირი არ გააჩნდა, დროისა და გეოგრაფიული არდამთხვევის გამო... ამ პრეცედენტში

იგულისხმება მეორე მსოფლიო ომი, რომელშიც დევის დიდი ბაბუა, დურმიშხანი, გვართ ისიც ონაძე, მთავარი ქირურგის თანაშემწის მოვალეობას ასრულებდა, ქერჩიდან დაწყებული, ბერლინამდე დამთავრებული... რომელმაც ომის დამთავრების შემდეგ მოახერხა საფრანგეთში დარჩენა და იქ ცხოვრება და მოღვაწეობა ბერლინის კედლის აღმართვამდე, შემდეგ კი ისევ გერმანიაში დაბრუნდა და დასავლეთ ბერლინში დაასრულა თავისი ხანგრძლივი ცხოვრება...

დინა პირველად დევი ონაძის კლინიკაში ვნახე, მაშინ, როცა თევდორე დიგნაძეს ექიმთან მივყევი. როგორც აღმოჩნდა, დინა დევის და იყო... კლინიკაში შესვლისთანავე ვიღაც თითგაშვერილი კაცი ჩემკენ გამოემართა და ყვირილი მორთო... – აი, ესენი იყვნენ სიბმარში რომ მოდიოდნენ... ბატონო ექიმო... ესენი იყვნენ ღამის ზმანებებში რომ მეღანდებოდნენ და რაღაცას ითხოვდნენ ჩემგან... დამიჯერეთ, ბატონო ექიმო... – დაწყნარდი, პოლიკო, დაწყნარდი, გენაცვალე, აღელვებული ხარ... აწყნარებდა ვიღაც ქალი ანერვიულებულ კაცს...

კარლოს გამოფხიზლება

კარლო ღია ფანჯრიდან ოთახში შემოვარდნილმა ჰაერის ნაკადმა გამოაფხიზლა, მაგიდიდან თავი ასწია და ქარისაგან მიმოფანტულ ფურცლებს თვალს ადევნებდა... ოქროს ორბიტას დახედა... ქალაქის დროით 15:00 სთ-ს აჩვენებდა.

4. ესეისტიკა

ქეთი ჯიშიაშვილი

არგენტინული ლიტერატურული ტანდემი

2018 წლის გაზაფხულზე გამომცემლობა “ალეფმა“ მკითხველს შესთავაზა ხორხე ლუის ბორხესისა და ადოლფო ბიოი კასარესის თანამშრომლობით შექმნილი კრებული, სადაც წარმოდგენილია დეტექტიური ჟანრის რომანები: “ექვსი თავსატეხი დონ ისიდრო პაროდისთვის” და “მოდელი მკვლელობისთვის“, ასევე, “ორი სამახსოვრო ფანტაზია” და “მოკლე და უცნაური მოთხრობები“. (მთარგმნელი ქეთევან ჯიშიაშვილი, რედაქტორი ელზა ახვლედიანი). წიგნში შემავალი ნაწარმოებები ამჯერადაც ახალ ლიტერატურულ თამაშებში მონაწილეობისთვის იწვევს მკითხველს. მას, ვისაც ამ პროცესისგან სიამოვნების მიღება სურს, თამაშის წესებს – ანუ იმ ძირითად ლიტერატურულ პრინციპებსა და ხერხებს უნდა იცნობდეს, რომლებიც წიგნის ავტორებმა საგულდაგულოდ შეიმუშავეს ერთგულ მკითხველთან საურთიეროდ. ერთგვარ გზამკვლევად გამოდგება ბიოგრაფიული ცნობებიც, რადგან ბორხესისა და კასარესის შემოქმედებითი მეგობრობა უპრეცედენტო მოვლენაა ლიტერატურულ სამყაროში და დამოუკიდებლად იმსახურებს მკვლევართა ყურადღებას.

ხანგრძლივი მეგობრობის დასაწყისი

ადოლფო ბიოი კასარესს ბორხესთან პირველი შეხვედრის ზუსტი თარიღის გახსენება უჭირს: “ეს მოხდა 1931 თუ 1932 წელს, როდესაც სან ისიდროდან ბუენოს აირესისკენ მივემგზავრებოდით.” სამაგიეროდ, ამ უცნაური ვოიაჟის ყველა დეტალი ჩაებეჭდა თავში. საუბარი ხომ მათ საერთო ვნებას – ლიტერატურას ეხებოდა. “ბორხესი მაშინ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი სახელოვანი ახალგაზრდა მწერალი

იყო, მე კი ბიჭი, რომელიც ჩემი პირველი წიგნის არსებობას საიდუმლოდ ვინახავდი, მეორე კი ფსევდონიმით მქონდა გამოქვეყნებული. როცა მკითხეს, ვინ იყო ჩემი საყვარელი მწერალი, როგორც იქნა, დავძლიე სიმორცხვე, რის გამოც წინადადების გამართული სინტაქსით თქმასაც ვერ ვახერხებდი და ბუენოს აირესის ლიტერატურული გაზეთის ხელმძღვანელის ქება-დიდებას მოვყევი. შესაძლოა, სიტუაციის განმუხტვის მიზნით, ბორხესმა მკითხა: გასაგებია, მაგრამ ვის ეთაყვანებით მის გარდა ამ საუკუნის, ან თუნდაც გასული საუკუნის მწერლებიდან? – გაბრიელ მიროს, ასორინს, ჯეიმს ჯოისს – ვუპასუხე მე. “ ამ სიტყვებით დაიწყო ოცდაათწლიანი მეგობრობა იმ დროისთვის უკვე ცნობილ ბორხესსა და ჩვიდმეტი წლის ახალბედა მწერალს, ბიოი კასარესს შორის, რომელიც არც მეტი, არც ნაკლები, მთელი ცხოვრების მანძილზე გაგრძელდა და ორივე მათგანისთვის შემოქმედების მასაზრდოებელ წყაროდ იქცა.

ლეგენდარული ავტორიტეტის, ასაკისა და პოპულარობის გამო ამ თანამშრობლობის დომინანტურ ძალად სწორედ ბორხესი მოიაზრებოდა. 1964 წლის ინტერვიუში თავად მწერალი ცდილობს განმარტოს ეს საკითხი: “ასაკობრივი განსხვავების გამო რატომღაც მიჩნეულია, რომ უმცროსმა უფროსისგან უნდა ისწავლოს. ჩვენ შემთხვევაში მეც ბევრი რამ ვისწავლე ბიოისგან. მე ყოველთვის სასაცილო, კომპეზური, ბაროკალური ენა მიზიდავდა, მან კი მაგრძნობინა, რომ სიმშვიდე და თავშეკავებულობაც ღირებულია. ვინმეს რომ ეთხოვა, ეს პროცესი ერთი წინადადებით დამიხასიათეო, ასე ვიტყოდი: “ბიოიმ ნელ-ნელა კლასიციზმამდე მიმიყვანა“.

ადოლფო ბიოი კასარესი – ბორხესის ერთგული მეგობარი და ბიოგრაფი – სერვანტესის პრემიის ლაურეატი. კრიტიკოსების აზრით, სწორედ მისი ლიტერატურული შედეგრი “მორელის გამოგონება” შეიძლება ჩაითვალოს ლათინოამერიკული ბუმის ერთ-ერთ პირველ ნიმუშად. წიგნის წინასიტყვაობა ბორხესს ეკუთვნის და იგი მას “სრულყოფილ რომანს უწოდებს.” (დაიბეჭდა ჟურნალში “ახალი საუნჯე” N9-10, 2014) “მორელის გამოგონებაში“ წინა პლანზეა წამოწეული ასლისა და დედნის ოპოზიცია. დღევანდელი გადასახედიდან ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ჩვენს სინამდვილეში ვირტუალური რეალობის ტრანსლირების თემა, რაც ნაწარმოების სიუჟეტურ ქარგას ედება საფუძვლად. რეალურისა და ირეალურის მუდმივი ციმციმი მწერალს მისტიკურობის ისეთ მწვერვალამდე აჰყავს, რომ ბიოი კასარესს თანამედროვე ფანტასტიკური ლიტერატურის ფუძემდებლადაც მიიჩნევენ. ამ რომანის მიხედვით გადაღებული ფილმი, სახელწოდებით “შარშან, მარიენბადში” (რეჟისორი ალენ რენე), არაერთი კინოპრიზის მფლობელი გახდა. რომანი მიჩნეულია ცნობილი სერიალის, “დაკარგულების“ (lost) შთაგონების წყაროდ (ეს წიგნი ერთ-ერთ კადრში ჩნდება კიდეც). ბიოი კასარესი მოთხრობებთან და რომანებთან ერთად, დღიურებისა და ჩანაწერების არაერთი ტომის ავტორიცაა, რაც საკმაოდ უჩვეულოა ლათინოამერიკული კულტურისთვის. ამ დღიურებიდან ნაწილი მის სიცოცხლეშივე გამოქვეყნდა, ნაწილი კი – სიკვდილის შემდეგ, 1999 წელს გაიხსნა.

არანაკლებ შთამბეჭდავია მისი ადამიანური პორტრეტი: სილვინა ოკამპოს მეუღლე, ბუენოს აირესის მაღალი საზოგადოების წევრი ადოლფო ბიოი კასარესი

ამქვეყნიური სიამეების დიდი დამფასებელი გახლდათ. მისი ყოველდღიურობა წარმოუდგენელია ქალების, უამრავი სასიყვარულო ისტორიისა და ჩოგბურთის გარეშე, რაშიც უდავოდ უწყობდა ხელს გამორჩეული გარეგნობა: თხელი, არისტოკრატიული სახე და მაღალი ხმელი ფიგურა თითქოს საგანგებოდ ბოჰემური ცხოვრებისთვის იყო შექმნილი.

ვინ არის ჰ. ბუსტოს დომეკი

ყველასთვის უცნობი მწერალის დებიუტი 1942 წელს ჟურნალ შურ-ის ფურცლებზე შედგა დეტექტიური მოთხრობით “ზოდიაქოს თორმეტი ნიშანი”. სავარაუდოდ, მომდევნო მოთხრობებიც ამავე ჟურნალში უნდა დაბეჭდილიყო, მაგრამ მოულოდნელად საზოგადოებამ შეიტყო, რომ ჰ. ბუსტოს დომეკი მხოლოდ ფსევდონიმია, მის უკან კი ბორხესისა და ბიოი კასარესის სახელები იმალება. ჟურნალის რედაქტორმა ვიქტორია ოკამპომ გადანყვეტილება შეცვალა, რადგან შეეშინდა, მკითხველს არასერიოზულად არ ჩაეთვალა უავტორო ნაწარმოები და ამით ჟურნალის რეპუტაცია ეჭვქვეშ არ დამდგარიყო. ასე რომ, 1942 წელს “ექვსი თავსატეხი დონ ისიდრო პაროდისტვის” ბიოი კასარესის ხარჯებით გამოქვეყნდა. მაშინ ამ გამოცემას დიდი გამოხმაურება არ მოჰყოლია.

თუმცა სანამ ჰონორიო ბუსტოს დომეკი გამოჩნდებოდა, იყო ერთი პატარა ექსპერიმენტი, პირველი თანამშრომლობა, რომელსაც მხოლოდ ლიტერატურულსაც ვერ დავარქმევთ. საქმე რძის პროდუქტების საწარმოს სარეკლამო ბროშურას ეხებოდა, რომელიც ბიოი კასარესის ოჯახის საკურება იყო. იგი იხსენებს: *“ერთი კვირა პარდოში გავატარეთ, გვინდოდა დაგვეწერა კომერციული ბროშურა, რომელიც საკმაოდ*

ბანალური პროდუქტების სამეცნიერო კვლევისთვის უნდა მიგვემსგავსებინა. ეს ბროშურა ჩემთვის დაუვინყარი გაკვეთილი გამოდგა. მისი რედაქტირების შემდეგ მე უკვე სხვა მწერალი ვიყავი, ექსპერიმენტებზე ორიენტირებული, უფრო გამოცდილი. ბორხესთან ხანმოკლე თანამშრომლობაც კი წლების მუშაობის ტოლფასია.”

ჰ. ბუსტოს დომეკი, რომლის კალამსაც თორმეტამდე ნაწარმოები ეკუთვნის, გამოგონილი ავტორის საზღვრებს სცდება და ლიტერატურულ სამყაროში მატერიალიზდება: მას საკუთარი სტილი აქვს, რომელიც დროდადრო იცვლება და ვითარდება; ჰყავს თავისი მკითხველი, შეიძლება არც თუ ისე მრავალრიცხოვანი, მაგრამ მისი პოპულარობა დღითიდღე იზრდება; ჰყავს მოსწავლე და მიმდევარი – სუარეს ლინჩი. ერთი სიტყვით, ლიტერატურის კრიტიკოსები მას რეალურ მწერლად განიხილავენ და ბორხესისა და ბიოი კასარესისგან დამოუკიდებლად მსჯელობენ მასზე. და ეს ლოგიკურიცაა: შემქმნელებმა მას დამოუკიდებელი სიცოცხლე აჩუქეს, რადგან იგი ლიტერატურული თანამშრომლობის პირმშო იყო და არა რომელიმე მათგანის შემოქმედების ნაყოფი. როგორც თავად ბორხესი ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნავს, ორივე მწერალმა უკანა პლანზე გადასწია საკუთარი ხმა, საკუთარი განსაკუთრებულობა და ხელი შეუწყო აღმოცენებულიყო მესამე, ბუსტოს დომეკის ხმა, რომელიც საბოლოოდ გახდა კიდევ ახალი ავტორი. ამ გზით ბორხესი და ბიოი კასარესი თავისი დროისთვის უმნიშვნელოვანეს ისეთ ახალ ჰარადიგმას პასუხობენ, როგორიცაა ასლისა და დედნის მიმართება. ამავე თემის ნაწილია რეალური ავტორის გამოგონილი ავტორით ჩანაცვლებაც. ნამდვილმა ავტორებმა შექმნეს ასლი ბუსტოს დომეკის სახით, რომელიც სინამდვილეში არც ერთს არ იმეორებს

და რომლის სახელიც მათი დიდი ბაბუების სახელებითაა შედგენილი. რაც შეეხება ბუსტოს დომეკის ასევე გამოგონილ მოსწავლეს, სუარეს ლინჩს, მისი ავტორობით მოგვიანებით გამოდის ახალი რომანი “მოდელი მკვლელობისთვის”.



არც
ბორხ
ესა
და
არც
კასა
რესს
არ
უცდი
ათ
რაიმ
ე
სახი
თ
შეებ
ღუდა
თ

ბუსტოს დომეკი, ამიტომ, თავისთავად იხსნება ისეთი ბუნებრივი კითხვა, როგორიცაა: შეუძლია კი მკითხველს ბუსტოს დომეკის წიგნებში ერთმანეთისგან განაცალკევოს და ამოიცნოს ბორხესის ან კასარესის ხმა? თუმცა მაინც შეიძლება განვსაზღვროთ ის საერთო, რის მიხედვითაც შეიქმნა ავტორის ეს უჩვეულო სახე, ის ძირითადი მიმართებები, რაც, საბოლოოდ, განაპირობებს ბორხესისა და ბიოი კასარესის ერთობლივი შემოქმედების ნაყოფს. დეტექტივის შემთხვევაში ეს არის ფანტასტიკური

ელემენტის აქცენტირება, რაც თავისი შემოქმედების ცენტრალურ დისკურსად აქცია კასარესმა და ბორხესის ინტელექტუალური პროზა, შეზავებული ბაროკალურ ენობრივ გამომსახველობასთან.

ახალი ლათინოამერიკული დეტექტივი

ის, რომ დეტექტივი ლათინოამერიკული მწერლობისთვის უცხო ხილი იყო, ნოვატორული ექსპერიმენტებით განთქმულ ბორხესსა და მის თანამოაზრეს კიდევ უფრო უღვივებდა ლიტერატურულ ჟინს. ედგარ პოსა და ჩესტერტონის კვალდაკვალ, მათაც შეეძლოთ რაღაც ახალი, სრულიად განსხვავებული შექმნათ და შექმნეს კიდევ – ახალი ლათინოამერიკული დეტექტივი, ყველასგან გამორჩეული მთავარი გმირითა და უნიკალური საგამოძიებო მეთოდით, სადაც მთავარ ესთეტიკურ ფუნქციას ირონია და სატირა ასრულებს.

ჰ. ბუსტოს დომეკს არც მისი წინამორბედები დავიწყებია. ბუენოს აირესელი დეტექტივის საგამოძიებო პრაქტიკა მხოლოდ სტუმრების მონათხრობს ეფუძნება, რაც სრულიად განსხვავდება, თუნდაც, შერლოკ ჰოლმსის საგამოძიებო სტილისაგან, როცა დანაშაულის გახსნას ადგილის პირადად დათვალთქვება, სამხილების გამოკვლევა უძღვის წინ. არგენტინელი გამომძიებელი გარეგნობით ჩესტერტონის მამა ბრაუნს მოგვაგონებს – შემელოტებული, ჭარბწონიანი მამაკაცი, რომელიც უმოძრაო, მჯდომარე ცხოვრებით ცხოვრობს. მამა ბრაუნზე მინიშნებები ჰ. ბუსტოს დომეკისა და სუარეს ლინჩის ნაწარმოებებში არაერთხელ ჩნდება. მკვლევარებს არ გამორჩენიათ არც აშკარა სიუჟეტური მსგავსება “გოლიათკინის ღამეებსა” და აგატა კრისტის “მკვლელობა აღმოსავლეთის ექსპრესს” შორის.

არგენტინელ მწერლებს დეტექტიური ჟანრის უკვე გადალახული სირთულეები და გაკვალილი გზები არ იზიდავთ. მათთვის პოლიციური რომანი პირველ რიგში ფანტასტიკის ჟანრს მიეკუთვნება. თავის მოთხრობაში “აბენხაკარ ელ ბოხარი, მოკლული საკუთარ ლაბირინთში” – ბორხესი წერს: “დუნრავენი, ამ საქმის დიდოსტატი, ამბობდა, რომ საიდუმლოს ამოხსნას ბევრად ნაკლები ღირებულება აქვს, ვიდრე თვით საიდუმლოს. საიდუმლო ბებუნებრივთან ან ღვთაებრივთანაა ნაზიარები”. მეორე, ანალოგიური შინაარსის ტექსტი ედგარ პოს ეხება: “ვფიქრობ, პოს კარგად ესმოდა (...), რომ პოლიციური ჟანრი ფანტასტიკის ჟანრია. ამის დასტურია ის, რომ იმის მიუხედავად, რომ იგი ამერიკაში წერს, მისი დეტექტივი ფრანგია. ანუ ავტორი თავის პერსონაჟს და დანაშაულს შორს, პარიზში განათავსებს. ცხადია, პოს კარგად ესმოდა, რომ სიუჟეტის ნიუ იორკში გადატანისთანავე მკითხველი ლიტერატურასა და რეალურ გარემოს შორის მსგავსების ძებნას დაიწყებდა. ასე კი, ამ დისტანციის წყალობით, მოვლენებმა ირეალური განზომილება შეიძინეს. მეც ვთვლი, რომ პოლიციური ჟანრი ფანტასტიკის ჟანრია.”

თუმცა ფანტასტიკურობის ელემენტის კვალდაკვალ ავტორი არც დედაქალაქის ყოველდღიურობას ივიწყებს და ზედმინევნით წარმოგვიჩენს ბუენოს აირესის მთელ სოციალურ გარემოსა და ტიპაჟს. საკუთარ შემოქმედებით მიღწევებზე ყველაზე უკეთ თვით ბუსტოს დომეკი საუბრობს წიგნის შესავალში: “ნება მიბოძეთ მკითხველს და საკუთარ თავსაც გრევიინის ცვილის მუზეუმში პირველი არგენტინელი პერსონაჟის გამოჩენა მივულოცო, რომელიც წმინდა არგენტინული გარემოს ნაყოფია. იშვიათი ნეტარებაა, ერთდროულად შეიგრძნობდე სიგარის არომატსა და განუმეორებელი კონიაკის, “პრიმერ

იმპერიოს” საუცხოო გემოს. ჩვენი პოლიციური რომანი, რომელიც ანგლოსაქსური ბაზრის კანონებს არღვევს და ასე უჩვეულოა ჩვენთვის, ტოლს არ უდებს იმ ავტორებს, რომლებსაც ლიტერატურის მოყვარულთ კრავიმ კლუბის მიუკერძოებელი ლონდონელი ექსპერტები ურჩევენ. ასევე უნდა აღვნიშნო ჩემი, როგორც ბუენოს აირესის მკვიდრის, სიხარული იმის გამო, რომ პროვინციული წარმომავლობის მწერალი არ დარჩა ვიწრო ტერიტორულ საზღვრებში და შეძლო თავისი აკვარელი ბუნებრივ ჩარჩოში ჩაესვა: ისეთში, როგორიც ბუენოს აირესია. ჩვენს “უშნო მწერს” გამბედაობასაც შევუქებ, რადგან მან ზურგი აქცია როსარიოელი “ლიპიანის” გაუგებარ და უხერხემლო პერსონაჟს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მისეულ ურბანულ სურათში ვერ მოხვდა ჩვენი ქალაქის ორი ღირსშესანიშნაობა, რასაც, გავკადნიერდები და მომავალ ნაწარმოებებში მოვითხოვ: ერთი ჩვენი აბრეშუმით ნაზი და ქალივით მომხიბვლელი ფლორიდას ქუჩაა – ვიტრინათა ხარბი მზერის წინაშე გამართული განუმეორებელი დეფილე; მეორე კი მელანქოლია ლა ბოკას პორტისა, რომელიც ნავსადგურთან ერთად იძინებს იმ დროს, როცა უკანასკნელი კაფე თავის მეტალის თვალებს ხუჭავს და აკორდეონის მუსიკის ქვეშ მიმქრალ ვარსკვლავებს ემშვიდობება”.

პირველი ტუსალი დეტექტივი

პაროდი პირველი დეტექტივია ლიტერატურაში, რომელიც დანაშაულს ციხიდან იძიებს. იგი, არც მეტი არც ნაკლები, თავად გახლავთ პოლიციური სისტემის მსხვერპლი. ოცი წლის წინ ახალგაზრდა დალაქმა ბინა პოლიციის თანამშრომელს მიაქირავა, მან კი გადასახადისგან მარტივად გაითავისუფლა თავი: პაროდის მკვლელობის საქმე შეუთითხნა და დიდი ხნით ციხეში გამოამწყვდია. ამ

ამბის შემდეგ ოცი წელი გავიდა. ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ცხოვრების საუკეთესო წლები ციხის კედლებში აქვს გატარებული, თავის 273-ე საკანს იმდენად შეეჩვია, რომ გარეთ ცხოვრება ვეღარც წარმუდგენია. მითუმეტეს, რომ აქ, ამ მაღალ კედლებში ყველა პირობა აქვს საიმისოდ, რომ ერთგულად ემსახუროს პოლიციის უსუსურობით სასონარკვეთილ თანამემამულეებს. კომისარ გრონდონას მასთან ყოველდღიურად შეაქვს ჟურნალ-გაზეთები, ასე რომ, ტუსადი-გამომძიებელი ყურადღებით ადევნებს თვალყურს ციხის კედლებს მიღმა განვითარებულ მოვლენებს.

ავტორის მიერ გამომძიებლისთვის საგანგებოდ შერჩეული იტალიური ჟღერადობის გვარი – პაროდი მხოლოდ დედაქალაქის ძირძველ მკვიდრს შეიძლება ეკუთვნოდეს. მეორე მხრივ კი ეს პირდაპირი მინიშნებაა რომანის ჟანრზე – პაროდიაზე. “ექვსი თავსატეხი ისიდრო პაროდისტვის“ ერთი დიდი პაროდიაა დეტექტიურ რომანზე, სადაც სარკესავით ირეკლება ბუენოს აირესის ყოველდღიურობა მთელი თავისი კარიკატურულობით. სატირა გვხვდება პერსონაჟთა მეტყველებაში, მათ გარეგნობასა და ხასიათში. ყოველ ფეხის ნაბიჯზე ერთმანეთში ირევა ირონია, სატირა, გროტესკი.

ამიტომ, თუკი მკითხველს რამის გაგება სურს, ტექსტს მიღმა ამოკითხვა უნდა შეძლოს. სხვათა შორის, მსგავსი ამოცანა აქვს დეტექტივ პაროდისაც, იგი ხომ დანაშაულის გასახსნელად მხოლოდ სტუმრების მონათხრობს ეყრდნობა. იგი ხელმძღვანელობს არა ნანახი რეალობით, როგორც კლასიკური დეტექტიური რომანების გამომძიებლები, არამედ მხოლოდ ტექსტით, რაც კიდევ ერთხელ გვახსენებს, რომ ბორხესისა და ბიოი კასარესის

შემოქმედება პოსტმოდერნისტული ექსპერიმენტების სათავეებთან უნდა მოვიაზროთ.

რომანის გმირების ზედმინვნით სტილიზებული მეტყველება და გადაპრანჭული, პათეტიკური საუბრის სტილი ამა თუ იმ სოციალური ფენისთვის სახასიათო ელფერს იძენს. ბოჰემური ცხოვრების მოტრფიალე მონტენეგროს ენობრივი ლაბირინთები მისი არისტოკრატიული წარმომავლობის გამოვლენის მცდელობაა. ლიტერატორი ბონფანტი, ლათინური ჩანართებითა და სპეციფიკური ტერმინოლოგიით, არგენტინელი სწავლულის პაროდიად გვევლინება. დაბალი სოციალური ფენების მეტყველება წრეგადასულ ლაყბობაში გადადის, სადაც თავაზიანი ფრაზები მხოლოდ სოციალურ სტატუსზე უხეში პრეტენზიის გამოხატულებაა და სხვა არაფერი. პორტრეტების მთელი გალერეა, რასაც თან სდევს იმ პერიოდის სოციალური კონტექსტის აღწერა და ხშირი პოლიტიკური კომენტარები – ბორხესისთვის დამახასიათებელი უხვი ენობრივი ხვეულებითა და შესაბამისი ქვეტექსტებითაა დატვირთული. სამაგიეროდ, ამ ფონზე კონტრასტულად იკითხება მთავარი გმირის, პაროდის მეტყველების სტილი. იგი ხშირად ზედმეტად პირდაპირია, უკმეხიცი კი. ტუსაღის ცხოვრება მას ათავისუფლებს სოციალური წნეხისაგან. სწორედ ტუსაღის განყენებული პოზიციისა და ფაქიზი ინტუიციის წყალობით ახერხებს პაროდი საიდუმლოებით მოცული დანაშაულების გახსნას. გზა, რომლითაც იგი საიდუმლოს ხდის ფარდას, პირველ რიგში, სტუმრის ფსიქოლოგიური პორტრეტის ამოცნობაზე, შემდეგ კი მისი რეალობიდან “აცდენის“ ხარისხის დადგენაზე გადის. მკითხველი თანდათან ხვდება, რომ ჰ. ბუსტოს დომეკის გმირები სრულიად აცდენილნი არიან რეალურ გარემოს, ან, უფრო

ზუსტად, მათ გონებასა და აღქმაში სინამდვილეს სრულიად განსხვავებული სახე აქვს. პარადოქსულია, რომ ნათელი აზრი სწორედ ოთხ კედელში გამომწყვდეული პატიმრის პირით იწყებს გაცხადებას. განმარტოება მისი დაწმენდილი გონების გარანტიაა, პაროდია კი – ერთადერთი ადეკვატური პრიზმა დარღვეული რეალობის აღსადგენად.

ჰ. ბუსტოს დომეკი განსხვავებულ, ორიგინალურ გზას ირჩევს და გვერდს უვლის ჟანრისთვის სახასიათო ლოგიკურ, თანმიმდევრულ საგამოძიებო პროცესს. დანაშაულის გახსნა ერთბაშად ხდება. ყველაფერი ერთ გონებაში მნიფდება და მკითხველიც მას პირდაპირ, წინასწარი მინიშნებების გარეშე, ნაწარმოების უკანასკნელ თავში ეცნობა.

რომანის ფორმობრივ-შინაარსობრივი მხარის გადაწყვეტა უფრო დიდი, სიღრმისეული მეტაფორის შექმნას ემსახურება: იგი გვიჩვენებს, თუ რამდენად დაშორდა ადამიანი თავის ცხოვრებას, რეალურ გარემოს, რამდენად გამრუდებულ სარკეში ვიყურებით სრული რწმენით, რომ იქიდან სინამდვილე შემოგვცქერის. იმავე სარკეში ირეკლება ჩვენი გადაცდომები, სხვის ცნობიერებაში შეღწევის შეუძლებლობა, ჩაკეტილობა. ნაწარმოების მთავარი ფსიქოლოგიური ეფექტი გმირის მიერ წარმოსახული რეალობისა და მოვლენათა ნამდვილი რაობის კონტრასტს ემყარება.

პაროდის ხარისხის სათანადოდ აღქმას მკითხველი თითქოს ერთბაშად ვერც კი ახერხებს. დეტექტივისთვის უჩვეულო ჟანრი გაოცებას, დაბნეულობასაც კი იწვევს. პაროდის ხისტი, ირონიული საუბრის მანერა, რითაც აბუჩად იგდება ან შეგნებულად აფხიზლებს უთავბოლო

ვერბალურ თამაშებში ჩაკარგულ სტუმრებს, თავდაპირველად ღიმილსა და გაუგებრობის განცდას ბადებს. თანდათან პაროდის მუშაობის სტილი უფრო გასაგები ხდება, მისი მეტყველებაც უკეთ გამოკვეთს ტუსალი-გამომძიებლის პორტრეტს, თუმცა მოულოდნელობის, ლიტერატურული სიურპრიზის განცდა, ასე რომ ახასიათებს დეტექტივის ჟანრს, ახალ კალაპოტს პოულობს. მაგალითად, “სანჯაკომოს გეგმა“-სა და “ტადეო ლიმარდოს მსხვერპლში” იგი უჩვეულო ფსიქოლოგიურ გადანწყვეტაში გადადის და დაძაბულ მკითხველს მოდუნების საშუალებას არ აძლევს.

ამ რომანის კითხვისას ლიტერატურის ჭეშმარიტ მკითხველს განსაკუთრებული სიამოვნებაც ელის, რადგან გმირები ხშირად განიხილავენ კლასიკური და მოდერნისტული ლიტერატურის პრობლემებს, რომლებიც ხან ცნობილი მოდერნისტი პოეტის ენით, ხან მისი შეგირდის, ახალბედა მწერლისა და მისი კრიტიკოსების, ხანაც ცნობილი ლიტერატურათმცოდნე ბონფანტის პირით გაიჟღერებს, რომელიც მეცნიერებაში იმდენად შეჭრილა, რომ მისი მეტყველება ჩვეულებრივი მსმენელისთვის გაუგებარი ხდება. ჰ. ბუსტოს დომეკი ცდილობს ხაზი გაუსვას იმ ფაქტს, რომ ლიტერატურა ცხოვრების ნაწილიცაა და მოდელირებული რეალობაც. ლიტერატურული სივრცე ფართოვდება და რეალობის ადგილს იკავებს, წიგნის შენიშვნები პეროსონაჟების მიერაა გაკეთებული, რაც იმას ნიშნავს, რომ რეალური ავტორის სამოქმედო ველს პერსონაჟები იკავებენ, ხოლო რეალობა და გამონაგონი ურთიერთჩანაცვლებად სივრცეებად იქცევა, მკითხველი კი ამბის თანამონაწილედ და ინტერპრეტატორად გვევლინება.

საბოლოოდ, გამომძიებლის ინტელექტითა და ინტუიციით აღფრთოვანების ნაცვლად, ავტორი ცხოვრებისეული საიდუმლოებების წინაშე გაოცებულებს გვტოვებს.

მოდერნისტული ექსპერიმენტები

ბორხესი და ბიოი კასარესი ნოვატორულ დეტექტიურ რომანს არ დასჯერდნენ. უშრეტი ლიტერატურული ვნება ახალ ექსპერიმენტს ითხოვდა. მომდევნო ნაბიჯი მართლაც უპრეცედენტოდ გაბედული გამოდგა – ნაწარმოებში “მოდელი მკვლელობისთვის” სატირა, იუმორი, გროტესკი, გაუკვალავი ენის ბაროკალური ხლართები და სიუჟეტური სქემები კულმინაციამდე მიყვანილი. ყველაფერი, რაც მხოლოდ ტენდეციის სახით ვლინდება წინა რომანში “ექვსი თავსატეხი ისიდრო პაროდისტვის” – აქ უფრო დიდ მასშტაბებსა და მკაფიოებას იძენს.

სიმართლე რომ ითქვას, თავდაპირველად ეს ტექსტი არც ყოფილა განკუთვნილი ფართო მკითხველისთვის. როგორც ბორხესი თავის 1964 წლის ინტერვიუში აღნიშნავს, ეს მხოლოდ ერთმანეთისთვის დაწერილი ხუმრობები იყო, რომლებიც თანდათან გართულდა, ბაროკალურ სტილში გადაიზარდა და იმდენად ჩაიხლართა, რომ მისი გაგება შეუძლებელი გახდა: *“თავიდან ეს მხოლოდ ხუმრობა იყო, შემდეგ ხუმრობა ხუმრობაზე, შემდეგ ხუმრობა კვადრატში, კუბში... მივხვდით, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა, ეს უკვე მტკივნეული ხდებოდა ჩვენთვის თუ არა, მკითხველისთვის მაინც. გადავწყვიტეთ მხოლოდ 300 ეგზემპლარი დაგვებეჭდა. გასაყიდად არც კი გაგვიტანია, მხოლოდ ნაცნობ-მეგობრების წრეში გავავრცელეთ“.*

თუკი მკითხველს სურს, ავტორის ჩანაფიქრს ჩასწვდეს, აბსურდულობის განცდის გადალახვა მოუწევს, რომელიც

გამუდმებით ჩნდება ნაწარმოების სიუჟეტურ, ენობრივ, შინაარსობრივ დონეებზე. მისი წაკითხვა ერთადერთი პრიზმის – პაროდის მეშვეობით ხდება შესაძლებელი, რადგან ყოველი მეორე ფრაზა პაროდიაა. ერთი და იგივე პერსონაჟები გამუდმებით ჩნდებიან ახალ-ახალ კონტექსტში. ავტორი შეგნებულად ხლართავს ენას ისე, რომ აზრის კონცენტრირება არ მოხდეს. რომანის მთავარი გმირებიც კი ძნელად ამოსაცნობი და დასამახსოვრებელია, მითუმეტეს, რომ მათ ყოველ ჯერზე ახალი ზედმეტსახელით იხსენიებენ. შედარებით უკეთ აღიქმებიან ის პერსონაჟები, რომლებსაც მკითხველი წინა რომანიდან – “ექვსი თავსატეხი დონ ისიდრო პაროდისტვის” – იცნობს.

კრიტიკოსებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ, რომ რომანის “მოდელი მკვლელობისთვის“ კომპოზიცია უილკი კოლინზის “მთვარის სპეკალს“ იმეორებს: დანაშაულის მოწმეები პაროდისტან საკანში მიდიან და საკუთარ თავგადასავლს უყვებიან, მაგრამ საბოლოოდ თავიანთ მონათხრობში ისე იხლართებიან, რომ რჩება შთაბეჭდილება, თითქოს ავტორს სრულიად გადაავიწყდა სიუჟეტის გახსნა. სამაგიეროდ, ბოლო თავში ყველაფერს ერთბაშად ეხდება ფარდა: მწერალი სიტყვასიტყვით გვანვდის მკვლელის აღსარებას მაშინ, როცა დანაშაულის გახსნის პროცესი ავტორს თითქოს უყურადღებოდ რჩება. ირონიულია ის პასაჟიც, როცა დეტექტივი ხელს აფარებს მკვლელს და თავადვე ეხმარება ქვეყნიდან გაქცევაში.

აგების პრიციპით ეს ნაწარმოები ყველაზე მეტად უახლოვდება პოსტმოდერნულ ტექსტს, სადაც მკითხველი სხვადასხვა დონეზე დაშიფრული ნიშნების მომგროვებელ-ამომცნობად გვევლინება. შემთხვევითი არაა, რომ ხულიო კორტასარი თავის ექსპერიმენტულ რომანს, ბორხესის

გავლენით, “62. ასაწყობ მოდელს“ (1968) უწოდებს. ნაწარმოების აგების მთავარ პრინციპს აქაც ფრაგმენტული ტექსტი წარმოადგენს.

საინტერესო ფარული მნიშვნელობები იკითხება რომანის სახელწოდებაშიც. ერთი მხრივ, იგი პირდაპირ მიგვანიშნებს ჩესტერტონის მოთხრობაზე “მისანი ძაღლი”, რომლის მიხედვითაც მკვლელი თავის უნაკლო დანაშაულს გეგმავს, მეორე მხრივ კი სათაური მნიშვნელოვან პოსტმოდერნულ პარადიგმას – ავტორის სიკვდილს ეხმიანება: ნაწარმოებში დანაშაულის ავტორი საკუთარი სიკვდილის შემოქმედად იქცევა. რეალური დამნაშავე არ არსებობს და ამას ეჭვმიტანილთა ალიბებიც ადასტურებს, თუმცა მოკლულის არსებობა ურყევი ფაქტია და იგი გამოძიებას მოითხოვს.

“ბუსტოს დომეკი გარდაიცვალა“

ბორხესმა და კასარესმა დეტექტიური მოთხრობების კიდეც ორი ერთობლივი ანთოლოგია გამოაქვეყნეს. საწერად სხდებოდნენ თუ არა, ხუმრობებისა და ენობრივი თამაშების შეუჩერებელი ნაკადი იღვრებოდა. საბოლოოდ ორივე დაიღალა. 40-იანი წლების ბოლოს კი მათი თანამშრომლობა დასრულდა. მოგვიანებით ბორხესმა თავის ინტერვიუში განაცხადა, რომ “ბუსტოს დომეკი გარდაიცვალა“.

მაგრამ საქმე მთლად ასე არ იყო...

პერონის დიქტატურის ყველაზე რთულ 1952-1955 წლებში ჰ. ბუსტოს დომეკი კვლავ დაბრუნდა და სამი მოთხრობაც დაბეჭდა: ერთი არგენტინაში, ორი კი – ურუგვაიში. ურუგვაიში გამოცემულ “მისი მეგობრის შვილსა” და “მონსტრის ზეიმში” ავტორი პოლიტიკური რეჟიმის

დემორალიზებულ სახეს ამხელს, მთავარ ლიტერატურულ იარაღად კი ისევ სატირას ირჩევს. ბორხესის მკვლევარი ალფრედ ჯ. მაკადამი ბიოი კასარესისა და ბორხესის თანამშრომლობის საუკეთესო ნიმუშად სწორედ ამ ორ მოთხრობას მიიჩნევს და “მონსტრის ზეიმის“ შესახებ წერს: “ირეალური სამყარო აქ ისეთ ჭრილობია ნაჩვენები, რომ მისი გმირები არაადამიანებს, გროტესკულებს გვანან. მკითხველი ტექსტს მიღმა რჩება, იგი საღი აზრის პოზიციიდან ადევნებს თვალს ტექსტს და მწარე იუმორის მიუხედავად, სრულად შეიგრძნობს რეპრესიული სამყაროს საშინელებას. საშინელების განცდა, რომელიც კაფკასთან შინაგანია, ბორხესთან და კასარესთან რეალობის განუყოფელი ნაწილი ხდება”. პერონის დიქტატურის დამხობის შემდეგ ბორხესი ბუენოს აირესის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორად დაინიშნა და ბუსტოს დომეკი კვლავ გაუჩინარდა, თუმცა 1968 წელს იგი ისევ დაბრუნდა “ბუსტოს დომეკის ქრონიკებით”, რომელიც ოც სხვადასხვა თემაზე დაწერილ ესეს მოიცავს. ამჯერად დომეკის სახელი მხოლოდ სათაურში ფიგურირებს, წიგნის ავტორებად კი ბორხესი და კასარესი გვევლინებიან. აი, ასე მოულოდნელად იწყება თანამშრომლობის ახალი ეტაპი, ახალი პროზა, რომელიც თანამედროვე ცხოვრების კომიკურობის სატირულ ჩანახატებს აერთიანებს. თანაც, მათ პირველ ერთობლივ წიგნებთან შედარებით, “ქრონიკები“ აშკარად უკეთესად იკითხება და არც პერონისდროინდელი პროზის სიმწვავე ახასიათებს. ერთი სიტყვით, “ბუსტოს დომეკის ქრონიკები” ნოვატორულიც არის და არც სიღრმისეული ხედვა აკლია.

ამ ყველაფრიდან მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: როგორც აღმოჩნდა, საიდუმლოებით მოცულ ბუსტოს დომეკს განვითარების პოტენციალიც ჰქონია და

რეალურ ცხოვრებაში მატერიალიზმაც შეძლება. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ იგი დღითიდღე უფრო მეტ მკითხველს იზიდავს.

მოკლე და უცნაური მოთხრობები

1940-60-იან წლებში ბორხესისა და კასარესის მიერ შექმნილმა ანთოლოგიებმა გარდამტეხი როლი ითამაშა არგენტინულ ლიტერატურაში. ამ პერიოდში შექმნილ ანთოლოგიათა შორისაა “ფანტასტიკური მოთხრობების ანთოლოგია” (ბორხესი, ბიოი კასარესი, სილვინა ოკამპო, 1940), “საუკეთესო პოლიციური მოთხრობები” ორ სერიად (ბორხესი, ბიოი კასარესი, 1943, 1951) და “მოკლე და უცნაური მოთხრობები” (ბორხესი, ბიოი კასარესი, 1955), რომლებიც სრულადაა წარმოდგენილი გამომცემლობა “ალეფის” მიერ ქართულ ენაზე თარგმნილ კრებულში.

ერთი შეხედვით, საკმაოდ ზოგადი სახელწოდება “მოკლე და უცნაური მოთხრობები” სწორედ ის გასაღებია, რომლის მეშვეობითაც კრებულში გაერთიანებული ასორმოცდაათი ენიგმატური ტექსტის დეკოდირება ხდება შესაძლებელი. ანთოლოგიაში შესული მოთხრობების დასათაურება ავტორთა მიერ საგანგებოდ შემუშავებულ ლიტერატურულ პრინციპს ესადაგება. ეს პრინციპი წიგნის პირველივე გვერდზეა განმარტებული:

“ლიტერატურის მიერ მონიჭებულ უამრავ სიამოვნებას შორის ერთ-ერთი თხრობის სიამოვნებაა. ამ წიგნით გვსურდა მკითხველისთვის შეგვეთავაზებინა ჟანრის ზოგიერთი ნიმუში, რომელიც დაკავშირებულია როგორც წარმოსახვით, ისე ისტორიულ მოვლენებთან. ამ მიზნით სხვადასხვა ხალხისა და ეპოქის ტექსტებს მივმართეთ, მხედველობიდან არც ძველი აღმოსავლური წყაროები გამოგვრჩენია. აქ ნახავთ ანეკდოტს, თქმულებას,

მოთხრობას, ერთადერთი პირობით – ყოველი მათგანი მოკლე უნდა იყოს.

თავს ნებას მივცემთ და ვიტყვით, რომ ამ თხზულებებში თხრობის არსია გადმოცემული. დანარჩენი – საილუსტრაციო ეპიზოდები, ფსიქოლოგიური ანალიზი – სხვა არაფერია, თუ არა მეტ-ნაკლებად ნარმატებული სიტყვიერი სამკაული. მკითხველო, იმედი გვაქვს, ეს წიგნი შენც ისევე გაგართობს, როგორც ჩვენ. ხორხე ლუის ბორხესი, ადოლფო ბიოი კასარესი, 1953 წლის 29 ივლისი”

მოთხრობებში ბორხესიცა და ბიოი კასარესიც ერთგულად იცავენ მოკლე ფორმას. თუკი დეტექტიური რომანის ნარატიულ სტილს გავიხსენებთ, განსხვავება თვალშისაცემია: პოლიციური რომანის პერსონაჟთა მოუთოკავ, მიშვებულ ლაყბობას აქ ლაკონური, მაქსიმალურად დაწმენდილი და კონცენტრირებული თხრობა ენაცვლება, სადაც ენობრივი სიზუსტისა და სიმარტივის მიღმა ლიტერატურისა და ცხოვრების მარადიული ღირებულებები იკითხება.

ლაკონური თხრობის პრინციპი უშუალო კავშირშია მოთხრობის, როგორც ლიტერატურული ჟანრის, ბორხესისეულ გაგებასთან: “რა დამღლედი და გამომფიტავია მუშაობა ვრცელ წიგნებზე, როცა ხუთას გვერდზე იშლება აზრი, რომელიც ბეპირად სულ რამდენიმე წუთში შეიძლება გადმოსცე. განა უკეთესი არ არის წარმოვიდგინოთ, თითქოს ეს წიგნი უკვე დაწერილია და ჩვენ კი მხოლოდ მის მოკლე შინაარსს, კომენტარს ვწერთ?”

მკითხველი ერთი თვალის გადავლებისთანავე შენიშნავს, რომ კრებული მხოლოდ მოთხრობებს არ მოიცავს. აქ მეტყველების უამრავი განსხვავებული ფორმაა

თავმოყრილი: რომანის ფრაგმენტები, დღიურები, მოგონებები, ლეგენდები და ა.შ. ასე რომ, ამ შემთხვევაში სიტყვა “მოთხრობას” მხოლოდ ჟანრული დატვირთვა კი არა აქვს, არამედ იგი “მოთხრობილ“ ისტორიებს გულისხმობს, ანუ, როგორც მისი შემოქმედების მკვლევარი ალან ჰაულსი ამბობს, საქმე გვაქვს “მეორად“ ისტორიებთან – ბორხესისეულ სინთეზთან, რომელიც ყველაზე თვალსაჩინოდ მისი ცნობილი მოთხრობის, “ბალი, რომელშიც ბილიკები იტოტებიან” – სიმბოლიკაშია დაშიფრული.

წიგნზე მუშაობის პროცესის უკეთ გასაგებად შეგვიძლია ბიოი კასარესის დღიურებშიც ჩავიხედოთ: *“უცებ ბორხესს ორ ღვთაებაზე ინდური ლეგენდა გაახსენდა. ერთს ათასობით ცოლი ჰყავდა, მეორეს კი – არც ერთი. ბორხესი ამბობს: ხვალ წავალ და ვიყიდი იმ წიგნს. ბიოი: არ გინდა, ჩვენ მოვყვით ეს ეპიზოდი და რომელიმე ავტორს მივანეროთ. [...] ასეც ვიქცევით. წიგნს “ორმოცი წელი განგის ნაპირებთან” პორტუგალიელ იეზუიტ ავტორს მივანეროთ. მატინოგიონის ლეგენდა გარდაიქმნა ამბად ორ მეფეზე, რომელიც ჭადრაკს თამაშობს, მათი ჯარები კი ერთმანეთს ებრძვიან. ომში გამარჯვება ჭადრაკის პარტიაზეა დამოკიდებული. მისი ავტორი ედვინ მორგანი ხდება.”* ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ამ ციკლში ხშირად ვხვდებით აპოკრიფულ წიგნებს გამოგონილი ავტორებით. მაგალითად, იმის ნაცვლად, რომ “Vita Nova“-ს მე-40 თავზე მიუთითონ, ისინი გამოგონილ სუარეს ლინჩს უთითებენ, დანტეს მთელი თავი კი მასთან ერთ აბზაცშია მოქცეული.

აღნიშნულ შემოქმედებით პრინციპს ავტორები ზედმიწევნით მიჰყვებიან. ბევრი მოთხრობა რეალურად არებულ წიგნზე გაკეთებული რეზიუმე ან კომენტარია,

რომელიც ხან კლასიკურ ლიტერატურასა და თანამედროვე პროზას ეხმაურება, ხანაც აქტუალურ ფილოსოფიურ თემატიკას. აქ ყველაფერია: სიბრძნის კრისტალიზაცია, ემოციური ნიუანსები, არაცნობიერში ჩაღრმავება, კაფკა, ფროიდი, ნიცშე, კინოფილმები, ინტერტექსტი და ავტოციტაცია. ერთი სიტყვით, ესაა ლიტერატურა, რომელიც ნედლეულად ლიტერატურას ირჩევს. მაგრამ თუკი ვეცდებით მოვძებნოთ ერთადერთი განსაზღვრება, რითაც ამ უამრავ მოთხრობას გავაერთიანებთ, ეს სიტყვა უდავოდ იქნება “უცნაური”. თითოეული ეპიზოდი, ლეგენდა თუ სასაცილო ისტორია სწორედ უცნაურობის რაკურსშია დანახული. აქ ვხვდებით ფანტასტიკის სხვადასხვა ფორმებს, უცნაურობას, როგორც მენტალურ მოვლენას; სიზმრისეულ სამყაროს და ფსიქიკურ მოვლენებს, ისტორიის მიერ გადარჩეულ, ლეგენდად დარჩენილ ფანტასტიკურ ამბებს, აუხსნელ შეგრძნებებს, რომელიც ადამიანს ეუფლება სრულიად გაუგონარ გარემოებებში და რომლებიც ვირტუოზული მინიმალიზმითაა გადმოცემული. გთავაზობთ ორ მათგანს:

გამარჯვებული

ჰიმელკონმა განსხვავებული თანაგრძნობის მაგალითი აჩვენა. სიცილიაში დიდი გამარჯვების შემდეგ, რომლის დროსაც ომს გადარჩენილი უამრავი ადამიანი ავადმყოფობისგან დაიხოცა, კართაგენში იგი ტრიუმფის ნაცვლად სამგლოვიარო სამოსით, მონასავით ჩაცმული დაბრუნდა, სახლში მღუმარედ შევიდა და თავი მოიკლა.

საავედრა ფახარდო. “პოლიტიკური პრინციპები. ქრისტიანი პოლიტიკოსი პრინციპის იდეა” (1640), თავი XCVI

დამშვიდობება

პარკერი მეორე დღეს, 16 სექტემბერს არ მომკვდარა, მაგრამ უკვე ძლიერი ტკივილები ჰქონდა დაწყებული. მორფიც აღარ შველოდა. პირს ვერაფერს აკარებდა. ძლივძლიობით მოვათავსეთ სატვირთო მანქანის საბარგულში. სხეულში მოხვედრილმა ტყვიამ კუჭი დაუზიანა. საბედნიეროდ, გზა სწორი იყო და მანქანის რყევა არ აწუხებდა.

დიდი სინათლე იდგა. მზე ანათებდა. უდაბნოში ვიყავით. მართალია, ალაგ-ალაგ ბარდები და ბუჩქნარი მოჩანდა, მაგრამ წყლამდე მაინც დიდი მანძილი რჩებოდა. ბუჩქის ძირას გიენა დავინახე. აქეთ-იქით დადიოდა, როგორც ძალღი ძილის წინ. ერთი საათის შემდეგ ორიქსების წყვილი გამოჩნდა. ხბოს ზომის უზარმაზარი ცხოველები, თოვლივით თეთრი ბეწვით და დიდი, დახვეული რქებით ტკბილსურნელოვან ბარდებს ძოვდნენ. მანქანა გავაჩერეთ. არც ერთი ჩვენგანი, არც მანამდე და არც მერე, მსგავსს არაფერს შევსწრებივართ. პარკერს ჩამოსვლაში დავეხმარეთ, ვიფიქრეთ, რომ მნიშვნელოვანი იყო, სიკვდილამდე ეს ყველაფერი ენახა.

ვლადიმირ პენიაკოვი. “პირადი არმია”

ბორხესისა და ბიოი კასარესისთვის სათაურის შერჩევა განსაკუთრებული ხელოვნებაა – სათაური ის ზღურბლია, საიდანაც ტექსტის აღქმა იწყება. იგი სცდება მომხდარის არსის გადმოცემის ფარგლებს და ესთეტიკურ ოპერაციად გარდაიქმნება, სადაც ავტორთა დუეტისათვის ჩვეული თამაშის ელემენტი იმთავითვე იჩენს თავს (ამ მცირე ტექსტების ერთგვარი სათამაშო განწყობის შესახებ ბიოი კასარესიც საუბრობს). მაგალითად, ერთ-ერთი პერსონაჟი ბორხესის ბებუის გვარს – ასევედოს – ატარებს; დაბოვები, მასელონიო ფერნანდესი, ელენა გარო კი ავტორთა ახლო

მეგობრები არიან და ა.შ. ხშირად დასახელება იუმორისტული ან ირონიულია. სათაურის მეშვეობით ხდება თემატურად მსგავსი მოთხრობების დაჯგუფებაც. მაგალითად, ერთმანეთის მიყოლებით დაბეჭდილი “საიდუმლო მხსნელი“ და “კაციჭამების ამონყვეთა“ კაციჭამიების თემას ეხმაურება, მოთხრობებში “*Der Traum ein Leben,*” “ჩუან ძის სიზმარი“, “დამალული ირმები” კი რეალობისა და სიზმრის მისტიკური ურთიერთკავშირია თემატიზებული. “ბრაჰმანები და ლომი”, “გოლეში” ჯადოქრობის ძალით სიცოცხლის მინიჭებას ეხება. “*Nosce te ipsum*” და “დამშვიდობება” კი პერსონაჟს სიკვდილამდე რამდენიმე წუთით ადრე გვიხატავს და იმქვეყნიური ცხოვრების არსებობის საკითხს აყენებს. დასახელებული მაგალითების მიუხედავად, თემატურ ბმებს უმეტეს შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება.

ამ მოთხრობების კითხვისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ მარტივი სიმბოლიკის ამოხსნით ფონს ვერ გავაღოთ. მკითხველი ტყუილად დაშვრება, თუ შეეცდება ტექსტი მხოლოდ მსოფლიო კულტურაში გადარჩეულ ბრძნულ აზრებამდე, კრისტალიზებულ ინფორმაციამდე დაიყვანოს. ძალზე ყოფითი, რეალისტური ბუნოს აირესისგან განსხვავებით, რომელსაც დეტექტიურ რომანებში ვეცნობით, ავტორებმა ამ კრებულში თითქოს ცხოვრების მეორე მხარე დაგვანახეს – მარადიული, მაგრამ მოწყვეტილი და დავინწყებული.

5. ახალი თარგმანები

მარინა ცვეტაევა

რუსულიდან თარგმნა თემურ ჩხეტიანმა



სამოთხეში

მოგონებები მძიმე ტვირთად მანვანან მხრებზე.
მე სამოთხეშიც დავრჩები ამ ცრემლის ამარა.
იმ ძველ სიტყვებს კი, რომ მოხდეს და ჩვენ ისევ შევხვდეთ,
მე არ დავმალავ.

იქ, სადაც ლაღად დარონინებს ანგელოზთ წყება;
იქ, სადაც ქნარი, ბავშვთა ქორო და გვირილები
არიან ნეტარ სიმშვიდეში, მე მოუსვენრად
მზერას შენსას ჩავაფრინდები.

სამოთხის ხილვებს მივაცილებ ჩუმი სიცილით.
მე – უმანკო და უკარება ქალწულთ შორისაც –
ისევ ვიმღერებ – უცნაური და მიწიერი –
ამა სოფლისას.

მოგონებები მძიმე ტვირთად მანვანან მხრებზე.
დადგება წამი, არ დავმალავ თვალებს ცრემლიანს.
არც აქ და არც იქ – ჩვენ აღარსად არ უნდა შევხვდეთ
და სამოთხეშიც ჩვენ შეხვედრა არ გვინერია.

*** * * (კურთხეულ იყოს ყოველდღიური გარჯა...)**

კურთხეულ იყოს ყოველდღიური გარჯა.

კურთხეულ იყოს ყოველდღამისა – ძილი.

ღვთის მოწყალება – უფალი ღმერთის მსჯავრთან,

კანონი ქველი – კანონი ქვისებრ ქმნილი.

და ჩემი კვერთხი – ან სხივჩამქრალი – მტვრისგან,

სამოსი ჩემი – გამცვდარი ძონეული.

და კიდევ, ღმერთო, კურთხეულ იყოს სიტბო

სხვის ოჯახში და სხვისი ღუმელის პური.

*** * * (იქმენინ დღე! და – დღე ფერმკრთალი და
ნისლიანი...)**

იქმენინ დღე! და – დღე ფერმკრთალი და ნისლიანი
უსულო წყალზე დაეფინა, როგორც სუდარა.

მიმოავლო რა მზერა ტკივილ-ღიმილიანი,
– იქმენინ ღამე! – თქვა სხვამ, უცხო ხმით მოუბარმა.

და მიიბრუნა მან თვალები ფიქრით აღსავსე,
და გააგრძელა გზა თავისი ღრუბელთა მიღმა.
ეს შ ე ნ გიმღერი, ვინც ღამეებს დასდე სათავე,
ჩემს ღამეებს და ჩემს არსებას რომ უთხარ: იყავ!

*** * * (მე – ვარ. შენ – მოხვალ...)**

მე – ვარ. შენ – მოხვალ. ჩვენ ორს შორის არის უფსკრული.
მე ვსვამ. შენ გწყურის. ამაოა თქმა და ხსენება.
ჩვენ ათი წელი და ჩვენ ასე ათასწლეული
გვაშორებს ერთმანეთს, რადგან უფალს ასე ენება.

იყავ! – ანდერძი არის ჩემი. მე უნდა აგცდე,
რომ დაბრკოლებად არ დაგიხვდე, მოხვალ როდესაც.
მე – ვარ. შენ – მოხვალ და ათეულ გაზაფხულს შემდეგ
შენ იტყვი: – ვარ! – მე კი ჩუმად ვიტყვი: – ოდესღაც...

*** * * (რაც სხვებს არ სჭირდებათ...)**

რაც სხვებს არ სჭირდებათ – მომეცით, მოიტათ!
დაე, ყოველივე ჩემს ცეცხლში დაიწვას!
სიცოცხლეს ვიზიდავ, სიკვდილსაც ვიზიდავ
და ვრაცხ ამ ყველაფერს ცეცხლისთვის მიძღვნილად.

აღს უყვარს ასეთი მსუბუქი ნივთები:
ძველი წლის ჩინჩხვარი – გვირგვინი – სიტყვები.
აღი წერს ამგვარი მასალით – საკვებით!
გჯეროდეთ – ფერფლიდან თქვენ წმინდა აღსდგებით!

ვარ ჩიტი-ფენიქსი – გიზგიზში ვმღეროვარ!
და ხელი შემინყეთ – ზეცისკენ ფრენისას!
ვინვები ზესწრაფვით – და ვინვი ძირამდე!
დაე, თქვენს ღამეებს თან ახლდეთ სინათლე!

ყინულის კოცონს თუ ცეცხლოვან შადრევანს!
მე ლაღად ვატარებ ჩემს ლამაზ საროს ტანს,
მე ლაღად ვატარებ ჩემს ლამაზ საროს ტანს –
თანამზრახველნო და მემკვიდრეებო!

დონ-ჟუანი (5)

* * *

დიახ, ჰქონდაო დონ-ჟუანს – დაშნა,
დიახ, ჰყავდაო დონ-ჟუანს – დონნა ანნა.
აი ის, რასაც ამბობდა ხალხი
მშვენიერსა და უიღბლო დონ-ჟუანზე.

მაგრამ მე მაინც მძლია გუმანმა:
შუალამისას გამოვედი შავბნელ შარაზე.
ვიღაც მომდევდა ფეხდაფეხ გზაზე –
მომყვებოდა და მეძახდა თანაც.

და უცხო შუქი ახლდა მისას სამოსს და არგანს...
– არა ჰყოლია დონ-ჟუანს – დონნა ანნა!

*** * * (ჩემს მხარზე, მარჯვენაზე...)**

ჩემს მხარზე, მარჯვენაზე
დასკუპდა მტრედი – დილა.
ჩემს მხარზე, მარცხენაზე
დასკუპდა ჭოტი – ღამე.

დავალ ვით მეფე ყაზანისა,
რილასი გეშინოდეს, გულო?-
შერიგებულან მტრები ოდინდელნი,
რომ მე მიდარაჯონ – ერთად!

*** * * (შენს თავს წავართმევ ძალით ყველა მიწას და ზეცას...)**

შენს თავს წავართმევ ძალით ყველა მიწას და ზეცას,
რადგანაც ტყეა ჩემი აკვანიც და სამარეც,
რადგანაც მხოლოდ ცალი ფეხით ვეყრდნობი მიწას,
რადგან გიმღერი ისე, როგორც ამ ქვეყნად არვინ.

შენს თავს წავართმევ ძალით ყველა დროთა და ღამეთ,
ყველა ოქროსფერ დროშას, ალესილ მახვილს ყველას,
მე ჩამოვგლეჯავ კლიტეს და შორს დავიფრენ ძაღლებს,
რადგან ცივ ღამეებში ძაღლებე ერთგული მე ვარ.

შენს თავს წავართმევ ძალით ყველა სხვასა და იმ ერთს,
შენ არ იქნები სიძე, მე სხვისი ცოლი – არა!
მე გამოვტაცებ შენს თავს – ჩუმად! – ვით ბოლო იმედს
მას, ვისთან პირისპირაც იაკობი თუ მდგარა.

მაგრამ ვიდრე მე მკერდზე შემოგაჭდობდე თითებს,
ვაი, რომ შენად რჩები და ხარ ყოვლისა გარე.
შენი წყვილი ფრთა ესწრაფვის მხოლოდ ცისას
სამყარო არის შენი აკვანიც და სამარეც!

*** * * (ჩემს ლექსებს, ნაწერს ასე ადრიან...)**

ჩემს ლექსებს, ნაწერს ასე ადრიან,
როცა თავს პოეტს ვერც კი ვარქმევდი,
მომწყდართ ვით წვეთებს შადრევანიდან
და მაშხალიდან გაყრილ ნაპერწკლებს.

აღქაჯებივით შემოცვივნილებს
საყდრად – სურნელში საკმეველისა;
ლექსებს ყრმობაზე, ლექსებს სიკვდილზე,
ლექსებს, წაკითხვა რომ არ ეღირსათ!

ლექსებს, დახლთ მტვერში რომ მარტვილობენ
და ძველდებიან იქ ხელუხლებლად;
ჩემს ლექსებს, როგორც ძვირფას ღვინოებს,
დრო დაუდგებათ!

*** * * (მე მომწონს ის...)**

მე მომწონს ის, რომ სნეული ხართ თქვენ არა ჩემით,
მე მომწონს ის, რომ სნეული ვარ არა თქვენ გამო,
რომ დედამინის მძიმე ბურთი ჩვენს ფეხთა ქვევით
არ იძვრის არსად და გამოცლას არასდროს ლამობს.
მე მომწონს, რომ ვარ ამნაირი თავაშვებული,
სასაცილო და არცა ვცდილობ სიტყვებით თამაშს;
რომ არ ვკრთები და არ ვწითლდები სუნთქვაშეკრული
სახელოებით ერთმანეთთან შეხებისაგან.

მე მომწონს ისიც, ჩვეულებრივ, ჩემს სიახლოვეს
სხვას რომ ეხვევით თქვენ ასეთი თავდაჯერებით
და არ მაგზავნით ჯოჯოხეთის ალმურში ხოლმე,
იმის გამო რომ არ გკოცნით და არ გეფერებით.
რომ ჩემს სახელსაც, ჩემო კარგო, ნატიფს და ფაქიზს
თქვენ არ ახსენებთ არც დღისით და არც ღამით – სულ არ...
რომ ეკლესიის სიჩუმეში თავდახრილთათვის –
ჩვენთვის – არასდროს გაიჟღერებს: ალილუია!

მადლობა თქვენს გულს და თქვენს ხელებს, მადლობა
თქვენდა
იმისთვის, რომ მე – თქვენ თვითონ რომ არ იცით, ისე –
გიყვარვართ! გმადლობთ სიმშვიდისთვის ჩემთა ღამეთა,
ასე იშვიათ შეხვედრისთვის საღამოსპირზე;
იმისთვის რომ არ დავსეირნობთ მთვარიან გზებით,
მზისთვის, რომელიც არ დაგვნათის ჩვენ თავზე ამოდ.
იმისთვის, რომ თქვენ სნეული ხართ – ო! – არა ჩემით,
იმისთვის, რომ მე სნეული ვარ არა თქვენ გამო.

*** * * (მზე ერთია და – დააბიჯებს ყველა ქალაქში...)**

მზე ერთია და – დააბიჯებს ყველა ქალაქში.

მზე ჩემია და – არ დავუთმობ მე მზეს არავის.

არცერთი წუთით და არცერთ სხივს – არც ვის – არასდროს.

დე, ქალაქები უსასრულო ღამემ დამარხოს.

ხელში ავიყვან! რომ ვერ შეძლოს წრეზე ტრიალი,

დამწვას ხელები, ბაგეები, გული – ტიალი.

და მარადიულ ღამეში თუ წავა – წავყვები...

ჩემი ხარ, მზეო, ჩემო მზეო – სულ და სავსებით.

*** * * (მე ვიცი სიმართლე...)**

მე ვიცი სიმართლე! – ყველა სხვა სიმართლე – შორს!
ადამიანები ერთურთთან ბრძოლაში არ უნდა ჩავერთოთ.
შეხედეთ: სადამო სულ მალე დამესა შობს.
რას იტყვით – პროეტებო, მიჯნურნო და მხედართმთავრებო?

უკვე ქარია ირგვლივ, მიწას კი ნამი ჰფარავს,
ქარბუქი ცას აყრის გაყინულ ვარსკვლავებს.
და ჩვენ, ყველანი, მიწაში მივიძინებთ ჩქარა,
მიწაზე ძილი ვინც ერთმანეთს არ ვაცალეთ.

იტალო კალვინო

ერთი მოგზაურის ამბავი

(იტალიურიდან თარგმნა მაია ტურაბელიძემ)

ჩრდილო იტალიის ერთ-ერთ ქალაქში მცხოვრებ ფედერიკო ვ.-ს ძლიერ უყვარდა რომში მცხოვრები ჩინცია უ. როგორც კი შესაძლებლობა მიეცემოდა, ჩაჯდებოდა მატარებელში და დედაქალაქისკენ გაემგზავრებოდა. თავისუფალი დრო ბევრი არ ჰქონდა, ამიტომ სამსახურისთვისაც და სიამოვნებისთვისაც მის ეკონომიურად განაწილებას იყო მიჩვეული. ჰოდა, როგორც ახლა, სხვა დროსაც ღამით უწევდა მგზავრობა, ბოლო მატარებლით, ცოტა მგზავრით, ხოლო თუ სადღესასწაულო პერიოდი დაემთხვეოდა, იქ წამოწოლისა და დაძინების საშუალებაც ეძლეოდა.

ფედერიკოს თავის ქალაქში გატარებული დღეები ძალიან ანერვიულებდა, ადგილს ვერ პოულობდა. მომდევნო მატარებლის მოლოდინში, კაცი რაღაც საქმის მოგვარებას რომ დაიწყებს და თავში გასვლის განრიგი უტრიალებს განუწყვეტლივ, ისე ემართებოდა. როცა, ბოლოს და ბოლოს, გამგზავრების საღამო მოახლოვდებოდა და ყველა მოწესრიგებული საქმის შემდეგ, ჩემოდნით ხელში სადგურისკენ გაემართებოდა, აი, მაშინ გრძნობდა თავს მშვიდად, თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ჩქარობდა, მატარებელზე არ დამაგვიანდესო. იმ დროს სადგურზე ხალხის რუზრუზი თანდათან წყდებოდა და ისიც თავს უკეთ, უფრო თავისუფლად გრძნობდა. ყველაფერში ხელის შემწყობ პირობას ხედავდა, დაბრკოლებებშიც კი. ისე მსუბუქად მიდიოდა, თითქოს სადგურის იატაკიც ეხმარება ნაბიჯის სწრაფად გადადგმაშიო; ბოლო წუთებში ჯერ კიდევ ღია სალაროს წინ დგომა, მაღალი კუპიურის

გადაცვლა, ხურდა ფულის უქონლობა ჟურნალების ჯიხურთან, ყველა ამ წინააღმდეგობის გადალახვაც კი სიამოვნებად მიაჩნდა.

საერთოდ, ასეთი შინაგანი სულიერი სამყარო არ ეტყობოდა. პირიქით, ის იყო კაცი, რომელსაც მოსწონდა, თუკი სხვა მგზავრებისგან განსხვავებული არ იქნებოდა. მართლაც, ყველა მასავით იყო ჩაცმული, სანვიმარ ლაბადასა და ჩანთით ხელში, მაგრამ მაინც გრძნობდა თავს ტალღის წვერზე, რადგანაც ჩინციასკენ მიისწრაფვოდა და სწორედ ეს განასხვავებდა ყველასგან.

ლაბადის ჯიბეში ჩაყოფილი ხელით ტელეფონის ჟეტონს ათამაშებდა. დილით, როგორც კი ჩავიდოდა „რომა ტერმინიში“, მაშინვე უახლოეს ტელეფონამდე გაიქცეოდა, ნომერს აკრეფდა და ეტყოდა: „ძვირფასო, იცი, მე ჩამოვედი...“ და ახლაც, თითებს უჭერდა ამ ჟეტონს, როგორც უძვირფასეს, უნიკალურ ნივთს მთელ სამყაროში, იმ დიდი სიამოვნების განცდის ერთადერთ საშუალებას, რომელიც ჩასვლისას ელოდებოდა.

მგზავრობა ძვირი ღირდა, და ფედერიკო მდიდარი არც იყო. მეორე კლასის ვაგონში, რბილ სავარძლებზე ადგილები თავისუფალი თუ იქნებოდა, ბილეთებს ყიდულობდა, სულ ასე აკეთებდა, ცალკე რომ ყოფილიყო, მყუდროდ. ხალხმრავლობის შემთხვევაში კი, კონტროლიორს თანხას უმატებდა და პირველი კლასის ვაგონში გადადიოდა. ფულის ასე ეკონომიურად ხარჯვით სიამოვნებას უფრო განიცდიდა, ორ სხვადასხვა დროს გადახდილი თანხა იმდენად ძვირი არ ეჩვენებოდა. ასეთი გამოცდილებით თავსაც მშვიდად და მსუბუქად გრძნობდა.

საკუთარი ცხოვრება ზოგჯერ სხვა ადამიანების გავლენის ქვეშ ექცევა, თითქოს სხვებს უფრო ეკუთვნის... ფედერიკო

ყოველთვის ცდილობდა, თავისი შინაგანი სამყარო ასეთი გავლენისგან დაეცვა, რისთვისაც ცოტა რამეც კი ჰყოფნიდა. სასტუმროს ერთი ოთახი, მატარებლის კუპე და ყველაფერი ის, რაც მხოლოდ მისთვის იყო განკუთვნილი, ცხოვრებას სხვაგვარად აღაქმევინებდა, დადებითად; წარმოიდგენდა, რომ ნახევარკუნძულზე გადაჭიმული რკინიგზაც კი, თითქოს მისთვის იყო გაყვანილი; რკინიგზა, რომელსაც ის ჩინციასკენ მიჰყავდა.

იმ საღამოს მეორე კლასის ვაგონი თითქმის ცარიელი იყო. ფედერიკომ ერთი კუპე აირჩია, რომელიც არც მატარებლის ბორბლებზე ხვდებოდა და არც – მთლად შუა ვაგონში. იცოდა, რომ სიჩქარეში ამოსული მგზავრები, ძირითადად, წინა კუპეებს არ ირჩევდნენ. წამოსაწოლი ადგილის პოვნისთვის ფსიქოლოგიური დეტალების მინიმალური გათვლა იყო საჭირო. ეს კარგად იცოდა ფედერიკომ და ყოველთვის ყველაფერს ითვალისწინებდა.

მაგალითად, როგორც კი შევიდა კუპეში, კარზე მაშინვე ჩამოაფარა ფარდები. ამ ქმედებას შეიძლება გადაჭარბებულადაც თვლიდა, მაგრამ ფსიქოლოგიური ეფექტისკენ იყო მიმართული. ამოსული მგზავრი, ჩამოფარებულ ფარდებს რომ დაინახავს, ინსტინქტურად სხვაგან წასვლას არჩევს და შეიძლება ისეთ ღია კუპეში შევიდეს, სადაც ორი და სამი ადამიანიც კი იყოს უკვე განთავსებული. ჩანთა, ლაბადა და ჟურნალები ფედერიკომ მის წინა და გვერდითა ადგილებზე მიალაგ-მოალაგა. ეს მისი არც ისე მნიშვნელოვანი ქმედება იყო, მაგრამ მაინც საჭირო. არა, კი არ უნდოდა ვინმესთვის ეფიქრებინა, ეს ადგილები დაკავებულიაო. ასე ხომ საკუთარი სუფთა სინდისის წინააღმდეგ წავიდოდა, რაც წამდვილად არ შეეფერებოდა. მისთვის საკმარისი იყო,

მხოლოდ პირველადი, სწრაფი შთაბეჭდილების შექმნა ამ ადგილებზე, მეტი არაფერი.

როგორც იქნა, დაჯდა და შვებით ამოისუნთქა. კარგად იცოდა, რომ ისეთ გარემოში თუ მოხვდებოდა, სადაც ყველაფერი თავთავის ადგილას იქნებოდა განლაგებული, სული სიმშვიდით აევსებოდა. მისი ცხოვრება უამრავი მოუწესრიგებლობით იყო სავსე, მაგრამ ასეთ შემთხვევაში სრულ წონასწორობას პოულობდა შინაგან და გარემომცველ სამყაროს შორის.

ერთი წამი გრძელდებოდა, თუ მეორე კლასის ვაგონში იმყოფებოდა, ერთი წუთი კი – პირველში, რომ მოწყენილება ისადგურებდა მის სულში. (ერთ წუთში ეხუთებოდა სული, პირველი კლასის ვაგონში თუ იმყოფებოდა, მეორეში კი – ერთი წამიც საკმარისი იყო.) იმ ადგილის სიღარიბე, დაცრეცილი და გამოხუნებული ხავერდის ქსოვილი, ირგვლივ მტვერი, ძველი ვაგონის დათხელებული და დაცრეცილი ფარდა, ერთ საცოდავ, ლოგინის მსგავს რამეზე ტანსაცმლით დაძინება, ყველაფერი ეს უსიამოვნების შეგრძნებას იწვევდა მასში, მაგრამ როგორც კი გაიხსენებდა, სად მიემგზავრებოდა და რისთვის, მაშინვე უბრუნდებოდა ის წინა ენთუზიაზმი, ის ბუნებრივი რიტმი და მისი სული სიამოვნებითა და სიმსუბუქით ივსებოდა. საკმარისი იყო, თვალები დაეხუჭა და წარმოედგინა ამ მოგზაურობის მიზანი ან თითები ტელეფონის ჟეტონისთვის მოეჭირა, რომ მოწყენილობა და უსიამოვნების განცდა მთლიანად უქრებოდა.

მაგრამ რაღაც აკლდა... და რა იყო? აი, ხმაც შემოესმა ქვევიდან:

– ბალიშები!

გაგონებაც და, ფეხზე იდგა უკვე; ფანჯარა ჩაენია, ორი
ასლირიანი ამოელო და გასძახოდა:

– ერთი, აქ, თუ შეიძლება!

ყურთბალიშების გამყიდველი მაღალი, გამხდარი, ჭაღარა
ულვაშებიანი მოხუცი კაცი იყო; გრძელი,
ნდობისმომგვრელი, ნაშრომი ხელები ჰქონდა, მსხვილი
თითებით; ის ყოველთვის მატარებლის გასვლისას
გამოჩნდებოდა ხოლმე; ერთი წუთით ადრე, სანამ
მატარებელი გავიდოდა, ბალიშებჩამოკიდებული ურიკით
ფანჯრების წინ ჩამოივლიდა; შავად ეცვა, სამხედრო
სპეცტანსაცმელი და ქურთუკი, თავზე ქუდი ეხურა, ყელზე
კი შარფი ეხვია; უმბერტო მეფის დროინდელი ტიპაჟი იყო;
ძველ სამხედრო მეთაურს ჰგავდა, ერთგულ პოლკოვნიკს,
ანდა ფოსტალიონს, თავისი გრძელი მკლავებით
კონვერტით ჰატარა ბალიში რომ გადააწოდა
ფედერიკოს; თითის წვერებით ისე ეჭირა, გეგონებოდათ,
წერილს აწოდებს ან საფოსტო ყუთივით ფანჯარაში
აგდებსო. ახლა ყურთბალიში ფედერიკოს ხელში იყო –
ოთხკუთხედი, ბრტყელი, კონვერტისმაგვარი,
ბეჭდებდახატული, ჩინციასთვის მიძღვნილი
ყოველდღიური წერილივით, რომელიც ამ საღამოს
იგზავნებოდა და ღელვით დაწერილ სტრიქონებს უხილავი
ღამის ფოსტის გზით მიმავალი ფედერიკო ასახიერებდა
პირადად. ეს მოხუცი მისთვის უკანასკნელ რაციონალურ
და მოწესრიგებულ ჩრდილოელს წარმოადგენდა, და
კარგად იცოდა, რომ მალე ის შუასამხრეთელთა უხეშ
ქცევებსაც შეხვდებოდა.

ყურთბალიში კი ერთი რბილი ნივთი იყო, ჯერ კიდევ თავის
შეკვრაში მჭიდროდ მოთავსებული, და მიუხედავად ზედ
უამრავი ბეჭდისა, მაინც – ქათქათა თეთრი. ეს

ოთხკუთხედი ნივთი სიყვარულს, ინტიმურ ურთიერთობას და სიამოვნებას განასახიერებდა, რომელთა წარმოდგენით ფედერიკო ულამაზეს კუნძულზე ხვდებოდა, იმ ღამესაც, ხავერდის უხეშ ქსოვილზეც კი. ასე, ამ სასიამოვნო მიზნისთვის მიემგზავრებოდა ის; უფრო მეტიც, თავი ბალიშზე ედო და მისთვის სიამოვნების შეგრძნება დაწყებულიც იყო, რადგან ჩინციას რბილი და ნაზი მკლავების გარემოცვაში გრძნობდა უკვე თავს.

ამ სასიყვარულო და სასიამოვნო წარმოდგენებში იყო, რომ მატარებელმაც გასვლა დაიწყო; ნელ-ნელა დატოვა სადგურის რკინის სახურავი, ლიანდაგებს სრიალით გაუყვა და სიბნელეს შეერია. ფედერიკო მატარებლის გასვლამდე ძალიან ღელავდა, ახლა კი მის სულში სრულ სიმსუბუქეს და სიმშვიდეს დაესადგურებინა. ისე სრულად მოეხსნა დაძაბულობა, რომ გონებაში ერთი სიმღერის სიტყვებიც კი ამოუტივტივდა: – „J'ai deux amours... Mon pays et Paris... Paris toujours...“

ერთი მგზავრი შემოვიდა... ფედერიკო მაშინვე გაჩუმდა.

– თავისუფალია? – იკითხა და დაჯდა.

ფედერიკოს უკვე გააზრებული ჰქონდა, რომ ბოლოს და ბოლოს, მაინც სხვასთან ერთად სჯობდა კუპეში ყოფნა, ერთი აქეთ დაწვებოდა, მეორე – იქით; და ასე, სხვა არავინ შეაწუხებდათ, მაგრამ თუ ნახევრად ცარიელ კუპეში ექვსკაციანი ოჯახი შემოვიდოდა ბავშვებით და სირაკუზამდე იმგზავრებდნენ, მაშინ კი ნამდვილად მოუწევდა ფეხზე დგომა. ფედერიკომ კარგად იცოდა, რომ ყველაზე ჭკვიანური აზრი იმ მატარებლის ბილეთის ყიდვა იყო, რომელშიც ნაკლები მგზავრი იქნებოდა, ასე კუპე ცარიელი თუ არა, ერთმგზავრიანი მაინც შეხვდებოდა, მაგრამ მაინც მარტო ყოფნას ამჯობინებდა, თუმცა ვინმე

თუ დაემგზავრებოდა, ყოველთვის შეეძლო, რამე ახალი სიტუაციით დაემშვიდებინა თავი.

ასე გააკეთა ახლაც.

– რომისკენ მიემგზავრებით? – ჰკითხა შემოსულ მგზავრს და მერე ეს გაიფიქრა: „ძალიან კარგი. ჩამოვწიოთ ახლა ფარდები, ჩავაქროთ სინათლე და მეტი აღარავინ შემოვუშვათ“.

– არა, გენუაში მივდივარ. – უპასუხა მგზავრმა.

გენუამდე თუ მიდის, კარგია. ფედერიკო ისევ მარტო დარჩება, მაგრამ ასე ცოტა ხნით მგზავრობისთვის არც კი წამოწვება, მღვიძრად იქნება; სინათლესაც არ ჩააქრობინებს, თანაც, შეიძლება, შემდეგ გაჩერებაზე სხვა მგზავრებიც ამოვიდნენ. ყოველ შემთხვევაში, ფედერიკოს ასეთი მგზავრობა არ აწყობდა, რადგან თავის გეგმებს ბოლომდე ვერ განახორციელებდა. მაგრამ ბევრი არც უფიქრია ამ თემაზე. ის ყოველთვის ცდილობდა შემანუხებელი და უსარგებლო მხარეები გონებიდან წაეშალა. იმდენი მოახერხა, რომ მის წინ მჭდომი კაცი თითქმის გააქრო, ჩრდილამდე დაიყვანა, რუხი ფერის ლაქამდე. გაზეთები, რომლებიც ორივეს ჰქონდა წინ გაშლილი, ერთმანეთისგან თავის შორს დასაჭერად ეხმარებოდათ. ასე, ფედერიკოს სასიყვარულო სამყაროში სრულიად თავისუფლად შეეძლო ეგრძნო თავი. – „Paris toujours...“ – ვერავინ წარმოიდგენდა, რომ იმ მოსაწყენ და მოსათმენად სავსე სიტუაციაში, ის გონებრივად ქალის მკლავებში დაფრინავდა; ისეთი ქალის, როგორც ჩინცია იყო. სიამაყის ეს გრძნობა უფრო რომ შეეცხო და გაეზარდა, ფედერიკოს მის წინ მჭდომი, აქამდე თითქმის შეუხედავი მგზავრის აღიარება დასჭირდა და მისი საკუთარ თავთან

შედარება, ასე უფრო აღიქვამდა, რამდენად წარმატებული და ბედნიერი იყო თვითონ.

მაგრამ უცნობს სასონარკვეთილი იერი სულაც არ ჰქონია, პირიქით, ერთი ახალგაზრდა, ჩაფსკვნილი და ხორციანი მამაკაცი ჩანდა, რომელიც საკმაოდ კმაყოფილად და აქტიურად გამოიყურებოდა; სპორტულ ჟურნალს კითხულობდა, გვერდით კი ერთი დიდი ჩანთა ედო. მთლიანობაში, რაღაც წარმოების წარმომადგენელს უფრო ჰგავდა, კომერციულ ინსპექტორს. წამით ფედერიკოს შურისმაგვარი გრძნობაც დაეუფლა. ის ყოველთვის განიცდიდა მსგავს შეგრძნებას ისეთი პრაქტიკული ადამიანების წინაშე, ცხოვრების ცოცხალ რიტმს აქტიურად რომ მიჰყვებოდნენ, მაგრამ მხოლოდ გაელვებასავით ჩაუქროლა ამ განცდამ, რაც მაშინვე წაეშალა ფიქრით: „ეს კაცი საღებავებით მგზავრობს ალბათ, მე კი...“ და ისევ მოუვიდა იმ სიმღერის სურვილი, რაც უფრო აღაგზნებდა და ფიქრების განდევნაში ეხმარებოდა. – „Je voyage en amour!“ – გონებაში ისევ აღიდგინა ის პირველი რიტმი, მატარებლის სვლაზე რომ ჰქონდა აწყობილი მანამდე და წარმომადგენლის გასაბრაზებლად შესაფერისი სიტყვებიც მოიგონა (მართლა რომ გაეგონა მას!..), – „Je voyage en volupté!“ – მკვეთრ გადასვლებს აკეთებდა, თან რიტმს სცდებოდა, – „Je voyage toujours... l’hiver et l’été...“ – ასე უფრო და უფრო აღიგზნებოდა, – „l’hiver et... l’été!..“. ბოლოს, იმ დონემდე მივიდა, რომ ღიმილიც კი დაეტყო სახეზე, რაც მის აბსოლუტურ გონებრივ კეთილდღეობას ნიშნავდა; სწორედ იმ წუთებში მიხვდა, რომ წარმომადგენელი აკვირდებოდა. მაშინვე სერიოზული სახე მიიღო და ისე ღრმად შეიჭრა გაბეთის კითხვაში, რომ საკუთარი თავიც კი დაარწმუნა, ინფანტილურ მდგომარეობაში არ ვიმყოფებოდი ცოტა ხნის წინო. ინფანტილური... და

რატომ? არც არაფერი იყო ინფანტილური. მგზავრობა ასეთ სასიამოვნო მდგომარეობას უქმნიდა მის სულს, ზუსტადაც, მომნიჭებულ კაცს რომ შეეფერებოდა; უფრო მეტიც, ისეთს, ცხოვრებაში ცუდიც რომ იცის და კარგიც, და ახლა მომავალი სიამოვნებისთვის რომ ემზადება, თანაც დამსახურებულად. განონასწორებულმა, სინდისთან მიმართებაში სრულიად მშვიდად მყოფმა ფედერიკომ კვირის გაზეთის ფურცვლა და ცხოვრების სწრაფი ტემპის აღმწერი სურათების თვალთვლება დაიწყო. რაღაც ისეთი უნდოდა მოეძებნა, მის სულიერ განწყობას რომ შეესაბამებოდა, მაგრამ მალე მიხვდა, რომ კვირეული და მისი ამბები, ცხოვრების ზედაპირული ხედვითა და ზოგადი მიმოხილვით არც კი აინტერესებდა. მისი სული და გონება მალლა ცაში უფრო დაფრინავდა მოუთმენლად, – „l’hiver et... l’été!..“.

დაძინების დროც დამდგარიყო უკვე.

მოულოდნელი სიამოვნებაც ეწვია: წარმომადგენელს ჩასძინებოდა იმავე პოზიციაში, როგორშიც იყო, გაზეთით მუხლებზე. ფედერიკო დამჯდარ მდგომარეობაში ჩაძინებულ ადამიანებს გაუცხოებულად თვლიდა და მინიმალური შურის განცდაც კი არ უჩნდებოდა მათ მიმართ. მისთვის მატარებელში დაძინება საკმაოდ შრომატევადი და რიტუალებით სავსე პროცედურა იყო, რითაც დიდ სიამოვნებასაც იღებდა.

პირველად შარვალის უნდა გამოეცვალა; კარგი, გამოსასვლელი უნდა გაეძრო და ძველი, საშინაო ჩაეცვა, მთლად დაჭმუჭნულით რომ არ ჩასულიყო ადგილზე. ეს ტუალეტში უნდა გაეკეთებინა, მაგრამ მანამდე, მოხერხებულად რომ ეგრძნო იქ თავი, ტუფლების მაგივრად ჩუსტები უნდა ჩაეცვა. ფედერიკომ ჩანთიდან

საშინაო შარვალი და ჩუსტების პარკი ამოიღო; ჯერ ფეხზე გამოიცვალა და ტუფლები სანოლის ქვეშ შეაწყო, მერე შარვლის გამოსაცვლელად ტუალეტში წავიდა. – „Je voyage toujours!“ – რომ დაბრუნდა, შარვალი ისე მოაწესრიგა, რომ ნაკეცი არ დარღვეოდა. – „Trallalà la-la!“ – ბალიში სანოლის თავში, დერეფნის მხარეს დადო. ასე მოულოდნელი კარის გაღებით გამოწვეულ ხმაურს თავზემთ თუ იგრძნობდა. ეს უკეთესი იქნებოდა, ვიდრე პირდაპირ – სახესა და თვალებში. – „Du voyage, je sais tout!“ – სანოლის მეორე მხარეს, ფეხებისკენ, გაზეთი დადო, ჩუსტებით რომ დაწოლილიყო, გაუხდელად. ბალიშის ზევით, საკიდზე პიჯაკი ჩამოკიდა, ჯიბეში კი ხურდის ჩასაყრელი და ქალაქის ფულის შეკვრა ჩადო, რადგან შარვლის ჯიბეში თუ დაიტოვებდა, შეიძლებოდა, ქურდებს სახსარიც კი გამოეჭრათ მისთვის; (ქურდებს, შეიძლებოდა, თედოც კი ამოეხვრიტათ მისთვის.) მატარებლის ბილეთი ქამრის ქვეშ, პატარა ჯიბეში ჩაიდო. – „Je sais bien voyager...“ – გამოსასვლელი პულოვერი გაიძრო, რომ არ დაეჭმუჭნა, და საშინაო ჩაიცვა, ხოლო პერანგის გამოცვლას დილით აპირებდა; წარმომადგენელს მის დაბრუნებაზე გაღვიძებოდა და ისე ადევნებდა თვალყურს ამ საქმიანობას, თითქოს ვერ გაეგო, რა ხდებოდა. – „Jusqu’à mon amour...“ – ფედერიკომ ჰალსტუხი მოიხსნა და დაკიდა, საყელოს საყრდენებიც მოიძრო და პიჯაკის ჯიბეში ჩადო ფულთან ერთად; – „... j’arrive avec le train!“ – მოიხსნა ბრეტელები (როგორც ყველა ელეგანტური მამაკაცი, ისიც ატარებდა ბრეტელებს) და შეიხსნა შარვლის ზედა ღილიც, მუცელზე რომ არ მოეჭირა მისთვის; – „Trallalà la-la!“ – პულოვერზე პიჯაკი არა, მაგრამ ლაბადა კი მოიცვა, მხოლოდ ჯერ ჯიბეები გაისუფთავა სახლის გასაღებებისგან; ტელეფონის ჟეტონი შიგ ჩატოვა, არ ამოუღია, როგორც ბავშვებმა იციან, რჩეულ სათამაშოს

რომ ამოდებენ ხოლმე ბალიშის ქვეშ. ლაბადის ღილები მთლიანად შეიკრა, ასწია საყულო და ისე მოკალათდა დასაძინებლად, რომ ერთი ნაკეციც არ დატყობია მოსასხამს. – „Maintenant voilà!“ – მატარებელში ძილი ნიშნავს დილით თმებით ყალყზე გაღვიძებას, და შეიძლება, დროც კი არ დაგრჩეს, რომ დაივარცხნო და მოიწესრიგო, ამიტომ თავზე ქუდი დაიხურა. – „Je suis prêt, alors!“ – ლაბადა ისე მოერგო ტანზე, როგორც მღვდელს – ანაფორა; მერე კარზე დაკიდებული ფარდები ბოლომდე ჩამოქაჩა და მისი ტყავის ღილკილოები ლითონის ღილებზე ჩამოაცვა; კუპის თანამგზავრს სინათლის ჩაქრობა ანიშნა, მაგრამ მას უკვე ჩასძინებოდა და ვერ უპასუხა, მაშინ თვითონ გაიწია ჩასაქრობად; უსაფრთხოების ნათურის ცისფერ მკრთალ შუქში მყოფმა კიდევ გაიწია ფანჯრებზე ფარდების მოსაწესრიგებლად, თუმცა ცოტა აწეული დატოვა, დილით მზის სხივი რომ შემოსულიყო; კიდევ ერთი მოქმედება დარჩენოდა – საათის მომართვა, და აი, უკვე დანოლაც შეეძლო. ბოლოს, ერთი ნახტომით დაეცა ჰორიზონტალურ პოზიციაში, გვერდულად, სრიალა ლაბადით, ფეხებმოკეცილი, ხელებით ჯიბეში, ჟეტონით ხელში, ფეხებით ისევ ჩუსტებში და გაზეთზე დაწყობილი, ცხვირით ყურთბალიშში ჩაყოფილი და თვალეებზე ქუდჩამოწეული. ასე დაიძინებდა შინაგანად მოწესრიგებული სამყაროთი და ხვალინდელი დღის სიამოვნების მოლოდინში (მთელი ამ შრომის შემდეგ მშვიდად აპირებდა დაძინებას, მით უმეტეს, ხვალ სასიამოვნო დღე ელოდებოდა).

კონტროლიორი მოულოდნელად შემოვიდა; კარი ხმაურით გააღო და ერთი ხელით ფარდების ახსნა დაიწყო ღილებიდან, მეორეთი კი – სინათლის ანთება. არ იყო გასაკვირი მისი ასეთი ვიზიტი, მაგრამ ფედერიკოს ერჩივნა, არ დალოდებოდა. მის დაძინებამდე თუ

შემოვიდოდა, საქმეც მოთავებული ექნებოდა; ახალჩაძინებულზე თუ გამოჩნდებოდა, რამდენიმე წამს წაართმევდა მხოლოდ, სოფელში, ჩიტის ხმაზე რომ შეეღვიძება დაძინებულ კაცს, ისე; მერე გვერდს შეიცვლიდა და ძილს გააგრძელებდა, თითქოს არც გამოუღვიძიაო. ფედერიკოს ბილეთი ჯიბეში ედო, მზად, რომელსაც ადგომის გარეშეც აწოდებდა, თითქმის თვალების გაუხელად, და ასე ხელგაშლილი მანამ რჩებოდა, სანამ ისევ არ იგრძნობდა მას თითებს შორის; ჩაიღებდა ჯიბეში და ძილს გააგრძელებდა; არც კი დასჭირდებოდა რაიმე ისეთი, განსაკუთრებული ქმედების შესრულება, ძილი რომ გაეტეხა, ხელი რომ შეეშალა მისი სიმშვიდისთვის ან ისევ ადგომა რომ დასჭირვებოდა და ფარდების ხელახლა შებნევა. ახლა ჯერ კიდევ მღვიძრად იყო, მაგრამ კონტროლი, ცოტა არ იყოს, ჩვეულზე მეტხანს გაგრძელდა, რადგან წარმომადგენელმა, შუა ძილში რომ გააღვიძეს, გონზე მოსვლა და ბილეთის პოვნა დააგვიანა.

– ჩემსავით სხარტი არ არის, სწრაფი აზროვნება და მოქმედება არ შეუძლია. – გაიფიქრა ფედერიკომ და მოწინააღმდეგის ნიშნის მოგების მიზნით, სიმღერის ახალი ვარიანტის წამღერებით ისარგებლა. (სიმღერის ახალი ვერსია წაიღიღინა.) – „Je voyage l’amour...“ – გადააკეთა. – „voyage“ – ზმნის გადაკეთება ისე მოეწონა, რომ პოეტური კმაყოფილებით აევსო სული, რითაც, როგორც იქნა, მისი სულიერი სამყაროს შესაფერისი განცდაც შეიგრძნო. – „Je voyage l’amour! Je voyage liberté! Jour et nuit je cours... par les chemins-de-fer...“.

კუპე ისევ ბნელში მოექცა. მატარებელი მიჰქროდა. ფედერიკოს მეტი რა უნდა ეთხოვა ცხოვრებისგან?! იმდენად ბედნიერი და კმაყოფილი იყო, რომ თვალების დახუჭვამდე და დაძინებამდე არაფერი აკლდა. ჰოდა, ისე

ჩაეძინა, როგორც ბუმბულით სავსე ჭაში ჩაფლულს. თუმცა მხოლოდ ხუთი თუ ექვსი წუთი, მერე ისევ გაელვიდა. სცხელოდა, მთლად ოფლიანი იყო. ვაგონებში ცხელოდა საერთოდ. გვიანი შემოდგომა იდგა, და რადგან ბოლო მგზავრობისას სიცივე იგრძნო, ახლა ამიტომ ლაბადით დაწოლა ამჯობინა. ადგა, გაიძრო და ზევიდან საბანივით გადაიფარა. მხრები და მკერდი ღიად დაიტოვა, უფრო თხილდებოდა, ნაკეცები არ დაეტყოსო; მეორე გვერდზე გადაბრუნდა. ოფლს მის სხეულზე ქავილის გრძნობა გაელვიდებინა. შეიხსნა პერანგი, მოიქავა მკერდი და ფეხი. ახლა მისი სული ფიზიკური თავისუფლებისაკენ მიისწრაფოდა, ზღვისკენ, ნუდიზმისკენ, ცურვისკენ, სირბილისკენ, და ყველაფერი ეს კულმინაციას ჩინციას ჩახუტებაში აღწევდა, რაც ყველაზე დიდ სიამოვნებას წარმოადგენდა მისთვის. ასე ძილბურანში მყოფი ვერც კი გრძნობდა ირგვლივ არსებულ სირთულეებს, იმდენად მშვენიერ ოცნებებში ჰქონდა გონება ჩაფლული; ყველაფერს ერთდროულად განიცდიდა და სიძნელეებით გარშემორტყმული, მაინც დადებითად აღიქვამდა ყოველივეს. ამასობაში ჩაეძინა.

სადგურის მიკროფონების ხმაზე ზოგჯერ კი იღვიძებდა, მაგრამ ძალიან არ წუხდებოდა, არ ეჩვენებოდა ისინი ისე შემანუხებელი, როგორც სხვები ამბობდნენ. საერთოდ, გაღვიძება და მაშინვე გაგება, თუ სად იყოფები, ორ დიდ სხვადასხვა სიამოვნებას ანიჭებს ადამიანს – იმ სადგურამდე თუ ხარ უკვე მისული, რომელიც გგონია, ფიქრობ: „რამდენი მიძინია! ეს მგზავრობა არც კი გამიგია თითქმის!“; და თუ ერთი გაჩერებით უკან ხარ: „კარგია, დრო კიდევ მაქვს. შემიძლია, მშვიდად გავაგრძელო ძილი“. ფედერიკო ახლა ჯერ კიდევ მეორე ვარიანტზე იმყოფებოდა. წარმომადგენელი ისევ იქ იყო. ისიც

წამონოლილიყო და ოდნავ ხვრინავდა. ფედერიკოს ისევ სცხელოდა, ნახევრადმძინარე ფეხზე წამოდგა და ელექტროგამათბობელს დაუნყო ძებნა. მოპირისპირე კედელზე შეამჩნია ის, პირდაპირ მისი თანამგზავრის თავზე; ცალი ჩუსტი გასძრობოდა და ხელების აწევითა და ცალ ფეხზე წონასწორობის შენარჩუნებით, ტემპერატურის მარეგულირებელი გაბრაზებულმა მინიმუმამდე გადაატრიალა. წარმომადგენელმა სწორედ მაშინ გაახილა თვალები და თავზემთ მისი მოკაკვული თითი რომ დაინახა, ჯერ შიშისაგან შეცბა და ნერწყვი გადასცდა, მერე კი არაფრად ჩააგდო და ძილი გააგრძელა. ფედერიკო ლოგინზე წამოწვა. ელექტროგამათბობელის მარეგულირებელმა ხმა გამოსცა, ბუზუნი დაიწყო და თითქოს რაღაცის თქმა უნდაო, წითელი ნათურა აინთო. ფედერიკო მოუთმენლად ელოდა ტემპერატურის დაწევას, ადგა და ფანჯარა ოდნავ ჩამონია; ცოტა ხანს ჰქონდა ღიად, მაგრამ რადგან მატარებელი მიჰქროდა, შესცივდა და ისევ ასწია; რეგულატორი ავტომატურზე გადართო, თავი ბალიშზე დადო და ცოტა ხნით ყური მიუგდო დამარეგულირებლის ბუზუნს, რომელიც უცხოპლანეტელების შეტყობინების ხმას უფრო აგონებდა.

მატარებელი მიჰქროდა, უსაზღვრო, გაუთავებელ სივრცეებზე გადადიოდა; და მთელ სამყაროში მხოლოდ ის იყო ერთადერთი მამაკაცი, რომელიც ჩინციასკენ მიისწრაფვოდა.

დილით, სადგურ „პრინჩიპზე“ ყავის გამყიდველის ყვირილმა გააღვიძა. წარმომადგენელი კუპეში აღარ იჯდა, გამქრალიყო. ფედერიკომ ფარდის კიდეები კარგად ჩამოსწია, ღია კუთხეები კედელივით ამოავსო და გაფაციცებით მიუგდო ყური დერეფანში ყოველი კარის გაღებასა და მოახლოებულ ნაბიჯებს. არავინ შემოსულა,

მხოლოდ გენუა-ბრინოლეში ადამიანის სილუეტმა ხელით ფარდის აწევა სცადა; მთლიანად უნდოდა ახსნა, მაგრამ ვერ მოახერხა. მერე ჩუმად შემოიჭვრიტა და დიალექტით იყვირა:

– მოდით! აქ ცარიელია!

იქიდან საპასუხოდ ხრინწიანი ხმები და ჩექმების ბრახუნი გაისმა. ბნელ კუპეში ოთხი ალპინელი ისე შემოვიდა, რომ ფედერიკოს კინალამ თავზე დაასხდნენ. ჯერ უცხო ცხოველივით მიაშტერდნენ მას, მერე კი დაბალ ხმაზე ჩაილაპარაკეს:

– ოჰ, ვინ ყოფილა აქ?!

ამის გაგონებაზე, გაბრაზებულმა ფედერიკომ მკლავების აწევით აგრესიულად მიმართა:

– კი, მაგრამ სხვა კუპე არ არის ამ მატარებელში?

– არა, ყველა სავსეა. ჩვენ აქეთ მოვწესრიგდებით მაინც, ნუ დელავთ. – მორიდებულად უპასუხეს თითქოს, თუმცა სამხედროები იყვნენ და უხეში პასუხები მათთვის უჩვეულო არ იყო. ყურადღება არაფრისთვის მიუქცევიათ, ისე ხმაურით დაეყარნენ საწოლზე.

– შორს მიემგზავრებით? – უფრო წყნარი ტონით ჰქითხა ახლა ფედერიკომ, ყურთბალიშიდან თავაუღებლად.

არა, უახლოეს გაჩერებაზე ჩადიოდნენ.

– და თქვენ საით მიემგზავრებით?

– რომში.

– ო, ღვთისმშობელო! რომამდე!

მათმა გაოცებულმა ხმის ტონმა ფედერიკოს გულში
გმირული სიამაყის განცდა წარმოშვა.

მგზავრობა გაგრძელდა.

– შეიძლება, სინათლე ჩააქროთ?

ჩააქრეს და ასე დარჩნენ სიბნელეში უსახოებივით,
ხმაურიანები, ჩაფსკვნილები, მხარი მხარზე მიდებულები.
ერთმა ფანჯარაზე ფარდა ასწია და გარეთ გაიხედა.
ნათელი ღამე იყო. ფედერიკო ცას ხედავდა მხოლოდ და
დროგამოშვებით – რომელიღაც პატარა სადგურის
განათებულ ლამპიონს, თვალს რომ სჭრიდა მას და ჭერზე
ჩრდილებს ამოძრავებდა. ალპინელები სოფლის უხეში
ბიჭები იყვნენ, სახლში ბრუნდებოდნენ დროებით; სულ
ხმამალლა ლაპარაკობდნენ, ხმაურით, შეძახილებით, და
ზოგჯერ ერთმანეთს მუშტებსაც კი წაჰკრავდნენ ხოლმე
სიბნელეში; ყაზარმაზე ლაპარაკობდნენ რაღაცას,
გაუგებრად, ვიწრო დიალექტით. ფედერიკო ძლივს იგებდა
ზოგ სიტყვას, და ვინ იცის, რატომ არ სძულდა ისინი. ახლა
ერთ-ერთი მათგანივით იყო, თავი მათ მსგავსად
წარმოედგინა, და ჩინციას გვერდით, ხვალინდელ
სიამოვნებასა და ბედის მოულოდნელ, თავბრუდამხვევ
ცვლილებაზე ფიქრობდა, მაგრამ ეს ყველაფერი იმიტომ კი
არა, რომ მათი რაღაცნაირად ჩამოქვეითება უნდოდა, წინა
მგზავრივით; არა, ახლა მთლიანად მათ მხარეზე გრძნობდა
თავს, ბუნებრივად, გაუაზრებლად, ყოველგვარი
მონდომების გარეშე, თითქოს მათსავით რაღაც მისიისკენ
იყო მიმართული და ეს მისია ჩინცია იყო, მისთვის
ძვირფასი, ყველაზე მეტად ღირებული.

ფედერიკოს ახლა ცალმა მკლავმა დაუწყო ჟრჟოლა;
მალლა ასწია, დააქნია, მაგრამ მაინც არ ჩაუცხრა და
თანდათან ტკივილში გადაეზარდა, თუმცა სასიამოვნო

ტკივილში; მერე მკლავი იდაყვში მოხარა და ჰაერში წრიულად დაატრიალა. ოთხივე ალპინელი პირდაღებული მისჩერებოდა მას.

– რა დაემართა? რას აკეთებს? სიზმარშია...

მერე, ახალგაზრდული ენაწყლიანობით, ერთმანეთში ხუმრობაზე გადავიდნენ. ფედერიკო ახლა ცალი ფეხის სისხლის მოძრაობის გააქტიურებას მოჰყვა. ფეხზე დადგა და იატაკზე მაგრად დაიწყო მისი დაჭერა.

ასე, ამ ძილ-ღვიძილსა და წამოძახილებში ერთი საათი გავიდა, მაგრამ ის მათ არსებობას არც კი გრძნობდა; ალბათ, იმიტომ, რომ არავის მტერი არ იყო და კეთილი კაციც გამხდარიყო; არც მაშინ შესძულებია ისინი, როცა ჩავიდნენ და კარი და ფარდები ღიად დაუტოვეს. ადგა, ისევ ჩაიკეტა და მოიწესრიგა ყველაფერი, ისევ იგემა მარტოობით გამოწვეული სიამოვნება, თანაც ვინმეს მიმართ ყოველგვარი სიძულვილის გარეშე.

ახლა ფეხებზე შესცივდა. შარვლის ტოტების ბოლოები წინდებში კი ჩაიტანია, მაგრამ მაინც გრძნობდა სიცივეს. ფეხებზე ლაბადა კარგად შემოიხვია, მაგრამ მხრებზე და მუცელზეც რომ შესცივდა, ადგა და მარეგულირებელი თითქმის მაქსიმუმამდე გადაატრიალა. მერე ისევ გაეხვია და თავი მოიკატუნა, თითქოს ვერ ხვდებოდა, მის ქვეშ მოქცეულ ლაბადას ნაკეცები რომ უჩნდებოდა. ახლა ის საკუთარი სიამოვნებისთვის ყველანაირად მზად იყო და მომავლის მიმართ კეთილგანწყობილი მშვიდი ძილის გზებს ეძიებდა.

ამის შემდეგ მას დროგამოშვებით აღვიძებდა კონტროლიორის მიერ ფარდის აწევისა და კარის გაღების ხმა, რომელიც მკვეთრად განსხვავდებოდა ღამით,

გაჩერებებზე სიფრთხილით ამოსული მგზავრებისა და მათი ფარდებჩამოფარებულ კუპეებში გაუჩინარების ხმებისაგან. ასევე გამოირჩეოდა პოლიციელის მიერ კარის პროფესიონალურად გაღებაც, შუქის ანთება, მგზავრების შეთვალეირება და პროფესიონალურადვე გასვლა, რაც უკან თითქოს ციხის აურას ტოვებდა.

სიბნელეში ჩაფლულ ერთ გაჩერებაზე კაცი შემოვიდა. ფედერიკო ამას მაშინ მიხვდა, დასაჯდომზე, ერთ კუთხეში მოკეცილი რომ შენიშნა, ხოლო მისი სველი ტანსაცმლის სუნით იგრძნო, რომ გარეთ წვიმდა. როცა გამოიღვიძა, კაცი უკვე გამქრალიყო, და ვინ იცის, სად, რომელ ბნელ გაჩერებაზე ჩავიდა. ფედერიკოსთვის ის მხოლოდ წვიმის სუნით გაჟღენთილი ჩრდილი იყო, მეტი არაფერი.

შესცივდა. რეგულატორი მაქსიმუმზე გადაატრიალა. მერე ხელი დასაჯდომის ქვეშ შეჰყო, ტემპერატურის მომატება რომ გაეგო; ხელითაც შეანძრია რაღაც, მიუკაკუნა.

არაფერი იგრძნობოდა, თითქოს ყველაფერი გამორთულიაო. ლაბადა ჩაიცვა, მერე ისევ გაიძრო და გამოსასვლელი პულოვერი მოძებნა; ძველი გაიძრო და ახალი ჩაიცვა. მერე ზევიდან ისევ ის ძველი გადაიცვა; ლაბადაშიც გაუყარა ხელები, მოიკუნტა საწოლზე და ისევ შეეცადა იმ წინა განცდისთვის მიეღწია, ძილის პირამდე რომ მიიყვანა მანამდე; და როცა გონებაში ისევ ის სიმღერა დაუბრუნდა, უკვე ჩაძინებული იყო. მისი რიტმი კი სასიამოვნოდ მიჰყვებოდა მძინარეს.

დილის პირველი შუქი ფარდის ჭუჭრუტანებში ისე შემოიჭრა, როგორც შედახილები – „ცხელი ყავა!“, „გაზეთები!“. სად იმყოფებოდა, არ იცოდა – ტოსკანას ბოლო სადგურზე თუ ლაციოს დასაწყისში. არ წვიმდა. სველი მინების იქით, სამხრეთის ცას შემოდგომა არც კი

ემჩნეოდა. ცხელი რამის დაღვევის და გაზეთებზე თვალის გადავლების ინსტინქტმა ბუნებრივად გაუელვა ფედერიკოს, როგორც ქალაქელ კაცს, და ფანჯრიდან გადაშვებისა და ცხელი ყავის ან გაზეთების ყიდვის დიდი სურვილი გაუჩნდა. მაგრამ თავი დაირწმუნა, რომ ჯერ კიდევ ეძინა, და მსგავსი განცდა აღარც ჰქონია. ასევე მოიქცა მაშინაც, როცა კუპე ჩივიტავეკიაში ამოსული ადამიანებით გაივსო, რომლებიც დილის მატარებლით რომისკენ მიემგზავრობდნენ. ყველაზე ლამაზი კი მისთვის გამთენია იყო, როცა მშვიდად ეძინა.

გაიღვიძა თუ არა, თვალები ფანჯრიდან შემოსულმა მზის სხივებმა მოჰკვეთა. ფარდა აწეული იყო. მის პირდაპირ ადამიანები ერთმანეთის გვერდით ისხდნენ. ფედერიკოს ისინი უფრო მეტი მოეჩვენა, ვიდრე სინამდვილეში იყვნენ. ერთი ბავშვიც იყო, მსუქანი ქალის მუხლებზე იჯდა, და ერთი კაციც, მის სანოლზე, მოკეცილი ფეხების იქით დარჩენილ ცარიელ ადგილას მოთავსებულიყო. მამაკაცებს სხვადასხვა გამომეტყველება ჰქონდათ, მაგრამ ყველას მაინც რაღაც მინისტრული იერი დაჰკრავდა ან თითქოს ავიაციის ოფიცრები არიანო, ჩინ-მედლებითა და წოდებებით. ქალებსაც ეტყობოდათ, რომ ვინმე ოფიციალურად მომსახურე ნათესავის სანახავად მიდიოდნენ სამინისტროში ანდა თითქოს რომში მიემგზავრობდნენ საკუთარი თუ სხვების საბუთების მოსაგვარებლად; და ყველანი, ზოგი გაზეთ „ილ ტემპოზე“ ზევიდან გადმოხედვით, ფედერიკოს პირდაპირ მუხლების სიმაღლეზე აკვირდებოდნენ, გახვეული რომ იყო იმ ლაბადაში, უფორმოდ, სელაპივით, ფეხებდამალული; ნერწყვით დასველებული ყურთბალიშიდან თავს რომ სწევდა, დაუვარცხნელი, ჩამოხურული ქუდით, ცალ ლოყაზე ბალიშის ნაკეცით დახაზული; მერე რომ ადგა და

უცნაურად გაიზმორა, სელაპივით; ფეხების ამუშავებას რომ მოჰყვა და ჩუსტები შეცდომით ჩაიცვა; საკინძე რომ შეიხსნა და ერთმანეთზე გადაცმულ პულოვერებსა და დაჭმუჭნულ პერანგს შორის მოიქავა; ჯერ კიდევ მთვლემარემ, მათ რომ გადახედა და გაულიმა.


მატარებლის ფანჯრებიდან ფართოდ იშლებოდა რომაული სოფლები. ფედერიკომ ცოტა კიდევ მოიცადა მუხლებზე ხელებდადებულმა და ბოლოს, ღიმილიანი სახით მის გვერდით მჯომს გაზეთი სთხოვა; გამოართვა, სათაურები გადაიკითხა, თავი შორეულ დროში წარმოიდგინა, მერე ფანჯრიდან რომაულ წყალგაყვანილობებს მოჰკრა თვალი, გაზეთი ისევ პატრონს დაუბრუნა და ჩასასვლელად ჩანთა მოიმზადა.

„სადგურ ტერმინიზე“, პირველი, ვინც ჩამოხტა, ახლადგაფურჩქნული ვარდივით ცოცხალი და ენერგიით სავსე, იყო ის – ფედერიკო, რომელსაც ხელში ჟეტონი ეჭირა. ცემენტის სვეტებსა და სტენდებს შორის დაკიდებული რუხი ფერის ტელეფონები თითქოს მას ელოდებოდნენ. ჟეტონი ჩააგდო, ნომერი აკრიფა და გულისცემით დაელოდა ზარზე პასუხს. როგორც იქნა, ჩინციას მძინარე, მაგრამ საოცრად თბილი და ნაზი ხმით წარმოთქმული „გისმენთ“ გაიგონა; და ფედერიკო უკვე მოიცვა ერთადყოფნის წუთებით განსაცდელმა ემოციამ; წარმოედგინა რა ის სასიამოვნოდ ამაფორიაქებელი და სულის შემხუთავი საათები, უფრო რწმუნდებოდა, რომ არ ღირდა განვლილი ღამის შესახებ მოყოლა, რომელიც ისედაც უქრებოდა უკვე მეხსიერებიდან, როგორც ლამაზად გატარებული ყოველი სასიყვარულო ღამე და გარდასულ დროთა მოგონებაში რჩებოდა.

6. ანტი

დავით ჩიხლაძე

ჰაიკუს მასწავლებელი – ხუმარა, დღიური, ხურმა და ხუმა



უშანგი ხუმარაშვილი

დღიურების წერა იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ადამიანი მარტივად იწყებს

ყოველდღიურობის დანახვას და ცხოვრებისეული უბრალო მოვლენების მოგზაურად და მოხეტიალედ იქცევა. თუ ასე მივუდგებით საქმეს, ყველა მოვლენა შორეულ ჭრილში გამოჩნდება და მეტაფორებად გარდაისახება, და გენიალური ავანტიურისტისა და ჯადოქრის,

კალიოსტროს სიტყვებიც, რომ ნებისმიერი ადამიანის ცხოვრება პოეზიაა, უფრო გასაგები გახდება. პოეტურობა კი, როგორც ხშირად ჰგონიათ, სულაც არ ნიშნავს ამადლებულ განწყობებს კლასიკური მუსიკის კონცერტზე კონსერვატორიაში ყოფნისას. ის სწორედ მიმდინარე, მიწაზე არსებულ ცხოვრებას გულისხმობს, მის უბრალო და თითქოსდა არაფრის მთქმელ დეტალებს, – ოღონდ იმ შემთხვევაში, თუკი მოახერხებ, რომ ისინი მათი ფაქტიურობისა და სიცხადის ამარა დატოვო და აღარაფერი მიუმატო. ამის მოხერხება პოეტებისთვის არც ისე ადვილია, სწორედ ყოველდღიურობის დანახვა გამხდარა ძნელი იმ მოკვდავებისთვის, ვისაც პოეტად, თუნდაც ნიჰილისტ პოეტად ყოფნა მოსურვებია და შესაბამის საქმიანობასაც შესდგომია. ეს იმ უბრალო

მიზეზით ხდება, რომ ისინი უმაღლეს დონეზე არიან სიტყვიერების მაღალფარდოვნების მექანიკურ გავლენას.

ყოველდღიურობის გამოწვევების საკითხს ქრესტომატიულად წყვეტს იაპონური და ჩინური პოეზია და ძალზე მარტივად ადამიანურ სიამესა და სევდაში იღებს ის სათავეს.

როდესაც უკიდურესი რეალისტური სიცხადე უკიდურესად ემოციურ და ინდივიდუალისტურ (იდიოსინკრაზიულ) გამოხატვასთან იწყებს შეერთებას, ხელოვანისა და მისი ცხოვრებისეული ადგილის ცხადად დანახვას ვიწყებთ, უბრალო ნამუშევრების გზით განვჭვრეტთ მას არა სტატიკაში, არამედ მდინარეებში, გარემოს ფონზე, ყველაზე ადვილად გასაგები მნიშვნელობების მქონე სიტყვების გზითაც, რომლებიც მეტად აღარ სცდებიან თავიანთ ნამდვილ და არქაულ თავის დანიშნულებას.

რადგანაც მხატვრები ფიზიკური მუშაობისა და სახელოსნოს ხალხია, ალბათ, ამიტომაც, არ ეძნელებათ, რომ მასალის კუთხით, ხელშესახებად გამოიყენონ სიტყვები, დაინახონ საგნები ისეთი, როგორც ისინი არიან და ყველაფერს დაარქვან თავისი ნამდვილი სახელი. საერთოდ, ცნებებით საგნებივით ოპერირების ეს არტისტული უნარი კონცეპტუალიზმის გავრცელებასთან ერთად იწყებს გამოვლენას მხატვრობაში, როდესაც თანამედროვე მხატვრები იყენებენ ტექსტს არა წასაკითხად, არამედ როგორც სამხატვრო, ვიზუალურ - მეტაფორას.

ამ პერიოდიდან მხატვრები ლიტერატურის დამხმარეებად გვევლინებიან, რადგანაც სიტყვების მყარი საგნებივით და ობიექტებივით გამოყენება თავისთავად აუქმებს იმ დროისთვის მოდურ თეორიას (რომლის მექანიკური

აჩრდილი დღესაც ცოცხლობს), რომ, თითქოსდა, არც ავტორი და აღარც ტექსტის ერთგვაროვანი მნიშვნელობა აღარ არსებობს, ხოლო ნაწარმოების შინაარსს ყველა მკითხველი თვითონ ქმნის. კონცეფტუალური ტექსტის უკიდურესი სემანტიკური პრიმიტივიზმი ამის საშუალებას მეტად აღარ იძლევა.

სწორედ ამ კუთხით დღეს მხატვარი შეიძლება პოეტების მასწავლებელი გახდეს, დაანახოს მათ სიტყვის მარტივი საგნობრიობა და მისი რეალისტური ძალა. თუმცა, მხატვარმა შეიძლება არც მოისურვოს, რომ მხოლოდდა პოეტების მასწავლებლის სტატუსში დარჩეს და გამოფენებისთვის ქმნიდეს ტექსტ-ობიექტებს. შეიძლება გაუჩნდეს სურვილი, რომ არა მხოლოდ ლინგვისტი იყოს, არამედ პოეტიც – მაგრამ, არა ლექსების წერის გზით.

ასეთ შემთხვევაში, ის, სულ მცირე, სათაურების წერას დაიწყებს. ასეთი მხატვრის ნახატების სათაურები თვალშისაცემი იქნება, როგორც თავისთავადი მხატვრული ღირებულების მქონე დეტალები. ისინი არარსებული ლექსების ფრაგმენტებად წარმოჩნდებიან. თუმცა კი, სათაურებს, ნახატების ფონზე, მაინც მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა დარჩებათ.

მეორე გზა, ალბათ, დღიურის წერის მეთოდი იქნებოდა. და თუ მხატვარი დღიურების წერას დაიწყებს, არ უნდა ვიფიქროთ, რომ იქ რაიმე სენსაციური ამბები იქნება აღწერილი, რაიმე პიკანტურ ისტორიებს ამოვიკითხავთ და ამით დავინტრიგდებით. არავითარ შემთხვევაში – ასეთ დროს და, კერძოდ კი, მხატვარ უშანგი ხუმარაშვილის შემთხვევაში დღიურის ნაცვლად მხოლოდ ჰაიკუს ტიპის კრებული შეგვრჩება ხელთ.

ცნობილი ამერიკელი კომპოზიტორი ჯონ კეიჯი ამბობდა, რომ მან მხატვრებისაგან ისწავლა, თუ როგორ უნდა დაეწერა თანამედროვე მუსიკა. იგივეს ამბობდა ცნობილი ამერიკელი ქორეოგრაფი მერს კანინგემი, რომ ახალი ხელოვნების, ახალი ცეკვის ენა მან მხატვრებისაგან ისწავლა – ჯასპერ ჯონსისგან და სხვებისგან. რატომ გადაიქცნენ თანამედროვე მხატვრები მასწავლებლებად, რამ განაპირობა ეს? – ამისთვის მე-20 საუკუნის ხელოვნების ისტორიას, მისი განვითარების ეტაპებს ზედაპირულად მაინც უნდა გადავავლოთ თვალი.

მეოცე საუკუნის მოდერნიზმი სიმბოლისტური მიმდინარეობით იწყება. საქართველოს მაგალითზე ყველამ ვიცით, რომ აქ “ცისფერყანწელები” იგულისხმებიან. ასეთი არტისტული პოეტური ხედვა დღესაც გარკვეულწილად პოპულარულია და გასაგებიცაა ყველასთვის. შემდეგ ავანგარდის ხანა დგება, ფუტურიზმი და კონსტრუქტივიზმი, მემარცხენე პოეზია შემოდის სცენაზე. ნამდვილად მასშტაბური და ყველაზე გასაგები პოეტი ამათგან ვლადიმირ მაიაკოვსკია. მაგრამ მის გვერდით არის ილია ზდანევიჩიცი, ნიკოლოზ ჩაჩავას ექსპერიმენტებიც, რომლებიც მხოლოდ ვინრო წრეს ესმოდა, ან ესმოდა მხოლოდ თეორიულად. დადაისტებიც იმავე ეპოქას ეკუთვნიან. ყველა ესენი მემარცხენე პოეზიას წარმოადგენენ, რომლებმაც გააგრძელეს სიმბოლისტების მიერ უმტკივნეულოდ დაწყებული საქმე კლასიკური ღირებულებებისა და ცნებების გადაწყობა-- გაუქმებისა.

1930-იანი წლებისთვის რეალიზმის გავლენა დომინანტურია. ჩვენთან ამას სოციალისტური რეალიზმი ერქვა, ამერიკაში კი – სოციალური რეალიზმი. საბოლოოდ, მე-20 საუკუნის ფორმაციის ეს სამი ეტაპი – სიმბოლიზმი,

ფუტურიზმ-დადაიზმი და სახალხო რეალიზმი იქცა განვლილი საუკუნის ხელოვნების ძირითად პლატფორმად და ამითვე სამომავლოდ შეამზადა პოსტმოდერნისტული ესთეტიკის, 21-ე საუკუნის ესთეტიკური პრობლემატიკის საფუძველი. რეალურად, ამ სამი კომპონენტისგან შედგებოდა მე-20 საუკუნის მოდერნიზმის ისტორია. სინამდვილეში, ძველი დრო სწორედ აქ სრულდება, თუმცა ეს ჯერ კიდევ ცხადად არ ჩანდა მაშინ, და მთავრდება ისტორიაც, საერთოდ, ისტორიულობა – აპოკალიპტური წინასწარმეტყველების ალუბიით მეოცე საუკუნის ბოლოს ქვეყნის დასასრულის შესახებ.

სოც. რეალიზმის შემდეგ ლირიკული რეალიზმის პერიოდი დგება. ასე იყო როგორც ლიტერატურაში, ისე მხატვრობაშიც. ნათელი ლირიკული რეალიზმი, რომელიც 1950-1960 წლების ქართულ პოეზიაში იყო გამოკვეთილი, წარმოადგენდა მხოლოდღა სოც. რეალიზმის გაგრძელებას, მისი ერთგვარი ხალხოსნური მოდიფიკაცია იყო, მისგან ითვისებდა სახალხო მონუმენტურობის თვისებებს და საბოლოოდ მარტივი ფორმებით გადაამუშავებდა, ამსუბუქებდა მას.

ლირიკულ რეალიზმს კონფესიონალიზმი მოჰყვა, თავისუფალი ლექსის ახალი ტრადიცია საკუთარ თავზე ორიენტირებული განწყობებით, რომელიც საუკუნის დასაწყისის სიმბოლისტურ ხედვებთანაც იყო დაკავშირებული. ვერლიბრი, ერთი მხრივ, ლირიკული რეალიზმითაც საზრდოობდა, მაგრამ უფრო მეტად სიმბოლისტების გამოცდილებას გაიაზრებდა, მის სათქმელს ამარტივებდა და უფრო დემოკრატიულს ხდიდა. პირადულ გამოცდილებებზე აგებული მსოფლალქმა შემდგომ, გარკვეულწილად, პოსტმოდერნისტული

პოეტური ესთეტიკის ნაწილიც ხდება, რაც დღესაც მთავარი ხაზია თანამედროვე ქართულ პოეზიაში.

შემდეგ ნეოავანგარდისტული ლიტერატურის პერიოდი იწყება, რაც, ცხადია, პოსტმოდერნისტული ეპოქის საწყის ეტაპსაც ემთხვევა. ამჯერად, აპელირება ხდება დადაიბმსა და ფუტურიზმზე, მათი ღირებულებების უკიდურესი უტილიზაციის, ყოველდღიურ ლიტერატურულ გამოყენებაში შეტანის გზით. ტექსტის ფორმალური მხარე მთლიანად თავისუფალია, შინაარსობლივი კი უშუალოდ რეალისტური. ტექსტი დღიურად იქცევა. შინაარსის ადგილს ავტორის პიროვნება იკავებს, მაგრამ არა ინდივიდუალისტური ხედვებისა და განცდების კოლექციების ავტორის, არამედ რეალურ, ფაქტიურ გარემოებათა თანაბარი თანამონაწილის და აღმწერლის. თანამონაწილის კომპონენტი ძალზე მნიშვნელოვანი ხდება, რამდენადაც წინ გამოდის ტექსტის დღიურის ხარისხი. ლექსი, ნახატი, პარტიტურა, ესკიზი – ნებისმიერი დარგის ჩანაწერი თავის თავშივე პერფორმატიულიც ხდება, ავტორის ერთგვარ ბიოგრაფიულ თანამოქმედებას ენიჭება ღირებულება და არა მხოლოდ რაიმეს აღწერას ან უბრალოდ წერას. სწორედ ეს მახასიათებელი იქცევა უტყუარ ამოსაცნობ ნიშნად პოსტმოდერნისტული ესთეტიკისთვის, რომელიც ამა თუ იმ ჯგუფსა და პიროვნებებს შორის რაიმე შეთანხმებების საფუძველზე კი არ მოქმედებს, არამედ როგორც დროისა და ეპოქის ერთგვარი ლაკმუსის ქაღალდი და ბუნებრივი დეტექტორი.

ერთი სიტყვით, მე-20 საუკუნის ძირითადი ეტაპები საკმაოდ სიმეტრიული, ბინარული ურთიერთკავშირებითაა განლაგებული. ისინი საკუთარი წყვილების სარკისებურ ანარეკლებს წარმოადგენენ და ამით ისიც გასაგები ხდება, რომ ასეთი ჩაკეტილი განლაგება წრის შეკვრასაც

მოასწავებს. სწორედ ასეთი ფატალური თვითრეფლექსურობის ბაზაზე იწყებს მოქმედებას 21-ე საუკუნის პოსტმოდერნიზმი, რომელსაც – ამ წანამძღვარის გამო – არც დასაწყისი აქვს და, ამდენად, აღარც დასასრული, რადგანაც ის მე-20 საუკუნის უკიდურესი ესთეტიკური გამოცდილებებითაა განპირობებული, როგორც დროის მიღმიერი და ტრანსცენდენტური ფენომენი.

ეს ლიტერატურის დასასრულის ეპოქაცაა. და რადგან თვითრეფლექსურობა ამ ახალი ეპოქის მთავარი მახასიათებელია, ლიტერატურაც საკუთარი თავიდან თვითწარმოქმნას იწყებს დაუსრულებლივ; არა გამეორებას, ალუზიას ან, თუნდაც, პლაგიატს, არამედ სერიულ ალგორითმულ გენერირებას მიმართავს, ზოგჯერ სრულიად უაზრო ფორმალიზმით, ზოგჯერ კი საზრისიანი, მაგრამ მაინც ფუჭი შინაარსობლივი მცდელობებით, რადგან მის სათქმელს მაინც არასოდეს აქვს ნამდვილი შინაგანი გადაწყვეტილების ისეთი ტონი, ნებისმიერ წინა ეპოქას რომ ახასიათებდა.

აქ ისევ გვახსენდება კალიოსტროს სიტყვები, რომ ნებისმიერი ადამიანის ცხოვრება პოეზიაა. მხოლოდ იმ პირობით, რომ ადამიანმა თავი უნდა დაანებოს პოეზიის წერას. არც სიტყვების ოსტატურად თამაში, არც პათეტიკა თუ ნიჰილიზმი, სარკაზმი ან აპათია, შავი იუმორი, ინტელექტუალიზმი და ეპატაჟი დღეს აღარავის გააკვირვებს. და ესენი, თავისთავად, არც არის სათქმელის და ნამდვილი შინაგანი გადაწყვეტილების მატარებელი განცხადებები. ესენი მხოლოდლა ლაპარაკებია, რაც დღევანდელ მდგომარეობას კარგად მიესადაგება.

და სწორედ დღეს ხდება ყველაზე მეტად გასაგები დღიურის დანიშნულება. არა რომელიმე პოლიტიკოსის და ცნობილი საზოგადო მოღვაწის კულუარული დღიურის, არამედ მხატვრის ან პოეტის დღიურის, რომელსაც ის პოეტური ამბიციით აღარ წერს, თუმცა ამ ჩანაწერებს მაინც პოეტურ დანიშნულებას კი აკუთვნებს. თუ მხატვარი ან პოეტი პოეტური ამბიციით გააგრძელებდა წერას, ეს ორმაგი ტრაგედია იქნებოდა, უფრო მძაფრი და ფატალურიც კი, ვიდრე დღეს პოეტისთვის ლექსების წერა შეიძლება იყოს.

სემანტიკური აშლილობების დამამშვიდებელ ნიმუშად კი ყველასთვის კარგად ნაცნობი ქართულ ანდაზაც გამოდგება – ნარატივს, ასჯერ გაგონილს, ერთხელ ნანახი ნამდვილად ჯობნის და ამით ნევროტული ინტერპრეტაციების საფუძველიც ბათილდება. ვიზუალურმა კულტურამ და ინტერპრეტაციისგან გათავისუფლებულმა საგანმა დომინაცია უკვე მოიპოვა. ამ სტრატეგიული ფაქტორის – ბენატურალისტური რეალიზმის დაბრუნების გამო ვიზუალური არტისტები, მხატვრები წამყვან ფლანგად გადაიქცნენ პოსტმოდერნიზმის პირველ ხანებში. ეს მხატვრები მარტო პოპ-არტისა და რედი-მეიდის ობიექტებს როდი აკეთებდნენ – აბსტრაქციებსაც ხატავდნენ, მაგრამ მათი ასეთი ტილოები მაინც ისევ კონკრეტული და ხელშესახები საგნები იყო.

უშანგი ხუმარაშვილის აბსტრაქციები დღიურებია. ისინი ჩანაფიქრები კი არ არის, არამედ უბრალო ფაქტებია. ამიტომ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხუმარაშვილის აბსტრაქტული ტილოები, რომლებიც თავისთავად დრამატული, ემოციური და ლამაზია, პოსტმოდერნისტული რეალიზმის საგნებს, ნივთებს წარმოადგენს. ისინი პოსტ-

ლიტერატურული აღწერებია. ბოლოს ყველა ეს ფაქტორი თავს იყრის და მისი ნახატები მოქმედებას იწყებს, როგორც ტექსტები, რომლებიც საგნები და დღიურის შემადგენელი ფრაგმენტებია.

2013 წელს ერთად ვიყავით სტუმრად სერბეთში.

ბელგრადში ფორმალურ გამოფენაში მონაწილეობის შემდეგ ქალაქ ტრესტენიკში წავედით. იქ რომელიღაც ცენტრალურ ქუჩაზე სანაგვე ურნებში უშანგიმ შპალერის რულონები ჩააწყო, ქალაქს ბოლოები ისრისებურად წაუმახვილა და თავები ამოაყოფინა. როცა დაღამდა, ნავთი დაასხა და ქალაქს ცეცხლი მოუკიდა. ნამუშევარს “კბილები” დაარქვა. ის მანმადე ამ შპალერის ქალაქებზე ბელგრადში ხატავდა, მორჩენილ მასალას კი ეს ბედი ეწია. ყველა გრძნობდა, რომ რაღაც სასიხარულო უნდა მომხდარიყო და ქუჩაში შეკრებილი ადგილობრივი მხატვრები ინტერესით ელოდებოდნენ სეირს.

ინტერპრეტაციის გარეშე დარჩენილი ხელოვნება სასიამოვნო ხდება, მითუმეტეს, როდესაც პერფორმანს-ართთან გვაქვს საქმე. იმ საღამოს იქვე, მაღალი კორპუსიდან ვიღაც გადმოხტა, თავი მოიკლა. ამის გამო უბანში რატომღაც შუქი გამორთეს და უშანგის ცეცხლმოდებული ნამუშევარი ერთადერთ სინათლის წყაროდ იქცა, რომელიც მანქანების რიგს უნათებდა ღამის გზას. ამ ტრაგიკული მოვლენის შესახებ მოგვიანებით გავიგეთ, პერფორმანსის ჩანაწერი კი ტელევიზიის პირველმა არხმა მეორე დღით აჩვენა. მერიაშიც დაგვიძახეს, ჩვენს სტუმრობასთან დაკავშირებით თათბირი გამართეს და სამახსოვრო საჩუქრები გადმოგვცეს.

დღეს ნახატისა და ლექსის ტექსტიდან გასვლის ყოველი უმნიშვნელო მცდელობა ხელოვანის შინაგან

პატიოსნებაზე, მის თვითკრიტიკულობისა და პროფესიონალიზმის მაღალ ხარისხზე მიაწინებებს. პერფორმანსი და დღიური კი თითქოს ორი საპირისპირო ვექტორია – პირველი დროსთან ერთად ქრება, მეორე რჩება, მაგრამ გვიტოვებს ისევ მხოლოდ აღნიშვნას იმის შესახებ, რაც სუსტი ნიავეით ჩნდებოდა ჩვენს სიახლოვეს, გვეხებოდა კიდევ, თუმცა ყურადღება არ მივაქციეთ.

იაპონელი და ჩინელი პოეტები არა მარტო წერდნენ, არამედ ყოველთვის ხატავდნენ კიდევ და ეს ორივე მიმართულება თანაბრად მნიშვნელოვანი იყო. ისინი შეიძლება სულაც არ ყოფილიყვნენ ძენ-ბუდიზმის პირქუში ოსტატები, რადგანაც ხელოვნებას ბოლომდე ჯერ კიდევ ვერ დაანებეს თავი, მაგრამ ის კი ნამდვილად იცოდნენ, თუ როგორ უნდა იმუშაოს ხელოვანმა გავლებული ხაზის ასონიშნებად ან მინიატურის კონტურებად გადაქცევის ზღვარზე, როგორ უნდა დაანგრიოს აღმნიშვნელი და შექმნას აღსანიშნი.

უშანგი ხუმარაშვილი ძენ-ბუდიზმის თავდაპირველ ოსტატ ბოდჰიდჰარმას მოჰგავს, თუმცა თვითონ ეს, როგორც ჩანს, არ იცის, ამიტომაც აგრძელებს ხატვას. ცოტას თუ რამეს იტყვის, ნახატს ან რომელიმე დეტალს ბევრჯერ გადაწერს, დაიღლება, ცოტა ხნით ნევროზი შეიპყრობს, საქმეს გადადებს ან ძალისძალით დაასრულებს, ბაზართან მივა, ხილს იყიდის (დასაშვებია, ვაშლს ან ხურმას), ხალხს შეხედავს და არასოდეს ხუმრობს (თუმცა, რა თქმა უნდა ტრიკსტერია თავისი შინაგანი ბუნებით).

შეიძლება პარადოქსად მოგვეჩვენოს, რომ უშანგი ხუმა (ძირითადად ასე აწერს ხელს, როდესაც პერფორმანსს, თავის შესანიშნავ ვიდეო-არტს ან ნახატის მიღმიერ რაიმე სხვა ნამუშევარს წარადგენს) მთელი ამ ესთეტიკური

ასოციალურობის ფონზე, საქართველოსთვის მაინც, კომერციულად ყოველთვის წარმატებულია, ყველას უნდა ჰქონდეს მისი ფერწერა, ვინც კი კოლექციას ფლობს ან, თუნდაც, საკუთარი ბინის ინტერიერის სასურველი მიმართულებით მოწესრიგება შეძლო. არ კი იციან, რომ მათი სახლების კედლებზე სინამდვილეში დღიურების თითო აბზაცია გამოკიდული, რომელსაც ვიღაც როდისმე წაიკითხავს, ვიღაც კი მხოლოდღა მიხვდება, რომ ცხოვრება არც ისე ცუდია, ის ლამაზია, მაგრამ დიდი განსაცდელიცაა.

პოეტ შოთა იათაშვილს 90-იან წლებში ჰქონდა ლექსი სათაურით “მეოცე საუკუნის დასასრულის პოეტი” და სიმბოლური მნიშვნელობით ეს ზუსტი კულტუროლოგიური გზავნილი აღმოჩნდა – პოეტი მინის ტარით სავსე ბადურათი დარჩენილა, რომელიც მიმღებ პუნქტში უნდა ჩააბაროს, ცოტა ხურდას მისცემენ და მერე, კაცმა არ იცის სად უნდა წავიდეს; სად უნდა ნახოს საშველი ხელოვანმა, როდესაც უკვე მინის ტარის მიმღები პუნქტებიც აღარ არსებობს და ცარიელი ბოთლების შეგროვების საქმეს უსახლკარონი მონდომებით შესდგომიან?!

საშველის თვალსაზრისით, წარმავლობისა და ბანალურობის დაუმთავრებელი გამარადიულების ჩვენს დროში უშანგი ხუმარაშვილის ლექსებისა და დღიურის ფრაგმენტები ნამდვილ მეგზურობას გაგვიწევდა. 70 წლის იუბილის გამო – და სურათების სახელმწიფო გალერეაში დაგეგმილი პერსონალური გამოფენის პარალელურად, ლიტერატურულ ჟურნალში ვამჯობინეთ მხატვრის სხვა მხარე წარმოგვედგინა. თუმცა, ის პოეტი არ გამხდარა, რადგანაც როდესაც მხატვრობასაც გაურბის (მაგრამ არა ნახატს), ამ ახალი ტვირთის ძიება კიდევ ერთი და მძიმე სასირცხვილო პათეტიკა აღმოჩნდებოდა მისთვის.

უშანგი ხუმარაშვილის ქვემოთ მოყვანილ ტექსტებში დავინახავთ, რომ ის ბრწყინვალედ გაართმევდა თავს ჰაიკუს მასწავლებლის პროფესიას, დამწყებისთვისაც და სხვისთვისაც, ვინც უკვე შესდგომია პოეტის შორეულ გზას, ან ვისაც ეს გზა უკვე თითქმის გავლილი აქვს, მაგრამ ჯერ კიდევ არ მობეზრებია და საკუთარი მიღწევებითაც არ შებორკილა.

უკიდურესი გადაწყვეტით, დღეს ორი არჩევანი რჩება ხელოვანს – ან ზურაბ რთველიაშვილის გზას უნდა დაადგეს, ცალკეულ ბგერებად და რიტმებად დაშალოს ლექსი, ხმა გააშიშვლოს და ეულად დატოვოს პუბლიკის წინაშე, შეურთოს ცას, როგორც გაბმული ძახილი, პოეზიის მარადიული სანყისი-შელოცვა; ანდა დღიურების წერა უნდა დაიწყოს. ამასვე აკეთებს, ფაქტობრივად, გია ეძგვერაძე, იმ განსხვავებით, რომ ის უფრო თეორიულ და კონცეფტუალურ ნახატ-ტექსტებს წერს; ასეთივე მაგიური ხასიათისაა ნიკო ცეცხლაძის რამდენიმე ნეოავანგარდისტული ტექსტიც.

უშანგი ხუმარაშვილის დღიურები კი წმინდა ირაციონალურ და რეალისტურ ჰაიკუდ მოჩანს. მის ამ ტექსტებს, დღიურებსა და ლექსების ფრაგმენტებს წინამდებარე პუბლიკაციას ვურთავთ, როგორც ორმხრივ საჩუქარს: ერთი მხრივ, თვითონ მხატვრისთვის, რომელსაც, ვიცით, რომ ყოველთვის ჩუმად მაინც ბავშვით უნდა ახარებდეს თავისუფლების ყოველგვარი გამომჟღავნება, ხოლო, მეორე მხრივ და უპირატესად, და ამაშიც დარწმუნებული ვართ – ამის მიმღები ყველა ჩვენი მკითხველისათვის.

უშანგი ხუმარაშვილი

დღიურის ფრაგმენტები

1980

დალაგებული დერეფნები. მღერია. როყი ფსიქიატრი. რამდენია ავადმყოფი ზუსტად არ ვიცი. პალატები თითქმის ზეპირად შევისწავლე. წამლის დიდი დოზის შემდეგ ვხვდები მტრულ გარემოში.

26 იანვარი, 1986

წყეული ქალაქი სინათლე იშვიათია. ბურუსი ჩამოწვა, თოვლი მოდის. მოყინულია ვიდექი, ვუცდიდი. ვიკეტები ყველგან ზეთჩამდგარი ნაციონალიზმი.

26 თებერვალი, 1986

წელში მოვიხარე. ბაღში ვიჯექი. ღამის თერთმეტი საათი იქნება.

24 მარტი, 1993

ვიღაც უსტვენს სომხურ უბანში. საღამოს დავბრუნდი.

22 თებერვალი, 1995

ნაწყვეტებია ოპერიდან, განწყობა მიფუჭდება. ყოველგვარი ნებისყოფა ამომეწურა.

23 ივნისი, 1996

ბაზარში და ქუჩაში ნევროზებმა მიმატა. ძალზე მიჭირს.

16 თებერვალი, 1997

თოვლზე მიჭირს ფეხის დადგმა, შუალამე გადასულია. მსხვრევის ხმა მესმის. ბატარეას მანათებენ. თოფის ხმაზე ვხვდები რომ დამჭრეს. მარცხენა ხელი უმოძრაოდ

ჩამომეკიდა. სისხლად ვიცლები მუცლის არეში მწვავს. დაუნდობლად მირტყამდნენ ფეხებს, წავიქეცი უკნიდან რამდენჯერმე თოფის კონდახი ჩამცხეს თავში. გრძნობას არ ვკარგავდი. თავი გამანებეს, როდესაც მიხვდნენ რომ დაჭრილი ვიყავი. სისხლს ვკარგავდი. თბილ პალატაში ბავშვისთვის შეშის ღუმელი ენთო. დამაწვინეს მაღალ საწოლზე. სითბოში კანკალს ვერ ვიკავებ. გული მერევა. რამდენად ცნობიერდება კრიზისულ სიტუაციაში ადამიანის ფსიქიკა. თვალს ვაჩვევ არაჩვეულებრივად ლამაზი ქალების გარეგნობას. ფანჯრებში შუქმა იმატა.

14 მარტი, 1997

გათენდა, ხვალ უკეთესი იქნება. შეშინებული გონება რითი დავაკავო. ყველა გამოსულა, ადულებული მეზობლის ხმაა. სიძულვილის ახალ საშუალებებს ვეძებ. ნერვები საშინელებაა.

2 ივლისი, 1997

უშველებელი ღვარცოფი გადმოდინდა ხევიდან. სცენები აღვიდგინე, ამწეები ხვეტენ. მაიმუნური ინსტინქტით ხალხიც მომრავლდა. დილას უსახელო სიზმარი მოვყევი. უსაშველოდ დიდი ამწეები შიშს მგვრის. წარღვნის შემდეგ ყოველდღე ხვეტენ ღორღით ამოვსებულ ხევს. უშველებელმა ღვარცოფმა მოამრავლა ჭკუასუსტი და მაიმუნური ჩვევების მატარებელი ბრბო. ორი დღეა ფსიქიკურ წონასწორობას ვებრძვი.

5 ივლისი, 1997

საქონელივით ვცოხნი სიგარეტს ლოგინში. მზარავს შიზოფრენიული გარემო. გვიან ვდგები. ვცდილობ სახლში დავრჩე.

24 აგვისტო, 1997

გადაგვარებულია ქვეყანა. შველა მჭირდება.

28 ნოემბერი, 1997

მიწისძვრისგან შეშინებულნი კორპუსთან დედაბუდიანად იდგნენ.

1998 წელი

ახალი გარემო, ეკლესიაში ვხედავ კიპაროსს. მორევში ქრისტეს საათს გადასცდა. სანთელი ავანთე. ეზოში ვფიქრობდი.

14 თებერვალი, 1998

უგვანო წლები. ორმოცდაათის ვხდები. საზარელ თბილისში მომიწევს ცხოვრება.

6 აპრილი, 1998

მაშინებს აქაური მონოტონური ხალხმრავლობა. ასეთი გაცარიელებული ვუსმენ რადიოს.

5 სექტემბერი, 1998

მაიმუნური დაცივნის საგანი ვხდები.

18 ივლისი, 2000

კენტავრის სილუეტია ჩემს არსებაში. უკაცრიელ ფანჯრებში ნაყარი სივრცე. სარეცელი მზარავს. ქარია ფანჯრებში. ვპოულობ ღამის ფარდულებს. მთელი გზა ჩაბნელებულია თელავი.

9 აგვისტო, 2000

სარკეში დანახული ტრაგედია.

24 ივლისი, 2003

არსებობისთვის ვთანთქე რამოდენიმე ჭიქა არაყი.

22 აპრილი, 2004

ბნელი ქუჩები. ბოგანო ხალხის ნახვა მსიამოვნებდა.

2 თებერვალი, 2009

უწესრიგოდ ვკითხულობ ტიბეტის მისტიკოსებს. საკმაოდ ხელმოცარული ვწვავლობ.

2010 წელი

დედა ქალია მიდის ტირარტირარტირარ.

ბურგით ვეცემი მინდვრის ყვავილებს.

19 სექტემბერი, 2013

აღმოსავლეთის, აღმოსავლეთით ფანტული ხმელი ფოთლები. ქარია მიმო-შემო. მაღაზია, მარკეტი, მოძრავი ეგვიპტელია. აუარებელი მანქანა, მანქანაში რისთვის ვწერ გაურკვეველია.

6 აგვისტო, 2016

სანაგვე ურნებთან მოტრიალე შეშლილი უპოვარნი.

20 აგვისტო, 2015

საშინელი ქარიშხალია, შეშინებული ვიღვიძებ. შუშებს ამტვრევს, კარს ვხურავ. ფერისცვალების ღამეა. უამრავ აზრს ბადებს, თავსატეხი რელიგია. საშინელი დეპრესია, ვიტანჯები. გამუდმებული გუგუნი ალაზნის ველიდან. ჭიუტად ველოდები გათენებას. დილით ყავა თუ ჯანდაბა. თავს ვერ ვიმორჩილებ.

27 იანვარი, 2016

ცივგომბორის სუსხი. უკუნეთია მანქანას ვეოქავ. სუსხია მწარე -10 ვალებ მოგონებებში.

29 ნოემბერი, 2016

ფული, ფული მშვენიერია ასეთი ნირწამხდარი არსებობა. უძრავი დღეები და თავჩაღუნული არსებობა.

8 მაისი, 2017

ბაზარია ხარობაა ვყიდულობ ვაშლია. ხილის გარეშე ძნელია ცხოვრება. ცალი-ცალი სოფლის ქალია. მშვიდობაა სოფლად. მიხარია კეთილი ცალთვალა მზერა. ღამღამა ღამეა, წლობით ჩვეული მდუმარებაში.

25 ივნისი, 2017

გაბრაზებული ხალხი. აბა რა გამოვიდა ქვეყანაა უფსკრულში იჩეხება. ტრიალა ამბები დადუმებული ღამის ეთერში. ვიყავით ლოგინით ზღვის უბადრუკ გარიყულაში. ხმელია ბალახი, წამოწოლაც არ მსიამოვნებს. დროც უსიკვდილოდ გასულა, ჩამკვდარი ხმელი სამანქანე ტიპაჟი, ძალღია ღმერთო შიშია უკეთურების სახლიდან. ჟანგმორეულია ჩამოყოლილი ვარკეთილის მასივი. ღამეა უსაშველოდ მძიმე მოლოდინის.

15 ივლისი, 2017

ამინდში წყნარი უიმედო უმზეო არსებობა, საღებავით დათხვრილი ხელები, უწონადობაში დახატული ტილოებს კედელთან ვატრიალებ. შეჭმული მოხარშული თევზი უგუნებოა. თითს იქნევს, ანიოკებული ხალხი არ შორდება ტელეეკრანს. დაიჩოქა ხატის წინ პრემიერმა კვირიკაშვილმა. ღვთისმშობლის კვართი გამოასვენეს

დადიანების სასახლიდან. საფიქრიც ბევრია. ვეყუდები წელთან ღრმა საზურგეა ვცდილობ ღამის აკვიატებული ფიქრი გავახანგრძლივო. ენერგია დღისით უკეთეს მომავალს მაუწყებს.

5 ნოემბერი, 2017

შორიდან ბარები სამიანები. კვირაა ვიყივლებ ცუდად ხომ არ ჩაივლის განწირულის ხმა. სიძილე საძილე ჭორების გრძელი ამბები გვიან ღამით. ჯანმრთელი ძილი თავია უნამლოდ არსებობისა.

21 დეკემბერი, 2017

დილაა მშვიდობიანი გავცდი ორთაჭალას ბალნეოლოგიურში მძიმე კიბეები რალაც ვილაც ქალაქებში ახველებს. ყველაა მგონი ზღვარგადასული... წუნკი ქალები შემოსასვლელში. ვიყვირე ფეხადგმული ვინყებ მოძრაობას მეტეხთან. დაღუნული ანგარიშით ვითმენ საღამოს წყვილიად.

22 დეკემბერი, 2017

უქმად ხომ მაინც არ ჩაივლის გულისშემძვრელი მხატვრობა... გადმოვალ ვჯდები ვქოქავ მანქანას, სიგარეტიც ხარიკრიშნაა დუმბილში დაღმართია არცარაფერზე ვფიქრობ. წამებაა უუნარობის განცდა.

14 აპრილი, 2018

შრომაა აუტანელი, დილას ადგები ფიქრიც შიშნარევი ხდება. ჰაიჰუიჰაიხუი წვალებაა განადგურდები გართულდა მხატვრად არსებობაც. ჩვენებაა ჩინელ იმპერატორზე. მასკულტურაა მკვდარი ქანდაკებების. ევნუხები შიშვლად ნაკეთი ხელოვნება. ოხხხ ცააა სირცხვილის სარეცხით.

22 ივლისი, 2018

სერიოზული წესრიგია ჩემს აზროვნებაში.
ხელებჩამოშვებული არსებობა ლოგიკურია. პირუტყვების
ჯოგური არსებობა გამორიცხავს წესრიგს. უსაქმურობაა
ჩემი არსებობა.

25 აგვისტო, 2018

ხდებაა 70 წლის. უპატრონო ეული ნაბიჯებით ვეძებ
სიტყვებს...

- [1] თავს გრძნობს არასრულად (ინგ.)
- [2] აიდა – აიდა სარქისიანი, პოეტის მეუღლე.
- [3] საბარელი ზღაპრული არსება მუსლიმურ მითოლოგიაში.
- [4] ქრისტიანული წელთაღრიცხვის 1925-35წწ.
(მთარგმნელის შენიშვნა)
- [5] ანუ 70-80 იან (მთარგ.)
- [6] 1980 წლის თებერვლის მიწურული (მთარგმ.)
- [7] სპარსულში არსებობს ე. წ. “შედგენილი (ანალიზური) ზმნები“, რომლებიც შედგება ძირითადი და მეშველი ზმნებისაგან. აქ ჩამოთვლილი ზმნები ამ შემთხვევაში ყველა მეშველი ზმნაა, ოღონდ სპარსულში ნებისმიერ მეშველ ზმნას ნებისმიერ ძირითად ზმნასთან ვერ გამოიყენებ. თუმცა არც მკაცრად ჩამოყალიბებული გრამატიკული წესი არსებობს იმაზე, თუ რომელი მეშველი ზმნა გამოიყენება რომელ ძირითად ზმნასთან და ძირითადად, აქ მჟღავნდება ხოლმე, ვის აქვს შესწავლილი სპარსული და ვისთვის არის ეს ენა მშობლიური. (მთარგმნ.)
- [8] ყული – აღმოსავლური ფოლკლორის ზღაპრული ურჩხული.
- [9] შაჰისდროინდელი ირანის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი.
- [10] ყოყნუსი – ირანული მითოლოგიის ზღაპრული ფრინველი, ბერძნული ფენიქსის ტიპისა.